ნუგზარ მუზაშვილი

ჩვენ და ისინი

„მერანი"
თბილისი
2004

უაკ(UDC) 894.631.09
მ 39

მკითხველს შეუძლია ეს წიგნი მიიღოს როგორც ცდა. ცდა იმისა, რომ გაცნობიერდეს როგორც ჩვენი, ისე დასავლური კულტურის ზოგიერთი ასპექტი.

ამ მცდელობას აზრი აქვს იმდენად, რამდენადაც მოყოლებული XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე, ჩვენი საზოგადოება ცდილობს განვითარების იმ გზას დაადგეს, რომელსაც დასავლური კაცობრიობა მიჰყვება.

ეს მცდელობა აქამდე მეტისმეტად წინააღმდეგობრივი იყო. ასეთივეა იგი დღესაც. შესაბამისად, წიგნში შესული ყველა ტექსტი ამ მცდელობების რთული შინაგანი მექანიზმის გაცნობიერების ცდაა.

მკითხველმა განსაჯოს, რამდენად წარმატებულია ეს ცდა.

რედაქტორი **გივი ალხაზიშვილი**

მხატვარი ლევან მუზაშვილი

ISBN 99940-780-1

©ნუგზარ მუზაშვილი, 2004

ჩვენ და ისინი

ჩვენ და ისინი.

ჩვენი ქვეყანა და ევროპული კაცობრიობა.

შუაში, ბევრს რომ დღემდე თავთხელი ფონი ჰგონია, სინამდვილეში ღრმა უფსკრული გაწოლილა. განსხვავებულობის, შეუთავსებლობის უფსკრული.

ვგონებ, პირველად, ყველაზე მძაფრად ეს იმ ადამიანებმა შეიგრძნეს, რომლებიც XX საუკუნის დასაწყისში ჩვენი ქვეყნიდან ევროპაში მიდიოდნენ განათლების მისაღებად. ყველაზე მძაფრად იმიტომ, რომ ეს შეუთავსებლობა მათ საკუთარ თავზე განიცადეს.

ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქებში ნლობით ნაცხოვრები ჩვენი თანამემამულენი ვერაფრით ეგუებიან ევროპელთათვის დამახასიათებელ ხისტ ინდივიდუალიზმსა და სიცივეს. ევროპული ცივილიზაციის გვირგვინი — გიგანტური, მაგრამ საათის მექანიზმივით ზუსტად აწყობილი ქალაქი, თავისი თავზარდამცემად ცხადი და სასტიკი ლოგიკით, მათ ღრმა შინაგან შეშფოთებას იწვევს.

რა თქმა უნდა, ეს შეშფოთება არ ყოფილა მხოლოდ მშობლიური მინდორ-ველის რომანტიკულად მონატრების შედეგი.

ცხადია, ეს არც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ცალსახად ცუდები ვართ, ხოლო ისინი — კარგები, ან პირიქით.

საქმე ძალიან სერიოზულ, სილრმისეულ განსხვავებაშია.

ამ განსხვავების ზოგიერთ, მაგრამ მნიშვნელოვან ასპექტებს გავიცნობიერებთ, თუკი ერთმანეთს შევადარებთ გაზეთ „ჩვენს მწერლობაში“ (№5, 2000) დაბეჭდილ ოქტავ.მირბოს „მუქთამჭამელებსა“ (ფრანგულიდან თარგმნა ელისაბედ ყვავილაშვილმა) და ჩვენი ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიან დედაკაცს“.

* * *

როცა ცხადი შეიქნა, რომ ოთხმოცს მიღწეულ ფრანსუას მუშაობა აღარ შეეძლო, შედარებით ახალგაზრდა ცოლმა მის მოვლა-პატრონ-

ობაზე უარი თქვა. მოხუცი შიმშილით სიკვდილისათვის აღმოჩნდა განწირული.

მეტისმეტად არაადამიანური ვითარებაა, არა?

აღმოსავლეთში საერთოდ ცოლებისათვის დამახასიათებელი, ხშირად ყოვლად წარმოუდგენელი, ვერაგობების აღსაწერად ერთი უზარმაზარი კრებულიც კია შექმნილი, მაგრამ სანთლითაც რომ ეძებოთ, მოხუცი ფრანსუას ცოლის მსგავს საქციელს იმ კრებულში მაინც ვერ წააწყდებით.

იმიტომ, რომ ეს ვერაგობა არ არის.

ქალს არც საყვარელი ჰყავს, არც მოუთმენლად უნდა ქმრის ქონების ხელში ჩაგდება და არც სხვა რამ სახის შურისძიება განუზრახავს მასზე.

ცოლ-ქმარმა ერთგვარი ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტა, რომ ფრანსუას „მოსვენების" დროც დამდგარა, რადგან მუშაობა აღარ შეუძლია. დიახ, როცა შეეძლო, თავდაუზოგავად შრომობდა ლუკმა-პურის მოსაპოვებლად, მაგრამ ახლა ისე დაბერდა, ძვლები ისე გაუხევდა, რომ წელში ვეღარ იხრება, როგორღა იშრომოს?! ხოლო ის, ვინც ვეღარ შრომობს, ანუ ვისაც სარგებლობის მოტანა აღარ შეუძლია, აღარც უნდა ჭამდეს. თავს ზემოთ ძალა არ არის, ფრანსუამ უნდა „დაისვენოს"...

ასე ფიქრობს ცოლი, ერთი ჩვეულებრივი მშრომელი ქალი, არაფრით გამორჩეული — არც განსაკუთრებული ბოროტებითა და არც განსაკუთრებული სიკეთით, რომელიც უხალისოდ, მაგრამ წარბშეუხრელად ემორჩილება ყოფიერების სასტიკ კანონზომიერებას.

მაგრამ ასე ფიქრობს თავად მოხუცი ფრანსუაც. თუმცა თავიდან გაიბრძოლა, ცოტა უნდილადაც შეეცადა გადაეთქმევინებინა ცოლისათვის, მაგრამ ქალის მტკიცე ნებას რომ წააწყდა, მყისვე დამორჩილდა. დამორჩილდა, რადგან ნამდვილად არაფერი აქვს ისეთი, რასაც დაუპირისპირებდა ცოლის თავზარდამცემ ლოგიკას. რა თქმა უნდა, არც ფრანსუა აღარ შეინახავდა ბებერ და უმაქნის ჯაგლაგს, აღარც თივას დაუყრიდა, აღარც ქერს მიუმარჯვებდა. არა, ცხადია, რა სათქმელია.

სინამდვილეში ბერიკაცმა იცოდა, რომ ეს ავბედითი ჟამი ადრე თუ გვიან მისთვისაც ჩამოჰკრავდა. აკი თვითონაც ზუსტად ასე გამოაცალა ლუკმა თავის მოხუც მშობლებს. რატომღა უნდა ერჩინა მუქთამჭამელები?! ამ სასტიკ და დაუნდობელ ქვეყნიერებაზე დამატებით რისთვისღა ეთრია აწ უკვე სრულიად უსარგებლო ბარგი?

უკვე ბედს შეგუებული ფრანსუა სიზმარში იმ თხას ნახავს, ბოლოს

რომ ჰყავდათ, რა თვინიერი ცხოველი იყო, როგორი ღალიანი რძე ჰქონდა, ახლა რამდენი თიკანი ჰყავდა მოგებული! მაგრამ როცა დაბერდა, გაბერწდა და რძეც გაუშრა. ალბათ, მალე თავისითაც მოკვდებოდა, მაგრამ ფრანსუამ აღარ აცალა და თვითონვე დაკლა, „რადგან უნდა მოკვდეს და აღიგავოს პირისაგან მიწისა ყოველი, რასაც სარგებლობის მოტანა აღარ შეუძლია“.

სიზმარში სწორედ იმ თხის თვალები აეკვიატა, მისი მორჩილი, თვინიერი საყვედურით აღსავსე მზერა, როცა მუხლებს შორის მომწყვდეულს გასისხლიანებულ ყელში დანა ხელმეორედ გამოუსვა.

თავზარდაცემულს გაეღვიძა. ერთხანს ჩუმად იწვა, მერე თავისთვის დაიჩურჩულა:

„სწორია. რაღა კაცი და რაღა თხა. ვერაფერს იტყვი. სწორია ყველაფერი“.

მართლა თავზარდამცემია ეს ყველაფერი. თავზარდამცემია ეს გულქვა, სასტიკი და ყოვლად აბსურდული სამყარო. თავზარდამცემია ამ ადამიანების მზაობა, კი არ გაექცნენ, კი არ შეარბილონ ცხოვრების სასტიკი კანონზომიერებანი, არამედ ყველაფერი ისეთი მიიღონ, როგორიც არის კიდეც სინამდვილეში.

ყოფიერების ასეთ დონეზე მიმღები ადამიანები ყოველთვის მარტონი არიან. ამიტომ ვერ ვხედავთ ნოველაში ვერც ერთ მეზობელს, ვერც ერთ ნათესავს. არც მათი უხილავი, მაგრამ ყოვლისმომცველი ძალა იგრძნობა, როგორც „თავსაფრიან დედაკაცში“. მხოლოდ ერთხელ მოვკრავთ თვალს უკვე ცოცხალ-მკვდარი ბერიკაცის თავზე რაღაც ფორმალობების აღსასრულებლად შემოსულ დაეჭვებულ და შემკრთალ მღვდელს, რომელსაც არაფრის შეცვლა არ შეუძლია.

არც ცდილობს რაიმე შეცვალოს.

ვერც შეცვლის, რადგან ეს ის ადამიანები არიან, რომელთა ცხოვრებასაც წარმართავს არა ეკლესია თავისი იდეალისტური ეთიკით, არა რომელიმე უტოპიური ხასიათის მოძღვრება, არამედ თავად ყოფიერების სასტიკი კანონები.

ამიტომაა, რომ ქმრის ცხედართან მდგარ ქალს არც ისტერიკა შეიპყრობს და არც დანაშაულის გრძნობა. „დინჯი, ყაირათიანი, მშრომელი კაცი იყო, საწყალი, — ფიქრობს იგი. — არ სვამდა, ქალებში არ დადიოდა, შრომაში გალია წუთისოფელი... საკადრისად უნდა გავაპატიოსნო: ახალ პერანგს ჩავაცმევ, შავ კოსტიუმს... თეთრ სუდარას გადავაფარებ... მერე კი, როგორც მდიდრებმა იციან, სასაფლაოზე ათი ნლით ავუღებ ადგილს...“

ცხადია, ეს არც ცინიზმია და არც გროტესკი. ეს ის თანაგრძნობაა, ის პატივისცემაა, რომელიც ასეთმა ქვისგან გამოთლილმა ადამიანებმა შეიძლება გაიმეტონ ერთმანეთისათვის.

* * *

შეიძლება ფიქრობთ, რომ ოქტავ მირბო აშკარად აჭარბებს. მეც გეთანხმებით, ნოველა, გარკვეული გაგებით, მართლაც შეიძლება ჰიპერბოლიზირებულად ჩაითვალოს.

მაგრამ გადაჭარბება ის მეთოდია ხელოვნებაში, რომელზედაც, როგორც ამბობენ, მოქანდაკეებიც კი ვერ ამბობენ უარს. მით უმეტეს, მასზე უარს ვერ იტყვის მწერალი. სიტყვაკაზმულ მწერლობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სწორედ გადაჭარბების ხელოვნებაა, რადგან მისი მეშვეობით გამოიყოფა ის უმთავრესი, რაც რეალურ ცხოვრებაში ტონობით უმნიშვნელო წვრილმანებშია ჩამარხული.

ამიტომაა, რომ გარკვეული ალქიმიის წყალობით, „მუქთამჭამელების“ მკითხველი იმას კი არ ფიქრობს, ნახეთ ერთი საფრანგეთში შიმშილით როგორ ხოცავენ მოხუცებსო.

რა სათქმელია!

გასაგები ხდება, რომ ამ პაწაწინა ნოველით მწერალმა შეძლო მკითხველისთვის დაენახვებინა ის სული, რომელიც წარმმართველია დასავლურ ცივილიზაციაში.

ზუსტად ისევე, როგორც თავშიც არავის მოუვა აზრად, „თავსაფრიანი დედაკაციდან“ გამომდინარე დაასკვნას — საკმარისია ერთი მოუზომავი სიტყვა, რომ ჩვენი მოხუცები მაშინვე სახლიდან გაიქცნენო. ამ შემთხვევაშიც სავსებით ნათელია, რომ მწერალი იმავე გადაჭარბების ხელოვნების გამოყენებით, ძალზე ოსტატურად წარმოაჩენს იმ ტენდენციებს, რომლებიც წარმმართველია ჩვენს საზოგადოებაში.

ასე რომ, აჭარბებს როგორც ოქტავ მირბო, ისე ნიკო ლორთქიფანიძეც. თქვენ წარმოიდგინეთ, ვაჭარბებ მეც, თქვენი მონა-მორჩილი, რათა უფრო გასაგები გავხადო ის, რაც მინდა, რომ გითხრათ.

* * *

თუკი ფონად მოხუცი ფრანსუას უღვთო აღსასრულს ავიღებთ, იძულებული გავხდებით ვალიაროთ, რომ შვილები თავსაფრიან დედაკაცს ცივ ნიავსაც არ აკარებენ. მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ერთადერთი, თითქმის უმნიშვნელო რეპლიკა შვილის მხრიდან, რათა თავსაფრიანი დედაკაცი სახლიდან გადაკარგულიყო და სადღაც უპატრონოდ აღმოხდომოდა სული.

საიდუმლო არ არის, რომ თავსაფრიანმა დედაკაცმა შვილის უნებლიე რეპლიკაში სწორედ ის დაინახა, რომ მოხუცი ფრანსუასი არ იყოს, მასაც ამოუწურავს თავისი ფუნქცია ამ ქვეყანაზე, ანუ ისიც ზედმეტი ბარგი გამხდარა. მაგრამ პირდაპირ ვინ ეტყოდა ამას?

ჩვენში ასე სასტიკად არ იქცევიან.

არც თავსაფრიანი დედაკაცისათვის უთქვამთ ეს პირდაპირ. მან მხოლოდ ამ განცდის შორეული გამოძახილი იგრძნო შვილის სიტყვებში. მაგრამ მისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა, რადგან შვილებისათვის შეწირული ცხოვრების სანაცვლოდ, ამას ნამდვილად არ მოელოდა. ეტყობა, შვილებისგანაც ისეთივე დაუყვედრებელ სიყვარულს ელოდა, როგორითაც თვითონ იყო გამსჭვალული მათ მიმართ, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა, სრულიადაც არა იდეალური. თავსაფრიანმა დედაკაცმა აღარ მოისურვა ასეთ სამყაროში ცხოვრება.

დედის გადაკარგვის გამგები შვილების რეაქციით ნათელი ხდება, რომ თავსაფრიანი დედაკაცი არ შემცდარა: „გაიგეს — შეძრწუნდნენ, შერცხვათ: „მოგვეჭრა თავი სოფელ ქვეყანაში, რას იტყვიან, მოხუცი დედას ვერ მოუარესო?!" უნდოდათ საძებრად წასვლა — ეძვირათ. უნდოდათ გაზეთებში გამოცხადება — „უარესად მოგვეჭრება თავიო". ასე იცდიდნენ".

რას იტყვის ხალხი, რას იტყვიან მეზობლები? აი, ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი შვილებისათვის. ოქტავ მირბოსთან თუ „სხვებს" საერთოდ არავითარი ფუნქცია არ გააჩნიათ, ნიკო ლორთქიფანიძესთან ყველაფერს „სხვების" აზრი მართავს.

ვის მოუტრიალდება ენა პირში და ვინ იტყვის, რადგან მოხუცი ზედმეტი ბარგი გამხდარა ამ უბედურ წუთისოფელში, აღარც მისი მოვლა-პატრონობით უნდა შევინუხოთ თავიო?!

ცხადია, არავინ.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ამ კეთილშობილური პოზიციის უკან რეალურად სულ სხვა განცდა იმალება; ანუ მართლაც შესანიშნავი იქნებოდა, შვილები რომ რეალურად იმ განცდით ინახავდნენ მოხუცდედას, როგორითაც, თავის დროზე, თვითონ დაჰფოფინებდა ობლად დარჩენილებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ ხერხდება.

ცხოვრება მუდამ წინ მიექანება და ყოველდღიურობის გაწამაწიაში, ყველგან, მოხუცი ზედმეტი ბარგი გამხდარა, აქაც და იქაც, ჩვენშიაც და უცხოეთშიაც.

განსხვავებით იმათგან, ჩვენ თითქოს ნამდვილად გვინდა მეტი ადამიანურობა გამოვიჩინოთ და არ მივიღოთ ყოფიერების ეს სასტიკი

კანონი, მაგრამ როგორც ყველა უტოპია, ეს ჩანაფიქრიც შეუსრულებელი გვრჩება, რადგან არასოდეს ვითვალისწინებთ მთავარს — შეუძლებელია ჩვეულებრივმა ადამიანმა, რა გინდა რა კეთილშობილური ჩანაფიქრით იყოს აღძრული, ყოფიერების ფუნდამენტური წინააღმდეგობები გადალახოს. შეუძლებელია, რადგან ეს წინააღმდეგობები სადღაც გარეთ კი არაა საძებარი, თავად ადამიანშივე, მის ბუნებაშია თავმოყრილი.

ამიტომაა, რომ ისეთი სიკეთითა და თანაგრძნობით აღსავსე ჩანაფიქრიც კი, როგორიცაა მოხუცების მოვლის ჩვენებური ტრადიცია, უნებლიეთ კარგავს შინაარსს და ყალბდება. ამიტომაა, რომ როგორც ნიკო ლორთქიფანიძე გვაჩვენებს, შვილები რეალურად დედაზე კი არ ზრუნავენ, ის უფრო აწუხებთ, დედაზე მზრუნველი შვილების პოზა არ დაკარგონ. ის კი არ აღელვებთ, რომ არ იციან სად და რა მდგომარეობაში იმყოფება სახლიდან გაქცეული უმწეო ადამიანი. არა. მთავარია, მეზობლებმა არ შეიტყონ, რომ დედა სახლიდან გაექცათ, ანუ ერთადერთ რეალურ საზრუნავად ტრადიციის გარეგანი მხარის, ფორმის დაცვაღა გამხდარა, რათა „სხვების" თვალში არ მოეჭრათ თავი. ასე იქცევა თავისი არსით კეთილშობილური ჩანაფიქრი საზოგადოებრივი ფარისევლობის წყაროდ. და რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ თამაშში იძირება მთელი საზოგადოება.

* * *

ჩვენ და ისინი.
დიდი და რთული თემაა. შეიძლება ტრაგიკულიც.
რადგან ჩვენ შუა ღრმა უფსკრულია გაწოლილი.

2001

თვითგანახლების ფენომენი
(ერთობ მჭმუნვარე ფიქრთამშლელი მცირე რამ ესეი)

1.

თუკი არ გახსოვთ ბრეჟნევის ეპოქის ერთ-ერთი ტიპური საბჭოთა მარაზმი, ამ ტექსტის კითხვით თავს ნუ შეიწუხებთ. მარაზმი ასეთი იყო: ევროპელი მოაზროვნეების ორიგინალური ნაშრომების გამოცემის ნაცვლად, საზოგადოება პირდაპირ ისეტყვებოდა ამ ნაშრომების „კრიტიკული ინტერპრეტაციებით".

მართალია, ჩვენი ინტერპრეტატორები ეგზისტენციალიზმსა და კამიუს ვერ თუ არ გასცდნენ, მაგრამ ესეც ნათელი მომავლის მშენებლობას უწყობდა ხელს, რადგან კარგად გვაჩვენებდა დასავლეთის აგონიას: ვინც ფროიდიზმის გარყვნილების მორევს გადაურჩებოდა, სარტრის გულზიდვას ან კამიუს თვითმკვლელობაზე ფიქრებს ხომ ვერაფრით დააღწევდა თავს.

ასე იყო.

და ამ ნაივურ იდილიას, ამ უღრუბლო ნეტარებას ქმნიდნენ ჩვენი მეცნიერი-ინტერპრეტატორები სრულიად პატიოსნად. ამ საქმეში სიცრუის აუცილებლობა არ არსებობდა. რეალობაც მშვენივრად აკეთებდა თავის საქმეს. საკმარისი იყო წინ წამოწეულიყო ყველა სერიოზული ევროპელი მოაზროვნისათვის დამახასიათებელი ერთი არსებითი ხასიათის კანონზომიერება. ეს გახლავთ კრიზისი, ღრმა, ყოვლისმომცველი, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ელფერისა და ნიუანსების მქონე, მაგრამ მაინც პერმანენტული კრიზისი.

ყოველი მოაზროვნე კრიზისიდან იბადება, მას იცნობიერებს, მას იკვლევს და მისი გადალახვის გზებს ეძებს.

ასე ბუნებრივად ხდებოდა აპელირება ჩვენს ინსტინქტურ შიშზე ყოველგვარი კრიზისების, ყოველგვარი ზღვრული სიტუაციების მიმართ.

მაგრამ არ ვიცი, ჩვენს ინტერპრეტატორებს თავადაც არ ესმოდათ თუ ესმოდათ და მხოლოდ მშრომელებს დაუმალეს როგორც მავნე ინფორმაცია, რომ დასავლური კაცობრიობის ყოფიერების სისტემატ-

ური კრიზისულობა მისი აგონიის მაჩვენებელი კი არ არის, არამედ მისი არსებობის შეიძლება ყველაზე უფრო ფუნდამენტური ფენომენია.

რომ დიდი ხანია იგი კრიზისს აღიქვამს როგორც საერთოდ სიცოცხლის გარდაუვალ აუცილებლობას.

მეტიც, სიცოცხლე თავისთავად განიცდება როგორც კრიზისი, როგორც მუდმივი რისკი, წამოწყება, რომელშიაც არ არსებობს უსაფრთხოების არავითარი გარანტია, ხოლო ისტორია — როგორც მოძრაობა კრიზისის ერთი ფაზიდან მეორისაკენ.

ეს ჩვენ მართლაც არ უნდა გვცოდნოდა, რადგან ჩვენს იმდროინდელ იდილიას ვერაფერში წაადგებოდა. ეტყობა, ამიტომაც გვიმალავდნენ.

მაგრამ დღეს ვიღა დაგვიმალავს, რომ აგერ უკვე ხუთი-ექვსი საუკუნე თითქმის პერმანენტულ კრიზისში მყოფი დასავლური ცივილიზაცია არამცთუ დასუსტდა და ვინმეს ეპიგონად იქცა, არამედ პირიქით, ისე გაძლიერდა, რომ კარგა ხანია საზღვრებს გარეთ გადმოიღვარა და ახლა უკვე ნებსით თუ უნებლიეთ მთელ მსოფლიოს ახვევს თავს თავის ცხოვრების წესსა და კულტურას?

ცხადია, ველარავინ.

ინტერპრეტატორთა უმრავლესობამაც დიდი ხანია სხვა საქმეს მოჰკიდა ხელი.

და მაინც, აღმოჩნდა, რომ ვერაფერსაც ვერ ვხედავთ. ეგ არის მხოლოდ, რომ ადამიანური ცხოვრება გვიზიდავს. მოდი და ნუ მიგიზიდავს...

2.

„ველური დასავლეთის“ ათვისების ისტორია ხელოვნებაში დიდი ხანია მძლავრადაა მითოლოგიზებული, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად არ არის მწერლებისა და რეჟისორების მოგონილი: ევროპიდან ამერიკაში ჩასული ადამიანები მხოლოდ საკუთარი რისკითა და პასუხისმგებლობით სახლდებოდნენ აბსოლუტურად მოუწყობელ, ველურ ბუნებაში. არ არსებობდა ინსტანცია, რომელიც მათ უსაფრთხოების რაიმე სახის გარანტიას მისცემდა. ამ ადამიანებს მხოლოდ საკუთარი თავის, სულიერი და ფიზიკური ძალების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდათ.

ეს იყო ცხოვრება მუდმივად ზღვრულ სიტუაციაში, მოკლებული აწყობილი სოციუმის ათასგვარ დამცავ მექანიზმს. ეს იყო სისტემატური კრიზისი, ანუ ის, რაც ფრიდრიხ ნიცშეს თქმით, არის კიდეც თავისუფალი სიცოცხლის არსი.

დასავლური კაცობრიობის ისტორიის ამ ერთი ეპიზოდის შინაგანი

ლოგიკა შეიძლება მთელი დასავლური ცივილიზაციის განვითარების არსშიც დავინახოთ.

ამ თვალსაზრისით, მხოლოდ მეტაფორა არ იქნება თუ ვიტყვი, რომ რენესანსის ეპოქით ევროპა თავისი ცნობიერების „ველური დასავლეთის" ათვისებას იწყებს.

შესაბამისად, არც მიშელ ფუკოს დაუწყია შემთხვევით თავისი „ისტორიული არაცნობიერის" კვლევა რენესანსის ხანიდან, რადგან სწორედ ამ ეპოქაში ამოდის ზედაპირზე თითქმის ყველა ის პრინციპი თუ ტენდენცია, რომელთა შემჩნევა მანამდე შეუძლებელი თუ არა, ძალიან ძნელი მაინც იყო და რომელთა გამოისობითაც დგება დასავლური სამყარო დანარჩენი კაცობრიობისაგან განსხვავებული განვითარების გზაზე. ანუ, გარკვეული გაგებით, სწორედ აქედან იწყება იმ ფენომენის ქმნადობა, რომელიც დღეს მსოფლიოს განაგებს. ეს გახლავთ თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია.

3.

ეს იყო ინდივიდუალიზმის აფეთქების, სეკულარიზაციის გრძელი პროცესის დასაწყისის, ანთროპოლოგიური უნივერსუმის კონცეფციის შექმნის ეპოქა.

მაშინაც და დღესაც ეს იყო და არის სრულიად გაუკვალავი გზა.

ამ გზაზე დასავლეთს არც მაგალითის აღება შეეძლო ან შეუძლია ვინმესგან და, რა თქმა უნდა, არც ვინმეს დახმარების იმედი აქვს.

ამ გზაზე სიარული მას მხოლოდ საკუთარი რისკითა და პასუხისმგებლობით შეეძლო და შეუძლია.

ეს არის ვითარება, როცა გარდაუვალი ხდება სისტემატური მოძრაობა, როცა ადამიანები იძულებულნი არიან მაქსიმალურად ეცადონ იმის გაკეთებას, რაც მათზეა დამოკიდებული, როცა გაჩერება, კმაყოფილება შეუძლებელი ხდება, რადგან მათთვის გასაგებია, რომ საკუთარი ბედი თვითონ აიღეს ხელში, რომ მათ გასაკეთებელს სხვა ვერავინ გააკეთებს, რომ სიცოცხლე ერთია და თან ძალიან ხანმოკლე.

ერთი სიტყვით, იმავე ნიცშეს თქმით, უდიდესი საშიშროებაა ის აუცილებელი წინა პირობა, რომელიც პირველად გვიჩვენებს ჩვენს ღირსებებს, ჩვენს იარაღს, ჩვენს სულიერ ძალას. საშიშროება გვაიძულებს ვიყოთ ძლიერები, რადგან თუკი არ გექნა ასეთად ყოფნის აუცილებლობა, ვერც ვერასოდეს იქნები ძლიერი.

ეს პრინციპი, ნიცშესთან ერთად, მთელმა დასავლეთმა გაიცნობიერა.

საზოგადოება, რომელსაც აღარც ზეცაში აქვს ვინმეს იმედი და აღარც დედამინაზე, გარდა საკუთარი თავისა, განწირულია იყოს ძლიერი. ძალა სისტემატურ მოძრაობაში სისტემატურ ფერიცვალებაში, სისტემატურ ქმნადობაშია. გაჩერება სიკვდილის ტოლფასია.

4.

შეუცნობელში ასეთი დაუოკებელი მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი შინაგანი მამოძრავებელი ძალა, მისი მოტორი არის პიროვნების თავისუფლების იდეა. დასავლეთში ამ იდეის გარშემო ტრიალებდა და ტრიალებს დღემდე ფილოსოფიური, ლიტერატურული, სოციოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური აზროვნება.

ამ იდეის განხორციელების მცდელობები წარმოქმნიდნენ გიგანტურ სოციალურ კატაკლიზმებს, მას ეწირებოდნენ სამეფო დინასტიები, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული წოდებრივი ურთიერთობები. ამ იდეის ხორცშესხმის ხარისხიდან იბადებოდა სოციალურ-პოლიტიკური ფორმაციები, სახელმწიფოთა მოწყობის თავისებურებები, საკანონმდებლო სისტემები, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტები.

ამ იდეის გარშემო ტრიალებს დიდი ნომინალისტების, იტალიელი ჰუმანისტების, „ცდების" ავტორის, დეკარტის, მთელი ახალი ევროპული ფილოსოფიის ნაადრევი რორტისა და დელიოზის ჩათვლით.

ამ იდეის განხორციელების თავისებური მცდელობაა თვით მარქსიზმი.

ამ იდეისადმი დადებითი ან უარყოფითი პათოსითაა გამსჭვალული რენესანსის, ბაროკოს, კლასიციზმის ლიტერატურა და ხელოვნება.

განმანათლებლების მიერ ამ იდეის აბსოლუტიზაცია, მისი გამოცხადება ყველა ადამიანური უბედურების საწინააღმდეგო პანაცეად ამზადებს საფრანგეთის დიდ რევოლუციას.

მაგრამ ბედის ირონიით, სწორედ ამ სისხლიანი რევოლუციის გამარჯვებას, მის მიერ ამ იდეის განხორციელების ხელისშემშლელი ყველაზე დიდი დაბრკოლების – სოციალური უთანასწორობის – დამხობასა და განადგურებას მოჰყვება ევროპული გონის ისტორიაში უმაგალითო კრიზისი.

მანამდე კრიზისს ასე უკიდურესად ვერ გაამწვავებდა ვერც რენესანსის მინავლება და ბაროკოს ღვლარჭნილი ფუფუნების გაბატონება და ვერც კლასიციზმის სამსაუკუნოვანი ბატონობა და პიროვნების სახელმწიფოს ინტერესებისადმი დამორჩილება.

მთელი ამ დროის მანძილზე ინდივიდუალიზმი ძალას იკრებდა. და

რაც უფრო მეტ წინააღმდეგობას უწევდა მას ფეოდალიზმი, იგივე კოლექტივიზმი, იგივე ჰოლიზმი, მით მეტი წარმატებით უკავშირდებოდა მის გამარჯვებას ყველა ოდინდელი ადამიანური ოცნების განხორციელება.

მაგრამ დღეს ნათელი გახდა:

რაც უფრო მხურვალედ ინამებდნენ ევროპელი ინტელექტუალები თავისუფალი ადამიანის გონების უსაზღვრო შესაძლებლობებს, რაც უფრო მეტი ოცნების ასრულებას დაუკავშირებდნენ ადამიანის სოციალურად გათავისუფლებას, იმდენად მეტად თავზარდამცემი უნდა აღმოჩენილიყო რევოლუციის შემდეგდროინდელი რეალობა.

სოციალურად თავისუფალი ადამიანი ოდნავადაც იმაზე უკეთესი არ აღმოჩნდა, ვიდრე გათავისუფლებამდე იყო.

კრიზისის განსაკუთრებული სიღრმე და მასშტაბურობა საუკუნეების მანძილზე ნალოლიავები ამ მეტისმეტად იდეალისტური ხასიათის იმედების გაცრუებამ გამოიწვია.

ევროპული გონის ეს უმაგალითო კრიზისი ყველაზე შთამბეჭდავი ფორმებით ლიტერატურამ და ხელოვნებამ შემოინახა. მისი ნათლიაც თვითონ აღმოჩნდა.

ამ კრიზისს დღეს ყველა რომანტიზმის, ცოტა არ იყოს, დამაბნეველი სახელით იცნობს.

მაგრამ ეს კრიზისი ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ მაინც იმით იყო, რომ ასე მძლავრად პირველად სწორედ ამ დროს გამოვლინდა ევროპული გონის უნარი – ნებისმიერი კრიზისიდან, ნებისმიერი ზღვრული სიტუაციიდან გამოვიდეს კიდევ უფრო ძლიერი, ვიდრე მანამდე იყო.

ანუ სასიკვდილო საფრთხემ კი არ დაასუსტა, თავგზა კი არ აუბნია მას, არამედ იძულებული გახადა კიდევ უფრო გაძლიერებულიყო.

თვითგანახლების ამ იშვიათმა ფენომენმა ასე ხელშესახებად სწორედ რომანტიზმის წიაღში იჩინა თავი. რომანტიკოსები არა მარტო უარყოფდნენ ამ ქვეყანას, დამკვიდრებულ ჩარჩულ ცხოვრების წესსა და მეშჩანურ სულისკვეთებას, არამედ ნებსით თუ უნებლიეთ, ამგვარი რეალობით გამოწვეული სასოწარკვეთილების გადალახვასაც უწყობდნენ ხელს.

რაც უფრო ღრმა იყო კრიზისი, მით სწრაფად უნდა დაძლეულიყო იგი. იქნებ ამიტომაც მიიღო მონაწილეობა სამყაროს „რომანტიკულ გადაფასებაში“ ერთბაშად ამდენმა პირველხარისხოვანმა შემოქმედმა?

ასეა თუ ისე, სულ რაღაც სამი ათეული წელი გახდა საჭირო იმისათვის, რათა დასავლეთს უარი ეთქვა მეტისმეტად იდეალისტური

ხასიათის ოცნებების განხორციელების გულუბრყვილო იმედებზე და რეალიზმის კრიტიკული თვალით დინჯად შეესწავლა ის ვითარება, რომელშიაც საკუთარი განვითარების შინაგანი კანონზომიერებების გამოისობით აღმოჩნდა.

ასეთი მასშტაბის კრიზისიდან ამგვარი გამოსვლა, ნამდვილად არ არის ორდინარული მოვლენა. მით უმეტეს, რომ მას ყველაფერი თავად, საკუთარი რისკითა და პასუხისმგებლობით უნდა გაეკეთებინა, როგორც ეს გაუკვალავი გზებით მოსიარულეს ეკუთვნის.

და გააკეთა.

დაახლოებით ისე, როგორც ბარონმა მიუნჰაუზენმა ამოიყვანა თავისი თავი და ცხენი ჭაობიდან.

5.

იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ ინდივიდუალისტური კულტურის ასეთი გასაოცარი სიცოცხლისუნარიანობისა და ძლიერების მიზეზი უმკაცრესადაა გასაიდუმლოებული და ხელი ვერავის მიუწვდება მასზე?

არა, ბატონებო.

ამაზე იოლი დასანახი არაფერია.

მთელი დასავლური კულტურა ხომ თვითრეფლექსიის შთამბეჭდავი მაგალითებითაა სავსე.

მაგრამ ის, რაც ინდივიდუალისტური საზოგადოების ძლიერების წყაროა, საფუძველშივე უპირისპირდება და ანგრევს ჰოლისტურ საზოგადოებას. ამ უკანასკნელისთვის უცხოა თვითრეფლექსიის მძაფრი სურვილი. ძალიან ხშირად ის, რასაც ასეთი საზოგადოება თვითრეფლექსიას უწოდებს, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ნარცისიზმი. რა ქნას? როგორც ჩანს, აქა დგას და სხვაგვარად არ ძალუძს.

კულტურა, რომელიც მიიღებს და გაუძლებს ნიცშეს სიღრმისა და პათოსის კრიტიკოსს, საზოგადოება, რომელსაც შეუძლია უარი თქვას უამრავ ტაბუზე და მიიღოს ფროიდის ფსიქოანალიზი, ცივილიზაცია, რომელსაც შეუძლია ამქვეყნად კომუნისტური სამოთხის აშენების ცდუნებას გაუძლოს, განსაკუთრებული ძალის მქონე, ინდივიდუალისტური საზოგადოებაა.

კრიზისი მისთვის ისეთივე აუცილებელი მდგომარეობაა, როგორც „ველური დასავლეთის" ამთვისებელი მოახალშენესთვის.

ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა XX საუკუნეში, როცა ეჭვის ქვეშ დადგა ევროპული გონის ყველა მანამდელი მიღწევა, როცა გადაისინჯა საერთოდ დასავლური კულტურის ყველაზე მნიშვნელოვანი და ფუძემდებლური პრი-

ნციპები, როცა ყველა ტრადიციული ჭეშმარიტება ფიქციად ცხადდება, ანუ ეაკ დერიდას მიერ ლოგოცენტრიზმად წოდებული ევროპული ტრადიციის ახირებად, ყველაფერში აზრი და წესრიგი დაინახოს. როცა დეკონსტრუქტივისტები მიზნად ისახავენ ნებისმიერი და, მათ შორის, საკუთარი ინტერპრეტაციების შინაგანი ნინააღმდეგობები გამოააშკარაონ. როცა მიშელ ფუკო თვალნათლივ გვაჩვენებს, რამოდენა ილუზიაა თავისი ეპოქის „ეპისტემით" ცნობიერებაგანსაზღვრული ადამიანების თავისუფლება. როცა დელიოზი და გუატარი თავიანთი „შიზოანალიზითა" და „ნომადური აზროვნებით" მათი თანამედროვე ავადმყოფი საზოგადოების სტრუქტურულ მსხვრევას მიელტვიან. როცა ჟან ბოდრიარი ძალზე დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ დასავლეთში დიდი ხანია „რეალობა", როგორც ასეთი, გაქრა და ადამიანები ახლა „ჰიპერრეალობაში" ცხოვრობენ...

ამ კრიზისთან შედარებით XIX საუკუნის დასაწყისის „რომანტიკული კრიზისი" ნაივური თამაში ჩანს.

დასავლური კაცობრიობა იქამდე მივიდა, რომ უარყოფს ყველაფერს, რასაც აქამდე ეფუძნებოდა.

იგი ფაქტობრივად საკუთარ თავს უარყოფს, მაგრამ ეს არ არის თვითგანადგურების ჟინი. ყველაფერი ეს მის ხელახალ შობას, მის კიდევ უფრო მეტ თავისუფლებას, კიდევ უფრო მეტ ძლიერებას მოასწავებს.

უკვე იმასაც ირწმუნებიან, რომ დასავლეთის ეს მორიგი თვითუარყოფისა და თვითგანახლების პროცესი უკვე დასრულდა. დასრულდა თუ არა, ძნელი სათქმელია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ პროცესის შედეგებს ახალი საუკუნე ალბათ სულ მალე გაარკვევს.

6.

მაგრამ სად იქნება ამ ახალ საუკუნეში ისეთი პატარა ქვეყნის ადგილი, რომელიც ზოგადად ყოველგვარი კრიზისის, ყოველგვარი განსაცდელის მიმართ თითქმის გენეტიკური შიშითა და სიძულვილითაა განმსჭვალული?

სად „მიიდრიკოს თავი" ისეთმა ქვეყანამ, რომელიც ყველანაირად გაურბის აუცილებლობას იყოს ძლიერი და ამიტომ არასოდეს არის ძლიერი? ქვეყანამ, რომელსაც მხოლოდ თავგზას უბნევს და ასუსტებს კრიზისი? რომელიც თვითრეფლექსიის ყოველ მცდელობას ისე აღიქვამს, როგორც უსასტიკეს ჭრილობას თავის სხეულზე? რომელიც ყოველთვის ცდილობდა „ნამდვილი ცხოვრების" სისასტიკისათვის ბუფერული დანიშნულების ტრადიციები, რწმენა-წარმოდგენები და სოციალური ინსტიტუციები ჩამოეფარებინა?

მაინც საით მიგვათრევენ ასე კუნტრუშით დღევანდელი „ზაპადნიკები“ ან „პროფესიონალი პატრიოტები“ საით გვექაჩებიან?

უნდა დამონტაჟდეს თუ არა ჩვენს მამაპაპურ ურემზე „მერსედესის“ ზემძლავრი მოტორი?

და თუნდაც ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილი იყოს, ცოტა ხანში ხომ ისევ წიქარა ხარებით მოგვიწევს მისი თრევა? მეორე მხრივ, ორლობეში აჭრიალებული ურმის რომანტიკით სად და როგორ მოვძებნოთ ჩვენი ადგილი ახალ საუკუნეში? აი აქ, სწორედ ამ წერტილში იხლართება ერთ ნასკვად უთვალავი გაუგებრობა, ამდენივე ილუზია, სწრაფად და იოლად ითხზვება ერთიმეორეზე წყალ-წყალა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტისმეტად რიხიანი და „პროგრესული“ თეორიები, კოჭლი იდეები, ფუტურო იმედები...

რა ეშველება ამდენ აბდაუბდას, ამდენ რიხიან ჭკუასუსტობას, ამდენ თეთრად გასაღებულ შავს, თუ არა ნიცშეანური „ეროთი ფილოსოფოსობა“? მაგრამ რაღაც კანონზომიერების გამოისობით ნიცშეები მხოლოდ იქ იბადებიან, სადაც მისი მიღება შეუძლიათ. დღეს თუ არა ხვალ მაინც.

ჩვენ ახალ საუკუნეშიც კი ჩვენს ძალას ძველი ილუზიებისა და ოცნებების გამყარებაში ვხედავთ.

ვხედავთ და ვხედავდეთ.

ეს ამბავი უცნაური კია, მაგრამ ალოგიკური ნამდვილად არ არის.

ნეტა ამ პატარა ტექსტითაც არ აგეშალათ (თუ აგეშალათ) მჭმუნვარე ფიქრები.

განა ღირს ხუთი-ნუთით მაინც ოცნების ნეტარებიდან გამოსვლა?

ყველაფერი ხომ მაინც ისე მოხდება, როგორც უნდა მომხდარიყო.

2002

მსხვერპლნი

(კრიტიკული თვითრეფლექსიის ცდა)

I. ხევისბერის ტრაგედია

ვისაც ერთხელ მაინც წაუკითხავს ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა", ემახსოვრება, რა მხურვალედ ლოცულობს ხევისბერი ნუგზარ ერისთავთან გადამწყვეტი შეტაკების წინა ღამეს. რას ევედრებოდა იგი ღმერთს? უნდა ვიფიქროთ, რომ მტრის დამარცხებასა და მოხევეთა გამარჯვებას, მაგრამ მოხუცის ყველაზე დიდი თხოვნა შვილთან არის დაკავშირებული: „ღმერთო, პირნათლად ამყოფე ჩემი ონისე!" — ცრემლით ევედრება გოჩა უზენაესს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ღმერთმა სწორედ ეს თხოვნა არ შეუსრულა მამას, რასაც შედეგად დიდი ადამიანური ტრაგედია მოჰყვა: ხევისბერმა საკუთარი ხელით მოკლა შერცხვენილი შვილი, მაგრამ შემდეგ ველარ გაუძლო სულიერ ტანჯვას და გაგიჟდა.

თუ დავაკვირდებით, იმის აღიარება მოგვიწევს, რომ ამგვარი მიზეზშედეგობრივი კავშირი, სრულიად გაუცნობიერებლად ძალზე ცუდ სამსახურს უწევს მკითხველს. საქმე ისაა, რომ ეს ტრაგედია იმ შემთხვევაში არ მოხდებოდა, თხოვნა რომ შესრულებოდა გოჩას. მაგრამ რატომღაც ღმერთი არ იწყალებს მამის ვედრებას. თანაც გაუგებარია რატომ, რადგან ჩვენში დღემდე დაკანონებული საზოგადოებრივი აზრის გავლენით, გოჩას სიბრძნეში, სიმტკიცესა და სიმართლეში ეჭვი არავის ეპარება.

იბადება კითხვა: ვისღა შეიძლება დაეხმაროს ღმერთი, თუ ასეთ ყოველმხრივ ღირსეულ კაცს არ დაეხმარა? აქედან გამომდინარე, — ლოგიკურად გრძელდება ფიქრი, — საერთოდ, არსებობს კი ღმერთი?

სამწუხაროდ, ეს გარემოება გაუცნობიერებელი დარჩა როგორც მწერალს, ასევე მკითხველსაც. შესაბამისად, დღემდე არავის უკვირს, რატომ არ უნდა შეისმინოს ღმერთმა ღირსეული კაცის ვედრება.

ეტყობა, იმდენად ბუნებრივია ჩვენთვის ამგვარი ვითარება, რომ გონება მას ველარც კი აფიქსირებს. სიტყვა „ღმერთი" სრულიად დაცლილია რეალური შინაარსისაგან. შეევედრება თუ არ შეევედრება ადამიანი, ღირსეული იქნება იგი თუ უღირსი, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ღმერთი ვერავითარ რეალურ კვალს ვერ ტოვებს ადამიანის ცხოვრებაში. ყველაფერი ეს მთლიანად გამომდინარეობს ჩვენი გაუცნობიერებელი, სტიქიური და ამიტომ კიდევ უფრო ღრმად ფესვგადგმული მატერიალიზმიდან. ასეთი ღრმად შეფარული ათეისტური საფუძვლითაა არეკლილი ჩვენს ცნობიერებაში „ხევისბერი გოჩა". მაგრამ ალექსანდრე ყაზბეგისათვის დამახასიათებელი ერთგვარი ნაივური სტილი, საშუალებას იძლევა მიუხედავად თავად მწერლის ცნობიერი განზრახვისა, სწორად იქნეს დანახული ხევისბერის ტრაგედიის არსი.

გოჩა თვითონაა თავისი ტრაგედიის მიზეზი. ღმერთი არ შეუსრულებდა მას თხოვნას, რადგან ხევისბერი ამით თავისი საკეთებლის გაკეთებას სთხოვს უზენაესს; ანუ მან ვერ შეძლო ბოლომდე ეზიდა საკუთარი ტვირთი, რითაც თავის საქმეს და, შესაბამისად, ღმერთსაც უღალატა, რადგან დაარღვია ის კავშირი, ის აღთქმა, რომელსაც ყოველი კაცი, ცნობიერად თუ არაცნობიერად, დებს უზენაესის წინაშე.

ერთი შეხედვით, გოჩა მთლიანად განხორციელებულია თავის საქმეში. იგი კარგი ხევისბერი ჩანს, კარგი მეთაური თავისი ხალხისა. მწერალი ცდილობს დაარწმუნოს ამაში მკითხველი და ახერხებს კიდეც ამას. მაგრამ ეს შეცდომაა, მძიმე შეცდომა, რადგან როგორც საბოლოოდ დავინახავთ, გოჩა მხოლოდ თამაშობს კარგ ხევისბერობას, დრომდე კი თვითონაც არ იცის ამის შესახებ. ეს ძალიან სახიფათო მდგომარეობაა, რომელიც ადვილი შესაძლებელია ტრაგედიით დასრულდეს, რადგან ერთხელაც იქნება, აუცილებლად ყველა კაცი უნდა შემოწმდეს თავის საქმეში, აუცილებლად უნდა გამოჩნდეს, მართლა ისეთი ხარ, როგორც თავს აჩვენებ ადამიანებს თუ — არა.

* * *

ქორწილის ღამეს მარხილში განცდილი ვნებათაღელვით დარეტიანებული ონისესა და ძიძიას უცნაური ქცევისა და სიტყვა-პასუხის მიზეზები მხოლოდ გოჩამ დაინახა. იგი გააოცა ონისეს დაბნეულობამ, შეწუხებულმა სახემ, არეულმა ლაპარაკმა, ქალის დაძაბულმა სიჩუმემ. ის თავდავიწყება, რომელიც სოფლისკენ მიმავალ მარხილში განიცადა ქალ-ვაჟმა, ისეთი ძალისა იყო, რომ უკვალოდ ვერ ჩაივლიდა. არც ჩაუვლია, მაგრამ გოჩას გარდა ჭეშმარიტება მაინც ვერავინ დაინახა.

ონისეს იმღამინდელ უცნაურობებს ზოგი ღვინოს აბრალებს და ზოგიც ავადმყოფობას, თითქოს ლიბრი გადაეკრათო თვალებზე. გოჩა ასეთ შეცდომას ძირითადად ერთი მიზეზის გამო არ უშვებს. მასში მოქმედებს ხალხის წინამძღოლის კომპლექსი, რაც უმთავრესად ძალზე გამახვილებული პასუხისმგებლობის გრძნობით გამოიხატება. მას არ შეუძლია ერთი წუთით მაინც მოდუნდეს. იგი მუდამ ფხიზლადაა, რათა არაფერი გამოეპაროს. არც ლხინსა თუ ღრეობაში ღალატობს თავის როლს. რიგით მოხეველებს, რომელთაც მხოლოდ საკუთარი თავი აბარიათ, არ შეუძლიათ ისე ხედავდნენ მოვლენებს, როგორც ხევისბერი ხედავს. თავისუფალნი პასუხისმგებლობისაგან, ისინი მთელი არსებით ეძლევიან ლხინს, ამიტომაც ვერ ახერხებენ ონისეს საქციელის ჭეშმარიტი მიზეზები დაინახონ.

გოჩას არაფერი გამოეპარა, მაგრამ რა გამოვიდა აქედან? იგი ისე ან თითქმის ისე იქცევა, თითქოს არაფერი დაენახოს. გამოდის, რომ მას არ სურს დანახულის ბოლომდე გაცნობიერება და მასზე ფიქრი. გოჩა განგებ იბრმავებს თვალებს. სხვანაირად ვერ გავიგებთ მწერლის შემდეგ სიტყვებს: „გოჩას აშკარად ეტყობოდა, რომ მისი მრავალგვარად გამოცდილი გული რაღაც უბედურების მოახლოებასა ჰგრძნობდა. მისი გამოცდილი თვალებისათვის შვილის ერთი დანახვა კმაროდა, რომ მის საქციელში, ავადმყოფობის მაგიერ, სხვა მიზეზი დაენახა, მაგრამ რა იყო ეს მიზეზი, საიდანა ჰქროდა ნიავი, — მოხუცი ვერ მიმხვდარიყო“.

განა გოჩას ჭკუისა და გამოცდილების არად ჩაგდება არ იქნება მისი ასე გულუბრყვილო კაცად წარმოდგენა? მართლაც უცნაურია, თუ არც ავადმყოფობა და არც სიმთვრალე ყოფილა ონისეს დაულაგებელი საქციელის მიზეზი, მაშ, სხვა რაღა უნდა ყოფილიყო თუ არა ის, რაც ნამდვილად იყო? დარწმუნებული ვარ, არათუ გოჩასავით გამჭრიახი კაცი, ყველაზე უბირი მოხეველიც კი სწორ დასკვნას გააკეთებდა. მაგრამ გოჩა ქვეცნობიერად გრძნობს, რომ მას ეს ხელს არ აძლევს, ამიტომ ურჩევნია თავი მოიტყუოს, ილუზიას მიეცეს.

რატომ?

წესების პატივისცემისა და მოვალეობის ერთგულებასთან ერთად, იგი საკმარისად გამჭრიახია, რომ იცოდეს: შვილის საქციელის ბოლომდე გაცნობიერება თავიდანვე აქტიური მოქმედების აუცილებლობის წინაშე დააყენებს. ეს აბრკოლებს მას, რადგან შვილი ძალიან უყვარს. ამიტომ იგი სინამდვილეში თავს იცავს, როცა ფიქრობს, რომ არ იცის საიდანა ქრის ნიავი.

შეიძლება სხვანაირადაც ითქვას: მან მართლაც არ იცის, საიდანა

ქრის ნიავი, რადგან არ უნდა, რომ იცოდეს. ადამიანის ფსიქიკას შესწევს ამის უნარი.

გოჩა ებღაუჭება სრულიად უსაფუძვლო იმედს, იქნებ სხვანაირად მოხერხდეს შვილის მოთვინიერება, იქნებ თავიდან აიცილოს რადიკალური გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა.

დავფიქრდეთ: ასე მოიქცეოდა გოჩა, ონისე რომ სხვისი შვილი ყოფილიყო?

ეს კი სხვა არაფერია, თუ არა ღალატი. გოჩა პასიურად, მაგრამ მაინც ღალატობს თავის საქმეს, ილუზიას ეძლევა. ეს კიდევ ერთხელ დასტურდება ქორწილიდან დაბრუნებული მამისა და შეცბუნებული შვილის დიალოგში. გოჩა პირდაპირ ეტყვის ონისეს, არ ვიცი, გულში რა გიდევს და არცა გკითხავ, ოღონდ გახსოვდეს, ვისი გვარისა ხარ და ქვეყანა არ გააცინოო...

არცა გკითხავო!

არა, ხევისბერს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ამაზე ლაპარაკი, თუმცა კი წესით უნდა ნდომებოდა. ნუთუ მას ეგონა, რომ ახალგაზრდა კაცის გულში დანთებული ვნებათაღელვის ჩაქრობა რაღაც მშრალ შეგონებებს ძალუძს?

საეჭვოა. უბრალოდ, ილუზიებსაც თავისი კანონები აქვს. თუ ადამიანს სურს თავის მოტყუება, წინ ვერაფერი დაუდგება. გოჩამაც წარმატებით მოახერხა ეს, მაგრამ ქვეცნობიერად იგი სულ უნდა გრძნობდეს, რომ ამით კავშირი დაარღვია, აღთქმას უღალატა. აქედან ხომ არ იბადება მისი თითქმის პანიკური შიში? იგი სულ ონისეს ამბავს კითხულობს, მაგრამ მის სიკვდილზე მეტად შერცხვენა აფრთხობს. სულ ელოდება, როგორ ეტყვიან, რომ მისმა შვილმა თავი შეირცხვინა. ღმერთსაც შვილის ცოცხლად გადარჩენას კი არ ევედრება, არამედ პირნათლად ამყოფე ჩემი ონისეო, ამას სთხოვს. განა სიკვდილი სასიამოვნოა, მაგრამ განგებას წინ ვინ აღდგომია? გოჩასთვის ათმაგად უფრო საშინელი უნდა იყოს საკუთარი თავის შვილის მსაჯულად წარმოდგენა. ეს აფრთხობს, ეს ვერ წარმოუდგენია. ამიტომაც ღმერთსაც ფაქტობრივად იმას ევედრება, ეს ააცილოს თავიდან. მაგრამ ღმერთმა არ შეისმინა მისი თხოვნა. ჩვენ უკვე ვიცით, რატომ — ადამიანმა თავისი საკეთებელი საქმე თვითონ უნდა აკეთოს. გოჩა არამცთუ შეეცადა ამას, პირიქით, თავი აარიდა. მას არ შეუძლია, შვილზე გაავრცელოს კანონი, რომელიც სხვა შემთხვევაში მახვილივით აქვს მომარჯვებული.

დავუშვათ, ხევისბერი იმიტომ ბრკოლდება, რომ კარგად იცის, რა ძნელია ადამიანის გულში სიყვარულის ცეცხლის ჩაქრობა. ეს ხომ მა-

რთლაც უძნელესი საქმეა, ხოლო თუ ამის გაკეთებას გარედან ცდილობენ, ფაქტობრივად შეუძლებელიც. მაგრამ გოჩას ვალი იყო, მაინც ეცადა და სწორედ ამ ცდაში ჰქონოდა უზენაესის იმედი. ამით იგი თავისი გასაკეთებელი საქმის მაქსიმუმს გააკეთებდა. არსებობს კანონზომიერება, რომლის თანახმადაც, ასეთ შემთხვევაში ღმერთი არ მიატოვებდა მას, როგორც არ მიატოვა ბიბლიური აბრაამი. ღმერთი ყოველთვის ხედავს, როდის აკეთებს ადამიანი თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს და როდის სჭირდება მას დახმარება. ოღონდ, ცხადია ისიც, რომ ამას ყველა ადამიანს ვერ მოსთხოვ. მოეთხოვება თუ არა ეს გოჩას? მოეთხოვება, რადგან მას განსაკუთრებული ადგილი უკავია იმ საზოგადოებაში, რომელშიაც ცხოვრობს. მოეთხოვება და აქამდე არც დაუხევია უკან. ამის დასტურია მისი უზარმაზარი ავტორიტეტი ხალხში, მაგრამ მაინც აღმოჩნდა ერთი წერტილი, როცა ხევისბერს არ შეუძლია ჩვეული გზით იაროს. გოჩა თავიდანვე ინსტინქტურად უარს ამბობს ამ გზაზე. იგი ცდილობს, როგორღაც მიაფუჩეჩოს რეალობა, გაექცეს, დაემალოს მას და ახერხებს კიდეც ამას. ოღონდ პრობლემა ამით არ იჭრება. პირიქით, რამდენადაც ტკბილია ილუზიაში ყოფნა, იმდენად შემაძრწუნებელია მისგან გამოსვლა. ორმაგად შემაძრწუნებელი აღმოჩნდა იგი გოჩასთვის. რეალობა, მთელი თავისი ულმობლობით, მაშინ დაატყდა თავს, როცა ამისთვის სრულიად აღარ იყო მზად.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. ახდა მამის ავი წინათგრძნობა, შეირცხვინა ონისემ თავი, მაგრამ გარემოებები ისე წაეწყო ერთმანეთს, რომ ყველას გმირი ჰგონია იგი.

ასე მოახსენეს გოჩასაც.

ვისაც წარმოდგენილი აქვს, როგორი შიშით ელოდა გოჩა შვილის ამბავს, მას არც იმის წარმოდგენა გაუჭირდება, როგორ უნდა შეხვედროდა იგი ამ სასიხარულო ცნობას. რა შვებით უნდა ამოესუნთქა, როგორ უნდა გაეხარა, როგორ უნდა დამშვიდებულიყო. და სწორედ იმ მომენტში, როცა თავისი შიში ალბათ უკვე სასაცილოდაც კი ეჩვენებოდა, როცა მთლიანად დამშვიდდა და ჩვეული სიგოროზით შეუდგა უმაღლესი მსაჯულის როლის აღსრულებას, თავად ონისემ, იქვე, სახალხოდ, აღიარა თავისი დანაშაული, რომლის გამოისობითაც იმ ღამეს მრავალი მოხევე გაულიტა მტერმა.

ხევისბერი ადუღდა.

რასაც ასე გაურბოდა, რაც უკვე თავიდან აცილებული ეგონა, მოულოდნელად მეხივით დაატყდა თავს. გოჩამ საკუთარი ხელით გამოჭედა თავისი უბედურება. იგი უცაბედად ზღვრულ სიტუაციაში აღ-

მოჩნდა, საიდანაც უმტკივნეულო გამოსავალი აღარ არსებობს. გარდაუვალი გახდა არჩევანის გაკეთება და ხევისბერმაც ზუსტად ისეთი არჩევანი გააკეთა, როგორიც უნდა გაეკეთებინა — აიღო ხანჯალი და თავისი ხელით მოკლა შვილი.

წმინდა მხატვრული თვალსაზრისით ეს ეპიზოდი ერთ-ერთი უძლიერესთაგანია საერთოდ მთელ ქართულ ლიტერატურაში. აქ, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ტექსტის ყველა ხილული თუ უხილავი დინება. ყველა დეტალი, ყველა ნიუანსი იქითკენ უბიძგებს პერსონაჟს, რომ გააკეთოს ის, რაც გააკეთა. გაუგებარი მხოლოდ ისა ჩანს, რატომ გაგიჟდა ხევისბერი? ასე ხომ იმ ადამიანს შეიძლება დაემართოს, ვისაც მთელი თავისი არსებით არ უნდა რაღაცის გაკეთება და ძალით აკეთებინებენ. მაგრამ ვინ დააძალა გოჩას შვილის მოკვლა? აკი მსაჯულები ცდილობენ, დააწყნარონ იგი: „შენს შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია“-ო, მაგრამ ამაოდ.

მსგავსი არაფერი დამართნია მატეო ფალკონეს, პროსპერ მერიმეს ამავე სახელწოდების ნოველიდან, თუმცა მანაც საკუთარი ხელით მოკლა შვილი. როგორც მწერალი შენიშნავს, ამ ამბიდან ორი წლის შემდეგაც მატეო სრულიად ჯანმრთელი განაგრძობდა მისთვის ჩვეულ ცხოვრებას. როგორ ვიფიქროთ, ვითომ მას სძულდა თავისი შვილი და ერთი სული ჰქონდა, როდის მოკლავდა საკუთარი ხელით? იგი მამაა და უყვარს თავისი ვაჟიშვილი, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებითაც კი, რადგან ფორტუნატო ნანატრი შვილია. მანამდე მატეოს სულ ქალები უჩნდებოდა. ვაჟი მხოლოდ მეოთხედ, უკვე ჭარმაგს შეეძინა. რას უნდა ნიშნავდეს ეს პატრიარქალური საზოგადოების წევრისათვის, ჩვენ მაინც კარგად უნდა მოგვეხსენებოდეს. მაგრამ შესაბამის სიტუაციაში ეს კაცი მხოლოდ რამდენიმე წუთს დაფიქრდება, ოღონდ არა იმისთვის, რომ რაღაც ილუზიით მოიტყუოს თავი. მან, ალბათ, კიდევ ერთხელ შეამოწმა გონებით იმ გადაწყვეტილების სისწორე, რომელიც შვილის საქციელის გაგებისთანავე უნდა მოსვლოდა თავში. და როცა დარწმუნდა, რომ სწორად იქცეოდა, ხელის აუკანკალებლად აღასრულა კიდეც განაჩენი. მატეო არამცთუ ჭკუაზე არ შეშლილა, არც მანამდე და არც მის შემდეგ, წამითაც არ დაუკარგავს გონების სიფხიზლე. პირიქით, მაშინვე უთხრა მწუხარებისგან გამშრალ ცოლს, ერთ-ერთი სიძისთვის შეეთვალა, მათთან გადასულიყო საცხოვრებლად.

იმისათვის, რათა სწორად ავხსნათ როგორც ხევისბერ გოჩას, ისე მატეო ფალკონეს საქციელის მიზეზები, საჭიროა მცირეოდენი წარმო-

დგენა მაინც გვქონდეს იმ საზოგადოების არსზე, რომელსაც წარმოადგენენ ეს ადამიანები. არავითარი პრინციპული განსხვავება მათ შორის არ არსებობს. ორივე იმ ტიპის საზოგადოებაა, რომელსაც ჩვეულებრივ კოლექტიურს უწოდებენ მისი არსის გამოსახატავად და რომელშიაც პიროვნების აზრს არავითარი ფასეულობა არ გააჩნია, თუ იგი მასის აზრთან არაა შეთანხმებული და მისგან არ გამომდინარეობს.

კოლექტივის წევრი მთლიანად გარედან იმართება, ამიტომ აქ პიროვნება, ამ სიტყვის ზუსტი გაგებით, ფაქტობრივად არც გვხვდება. ასეთი ადამიანი ზუსტად დაახასიათა კარლ მარქსმა. იგი მართლაც სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივ შეხედულებათა და ფასეულობათა ერთობლიობა. ასეთ ადამიანს, როგორც წესი, თავშიც კი არასოდეს მოსდის კოლექტივისაგან განსხვავებული აზრი, მოქმედებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ხოლო თუ როდისმე შემთხვევით რაიმე ამის მსგავსი აღმოაჩინა, დამნაშავედ, უპირველესად საკუთარ თავს იგრძნობს.

როგორც ხევისბერ გოჩას, ისე მატეო ფალკონეს სწორედ ასეთი ადამიანებისგან შემდგარ საზოგადოებაში უკავიათ განსაკუთრებული ადგილი. ორივეს დიდი სახელი მოუხვეჭია, რაც, დამეთანხმებით, შეუძლებელი იქნებოდა, მათ რომ, შეიძლება ითქვას, იდეალურად არ დაეცვათ ყველა ის წესი თუ დაუწერელი კანონი, რომელთა დაცვაც ევალება ასეთი საზოგადოების წევრს. ამ ორი ადამიანის მდგომარეობა, მათი ადგილი საზოგადოებაში, ავტომატურად გულისხმობს, რომ ფაქტობრივად მათსა და კოლექტივის სურვილებს შორის განსხვავება აღარ არსებობს, წაშლილია, რომ ისინი მთლიანად და ბოლომდე არიან განხორციელებულნი ტრადიციაში. მატეო ფალკონემ დაამტკიცა, რომ ეს მართლაც ასე იყო, რომ იგი ღირსი იყო იმ სახელისა, რომელსაც ატარებდა. ხევისბერმა გოჩამ ვერ შეძლო ამის დამტკიცება. გარდა ამისა, ამ უკანასკნელმა ისიც კარგად უნდა იცოდეს, რას ნიშნავს ეს მისი მდგომარეობის კაცისთვის. ყოველივე ამას ემატება კიდევ ერთი გარემოება — გოჩას თავის მართლებაც არ შეუძლია — ის ხომ საზოგადოებრივ ფასეულობათა ჯამია, ანუ კოლექტივი თვით მასშია, მისი თვალით ხედავს, მისი ყურით ესმის, მისი გულითა გრძნობს, მისი ჭკუით ფიქრობს. სად დაემალება, სად გაექცევა საკუთარ თავს? ერთი სიტყვით, მან კარგად იცის, რისი გაკეთება ევალება მას, მაგრამ იმავდროულად იმასაც გრძნობს, რომ არ შეუძლია ამის გაკეთება. ასეთი მასშტაბის შინაგანი წინააღმდეგობა ძალზე მერყევსა და საშიშსა ხდის გოჩას. სიტუაცია კიდევ უფრო მძიმდება იმით, რომ ონისე აღსარებას სახალხოდ, გოჩა-

სთვის სრულიად მოულოდნელად ამბობს. რა უნდა ამოეკითხა ხევისბერს მისკენ მიმართული რამდენიმე ასეული მოხევის თვალებში? ამის შემდეგ რაღა დარჩენოდა, თუ არა განაჩენის სისრულეში მოყვანა?

ასე რომ, ყველაფერი ლოგიკურად მთავრდება. მსხვერპლი, უპირველესად, მამაა და მხოლოდ ამის შემდეგ შვილი. კოლექტივი ვერ იგუებს ასეთ კაცს წინამძღოლად. მაგრამ ამ ვითარების განსაკუთრებული თავისებურება მაინც ისაა, რომ არამცთუ კოლექტივი, თავად გოჩაც ვერ აპატიებდა საკუთარ თავს სისუსტეს, რადგან, როგორც უკვე ითქვა, გარკვეული გაგებით, იგი თვითონვეა კოლექტივი, ანუ ყველა მისი შეხედულებისა თუ ფასეულობის მატარებელი. ამიტომაა მისი მდგომარეობა ღრმად ტრაგიკული.

დასასრულ, ვფიქრობ, თამამად შეიძლება ითქვას: გოჩამ მოკლა შვილი და ჭკუაზე შეიშალა, რადგან მასში კოლექტივს მამობრივი გრძნობა დაუპირისპირდა, მაგრამ რომც არ მოეკლა, მაინც უნდა გაგიჟებულიყო ანდა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე. სხვაგვარად ვერასგზით ვერ გადაჭრიდა, ვერაფრით მოაგვარებდა იმ ღრმა შინაგან წინააღმდეგობას, მის სულში რომ ბობოქრობდა.

II. დედები და შვილები

ნიკო ლორთქიფანიძის „თავსაფრიანი დედაკაცის" უმთავრესი პრობლემა ნოველის წაკითხვისთანავე გამოდის წინა პლანზე. მკითხველის გონებაში იგი ასეთ სახეს იღებს: რამ აიძულა ნაწარმოების მთავარი გმირი მოხუცებულობისას მიეტოვებინა შვილები, ოჯახი და სადღაც, სრულიად უპატრონოდ, ქუჩაში გამოსთხოვებოდა სიცოცხლეს? ერთი შეხედვით, ეს არის არაფრით გამორჩეული, ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო დრამა და სწორედ ასე განიხილავს კიდეც მას დღეს ჩვენში კანონიზირებული ამ ნოველის ინტერპრეტაცია. ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებად ითვლება, რომ თავსაფრიანი დედაკაცის რადიკალური გადაწყვეტილება შედეგია როგორც შვილების უმადურობისა, ისე თავად დედაკაცისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული სიამაყის გრძნობისა. დასკვნა ასეთი კეთდება: რა დიადი პიროვნებაა თავსაფრიანი დედაკაცი და რა ულირსნი არიან მისი შვილები. თვალსაჩინო ხდება ნოველის მორალიც: ღირსეული შვილები აუცილებლად უნდა აფასებდნენ მშობლების ამაგს.

ასე ხდება ნ. ლორთქიფანიძის ნოველის მეტისმეტად ბანალური

მორალიზება, მაგრამ უცნაური ისაა, რომ თუ ბოლომდე თანამიმდევრულნი ვიქნებით, დავინახავთ, როგორ უპირისპირდება და საბოლოოდ გამორიცხავს კიდეც ამგვარ მორალისტურ ჩხირკედელაობას თავად ეს ინტერპრეტაცია. აქედანვე ხდება ნათელი, რომ ეს თითქოსდა საკმაოდ ტრივიალური საყოფაცხოვრებო დრამა, სინამდვილეში ღრმა და სერიოზული ტრაგედიაა.

იმისათვის, რომ როგორმე ახსნილიყო თავსაფრიანი დედაკაცის ძალზე არაორდინარული საქციელი — სახლიდან გადაკარგვა, — აუცილებელი გახდა მისთვის ერთობ ჰიპერბოლიზებული სიამაყის გრძნობის მიწერა. ამგვარი დაშვებით პერსონაჟის საქციელის მოტივაცია მართლაც იძებნება — აუხსნელი აღარაა, რატომ იმოქმედა ასე მწვავედ დედაკაცზე ქალიშვილის შენიშვნამ, ასეთი სიტყვებით ხომ, ჩვეულებრივ, ხშირად მიმართავენ ერთმანეთს ადამიანები და ყოველთვის განსაკუთრებული განცდების გარეშე. ერთი სიტყვით, ამ დაშვებით დედის რეაქცია შვილის სიტყვებზე გასაგები გახდა, მაგრამ შეუმჩნეველი დარჩა ამავე დაშვების მეორე მხარე: თავსაფრიანი დედაკაცის ასეთი, შეიძლება ითქვას, ავადმყოფური სიამაყის გრძნობის გენეზისი და განსაკუთრებით იმათი მართლაც რომ აუტანელი ყოფა, ვისაც ამგვარი ხასიათის ადამიანთან უწევს ყოველდღიური ურთიერთობა.

დედა, რომელმაც ყველაფერი დათმო, ყველაფერზე უარი თქვა შვილებისათვის, სიბერეში მათგან ოდნავ გადაბრუნებულ სიტყვასაც ვეღარ იტანს. მართლაც და რა არის აქ არაბუნებრივი? ყველაფერი ეს კანონზომიერი პროცესი ჩანს. მაგრამ განა ასე ძნელი მისახვედრია, რომ სწორედ ეს კანონზომიერება უკარგავს ყოველგვარ ფასს თავსაფრიანი დედაკაცის მიერ გაღებულ მსხვერპლს? რაღა აზრი აქვს შვილებისათვის შელეულ ახალგაზრდობას, თუ მერე ჯოჯოხეთად უქცევ მათ ცხოვრებას? არადა, ამ ლოგიკით, რაღაც ამგვარი უნდა ხდებოდეს ნ. ლორთქიფანიძის ნოველაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე გვესმის თავსაფრიანი დედაკაცის შვილებისა, ანუ გვიჩნდება სურვილი გავამართლოთ ისინი და ამას ვახერხებთ კიდეც. დავაკვირდეთ: ადამიანის განწყობილება მრავალ წვრილმანზეა დამოკიდებული და სისტემატურად იცვლება. ისიც ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანები ჩვეულებრივ ყველაზე ხშირად სწორედ ახლობლებს სტკენენ ხოლმე გულს. იმ წუთებში, ვინ იცის, ქალიშვილი რაზე იყო ნერვებაშლილი, რა საფიქრალი აწუხებდა. ამას ზედ დაერთო ბავშვის გულისგამაწვრილებელი ტირილი და წონასწორობადაკარგულმა ისეთი სიტყვები წამოროშა, რასაც სხვა დროს არ იტყოდა. შეგვიძლია აქედან დავასკვნათ, რომ მას

დედა არ უყვარს, პატივს არა სცემს და ზედმეტ ტვირთად მიაჩნია იგი? ეს ლოგიკა არ იძლევა ამ სიტყვების უკან ასეთი შინაარსის დანახვის უფლებას. იმ წუთში ქალიშვილი უბრალოდ გაწიწმატებული ქალია. მაგრამ თავსაფრიანი დედაკაცისათვის ეს არაფერს ნიშნავს. მას არ შეუძლია შეურიგდეს საკუთარი პატივმოყვარეობის შელახვას. ამიტომ იგი სჯის შვილებსაც და ისჯის თავის თავსაც — მოხუცებული, უმწეო, სახლიდან გარბის და სადღაც უპატრონოდ ამოხდება სული. იგი იმდენადაა გამსჭვალული საკუთარი ღვაწლის სიდიადით, რომ არ შეუძლია უპირველესად სწორედ საკუთარ შვილებს აპატიოს პატივმოყვარეობის შელახვა. იგი საკუთარი ტირანიის მსხვერპლი ხდება. შესაბამისად, მისი უკანასკნელი ჟესტი (წერილი, რომელმაც შვილები შერცხვენისაგან უნდა იხსნას) გარეგნულად მართლაც მეტად დიდსულოვანი აქტი ჩანს, მაგრამ ქვეცნობიერად იგი კიდევ უფრო დიდი სასჯელია: შვილებს უნდა გაუღრმავდეთ დამნაშავის კომპლექსი — მუდამ სინდისი უნდა ქენჯნიდეთ.

ასეთია კანონიკური ინტერპრეტაციის თანამიმდევრული განვითარების შედეგები. როგორც ვხედავთ, ამ გზით ვერაფრით ვერ ხერხდება ნოველაში დატრიალებული ტრაგედიის არსში ჩაწვდომა. ერთი უკიდურესობიდან — თავსაფრიანი დედაკაცის გაღმერთებიდან — მეორეში აღმოვჩნდით. ეტყობა, ამ ვითარებას თავს მანამდე ვერ დავაღწევთ, სანამ არ გავიცნობიერებთ, რომ ნიკო ლორთქიფანიძეს არც აკაკის „გამზრდელის" ახალი ვარიანტი დაუწერია და, რაღა თქმა უნდა, არც მხოლოდ „მონუმენტურად ამაყი" ქალის ცხოვრების ტრაგიკული ისტორია შემოუთავაზებია ჩვენთვის. ნოველაში დატრიალებული ტრაგედია გაცილებით უფრო ღრმაა და ფუნდამენტური. იქნებ პრობლემის არსში მაშინ შევაღწიოთ, თუ გავიაზრებთ რა დაინახა თავსაფრიანმა დედაკაცმა შვილის სიტყვებში, ანუ თუ გავიგებთ მის განცდას. მწერალი ამ განცდის ანალიზს არ იძლევა. ნაწარმოებში ამ ადგილას ერთგვარი მხატვრული სიცარიელეა. მკითხველს ეძლევა მხოლოდ ქალიშვილის სიტყვები, რასაც მოსდევს დედის გადაწყვეტილება სახლიდან წასვლის თაობაზე. უცნობი რჩება ყველაზე მნიშვნელოვანი — ის განცდა, რომელიც თავსაფრიან დედაკაცში გამოიწვია ქალიშვილის სიტყვებმა. ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ შეცდომაა ამ „სიცარიელის" შევსება შელახული პატივმოყვარეობის განცდით. ამ ვერსიის მიღება იმას ნიშნავს, რომ ვერ დავინახოთ თავსაფრიანი დედაკაცის ჭეშმარიტი ბუნება.

ნოველაში არსებობს ერთადერთი, მაგრამ ზუსტი მინიშნება, რითაც საშუალება გვეძლევა დავინახოთ დედაკაცის განცდა. გავიხსენოთ:

არაფრით გამორჩეული, ყოველდღიური სიტუაციაა. ბებიამ შვილიშვილს წინდები მოუქსოვა, მაგრამ ბავშვს პატარა მოუვიდა. ბებიამ გადაწყვიტა ეს წინდები მეორე შვილიშვილს, წლოვანებით უფრო პატარას, წაუღოს, ამას კი ახალი მოუქსოვოს, ბავშვს არ ესმის ბებიისა და ტირის. ნერვებაშლილი ქალიშვილი ასე მიმართავს დედას: „რა, დედა, შეგენანა განა ერთი წინდა?! გინდა მეორე შვილიც მოიმადლიერო!.. ნუთუ ამის საღირალ პატივს არ გცემთ?" თავსაფრიანი დედაკაცი გაოგნდა. კარგა ხანი საერთოდ ვერ მოუყარა აზრს თავი, მექანიკურად ისაქმიანა რაღაც, მეზობელთანაც გადავიდა, ყურში კი სულ ქალიშვილის სიტყვები ედგა: „შეგენანა, მოიმადლიერო, საღირალი პატივი". კიდევ გაიელვებენ ეს სიტყვები, მაგრამ ამჯერად უკვე თავად დედაკაცის ერთი დაზუსტებით, რითაც ნათელი ხდება კიდეც რა დაინახა მან შვილის სიტყვებში: „შეგენანა, მოიმადლიერო (თუ მოინადირო?), საღირალი პატივი..."

ცხადია, არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს ქალიშვილმა ეს სიტყვები რაიმე სპეციალური განზრახვითა თქვა. უბრალოდ გაღიზიანებულს რაც ენაზე მოადგა, ის წამოროშა, მაგრამ როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, სწორედ უნებლიეთ წამოროშილ სიტყვებში გამჟღავნდა მისი ჭეშმარიტი დამოკიდებულება დედისადმი. ირკვევა, რომ თავის დროზე დედის მიერ გამოვლენილი თავგანწირვა შვილებისათვის აწმყოში არაფერს ნიშნავს. დედის თავგანწირვა შვილებისათვის თავისთავად არაფერს განაპირობებს, რაც მთავარია შინაგანად არ აღძრავს მათ დედასთან ისეთი ურთიერთობისათვის, როგორსაც ეს უკანასკნელი მოელოდა. დედა გამუდმებით უნდა ცდილობდეს მოიმადლიეროს, ანუ, როგორც თვითონ თავსაფრიანი დედაკაცი დააზუსტებს, მოინადიროს შვილების გულები, რათა მათგან სანაცვლო პატივი მიიღოს. ქალიშვილის განცდაში თავსაფრიანი დედაკაცის მიერ შვილიშვილისათვის წინდის მოქსოვა შვილის გულის მონადირების მცდელობაა. ასეთია მისი ცნობიერება. ეს ისეთივე ბუნებრივია მისთვის, როგორც ყოველ დილით მზის ამოსვლა. თავსაფრიანი დედაკაცი ამ ვითარების გაცნობიერებას უნდა შეეძრა. თავის დროზე მას იმიტომ არ უთქვამს ყოველგვარ პირადულზე უარი, რომ მომავალში შვილებისაგან რაღაცას გამოელოდა. უფრო სწორად, იგი მართლაც ელოდა შვილებისაგან პატივისცემასა და თბილ დამოკიდებულებას, მაგრამ არამც და არამც იმის გამო, რომ ისინი იძულებულნი იქნებოდნენ ასე მოქცეულიყვნენ, რადგან დავალებულად იგრძნობდნენ თავს. არა. თავსაფრიანი დედაკაცის შინაგანი რწმენით შვილებისათვის ეს ისეთივე ორგანული აუცილებლობა უნდა ყოფილიყო, როგორც მისთვის იყო შვილებისათვის თავდადება. სხვაგვარად მას არ

წარმოედგინა. კარგა ხანიც იცხოვრა ამ ილუზიით, ვიდრე მოულოდნელად არ აღმოაჩინა, რომ შვილებს სულ სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ ცხოვრებასთან, ტრადიციებთან, საერთოდ მთელ სამყაროსთან. თავსაფრიანი დედაკაცი სულ მათი გულების მონადირების მცდელობაში უნდა იყოს, რათა არც მათ მოაკლონ სანაცვლო პატივი. ამგვარი ვითარება თავგზას უბნევს მას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაღა შეუძლია მოხუცს? ანდა რომც შეეძლოს, შეუძლია კი ამგვარ ვითარებასთან შეგუება? უეცრად მისთვის დღესავით ნათელი უნდა შექმნილიყო, რომ იმ დროიდან, რაც შვილები წამოიზარდნენ და დაოჯახდნენ კიდეც, მან მართლაც ყოველგვარი ფუნქცია დაკარგა. იგი მიხვდა, რომ მის სიცოცხლეს კარგა ხანია აზრი დაკარგული აქვს. იგი მართლაც არავის სჭირდება — მცდარი აღმოჩნდა მისი ცხოვრების გზა. ამ განცდას შეუძლებელია უკვალოდ ჩაევლო, მან ერთიანად შეარყია თავსაფრიანი დედაკაცის არსება. ტრაგედია გარდაუვალი გახდა. მაგრამ მთელს ამ ისტორიაში ყველაზე უცნაური ის არის, რომ ყოველივე ეს მეტად კანონზომიერი პროცესი ჩანს. იმდენად კანონზომიერი, რომ შეუძლებელიც კი ხდება ვინმეს დადანაშაულება. ორივე მხარე ცხოვრობს ისე, როგორც ესმის და ეს მათთვის ბუნებრივია. ამიტომ ამ ტრაგედიის ჭეშმარიტ შემოქმედს ამ სიბრტყეზე ვერ დავინახავთ. იგი იქ არის საძებნელი, სადაც საფუძველი ეყრება ასეთ ცხოვრებას, ანუ ისეთ ცხოვრებას, სადაც ასეთი ტრაგედია კანონზომიერი პროცესის სახეს იღებს.

* * *

თავსაფრიანი დედაკაცი ეკუთვნის იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს, რომელნიც ზუსტად ასრულებენ ყველა იმ მოთხოვნას, რომელსაც ჩვენში არსებული ტრადიცია უყენებს ქვრივ ქალს. იგი არსად, არც ერთ პუნქტში არ არღვევს კოლექტიური ცნობიერების მიერ შემუშავებულ კარგი დედისა და ნამუსიანი ქართველი ქალის იდეალს. ნოველაში ეს გარემოება ცალსახად ჩანს. მანამდეც და განსაკუთრებით დაქვრივების შემდეგ იგი როგორც ფორმით, ისე შინაარსით, ამ იდეალის ცოცხალი ხატია.

თავსაფრიანი დედაკაცი ახალგაზრდა დაქვრივდა. ბევრი ეარშიყებოდა შორიდან, მაჭანკლებიც მიუგზავნეს, მაგრამ მან ტრადიციის მოთხოვნა არ დაარღვია, ანუ არც ამჯერად უღალატა ოჯახს და მეორედ აღარ გათხოვდა. ესე იგი, თავსაფრიან დედაკაცს თავისი ინიციატივით საკუთარი სიამოვნებისთვის არაფერი გაუკეთებია. იგი მთლიანად განხორციელდა ტრადიციაში.

რატომ ვამახვილებ ამაზე ყურადღებას, რას ნიშნავს ეს?

საქმე ისაა, რომ ერთი ადამიანის სიკვდილი, რაც უნდა უდროო და სამწუხარო იყოს იგი, მთლიანად სიცოცხლეს ვერ შეაჩერებს, ეს მას არ ძალუძს. ცხოვრება ყოველთვის თავისი გზით მიდის. გარდაცვლილის უახლოეს ადამიანებსაც კი არ ძალუძთ წინ აღუდგნენ ამ კანონს. დრო მკურნალიაო, ამბობენ ხოლმე ასეთ შემთხვევაში, მაგრამ დრო კი არა, თვითონ სიცოცხლეა თავისი თავის მკურნალი.

შეცდომაა, ადამიანი ცოცხალი იყოს და სიცოცხლის კანონებს უგულებელყოფდეს (თუმცა ამგვარი რამ ძალზე ხშირად ხდება). ადამიანი ან ცოცხალია, ანდა მკვდარი, სიცოცხლე არის ან არ არის. მესამე მდგომარეობა უკიდურესად არაბუნებრივია, ესაა რაღაც საშუალო სიცოცხლესა და სიკვდილს შორის. ქართული ტრადიცია ქვრივი ქალისაგან სწორედ ასეთ მდგომარეობაში ჩადგომას მოითხოვს.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალი იყო თავსაფრიანი დედაკაცი, როცა დიდი უბედურება დაატყდა თავს — დაკარგა მეუღლე, რომელიც უყვარდა და რომელთანაც სამი შვილი ჰყავდა. მართლაც აუნაზღაურებელი დანაკლისია, მართლაც დიდი დარტყმაა. უსაზღვროა ქვრივის გულში გამეფებული მწუხარება. თითქოს მართლაც დასრულდა ყველაფერი, მაგრამ სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ადამიანს, და მათ შორის მგლოვიარესაც, არავინ ეკითხება სიცოცხლის დასრულებას. დასრულდა მხოლოდ ერთი ადამიანის სიცოცხლე. დროულად თუ უდროოდ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, რომ განგების ნებით — ჩვენთვის მიუწვდომელი და გაუგებარი ნებით — იგი დასრულდა. მაგრამ ჯერ-ჯერობით არ დასრულებულა ახლობლების ცხოვრება. გრძელდება მეუღლის სიცოცხლეც, მას ჯერ არ გაუვლია თავისი გზა. მან კიდევ უნდა იცოცხლოს, მაგრამ როგორ? კოლექტიური ცნობიერების მიერ შემუშავებული კანონი მოუწოდებს ქალს იარსებოს ისე, რომ უარი თქვას სიცოცხლის ნებაზე — სანამ პირში სული უდგას, მგლოვიარე უნდა იყოს. კოლექტივი ძლიერაა დაინტერესებული ამგვარი კანონის არსებობით, მაგრამ რა შეიძლება იყოს ამაზე არაბუნებრივი? ამასთან შედარებით, პრეისტორიულ ხანაში არსებული ჩვეულება, გარდაცვლილი ქმრის გვამზე მისი ცოლების დაკვლისა, უფრო თანამიმდევრული ჩანს. ადამიანს არ შეუძლია მთელი სიცოცხლე მგლოვიარე იყოს. რეალურად ეს შეუძლებელია. ვერც ერთი ნორმალური ქალი დამოუკიდებლად ამ გადაწყვეტილებამდე ვერც მივიდოდა და ვერც განახორციელებდა მას, ოღონდ არა იმიტომ, რომ ქალის ბუნებისათვის საერთოდ უცხოა ერთგულება. არა, ასეთი ნიჰილიზმი ქალური ბუნებისადმი გაუგებრობაა.

ასე მოხდებოდა იმიტომ, რომ ამგვარი საქციელი სიცოცხლის ნებას ეწინააღმდეგება. სიცოცხლის ინსტინქტი საფუძველშივე გამორიცხავს ამგვარ არაბუნებრივ მდგომარეობას. მხოლოდ კოლექტიურ ცნობიერებას, გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან, შეუძლია დაუპირისპირდეს სიცოცხლის ნებას და შეაფერხოს კიდეც იგი. ოღონდ ამქვეყნად ალბათ არაფერია უფრო მოჩვენებითი, ვიდრე ეს შეფერხება. სიცოცხლე მაინც აკეთებს თავის საქმეს, მაგრამ ამჯერად უკვე მალულად — განსაკუთრებული გაქანება ეძლევა ფარისევლობას. ადამიანები მხოლოდღა ფორმის დაცვაზე ზრუნავენ და ეს ზრუნვა საოცარ მასშტაბებს აღწევს. იგი მთლიანად მსჭვალავს საზოგადოებას. ასე რომ, ცხოვრება ერთ დიდ თეატრს ემგვანება, სადაც ყველა რაღაც როლს ასრულებს. თუმცა მაინც რჩებიან ადამიანები, რომელთათვისაც ასეთი ფარისევლობა უცხოა. სწორედ ამგვარი ადამიანია თავსაფრიანი დედაკაცი. მისთვის ტრადიცია არ არის რაღაც მის გარეთ არსებული უცხო ძალა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიო. შეიძლება ითქვას, რომ ტრადიცია მასშია და იგი ტრადიციაშია. მათ შორის არავითარი მანძილი არ არის, ანუ იგი შინაგანად მთლიანი ადამიანია. თუ კიდევ უფრო დავაზუსტებთ, მას ტრადიციის შესაძლო დარღვევის ფიქრიც კი არ მოსდის თავში. მისთვის ისე ცხოვრება, როგორც ცხოვრობს, ორგანული აუცილებლობაა. დაქვრივების შემდეგ მას ყოველგვარი, ყველაზე ჩუმი პროტესტის გარეშეც კი ბუნებრივი ჰგონია აღსასრულამდე მგლოვიარედ ყოფნა. უარი თქვა მეორედ გათხოვებაზე, თავით ფეხამდის შავებში გამოეწყო და მარტოდმარტომ გასწია უკაცო ოჯახის მძიმე ჯაპანი. ამიერიდან მის სიცოცხლეს ერთადერთი მიზანილა აქვს — არავის დააჩაგვრინოს და ფეხზე დააყენოს თავისი შვილები. ყველაფერ დანარჩენზე მან უარი თქვა. თავსაფრიანმა დედაკაცმა შეძლო ამ გზის გავლა. მას მრავალი სიძნელის გადალახვა მოუხდებოდა, მაგრამ ყველაზე ძნელი ალბათ მაინც საკუთარ სიცოცხლის ნებასთან ბრძოლა იყო. მაინც თავისი გაიტანა, შვილები ფეხზე დააყენა, დააბინავა, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ამით ფაქტობრივად თვითონვე დაუსვა ლოგიკური წერტილი საკუთარ სიცოცხლეს — მთლიანად შეასრულა ის მისია, რომელიც თავის დროზე თვითონვე განუსაზღვრა საკუთარ თავს. იგი აბსოლუტურად უფუნქციოდ დარჩა. თავსაფრიანი დედაკაცი მიხვდა, რომ აღარავის სჭირდება. ოღონდ ამ სამწუხარო, მაგრამ ბუნებრივ დასკვნამდე იგი არც პატივმოყვარეობასა და არც უვარგის შვილებს არ მიუყვანია. ყველაფერი ეს ბუნებრივად მოხდა.

ადამიანის ისეთი ტიპი, როგორიც თავსაფრიანი დედაკაცია, კოლექტიური ცნობიერებით მართულ საზოგადოებაში ყოველთვის

უმცირესობაა. ჩვეულებრივ უმრავლესობა საშუალო, ანუ ბიბლიურ გამოთქმას თუ ვიხმართ, ნელთბილი ადამიანები არიან. თავსაფრიანი დედაკაცის ცხოვრების დასასრული ასეთი ტრაგიკული არ იქნებოდა იმ შემთხვევაში, მის გარშემო უმრავლესობა რომ ისეთივე ყოფილიყო, როგორიც თვითონაა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში არც ტრადიციებს ექნებოდა ასეთი სიცოცხლის ნებასთან დაპირისპირებული ხასიათი და საერთოდ, ცხოვრებაც სულ სხვაგვარი იქნებოდა — არა უპრობლემო, მაგრამ თავისუფალი და ბუნებრივი. თუმცა ეს უტოპიაა. მისი შვილები ჩვეულებრივი, კოლექტივის რიგითი წევრები არიან. დედისაგან განსხვავებით მათში არ არსებობს შინაგანი ჰარმონიული მთლიანობის განცდა. მათ არა აქვთ ტრადიციის შინაგანი გრძნობა. ისინი სუსტი ადამიანები არიან. ტრადიციასა და მათ შორის მთელი უფსკრულია, ოღონდ არა იმ გაგებით, თითქოს მათ საკუთარ თავში დასძლიეს და გადალახეს იგი.

თავსაფრიანი დედაკაცი კი არ თამაშობს, არამედ მართლა ცხოვრობს. შვილები თამაშობენ, თუმცა თვითონ ეს გარემოება გაცნობიერებული არა აქვთ. ტრადიცია მათში შინაგანადაა გახრწნილი, მაგრამ ისინი მაინც არ ამბობენ მასზე უარს. ეს გარკვევით ჩანს მაშინ, როცა თავსაფრიანი დედაკაცი შინიდან გადაიკარგა. შვილებს მოხუცი, დაუძლურებული დედის ბედი კი არ აწუხებთ, საკუთარ რეპუტაციაზე ნაღვლობენ: „გაიგეს — შეძრწუნდნენ, შერცხვათ: „მოგვეჭრა თავი სოფელ ქვეყანაში, რას იტყვიან, მოხუც დედას ვერ მოუარესო?!" უნდოდათ საძებრად წასვლა — ეძვირათ. უნდოდათ გაზეთებში გამოცხადება — „უარესად მოგვეჭრება თავიო". ასე იცდიდნენ".

არსებობენ ჩვენში ადამიანები, რომლებიც ვერ გაუგებენ შვილებს?

შემაძრწუნებელი, მაგრამ ნაცნობი ვითარებაა.

რას იტყვის ხალხი? რას იტყვიან მეზობლები, ნათესავები, თანამშრომლები, ანუ რას იტყვის კოლექტივი? აი, ყველაზე ფუნდამენტური მოტივი, რომელიც მართავს ამ საზოგადოებას. გადამწყვეტი ხდება ფორმა, ყოველთვის და ყოველ მიზეზგარეშე მისი დაცვა. შვილები დედაზე კი არ ზრუნავენ, შთაბეჭდილებას ქმნიან, რომ ზრუნავენ. ის კი არ აწუხებთ, რომ დედა გულნატკენი გადაიკარგა სახლიდან და კაცმა არ იცის სად იმყოფება. არა, მთავარია, მეზობლებმა არ შეიტყონ, რომ მართლა ასე მოხდა (მეზობლობის ინსტიტუტი — კოლექტივის უმნიშვნელოვანესი იარაღი). თამაშის წესები არ უნდა დაირღვეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფაქტობრივად, ადამიანის ნება მთლიანად პარალიზებულია და მას კოლექტივი მართავს. მაგრამ, როგორ ვიფიქროთ, შემთხვევითია ეს? განა ამ ადამიანებს არ

სურთ, რომ კოლექტივის ნებით მოქმედებდნენ? განა გაცილებით იოლი არაა ასე ცხოვრება? ჭეშმარიტად თავისუფალი სიცოცხლე ხომ პირველ რიგში პასუხისმგებლობაა, განსაცდელია. მარტოდმარტო პირისპირ დგომა სამყაროს წინაშე, როცა ყველაფერზე შენ ხარ პასუხისმგებელი, მათ არ სურთ. შესაბამისად, აღარც ის არის შემთხვევითი, რომ ეს ადამიანები მისდევენ ისეთ ტრადიციებს, რომლებიც თითქოსდა იმიტომ არსებობენ, რომ ვერავინ შეძლოს მათი ჭეშმარიტი განხორციელება. მართალია, ამგვარ საზოგადოებაში ძნელი წარმოსადგენია ასეთი მცდელობაც კი, მაგრამ ყოველი შესაძლო ცალკეული ცდა მათი დაძლევისა მარცხისთვისაა განწირული. კოლექტივი სხეულით გრძნობს, რომ ამით მის სიმყუდროვეს ემუქრებიან. რატომ? იმიტომ, რომ სწორედ სიცოცხლეს დაპირისპირებული ტრადიციებია ის ერთ-ერთი ბურჯი, რომელზედაც კოლექტივი დგას. რაც უფრო მეტადაა ტრადიცია სიცოცხლის ნებას დაპირისპირებული, ანუ რაც უფრო იდეალისტურია იგი, მით ნაკლები შანსია მისი დაცვისა. ამგვარი ვითარება კრავს კოლექტივს. ადამიანთა უზარმაზარი მასები ერთიანდებიან საერთო ნიშნით. ყველას ესმის ერთმანეთისა. არავის უჩნდება პროტესტის გრძნობა, ოლონდ დაცული იყოს ერთი პირობა — ფორმა. ის, რასაც კოლექტივი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ურიგდება, ესაა ფორმის დარღვევა. ადამიანებს იქითკენ სიცოცხლის შიში, მისგან გაქცევის სურვილი მიერეკება. და პარადოქსი: ამგვარ ვითარებაში თავსაფრიანი დედაკაცის ტიპის ადამიანის არსებობა აღარც კია სასურველი, მისთვის ადგილი აღარა რჩება. კოლექტივი ღრმადშეფარული გაღიზიანებით უნდა აღიქვამდეს ადამიანს, რომელმაც შეძლო თითქმის შეუძლებელი — წმინდად დაიცვა ამავე საზოგადოების მიერ დაკანონებული ტრადიცია. ესე იგი, დაიცვა არა მარტო ფორმა, არამედ შინაარსიც. ამით იგი უცებ ამაღლდა მთელ საზოგადოებაზე. მას აღარ ესმის უმრავლესობისა. მან მიღებული თამაშის წესები დაარღვია და დისონანსის შემომტანი გახდა, რითაც თვითონვე გამოუტანა განაჩენი საკუთარ თავს. კოლექტივს არ სჭირდება „ადვილად შესასრულებელი" ტრადიცია. იგი მანამდე გრძნობს თავს მშვიდად, სანამ მისი იდეალი სადღაც ზეცაშია, ცაურ სფეროებში. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გრძნობს იგი თავს მშვიდად, ანუ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია მას შინაგანად გაიმართლოს და დაიმშვიდოს კიდეც თავი. აბა, რას ემგვანება, ყოველ ფეხის ნაბიჯზე თუ ჩემი იდეალის რეალური განხორციელება ვნახე?! როგორლა გავამართლო მაშინ ჩემი ფარისევლობა, ჩემი უმოქმედობა?

თავსაფრიანი დედაკაცი, ცხადია, ვერ შეძლებდა ასეთი დასკვნების გაკეთებას, სამაგიეროდ, ის ზუსტად გრძნობს თავისთვის მთავარს —

იგი არავის სჭირდება ასეთი. ზუსტად ხედავს იგი შვილებსაც. მისთვის გასაგებია, რომ თავისი საქციელით დიდ გაჭირვებაში ჩაყარა ისინი — რეალური გახდა კონფლიქტი მათსა და კოლექტივს შორის, რადგან დაირღვა ფორმა. შვილებმა მოულოდნელად დაკარგეს დამაშვრალ დედაზე მზრუნველი შვილების პოზა. თავსაფრიანი დედაკაცი მისცემს მათ საშუალებას გააგრძელონ თამაში, დარჩნენ კოლექტივში და იცხოვრონ ისე, როგორც სხვებიც ცხოვრობენ ამ ქვეყანაში. მაგრამ თავად აღარც შეუძლია და აღარც სურს აქ დარჩენა. მას ლოგიკურ დასასრულამდე მიჰყავს თავისი ცხოვრება — „მიდის" თავის ქმართან.

მაშასადამე, თავსაფრიანი დედაკაცი მსხვერპლია, მაგრამ არა საკუთარი შვილების უსულგულობისა. ნაწარმოებში მოქმედებენ ისეთი ფუნდამენტური მნიშვნელობის ტენდენციები, რომელნიც ნაფოტივით ათამაშებენ როგორც თავად თავსაფრიან დედაკაცს, ისე მის შვილებსაც. ამდენად, მსხვერპლნი არიან მისი შვილებიც.

ძნელი სათქმელია, თავის დროზე რა განზრახვით იწერებოდა ეს ნოველა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი იგი მაინც სწორედ იმ ტენდენციების წარმოჩენის გამოა, რომლებზედაც ახლა ვისაუბრეთ და რომელნიც დღემდე მართავენ ჩვენს საზოგადოებას.

III. მოლოხი

მიმართვა მკითხველს

როგორც კირკეგორი იტყოდა, ძველი ბერძნებისაგან მართლაც ბევრი ნამდვილად ადამიანური რამ შეიძლება ვისწავლოთ. მაგრამ მელანქოლიური დანიელის დროიდან დღემდე დიდი დრო გავიდა, ხოლო ძველი ბერძნებიდან ჩვენს ეპოქამდე — ათჯერ მეტი. ეტყობა ამის ბრალი თუა, რომ დღეს ჩვენი განათლებული საზოგადოება ჰომეროსის ხსენებაზეც კი მთქნარების გუნებაზე დგება.

ამიტომ, ვფიქრობ, სრულიად აშკარაა, რომ ამ ისედაც, ცოტა არ იყოს, მოსაწყენი ტექსტის ავტორი უეჭველად მეტ წინდახედულებას გამოიჩენდა,თავისი ოპუსი მაინცდამაინც აქილევსზე საუბრით რომ არ დაეწყო. ჯობდა, ისევ ზებულონზე ელაპარაკა, მის უაზრო და უბედურ ცხოვრებაზე, დღემდე თითქოს რაღაცით რომ იმეორებს ყველა ჩვენგანის ცხოვრებას. ასე თითქოს მოწყენის საბაბიც ნაკლები იქნებოდა და აღარც მკითხველი გაწყრებოდა ტექსტის სიგრძის გამო.

მაგრამ თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ადამიანი საერთოდ შორს

არის სრულყოფილებისაგან და იმისათვის, რომ რაღაც მართლა კარგად გაიგოს, სისტემატურად უნდა ჰქონდეს შედარების საშუალება. ამიტომ მისცა ავტორმა თავს უფლება ზებულონზე, ბექა ამილახვარსა და სხვებზე მათი ანტიპოდის — აქილევსის ფონზე ესაუბრა.

არ ვიცი, მოწყენილობას თუ ეშველება ამით რამე, მაგრამ ის კი, ვგონებ, ნათლად უნდა დავინახოთ, რატომ იბადებოდნენ და იბადებიან ჩვენში ასე უხვად ზებულონები და ბექა ამილახვრები და არასოდეს — აქილევსები. სხვა განზრახვა ავტორს არა ჰქონია.

აქილევსი

თავიდან ერთი დამახასიათებელი დეტალის გამო: არ ვიცი „ილიადას“ მკითხველს ახსოვს თუ არა, მაგრამ ტროელებს საკუთარი ქალაქის დაცვაში სხვა ქალაქთა მკვიდრნიც ეხმარებიან. ღამღამობით კი მხოლოდ ტროელები გუშაგობენ თავის ქალაქს. თუ დააკვირდებით, ეს ამბავი ძალიან ჰგავს უნდობლობას, მაგრამ ტროელების ასეთ საქციელს პროტესტის განცდა არავისში გამოუწვევია. ხომ შეიძლებოდა ვინმეს ეფიქრა, ჩვენ მათი გულისთვის სიცოცხლეს საფრთხეში ვიგდებთ, ისინი კი ასე აშკარად გვაყენებენ შეურაცხყოფასო. ასეთი აზრი თავში არავის მოსდის, რადგან ამ შემთხვევაში საქმე მაინცდამაინც ღალატის შესაძლებლობაში არ არის.

უბრალოდ გათვალისწინებულია ერთი გარემოება: სხვა ქალაქების მკვიდრთ ტროაში არც ოჯახი ჰყავთ და არც სახლ-კარი აქვთ. ამიტომ შეუძლებელია ტროას დაცვა მათთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საქმე იყოს.

მართალია, მეომარს ყველგან და ყოველთვის მოეთხოვება გამძლეობა, თავგანწირვა, სიმამაცე, მაგრამ ვინ არის იდეალური ადამიანი?

რა თქმა უნდა, არც ტროელი მეომრები არიან იდეალური ადამიანები, მაგრამ ისინი საკუთარ ქალაქს იცავენ, რომლის დაცემაც მათთვის სრული კატასტროფის ტოლფასია. ამიტომ მათ არც საგუშაგოზე ჩაეძინებათ და არც გაქცევისაკენ ეჭირებათ თვალი. ქალაქის დაცვით ისინი საკუთარ ცოლ-შვილს, საკუთარ ქონებას, ანუ საკუთარი სიცოცხლისა და ბედნიერების უფლებასა და შესაძლებლობას იცავენ.

აი, უმთავრესი მოტივი ადამიანისათვის. ასეთ დროს საჭირო აღარ არის აღარავითარი მოწოდებები, აღარავითარი შეგონებანი. ადამიანი ისეთ მდგომარეობაშია აღმოჩენილი, როცა ყოველგვარი მოწოდებების გარეშეც გააკეთებს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს.

ეს არის ეპოსში დახატული საზოგადოების ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი. იგი ადამიანს იღებს ისეთს, როგორიც არის კიდეც სინამდვილეში. არ უყენებს მას მეტისმეტად იდეალისტურ მოთხოვნებს, არ მოითხოვს მისგან სრულყოფილებას, რადგან იცის, რომ ეს მიუღწეველია. შესაბამისად, აღარც ხელოვნური წინააღმდეგობა იქმნება პიროვნებასა და საზოგადოებას შორის და აღარც ისედაც რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე ადამიანური ყოფიერება მძიმდება ზედმეტად. ამის ნაცვლად, ყოველთვის მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ადამიანის ბუნებრივი ინტერესები.

ასეთი ხარისხის რეალიზმი ჰომეროსის ეპოქაში აუცილებლად გულისხმობდა ერთგვარ ნაივურობას, რაც, ნიცშეს თქმით, სოკრატეს შემდეგ თითქოს საბოლოოდ დაასამარა ქრისტიანობამ, მაგრამ დასავლურ ცნობიერებაში, ბოლოს და ბოლოს, იგი მაინც აღორძინდა ინდივიდუალიზმის სახით. თუმცა ეს სხვა საუბრის თემაა.

ადამიანის ბუნებრივი ინტერესებისათვის ასეთი ანგარიშის გაწევა, ნაივური იქნებოდა იგი თუ კარგად გააზრებული, თავისთავად ცხადია, ფასეულობათა იერარქიაში პიროვნებას განსაკუთრებულ ადგილზე დააყენებდა. ამ გარემოების გაუთვალისწინებლად ვინ აქილევსი და ვინ ერთი თავკერძა ადამიანი, რომელიც ქართლის კათალიკოსის დაუვიწყარი სიტყვებით, ყველას და ყველაფერს თავის „პატარა და დუხჭირ პატივმოყვარეობას ანაცვალებს“.

რაღა უნდა ითქვას ამ ფაქტთან დაკავშირებით დანარჩენთა რეაქციაზე?

სრული გაუგებრობა და აბსურდია.

და მაინც, ბარაქალა ჩვენს საზოგადოებას — მართალია, „ილიადას“ კითხვით თავს არ იწუხებს, მაგრამ ინტუიციურად მაინც ესმის, რომ ჰომეროსი დიდი პოეტია.

ოღონდ მაინც რაზე განაწყენდა აქილევსი?

იქნებ მასაც ზებულონივით სიცოცხლეზე მეტად საყვარელი ქალი დაათმობინეს და სასონარკვეთილმა შურისძიება გადაწყვიტა?

არა და არა.

მსგავსიც კი არაფერი.

უთანხმოება მოხდა ერთ-ერთი ტყვე ქალის გამო, რომელიც, წესით, აქილევსს უნდა რგებოდა, მაგრამ აგამემნონმა ისარგებლა თავისი მდგომარეობით და ქალი უსამართლოდ დაისაკუთრა. ეს შემთხვევა საკმარისი აღმოჩნდება იმისათვის, რომ შეურაცხყოფილმა აქილევსმა მიატოვოს თანამოძმენი და გულგრილად უყუროს მათ ხოცვა-ჟლეტას.

ზებულონს არამცთუ იმის უფლება არა აქვს, დაიცვას ქალი, რომელიც სიცოცხლეს ურჩევნია, სიტყვის უთქმელად უნდა შეეგუოს თვალების დათხრასაც, რაც მას მისმა „მადლიერმა" მეფემ მიუსაჯა. ასე უნდა მოიქცეს, რადგან იმავე ქართლის კათალიკოსის თქმით, „საქართველოში დაიბადა და სხვა გზა არა აქვს".

აქილევსი კი ანგარიშს არაფერს უნევს.

მას ჰყოფნის თავხედობა, საკუთარი ინტერესების შელახვა ასე ძვირად დაუსვას საზოგადოებას. მშვიდად წამოსდგომია ბორცვის თავს და დასცქერის, რა შავ დღეს აყრიან ტროელები მის თანამოძმეთ.

ის მკითხველი, რომელიც ქართლის კათალიკოსის თვალით აღიქვამს სამყაროს, გულის სიღრმეში ალბათ სულ ელოდება, რომ თუ აქილევსი არ შეანუხა სინდისის ქენჯნამ, მაშინ ბოლოს და ბოლოს თავად ბერძნები აღშფოთდებიან თავის თავკერძა გმირზე და სამარცხვინო ბოძზე გააკრავენ მას. საამისოდ ხომ საკმაოზე მეტი საფუძველი არსებობს — აქილევსი სრულიად არაორაზროვნად ანაცვალებს თანამოძმეთა სიცოცხლეს თავის „პატარა და დუხჭირ პატივმოყვარეობას".

მაგრამ მსგავსი არაფერი ხდება.

არც აქილევსს ქენჯნის სინდისი და არც საზოგადოება ფიქრობს მის გამტყუნებას.

პიროვნება დაურიდებლად ახორციელებს თავის ნებას საზოგადოებისათვის ძალიან კრიტიკულ ვითარებაში და იმავე საზოგადოებას აზრადაც არ მოსდის ხელი შეუშალოს მას.

აქილევსს არ აიძულებენ პირადი ინტერესები უარყოს და საზოგადოებრივით განიმსჭვალოს. ბერძნებისათვის სრულიად უცხოა პიროვნების ასეთი ნიველირება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი გახდებოდა აქილევსის ნაფოტივით თამაში. ასეთი აზრი აგამემნონსაც კი არ მოსდის თავში.

როგორც ბავშვი, რომელსაც ჯერ არ ესმის როგორი უნდა იყოს მაღალი იდეალების მიხედვით ადამიანი, და ამიტომ თამამად ავლენს თავის არასრულყოფილ ბუნებას, ისე ძველი ელინიც თამამად აღიარებს, რომ ადამიანი არასრულყოფილი არსებაა, რომელიც ნამდვილად მხოლოდ იმითაა დაინტერესებული, რაც მის მოთხოვნილებებს ან აკმაყოფილებს, ანდა საშიშროებას უქმნის.

სწორედ ამიტომ არც აგამემნონსა და არც მის ელჩებს აზრადაც არ მოსდით, რომ არსებობს მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც ისე შეიძლებოდა აქილევსით მანიპულირება, როგორც ბექა ამილახვარი და კათალიკოსი მანიპულირებდნენ ზებულონით.

პირიქით, ელჩებს კარგად ესმით აქილევსისა და ამის დასტურად მელეაგროსის ამბავსაც გაიხსენებენ. თავის დროზე ეს უკანასკნელიც გაჯავრებულა თანამოძმეებზე, რის გამოც, როცა ქალაქს მტერი მოადგა, უარი თქვა ბრძოლაში მონაწილეობაზე. მელეაგროსმა მხოლოდღა მაშინ გამოიღო ხელი, როცა მტერი ქალაქში შევარდა და საფრთხე უშუალოდ მის მშვენიერ მეუღლეს დაემუქრა.

არც მელეაგროსი გაუმტყუნებია ვინმეს ასეთი საქციელისთვის, ვინ გაამტყუნებს აქილევსს? ელჩები მხოლოდ იმას სთხოვენ, რისხვა დაიცხროს და კვლავ ომში ჩაებას. მაგრამ აქილევსი მხოლოდ მაშინ აპირებს ბრძოლის განახლებას, როცა ტროელები უშუალოდ მის ბანაკს მიადგებიან. თუმცა მას უფრო ადრე მოუხდა მახვილის ხელში აღება, რადგან ტროელებმა უახლოესი მეგობარი მოუკლეს. აქილევსი კვლავ ბრძოლაშია, ოღონდ არა როგორც საერთო ინტერესების დამცველი.

არა.

იგი შურისძიების ჟინითაა ატანილი. მხოლოდ ეგ არის, რომ აგამემნონისა და ყველა დანარჩენის ბედად, ამჯერად აქილევსის პირადი ინტერესები საზოგადოებრივს დაემთხვა. თუ არა ეს შემთხვევა, ვინ იტყვის, როგორ დასრულდებოდა ეს ყველაფერი?

ჰომეროსის გმირები საზოგადოებას კი არა, ხშირად თვით ღმერთებსაც არ ეპუებიან და გააქვთ კიდეც თავისი. პიროვნების ასეთი ხარისხის თავისუფლება, ასეთი ხარისხის პასუხისმგებლობა, წარმოქმნის უალრესად ინტენსიურ ცხოვრებას, ვერესაევის თქმით, живая жизнь-ს, როცა ადამიანი თავისი შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზაციით ცხოვრობს. ეს გარემოება ედება საფუძვლად ისეთ ფენომენს, როგორიცაა ძველი ბერძნული ცივილიზაცია, ხოლო მომავალში, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფენომენებთან ერთად — მთელ დასავლურ ცივილიზაციას.

ზებულონი

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ზებულონმა (ჯემალ ქარჩხაძის ამავე სახელწოდების რომანის მთავარმა გმირმა) როგორღაც დაასკვნა, რომ მთელი მისი ცხოვრება იყო არა ცხოვრება, არამედ ცრუ და უსაგნო ჩვენება.

ამაში თითქოს არაფერია განსაკუთრებული.

მართლაცდა, რა მოხდა, ადამიანმა ასე შეაფასა თავისი ცხოვრება. ეს არის და ეს.

მაგრამ მწერალს სურს, ამ ფაქტმა არა მარტო გააოცოს მკითხველი,

პროტესტის გრძნობაც გაუჩინოს.

საქმე ის გახლავთ, რომ ზებულონი არ ყოფილა ვიღაც თავკერძა ეგოისტი, რომელიც ყველას და ყველაფერს „თავის პატარა, დუხჭირ ბედნიერებას ანაცვალებდა“, და ბოლოს, როგორც კანონზომიერება, დაისაჯა კიდეც — მარტოდმარტო დარჩენილი, უკიდურესად უბედური, სრულ ვაკუუმში აღმოჩნდა.

არა.

მართალია, ზებულონი სიკვდილის წინ მართლაც აღმოჩნდა ვაკუუმში და იმასაც მიხვდა, რომ არასწორად იცხოვრა, მაგრამ უცნაური ის არის, რომ ეს იყო კაცი, რომელმაც ყველაფერი, მთელი თავისი პირადი ცხოვრება ქვეყანას ანაცვალა, რომელსაც თავისთვის ერთი წუთითაც არ უცხოვრია.

აი, როგორ აყენებს საკითხს მწერალი.

მას სურს, ახლა ჩვენთვის უჩვეულო კუთხიდან შევხედოთ იმ თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც ზებულონის მსგავსი კაცი დამსახურებული დიდებით მორჭმული და ბედნიერი უნდა კვდებოდეს.

მისი რომანიც სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი მხატვრული ენციკლოპედია იმისა, რა ემართებათ როგორც ადამიანებს, ისე საზოგადოებას იმ ქვეყანაში, რომელშიაც საზოგადოებრივი ინტერესებისათვის პირადულის მსხვერპლად შეწირვა, ყველაზე მაღალი იდეალების სახელით, თითქმის გარდაუვალ აუცილებლობადაა მიღებული.

* * *

ყმაწვილობისას ზებულონს თანატოლებში თამაშს უფრო მარტო ყოფნა ერჩივნა. განსაკუთრებით ხშირად ადიოდა იგი სოფლის განაპირა მუხნარში, რადგან ეს ხეები თავიანთი სიძლიერითა და რაღაც შეუპოვარი სიმშვიდით ძლიერ იზიდავდნენ მას.

ერთხელ მუხებს შუა დადგა, ფეხები ღონივრად დააბჯინა მიწას, ხელები მაღლა შემართა, თვალები დახუჭა და წარმოიდგინა, ვითომ თვითონაც მუხა იყო. ზებულონის გული საკუთარი ძალის მშვიდმა და ნეტარმა განცდამ აავსო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, მოულოდნელად ეს განცდა უკვალოდ გაქრა და მისი ადგილი შიშმა და უმწეობის გამთანგავმა შეგრძნებამ დაიკავა.

ზებულონი მიხვდა, რა ყალბი და ილუზორული ყოფილა მუხის სიამაყე, ძალა — უქმი, მოთმინება კი უძლური და შემგუებლური.

მუხა ტყვე იყო, მიწის ტყვე.

მას არ გააჩნდა საკუთარი ნება და თუნდაც ჰქონოდა, მაინც განწირ-

ული იყო, რადგან მიწა ბორკილებივით შემოჰკვროდა ფესვებზე და გასაქანს არ აძლევდა. დიახ, მუხა განწირული იყო, მთელი მისი გარეგნული მშვენიერება, ძალა და შეუპოვრობა კი მოჩვენებითი, ამიტომ არც არავითარი ფასეულობის მქონე.

რომანის დასაწყისშივე ჩამოყალიბებული ეს თვალსაზრისი მერე მხატვრულადაა ხორცშესხმული. მუხაა როგორც ზებულონი, ასევე ბექა ამილახვარი, კათალიკოსი და სხვა ნებისმიერი პერსონაჟი. ოღონდ განსხვავებით სხვათაგან, ზებულონი იმიტომაა განსაკუთრებით ტრაგიკული ადამიანი, რომ იგი თავიდანვე მიხვდა მუხის მშვენიერების, ძალისა და შეუპოვრობის მოჩვენებითობასა და სიყალბეს, მაგრამ მაინც ვერ დააღწია ტყვეობას თავი, მაინც მთელი ცხოვრება ის აკეთა, რაც სხვებს უნდოდათ რომ ეკეთებინა.

* * *

პირველად 18 წლისა იყო ზებულონი, როცა მის ნებას სიტყვის უთქმელად, მაგრამ აშკარა და სასტიკი დაჟინებით დაუპირისპირდა მასის კოლექტიური ნება.

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა სოფელში საიდანღაც ჩამოთესლებულმა დაროაშვილებმა მამამისი ცულებით აკეპეს. სწორედ მეორე დღეს ზებულონს დიდი ხნის ნანატრი ოცნება უნდა შესრულებოდა — იოველ ბატონიშვილთან უნდა გამგზავრებულიყო მწიგნობრობის შესასწავლად. როგორ ჩქარობდა ამ დღის დადგომას, რამდენს ოცნებობდა...

მაგრამ სოფელმა მამის სისხლის აღება მოითხოვა.

და თუმცა კაცის მოკვლა მას ფიქრშიაც კი ვერ წარმოედგინა, თუმცა ერთი სული ჰქონდა, როდის გაემგზავრებოდა იოველ ბატონიშვილთან, მაინც ყველაფერზე უარი თქვა, ყური აღარ უგდო შინაგან ხმას და მარტოდმარტო ჩაუდგა კვალში დედაწულიანად გაქცეულ დაროაშვილებს.

მაგრამ იქნებ შეცდა ზებულონი? აკი სოფელს ხმამაღლა ერთი სიტყვაც არ უთქვამს, მაშ, საიდანღა დაასკვნა მან, რომ ხალხი მისგან შურისძიებას მოითხოვდა?

ზებულონი არ შემცდარა. მეტიც, შეუძლებელიც იყო, რომ შემცდარიყო, რადგან ზუსტად გრძნობს, რას მოითხოვს მისგან სოფელი.

ადამიანმა ყოველთვის იცის, რას მოითხოვს მისგან ის საზოგადოება, რომლის წევრიც თვითონაა.

ამიტომ უგზო-უკვლოდ გადახვეწილი დაროაშვილების დევნით დაღლილი ზებულონისათვის დღესავით ნათელია, რომ არა მარტო მაშინ არ იქნებოდა წამოუსვლელობა, არამედ ახლა უკან ხელმოცარულად

დაბრუნებაზეც არ შეიძლება ფიქრი. „იქნებ პირში არც არავის ეთქვა რამე, ეგებ დაემშვიდებინათ კიდეც, რა შენი ბრალია, ამოდენა ტყეში რომ კაცი დაიმალება, როგორ უნდა იპოვოო, სამაგიეროდ, ზურგს შეაქცევდა თუ არა, ვინც წამის წინ ამშვიდებდა, ახლა ზიზღით გვერდზე გადააფურთხებდა, ფუი შენს ვაუკაცობას, კაცი გქვია და მამის სისხლი კი ვერ აგილია, სოფელში მაინც რა პირით გამოჩნდიო! და თუნდაც ზურგს უკანაც არა ეთქვათ რა, თავის თავს სადღა გაექცეოდა!.."

ასეთ ვითარებაში რაღა საჭირო იყო ლაპარაკი?

აკი არც სოფელი ლაპარაკობს.

ამის საჭიროება არ არსებობს. სრულიად საკმარისია მზერა, მომლოდინე მზერა და სოფელიც თვალს არ აშორებს ზებულონს, რადგან იცის, რომ ეს უკანასკნელიც მისი ნაწილია და უთქმელადაც კარგად ეცოდინება, რა უნდა გააკეთოს.

თავის თავს სადღა გაექცეოდაო, ზუსტად შენიშნავს მწერალი.

მაშ, მართლაც სად და როგორ გაქცეულიყო? სად დამალვოდა საკუთარ თავს? ზებულონიც ხომ ისეთივე ტყვეა, როგორც სხვა ნებისმიერი ადამიანი სოფელში. მიუხედავად იმისა, რომ მან ადრევე გაიცნობიერა მუხის ტრაგიკული ბედი, მაინც ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა ასეთივე ხვედრი.

მუხისა არ იყოს, არც მას აქვს საკუთარი ნება ან თუ აქვს, იმდენად სუსტი, რომ იგი მხოლოდ საკუთარი თავის განწირულობის დასაფიქსირებლად ჰყოფნის, რადგან ის, რასაც მთელი სიცოცხლე მოითხოვდნენ მისგან და რასაც აკეთებდა კიდეც, თითქმის არასოდეს ემთხვეოდა იმას, რაც პირადად მას უნდოდა, რომ გაეკეთებინა.

მაგრამ სოფელში დაბრუნებული ვალმოხდილი ზებულონი მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ მაინც მარტოა დარჩენილი. ეს არის ძალზე საინტერესო მომენტი პიროვნებისა და იმ ტიპის საზოგადოების ურთიერთობაში, რომელიც რომანშია დახატული.

საქმე ის არის, რომ სოფელს ზებულონისაგან ისეთი რამის გაკეთება არ მოუთხოვია, რასაც ნებისმიერი ადამიანი იოლად გააკეთებდა. იგი განსაკუთრებით რთული და სახიფათო პრობლემის წინაშე იდგა და მისი გადაჭრით მან, ფაქტობრივად, ერთი ადამიანისათვის შეუძლებელი შეძლო. ისახარის ვაჟმა არა მარტო მიაგნო ულრან ტყეში გადაკარგულ, კაცის კვლასა და ყოველგვარ უკულმართობაში დახელოვნებულ დაროაშვილებს, არამედ მარტოდმარტომ განსაკუთრებული სისასტიკით შურიც იძია მათზე.

ზებულონმა მართლაც გადააჭარბა ერთი ადამიანის შესაძლებლობ-

ებს და სოფელმა აღიარა ეს, ანუ აღიარა მისი გამორჩეულობა. საზოგადოებას ერთდროულად აოცებს და აშინებს კიდეც მისი ნებისყოფა, მისი არაადამიანური ძალა, შორსმჭვრეტელობა, სისასტიკე.

მისი მარტოობაც აქედან იღებს სათავეს.

სოფელმა კი არ გარიყა იგი, არამედ ვეღარ ბედავს მასთან გაშინაურებასა და გატოლებას. თვით სოფლის კითხული, ზებულონისავე ბიძა ანანია, ისე ელაპარაკება ამ 18 წლის ბიჭს, თითქოს თვითონ იყოს 18 წლისა.

ერთი სიტყვით, საზოგადოება გაუცნობიერებლად ქმნის მისგან ტირანს, დიქტატორს და გატრუნული ელოდება, როდის მოინდომებს ეს უკანასკნელი მის დაუფლებას.

სოფელი მზად არის სიტყვის უთქმელად შეასრულოს ზებულონის ნება, რადგან მისი წარმოდგენით ეს ის ადამიანია, რომლის პიროვნულ ნებასა და სოფლის კოლექტიურ ნებას შორის არავითარი წინააღმდეგობა აღარ არსებობს.

სხვა სიტყვებით, სოფელი ფიქრობს, რომ ზებულონია ის ადამიანი, რომელიც საუკეთესოდ ასრულებს მის იდეალებს. და რაკი ასე ფიქრობს, მართლაც შემკრთალი და გასუსული ელოდება კიდეც როდის მოისურვებს იგი მის დაუფლებას, რათა ისევე დაემორჩილოს მის რკინისებურ ნებას, როგორც გლეხის გათქვირული გოგო თინია დაემორჩილა — სიტყვის შეუბრუნებლად და თავისუფალი ადამიანისათვის გაუგებარი ნეტარებით.

მაგრამ სოფელი მაინც შეცდა ზებულონის შეფასებაში. საზოგადოებას, კაცმა რომ თქვას, არც აინტერესებს და ვერც ხედავს ზებულონის სულში მიმდინარე პროცესებს. ის, რაც სოფელს თავისი იდეალების ერთგულება ჰგონია, სინამდვილეში შედეგია შინაგანი გაორებისაგან ჩვენი გმირის სულში გაჩენილი უმწეობისა და განწირულობის გრძნობის გაცნობიერებისა.

ეს ვითარება აიძულებს ზებულონს ასეთი დაჟინებით ეძებოს და მერე ასეთი არაადამიანური სისასტიკით გაუსწორდეს დაროაშვილებს; ანუ სწორედ საკუთარი უნებობის, არჩევანის გაკეთების შეუძლებლობის, ე.ი. ტყვეობისა და, აქედან გამომდინარე, განწირულობისა და სასოწარკვეთილების განცდაა ის ძალა, რომელმაც თითქმის შეუძლებელი შეაძლებინა ისახარის ვაჟს.

ამგვარი რამაც ხდება.

სოფელი კი მხოლოდ მისი მოქმედების შედეგებს ხედავს და დასკვნებიც აქედან გამოაქვს.

მაგრამ გაორებული ადამიანი ვერ გამოდგება დიქტატორად. ზებულონს ზიზღსა ჰგვრის თინიას შიშნარევი მოწიწება და მორჩილება. იგი ინტუიციით ხვდება, რომ სოფელი იგივე თინიაა.

ოლონდ მის სულს ვერაფერს ეუბნება ასეთი ხარისხის აბსოლუტური ძალაუფლება. მასში კვლავ და კვლავ ინარჩუნებს სიცოცხლეს ძველი, ნამდვილი ზებულონი და საშუალებას არ აძლევს სხვათა სურვილით, სხვათა ნებით შექმნილს, მთლიანად გაბატონდეს, მთლიანად გაიმარჯვოს მასში. სწორედ ეს დაუმთავრებელი შინაგანი ბრძოლა აუბედურებს ზებულონს. პერიოდულად კი ისე მწვავდება, იმდენად მძაფრ ხასიათს იღებს ეს შინაგანი გათიშულობა და მისგან შობილი სასოწარკვეთილება, რომ ისახარის ვაჟს ადგილზე ალარ აყენებს და ისიც გარბის, გარბის...

მაგრამ სად?

სად შეიძლება მუხა გაიქცეს? ცხადია, ვერსად, მაგრამ უბედურება მაშინ იწყება, როცა მუხას გაქცევის, მართალია, განუხორციელებელი, მაგრამ მაინც სურვილი უჩნდება. თორემ მანამდე რა უჭირს — შეიძლება ისე დაასრულოს სიცოცხლე, რომ ვერასოდეს გაიცნობიეროს თავისი ტყვეობა და ამიტომ ბედნიერადაც კი იგრძნოს თავი. რომანში ასეთი ადამიანებიც გვხვდებიან.

ვერც ზებულონი გაიქცა. სოფლიდან კი ისე გადაიკარგა, რომ გულში ისევ ძველი ოცნება უწრიალებდა — იოველ ბატონიშვილთან ასვლა და მწიგნობრობის შესწავლა. მაგრამ, როცა მანუჩარ ბატონიშვილმა უთხრა, რა დროს წიგნია, ქვეყანას ახლა მეომარი სჭირდებაო, კვლავ უდრტვინველად დამორჩილდა და თუმცა ამის სურვილი არასოდეს ჰქონია, მაინც მთელი სიცოცხლე მახვილი იქნია.

რა ექნა, ქვეყანას ასე სჭირდებაო, უთხრეს და ისიც დამორჩილდა.

ერთ მშვენიერ დღეს ქალი შეუყვარდა უძლიერესი სიყვარულით, მაგრამ მას ამჯერადაც უთხრეს, რომ ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა დაეთმო მოტაცებული ქალი.

როგორც ყოველთვის, არც ამჯერად სურდა დათმობა, ყველაზე მეტად ახლა არ სურდა, ერთი ხანობა გადაწყვიტა კიდეც არავითარ შემთხვევაში არ დაეთმო მოტაცებული ქალი, მაგრამ, როგორც ჩანს, თავდავიწყებაში ჩავარდნილს დაავიწყდა, რომ ტყვეა და საკუთარი ნება არ გააჩნია. ამიტომ ვერც ამჯერად შეძლო გადაწყვეტილების შესრულება.

რა ექნა, ქვეყანას ასე სჭირდებოდა. მთელი ქვეყნის ბედი ამ ტლუ ბიჭისა და მისი შეყვარებულის საქციელზე აღმოჩნდა დამოკიდებული!

სიჭარმაგეში შესულს ერთადერთი ოცნებაღა შემორჩა — მშობლიურ

სოფელში, მამაპაპეულ კერაზე დაბრუნება. უკიდურესად დამაშვრალმა სთხოვა კიდეც ახალგაზრდა მეფეს, ამის უფლება მიეცა მისთვის. მადლიერი მეფე — ზებულონს თავად მეფისა და მთელი მისი ოჯახის ბედნიერებაში დიდი წვლილი მიუძღვის — შეჰპირდა, მაგრამ სულ მალე ისახარის უბედურმა ვაჟმა შეიტყო, რომ თავისი გავლენიანი მტრის თხოვნით იმავე მეფეს მისი შეპყრობა და თვალების დათხრა ებრძანებინა.

ამჯერადაც არწმუნებენ ზებულონს, მეფეს არ სურდა, მაგრამ იძულებული გახდა ასე მოქცეულიყო, რადგან ქვეყანას ახლა ასე სჭირდებაო. ოღონდ ამჯერად ეს შეგონებანი ნამდვილად აღარ სჭირდება ზებულონს.

განა თვითონ კი მთელი სიცოცხლე ამ პრინციპით არ აცხოვრეს?

განა თვითონ არ იცის, რომ ახალგაზრდა მეფეს ნამდვილად არ ენდომებოდა ზებულონის ამაგის ასე გადახდა?

მაგრამ ახლა მას ესმის, რომ მეფეც ისეთივე მუხაა, როგორიც თვითონ და სხვა ყველა დანარჩენი ამ ქვეყანაში. ველარც მეფე მოიშორებს ალბათ ამის შემდეგ სინდისის ქენჯნას, მაგრამ რა ქნას? არც მეფეს შეუძლია ისე მოიქცეს, როგორც სინდისი კარნახობს, რადგან ახლა ქვეყანას მართლა ასე სჭირდება.

ეს ყველაფერი ახლა უკვე ასე თუ ისე ესმის ზებულონს. ამიტომ თუა, რომ ამგვარი ძარღვებში სისხლის გამყინავი უსამართლობის გამო ოდნავ უკმაყოფილებასაც აღარ გამოთქვამს და ალბათ არც ჯალათს აარიდებდა თავს, მაგრამ ეგ არის, რომ უსინათლობას სიკვდილი ურჩევნია.

დიდი ხანია წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როცა საზოგადოების მძლავრ მარწუხებში აფართხალებული ზებულონი გამწარებული ეკითხებოდა საკუთარ თავს: „მაინც რა არის ასეთი ეს ქვეყანა, რომ რამდენიც არ უნდა ემსახურო, არა ჰყოფნის და სულ ახალსა და ახალ სამსახურს ითხოვსო?"

ეკითხებოდა და პასუხი ვერ ეპოვა.

განა ახლა კი იპოვა? უბრალოდ, შეეგუა თავის ტყვეობას, თავის განწირულობას. ეს არის და ეს. მას არ შეუძლია ბოლომდე გაიცნობიეროს ის ვითარება, რომ იქ, სადაც საზოგადოება ამ ზომამდე ბოჭავს ადამიანს, ყველაფერი დახშულ წრეში ექცევა და ერთადერთი გამოსავალი ბრმა და უსიტყვო მორჩილებაა. არავინ იცის უმაღლესი და უწმინდესი იდეალების სახელით რა დროს რას მოგთხოვენ, მაგრამ რასაც მოგთხოვენ, უნდა შესრულდეს.

მოლოხი მსხვერპლს მოითხოვს.

შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მთელი სიცოცხლე ქვეყნის სამსახურში დამაშვრალ კაცს, ამავე ქვეყნის სახელით ბოლოს თვალის ჩინიც მოგთხოვონ და ამაში არაფერი იქნება საოცარი. ოღონდ უბედურება ის არის, რომ ამით არაფერი იცვლება. რამდენი მსხვერპლიც უნდა შესწირო, არა ჰყოფნის და სულ ახალსა და ახალ მსხვერპლს მოითხოვს.

ეს ამბავი უკვე აღარ უკვირს ზებულონს, მაგრამ როცა გაბედა და ამგვარი მსხვერპლის გაღებაზე კი უარი თქვა, მაშინვე ამუშავდა მექანიზმი, რომელიც თვალნათლივ გვაჩვენებს, რომ ამგვარ დახშულ წრეში აღმოჩენილ საზოგადოებაში ადამიანის სიცოცხლეს, ვინც უნდა იყოს ეს უკანასკნელი, გახვრეტილი გროშის ფასიც არა აქვს.

უარი თქვა თუ არა ზებულონმა თვალის ჩინის დათმობაზე, მაშინვე მთლიანად მისი სიცოცხლე დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ. მისი მოკვლისათვის დაწესებულმა ჯილდომ მთელი ქართლი ფეხზე დააყენა.

კაცი, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ გმირი იყო, რომელზედაც ლექსებს თხზავდნენ და რომელსაც ეთაყვანებოდნენ, დღეს უკვე ქვეყნის მოღალატისა და მტრის იარლიყით დაღდასმული დაეხეტება ტყე-ღრეში განწირული.

კაცმა რომ თქვას, არის კიდეც მოღალატე. ასე განსჯიდა კათალიკოსი და ასევე ჩათვლიდა ბექა ამილახვარიც, რადგან როცა სამშობლო მსხვერპლის გაღებას გთხოვს, უნდა გაიღო, რადგან საქართველოში დაიბადე და სხვა გზა არა გაქვს.

სხვა გზა, სხვა ხსნა არ არსებობს.

ამიტომაა, რომ არავინ ინტერესდება გუშინდელი გმირის დღეს უკვე მოღალატედ ასეთი ელვისებური მეტამორფოზირების არსით, რადგან არავის გააჩნია საკუთარი ნება და ვერ ახერხებენ ამაში აღმაშფოთებელი უსამართლობა დაინახონ, ხოლო თუკი ვინმე როგორღაც მაინც ხედავს, ამჯობინებს ჩუმად იყოს, რათა ახლა თვითონ არ აღმოჩნდეს მსხვერპლად შეწირულის როლში.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზებულონის მოკვლისათვის დაწესებულმა ჯილდომ მართლა მთელი ქვეყანა დააყენა ფეხზე, მისი დაჭერა ან მოკვლა შეუძლებელი შეიქნა. ოღონდ როდემდე ეხეტიალა ასე ტყე-ღრეში? მით უმეტეს, რომ ამ ქვეყნიდან გადახვენა აზრადაც არ მოსვლია — მუხას არ შეუძლია გადაადგილება.

* * *

სულ ბოლოს, მთელი ქვეყნისგან დევნილი, ერთიანად გამოფიტული და დაქანცული ზებულონი თავისი სოფლისკენ გასწევს. კარგად იცის, რომ მკვლელები პირველ რიგში სწორედ აქ იქნებიან ჩასაფრებულნი, მაგრამ ამას მისთვის მნიშვნელობა აღარა აქვს.

ჯერ არ გათენებულა.

დგას ზებულონი მთაზე, გადაჰყურებს ბინდში გახვეულ მშობლიურ სოფელს და ფიქრობს:

„ზებულონი, ჩანს, მარტო სხვათათვის დაიბადა, რადგან თავისი ყველაფერი წააგო. მას შემდეგ, რაც ბავშვობის ტკბილ ბურანს გამოსცდა, თავისთვის ერთი წამი არ უცხოვრია... განა ეწადა დაროაშვილების დახოცვა? მაგრამ დახოცა, ვინაიდან სოფელმა ჩუმი რისხვით უბრძანა, დახოცეო. განა წიგნი არ ერჩივნა ბრძოლას? მაგრამ ბრძოლაში დააღამა, ვინაიდან მანუჩარ ბატონიშვილმა უთხრა, ქვეყანას მეომარი სჭირდება და არა სწავლულიო.

განა უნდოდა, ქვეყნიერებაზე სულ მარტო დარჩენილიყო?..

აბა, ახლა სინანული რაღა დროსია, თორემ ყველაფერი უკუღმა უკეთებია ზებულონს. არ უნდა დაეხოცა დაროაშვილები... უნდა მისულიყო იოველ ბატონიშვილთან. ვითომ რატომ არ მიიღებდა? ნესტანი არ უნდა დაეთმო. ვინ მისცა ქვეყანას იმის ნება, ყველაფერი წაგართვას და აღარაფერი დაგიტოვოს?! ან ზებულონს ვინ მისცა იმის ნება, ის, ვინც თავისი შიში, თავისი იმედი, თავისი სასოება დანდობილად ჩააბარა, ვისიმე ბრძანებით გაეწირა?“

უკვე ძალიან გვიანია...

კათალიკოსი

ზებულონის ტრაგედიის არსი, თავად ჯემალ ქარჩხაძის მიერ შემოთავაზებული მეტაფორული ენით, ასეც შეიძლება გამოითქვას: იგი მთელი ცხოვრება მუხის როლს თამაშობდა, მაგრამ რეალურად არც მუხა ყოფილა ოდესმე და არც უნდოდა, რომ ყოფილიყო.

ამიტომ აღიქვამს იგი სიკვდილის წინ თავის ცხოვრებას, როგორც ცრუ და უსაგნო ჩვენებას და ამიტომვე უარყოფს მას, როგორც მცდარი ნაბიჯების გრძელ ჯაჭვს. შესაბამისად, იგი ორმაგი სიკვდილით კვდება — არც საკუთარ თავთანაა მართალი და არც ქვეყანასთან.

მაგრამ ეს ყველაფერი იმასაც ნიშნავს, რომ ის, ვინც შეძლებს ნამდვილ მუხად ყოფნას, შეიძლება თავისებურად ბედნიერადაც იგრ-

ძნოს თავი. ანუ მუხასავით დატყვევებული და საკუთარნებაწართმეული ადამიანისთვისაც შესაძლებელია ბედნიერების განცდა. საამისოდ საჭიროა ის, რაც ზებულონს აკლდა — მთლიანი, გაუბზარავი ცნობიერება.

თუმცა ამგვარი თანამიმდევრულობა ზებულონების საზოგადოებაში იმდენადვე იშვიათია, რამდენადაც ნაღდი ინდივიდუალისტის არსებობა. ჩვეულებრივ, ამ ორ უკიდურესობას შორის მოქცეული ადამიანები ზებულონივით ცდილობენ პირად და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის ხელშესახები და აშკარა წინააღმდეგობა არ შექმნან, რადგან მათ არც პირადი ინტერესების ბოლომდე დაცვა შეუძლიათ და არც მათზე მთლიანად უარის თქმა

ასეთი ტიპის საზოგადოებაში გაუბზარავი, მთლიანი ცნობიერება ისეთ ვითარებას გულისხმობს, როცა ადამიანს აზრადაც კი არ მოსდის, რომ შეიძლება პირადი, საზოგადოებრივთან დაპირისპირებული ინტერესები ჰქონდეს ანდა მთელი არსებით ცდილობს, რომ გააუქმოს, ნულამდე დაიყვანოს მათ შორის ყველა შესაძლო დაპირისპირება. ასეთები ხდებიან ერის წინამძღოლები, ბელადები, ქარიზმატული ლიდერები.

დაროაშვილების ამოხოცვის შემდეგ სოფელმა სწორედ ასეთ ადამიანად აღიქვა ზებულონი, მაგრამ ეს შეცდომა იყო. ზებულონი არ იყო შინაგანად მთლიანი ადამიანი.

საბედნიეროდ, ჯემალ ქარჩხაძის რომანი საშუალებას გვაძლევს ღრმად ჩავიხედოთ ასეთი ადამიანების სულშიაც. ერთ-ერთი მათგანია ქართლის კათალიკოსი.

* * *

ჩამოვიდა თუ არა ქართლში შაჰის მიერ მეფედ დანიშნული ისკანდერ-ხანი, კათალიკოსმა ჯერ საჯაროდ შეაჩვენა იგი, მერე ძვირფასი სამოსი შემოიძარცვა, ჯვალოს კაბა ჩაიცვა, ხელში ჯვარი აიღო, სოფელ-სოფელ დაიწყო სიარული და ხალხს მოუწოდებდა, ან ეხსნათ სამშობლო უსჯულოთაგან, ანდა ისე დახოცილიყვნენ, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანებსა და ქართველებს შეჰფერის.

ასეთი თანამიმდევრულობა და შეუპოვრობა უცებ გამოარჩევს კათალიკოსს, თუმცა ერთი შეხედვით, სრულიადაც არა ისე, როგორც თავად ისურვებდა. საქმე ის არის, რომ იგი დიდ შეცდომას უშვებს, თუკი ამას იმ იმედით აკეთებს, რომ ხალხიც ასეთ თანამიმდევრულ ნაბიჯს გადადგამს და ან იხსნის სამშობლოს უსჯულოთაგან, ანდა ისე დაიხოცებიან, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანებს შეჰფერით.

ასეთ შემთხვევაში კათალიკოსი იმ მწყემსს დაემგვანებოდა, რომელიც ძალიან ცუდად იცნობს თავის სამწყსოს და ამიტომ სულაც არ იმსახურებს მწყემსის პატივს. ცხადია, მას უნდა სცოდნოდა, რომ ეს ხალხი არც საკუთარი აქტიური ნების მქონე პიროვნებებისაგან შედგება და არც ნამდვილი მუხებისაგან. ისინი მხოლოდ ზებულონივით თამაშობენ მუხობას. შესაბამისად, კათალიკოსი თავისი მოწოდებით მხოლოდ ამხელს მათ ფარისევლობას. მხილება კი არასოდეს არავის სიამოვნებს.

ეს ხალხი მხოლოდ იმისთვისაა მზად, თინიასავით ჩუმი ნეტარებით დანებდეს ისეთ კაცს, რომელიც კი არ თამაშობს, მართლა მუხაა. ოლონდ თავად მას ნუ შეეხებით, მის ფარისევლობას ნუ ამხელთ, პირიქით, აქეთ და ადიდეთ, რაც არ შეუძლია და არასოდეს გაუკეთებია, ის მიაწერეთ.

მაგრამ, როგორც ჩანს, კათალიკოსს ეს თავგანწირული ნაბიჯი სრულიადაც იმიტომ არ გადაუდგამს, რომ იმედი აქვს ამ გზით ხალხის აჯანყებისა და ხსნის სხვა გზასაც ვერ ხედავს.

არა.

სხვათა შორის, კათალიკოსი ისკანდერ-ხანის მმართველობასა და დიდებულთა გამაჰმადიანებას სრულიადაც არ თვლიდა მომაკვდინებელ საფრთხედ — ეს ჭია ქვეყნის გულში გვიან აღწევსო, ეტყვის ის მოგვიანებით ზებულონს, რაშიაც ცამდე მართალი ბრძანდება. მაგრამ ზებულონს აზრად არ მოსვლია ეკითხა, თუკი ასე ფიქრობ, რაღა საჭირო იყო ისკანდერ-ხანის ჩამოსვლისთანავე ასე გამომწვევად მოქცევაო. ბუნებრივია, მეფეს მაშინვე მისი თავიდან მოშორების განზრახვა უნდა მოსვლოდა თავში. რაღა საჭირო იყო ასეთი მსხვერპლის გაღება?

ცხადია, კათალიკოსმა კარგად იცის, რა შეიძლება მოჰყვეს მის საქციელს და, როგორც ჩანს, სწორედ ამაზეა გათვლილი მისი გეგმაც. ისკანდერ-ხანი მართლაც აპირებდა მის მოკვლას, რასაც ალბათ მოჰყვებოდა მისივე წმინდანად შერაცხვა და მერე ალბათ ხალხის ეფემერული მღელვარებაც.

ძნელია ასეთ ვითარებაში კაცმა ზუსტი სახელი მოუძებნოს კათალიკოსის საქციელს, მაგრამ ფაქტია, რომ, პირველ რიგში, ის საკუთარ თავზე ფიქრობს, რისკენაც გამოუვალმა მდგომარეობამ უბიძგა.

რა ექნა, როგორ დაეღწია თავი იმ ირონიული ორაზროვნებისაგან, რომელშიაც იგი მაჰმადიანი მეფის ჩამოსვლის შემდეგ აღმოჩნდა? როგორ შეურიგდეს ქრისტიანი იერარქი ტახტზე მაჰმადიანი მეფის ჯდომას?

კათალიკოსი, როგორც ცუდი პოლიტიკოსი, მაგრამ პატიოსანი

ადამიანი, გადაწყვეტს ყურით მოთრეული ფარისევლური არგუმენტებით კი არ „გაამართლოს“ სამარცხვინო უმოქმედობა, არამედ აქტიური და თანამიმდევრული ქმედებით ფაქტობრივად წამებულის გვირგვინი დაიდგას. ანუ რომანის მეტაფორულ ენაზე, რეალურად შეეცადოს ნამდვილ მუხად იქცეს.

ამიტომ ცდილობს იგი კატეგორიული იმპერატივის სტატუსი მიანიჭოს თეზას, რომელიც მოკლედ და სასტიკი შეუვალობით აფუძნებს არსებულ რეალობას: ასე უნდა მოიქცეს, რადგან საქართველოში დაიბადა და სხვა გზა არა აქვს.

კათალიკოსი დაჟინებით იწყებს საკუთარი თავის მომზადებას უდიდესი მსხვერპლის გასაღებად. სხვანაირად როგორ შეძლოს, როგორ მოახერხოს ადამიანისათვის ასეთი არაბუნებრივი სურვილით განმსჭვალვა? როგორ გადალახოს სიცოცხლის უძლეველი წყურვილი, როგორ დაძლიოს სიკვდილის შიში? ‘ამშობლოს სიყვარულს, რაც უნდა დიდი იყოს ეს გრძნობა, ნორმალურ ადამიანში არ შეუძლია ავტომატურად განაპირობოს ეს გარემოება.

კათალიკოსი თვითშთაგონების გზას ირჩევს, რასაც ემსახურება მისი დაუსრულებელი მონოლოგები. იგი წამდაუწუმ გარდასულ ამბებსა და ძველ გმირებს იხსენებს:

„რაკი მათი გმირობა მხოლოდ ამბად გაგვიგია, — მიმართავს კათალიკოსი ზებულონს, რომელსაც ცოტა ხნის წინ იძულებით ასეთივე ხარისხის მსხვერპლი გააღებინეს, — ასე გვგონია, უჩვეულონი და განსაკუთრებულნი იყვნენ, შუბლზე გამორჩეულობის ბეჭედი ესვათ და სიცოცხლე არად უჩნდათ. ტყუილია. ეს ყველაფერი ჩვენივ მოგონილია. სინამდვილეში ჩვენებრ უბრალო ადამიანები იყვნენ, ჩვენსავით სიცოცხლე ერჩივნათ სიკვდილს, ჩვენსავით ეშინოდათ ტკივილისა და ზოგჯერ ჩვენსავით ჭოჭმანობდნენ. მაგრამ რა ექნათ: საქართველოში დაიბადნენ და სხვა გზა არა ჰქონდათ“.

კათალიკოსი თავისი განცდით აფიქსირებს გმირობის ქართულ მექანიზმს. ფორმულა იძულებითი და უსასტიკესია: საქართველოში დაიბადნენ და სხვა გზა არ ჰქონდათ.

არც მას აქვს სხვა გზა, არც ზებულონს და არც სხვა ვინმეს. მაგრამ ზებულონს თუ აიძულეს ამის გაკეთება, კათალიკოსი თავადვე ცდილობს მთლიანად ამ აზრით განიმსჭვალოს, უგზოობის ასეთი ახსნით აივსოს, თუმცა კი ძალიან უჭირს ამის გაკეთება.

ზებულონი მაშინ იგრძნობს ამას, როცა გაიცნობიერებს, რატომ ლაპარაკობს კათალიკოსი ასე ხშირად ძველ გმირებზე. რამდენჯერ

უნახავს, რომ კაცი სწორედ იმაზე ლაპარაკობს ყველაზე მეტი გატაცებით, რაც თავად არ გააჩნია. მაგრამ კათალიკოსმა მაინც თავისი გაიტანა, მაინც შეძლო ჭეშმარიტ მუხად გადაქცევა, რის გამოც, განსხვავებით სხვებისგან, ნამდვილად იმსახურებს პატივისცემას.

პირველად ამილახვარმა შეუშალა ხელი, რადგან ამით მის ვირტუოზულ გეგმას დაუპირისპირდა უნებლიეთ. მაგრამ მეორედ ვეღარავინ შეძლო მისი შეჩერება, რადგან ამჯერად ის ამილახვრის გეგმაში ერთ-ერთ მეორეხარისხოვან დეტალად ჩაჯდა.

ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანის პოზიციიდან არც ამჯერად ყოფილა აუცილებელი კათალიკოსის სიკვდილი. ამილახვარი ისედაც შეიტყობდა მოღალატის ვინაობას, ამიტომ ასეთი მსხვერპლის გაღება საქმისათვის აუცილებელი არ იყო. მაგრამ საქმე ის არის, რომ კათალიკოსი არც რიგითი ფარისეველივით ფიქრობს და არც მთლად ამილახვრის თვალით აღიქვამს მოვლენებს. მას ერთი წუთითაც არ ავიწყდება თავისი, როგორც კათალიკოსის პასუხისმგებლობა. იგი ფაქტობრივად აიძულებს მოღალატე ქართველს ხელი აღმართოს მასზე, რითაც მართლა ძალზე ღირსეულად გამოვა იმ ტიპიურად ქართული ორაზროვანი მდგომარეობიდან, რომელშიაც ისკანდერ-ხანის გამეფების შემდეგ აღმოჩნდა.

რა ექნა?

საქართველოში დაიბადა და სხვა გზა არ გააჩნდა.

ამილახვარი

ამილახვარსაც იგივე სამოქმედო პრინციპი აქვს, რაც კათალიკოსს, მასაც კარგად ესმის, რომ საქართველოში დაიბადა და სხვა გზა არ გააჩნია, მაგრამ მათ შორის მაინც დიდი განსხვავებაა. ფრიად დიდი ვაჟკაცობის მქონე, მაგრამ თავისებურად გულუბრყვილო კათალიკოსისაგან განსხვავებით, ვისი რიგორიზმიც ერთგვარ მამხილებელ ძალას იძენს ხალხისათვის, ამილახვარი უდიდესი მოქნილობით ახერხებს თავის პირად ადამიანურ ინტერესებსა და საზოგადოებრივს შორის ყოველგვარი განსხვავება წაშალოს. წინააღმდეგობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამიტომ განსაზღვრული დროიდან, სწორედ ეს უკანასკნელია ის ადამიანი, რომელიც ყველაზე საუკეთესოდ და ზუსტად გამოხატავს თავისი ხალხის ნებას. შესაბამისად, დიდი ხნის მანძილზე სწორედ ამილახვარია ქართლის უგვირგვინო მეფე, უჩინარი, მაგრამ ყოვლისშემძლე დირიჟორი, რომლის ხელის ერთი აქნევით იმართებიან ადამიანები.

განსხვავებით კათალიკოსის პირქუში და ხისტი დეტერმინიზმისაგან, რომელიც მხოლოდ აფრთხობს და გულს უწყალებს ადამიანებს, ამილახვარი, ყველა პოლიტიკოსის მსგავსად მოქნილი და აზარტული მოთამაშეა. ამიტომ, როცა ზებულონს აიძულებს დათმოს საყვარელი ქალი, ამ ქვეყანაზე მარტოდმარტო დარჩენილსა და სასოწარკვეთილების უფსკრულში გადაჩეხილ ისახარის უბედურ ვაჟსაც შესთავაზებს, ამ თვალით შეხედოს ცხოვრებას.

რა თქმა უნდა, რიგითი ადამიანისათვის ეს უფრო მიმზიდველად გამოიყურება, ვიდრე კათალიკოსის მაქსიმალიზმი, მაგრამ თავად პოლიტიკოსის უძლიერესი ვნებით შეპყრობილ ამილახვარს არ ესმის და არც უნდა გაიგოს, რომ ზებულონის ხედვა სრულიად განსხვავებულია. ის, რაც ამილახვრისთვის ნაკლებმნიშვნელოვანია და რაზეც შედარებით იოლად ამბობს უარს, რათა მერე საკომპენსაციოდ სახელი და დიდება მიიღოს, ზებულონისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

რისკს კი მართლაც ეწევა ამილახვარი, თანაც უდიდესს.

ისკანდერ-ხანმა ნებისმიერ მომენტში შეიძლება შეიტყოს მისი ჭეშმარიტი განზრახვა და ისე მოხდეს, რომ ამილახვარი ქვეყნის ორგულად მოკვდეს, ანუ ყველაფერი, მთელი ცხოვრების საქმე, წყალში ჩაეყაროს. მართლაც დიდი ფსონია, მართლა იოლად შეიძლება თავის წაგება.

მაგრამ სწორედ ამაში ჩანს მისი ბუნება.

ამილახვარი დიდ თამაშს თამაშობს, რომელსაც დევიზად შეიძლება ეს სიტყვებიც გამოადგეს — ან ყველაფერი, ან არაფერი.

„იქნებ მე ისე მოვკვდე, — ეუბნება იგი ზებულონსა და ნესტანს, — მთელ ქართლს საწყევრად დავრჩე, როგორც ქვეყნის ორგული. თქვენც ბევრი იძახოთ, ერთგული იყო, ორგული არ ყოფილაო, ვინ დაგიჯერებთ! მაგრამ რა ვუყო, ქვეყანას ეგრე უბრძანებია და მეც დავმორჩილდი...“

ამილახვარსაც უყვარდა ქალი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისკანდერ-ხანს ჩამოჰყვა ირანიდან და თან მისი მარჯვენა ხელის როლსაც ასრულებს, ქალმა ცხვირი აუბზუა და ცოლადაც სხვას გაჰყვა. ისე ოსტატურად ასრულებს ბექა თავის როლს, რომ ქალმაც იგივე შეცდომა დაუშვა, რაც თითქმის მთელმა ქვეყანამ — მასაც ისკანდერ-ხანის ერთგული ჰგონია ამილახვარი.

მაგრამ ამილახვარი უმოწყალოდ ცრუობს, როცა თავისი ცხოვრების ამ ეპიზოდს ზებულონის სიყვარულს ადრის და მისგანაც მსხვერპლის გაღებას მოითხოვს.

განა ამილახვრის მიერ გაღებული მსხვერპლი, გარეგნული მსგავსების გარდა, რითიმე შეედრება ზებულონისას?

განა არ შეეძლო ამილახვარს საყვარელი ქალისთვისაც გაემხილა თავისი განზრახვა, ზებულონსა და ნესტანს ხომ გაუმხილა?

მაგრამ არ აკეთებს ამას, თუმცა იცის, რომ ამის გამო საყვარელ ქალს კარგავს. იგი ამჯობინებს ეს შემთხვევაც თავისი თამაშის ნაწილად აქციოს, ანუ იმისთვის გამოიყენოს, რათა კიდევ უფრო განიმტკიცოს თავისი, როგორც ისკანდერ-ხანის ერთგული კაცის რეპუტაცია.

დიდმა მოთამაშემ იცის, რომ შეყვარებული ქალის მიერ მისთვის ზურგის შექცევის მიზეზი შეუმჩნეველი არ დარჩება და ისკანდერ-ხანის თვალში საბოლოოდ წაშლის იმ ეჭვებსაც, რაც მას ამილახვრის ერთგულებასთან დაკავშირებით შეიძლებოდა გასჩენოდა. ზებულონსა და ნესტანსაც მხოლოდ იმიტომ გაენდო, რომ ამ ორი ადამიანის სუსტი მცდელობა, ერთმანეთთან და ერთმანეთში იპოვონ ჩვეულებრივი ადამიანური ბედნიერება, მოულოდნელად „ქვეყნის ნაბრძანების“ აღსრულებას დაუპირისპირდა.

ერთი სიტყვით, ამილახვარი იმდენად თანამიმდევრულია „ქვეყნის ნაბრძანების“ აღსრულებაში, რომ საყვარელი ქალი უკვე საკუთარი ინიციატივით, თამაშის ინტერესებიდან გამომდინარე, დათმო. განა მას კი არ უყვარდა? განა ის კი ხორციელი არ იყო? მაგრამ როგორც ერთი ძველი ჭეშმარიტება ღაღადებს, ამ რანგის პოლიტიკოსისათვის ერთადერთი ნამდვილი ვნება ძალაუფლებაა. ქალს, შეყვარებული იქნება იგი თუ ცოლი, ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლის შესრულება არ შეუძლია. პოლიტიკოსის ფასეულობათა სისტემა სხვა თარგზეა გამოჭრილი. ის, რაც მან უნდა მიიღოს თავისი თამაშიდან, გაცილებით მეტია ერთი ქალის სიყვარულზე. წარმატებული თამაშის შედეგები, სხვა დანარჩენთან ერთად, თავის თავში გულისხმობს უამრავი ქალის აღტაცებასა და სიყვარულს.

ამქვეყნად ყველაფერს თავისი ლოგიკა აქვს. ამილახვრის მიერ საყვარელი ქალის დათმობა იმ ვითარებაში, როცა მას შეეძლო არც გაეკეთებინა ეს, იმაზე მეტყველებს, რომ იგი ყველაფერს საქმის ინტერესებს ანაცვალებს, ამიტომ აუცილებლად უნდა გაიმარჯვოს კიდეც.

ასეც მოხდა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამილახვრის თითქმის არაადამიანურ თანამიმდევრულობას „ქვეყნის ნაბრძანებისა“ და მისი პირადი ინტერესების გაერთიანება კვებავს. ეს სინთეზი იმდენად იდეალური ხასიათისაა, რომ ამილახვარს სურვილიც კი აღარა აქვს თავისთვის რაიმე კერძო, პირადული ნვრილმანი დაიტოვოს სულის მოსათქმელად.

მსგავსიც კი არაფერი.

ამიტომ ამილახვარს თითქმის არ გააჩნია ადამიანური სისუსტეები. მისი დამარცხება შეუძლებელია.

შესაბამისად, ქვეყანაც მის ფეხთითაა გართხმული. მეტიც, მან თვით ირანის შაჰიც კი აიძულა მის ნებას დამორჩილებოდა. ამიტომ მისი ტრიუმფი ყოვლისმომცველია. იგი სიცოცხლეშივე ეროვნული გმირი ხდება, ხოლო ისპაჰანში აღმართული ეშაფოტი სხვა არაფერია, თუ არა კარი, რომლითაც მან პირდაპირ ისტორიაში უნდა შეაბიჯოს.

ვისაც შეუძლია, წარმოიდგინოს, ასეთ ვითარებაში რა უნდა ეგრძნო ქალს, რომელმაც თავის დროზე უკუაგდო ეს კაცი, როგორც ქვეყნის ორგული.

დიახ, ამილახვარი მართლაც ბოლომდე განხორციელებული კვდება. მან ბოლომდე განახორციელა ყველა თავისი ნიჭი და უნარი და მოსავალიც შესაბამისი მოიმკო. მაგრამ სიკვდილი მაინც გარდაუვალი შექნილა. კარგა ხანი თავად იყო მთავარი ქურუმი, მსხვერპლიც მხოლოდ მის ხელში გადიოდა. ზებულონი, ნესტანი და თავისი საყვარელი ქალიც თავადვე დააკლა მოლოხის სამსხვერპლოს.

მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ როცა მისმა ჟამმაც ჩამოჰკრა, უდრტვინველად ავიდა ეშაფოტზე. ისპაჰანისაკენ თავისი ფეხით სასიკვდილოდ მიმავალი ამილახვარი ზებულონივით გაღიზიანებული არ ფიქრობს — მაინც რა არის ასეთი ეს ქვეყანა, რომ, რამდენიც უნდა ემსახურო, არა ჰყოფნის და სულ ახალსა და ახალ სამსახურს ითხოვსო.

სწორედ ეს გვიდასტურებს იმას, რომ განსხვავებით ზებულონისაგან, ამილახვარი ნამდვილი მუხაა, უდიდესი და უძლიერესი, მაგრამ მაინც მუხა, ანუ ტყვე, ვისი სიამაყეც ყალბი და ილუზორულია, ძალა — უქმი, მოთმინება კი უძლური და შემგუებლური, ამიტომაც არც არავითარი ფასეულობის მქონე.

ასეა იმიტომ, რომ მიუხედავად ამილახვრის ფენომენალური მოქნილობისა და ზეადამიანური თანამიმდევრულობისა, ქვეყანაში არ იცვლება ის, რაც სისტემატურად მოითხოვს ადამიანთა მსხვერპლშეწირვას.

დახშული წრე არ ირღვევა.

სამსხვერპლო ისევ ისე რჩება აღმართული და ახალ-ახალ მსხვერპლს ელოდება.

ისკანდერ-ხანი

ისკანდერ-ხანი, ვისი ქართლიდან გაძევებისთვისაც ბექა ამილახვარმა ამდენი ენერგია დახარჯა და ამდენი ადამიანი გააუბედურა, უცხოელი არ ყოფილა. ქართველი მეფის ერთ-ერთი ძე ჯერ კიდევ ათი წლის ბავშვი იყო, როცა შაჰის კარზე გაისტუმრეს ირანში. იგი იქ გაიზარდა, იქ ჩამოყალიბდა კაცად და ალბათ უკან დაბრუნებას აღარც იფიქრებდა, რომ არა ილბალი თუ შაჰის პოლიტიკური ინტრიგები. ერთი სიტყვით, ერთ მშვენიერ დღეს ის კვლავ ქართლში აღმოჩნდა, ოღონდ ამჯერად როგორც მისი მეფე.

ქრისტიანულ ქვეყანაში მაჰმადიანი მეფე, რა თქმა უნდა, მხოლოდ შინაგანი განხეთქილებისა და დესტაბილიზაციის მიზეზი ხდება. ეს გარემოება თავად ისკანდერ-ხანსაც კარგად ესმის, მაგრამ არა მარტო არ შეუძლია რაიმეს შეცვლა, რომც შესძლებოდა, მაინც არ შეცვლიდა.

ისკანდერ-ხანი დარწმუნებულია, რომ აქვს საამისო საფუძველი.

იგი ქართველ დიდებულებს ასე მიმართავს:

„განა ჩემი ბრალია, რომ მუსულმანი ვარ? განა ქართველებმა არ გამამუსულმანეთ? როდესაც ჩემი ძმა ტახტზე ავიდა და ირანის მზემ მძევალი მოითხოვა, აკი მთელმა დარბაზმა ერთხმად ჩემკენ გამოიშვირა ხელი! რატომ მაშინ კი არავინ შეხედა მეფეს ეგრე ცერად და ამრეზით? მუხლებში რად არ ჩაუვარდა და არ შეევედრა: ნუ, მეფეო, ნუ ინებებ ათი წლის ბალღის მძევლად მიცემას. პატარაა ჯერ, არც რწმენის გაეგება რამე და არც ქვეყნისა. ვაითუ ცდუნებამ სძლიოს და გამუსულმანდეს! ახლა გაგახსენდათ ჩემი ქრისტიანობა სპარსად რომ გავიზარდე, მაჰმადის ჭეშმარიტ სჯულს ვეზიარე და ალაჰის მხედარი შევიქენ? ახლა მაყვედრით? განა საქართველოდან რომ გულგრილად გამისტუმრეთ, ამით რჯულის შეცვლა არ მომთხოვეთ? მაშ, რაღა გინდათ? მაშინ ისე გენადათ, ახლა კი ასე გწადიათ, და, როცა როგორ გწადიათ, მეც ისე უნდა მოვიქცე? ვერა, მე მუსულმანი ვარ და მუსულმანად მოვკვდები...“

ამ მწარე სიმართლეს მორიგი მსხვერპლი ლაპარაკობს.

ვის მოუბრუნდება ენა პირში და ვინ იტყვის, რომ ისკანდერ-ხანი მართალი არ არის? მაგრამ ვის აინტერესებს ერთი კაცის სიმართლე (თუნდაც მეფე იყოს იგი) იმ საზოგადოებაში, სადაც მხოლოდ კოლექტიური სიმართლე არსებობს?

ასეა, მაშინ ისე ეწადათ, ახლა კი ასე სწადიათ, და, როცა როგორ სწადიათ, ისკანდერ-ხანიც ისე უნდა მოიქცეს. ვის ან რას ძალუძს ამ საოცარი ლოგიკის გაუქმება?

როგორც ჩანს, არც თავად ამ უბედურ ისკანდერ-ხანს ესმის კარგად, რა ხასიათის ძალას უპირისპირდება. მის ცნობიერებაში სიტყვებს „საქართველოში დაიბადნენ და სხვა გზა არ ჰქონდათ“, ან „რა ვქნა, ქვეყანამ ეგრე მიბრძანა და მეც დავმორჩილდი“, თუმცა კარგად იცნობს ამ ლოგიკას, გახვრეტილი გროშის ფასიც არა აქვს. ოღონდ, სამწუხაროდ, არა იმიტომ, რომ თავისუფალი პიროვნებაა და ადამიანის ღირსების ასეთი ჩაწიხვლა აღაშფოთებს.

იგი თავს უფლებას აძლევს ხმამაღლა და აშკარად დაუპირისპირდეს უმრავლესობის ასეთ ტირანიას იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ამ საზოგადოების ნაწილად აღარ მიაჩნია თავი და თან ზურგს უკან ძლევამოსილი შაჰის სუნთქვას გრძნობს.

მაგრამ ისკანდერ-ხანი მწარედ ცდება.

მას რომ ცოტა მეტი ეფიქრა იმ ძალის არსზე, რომელიც ამ სიტყვების უკან იგულისხმება და რომელსაც ასეთი საკრალური მოწიწებით ეპყრობიან ყველანი, დიდნი თუ მცირენი, კათალიკოსი იქნება ეს, ამილახვარი, ზებულონი თუ ნესტანი, უეჭველად უფრო ფრთხილად მოიქცეოდა.

მაგრამ შაჰის უზარმაზარი სამხედრო ძალით გულმოცემული ისკანდერ-ხანი თამამად უპირისპირებს თავის პიროვნულ სიმართლეს საზოგადოებრივ ნებას და ვერ ხვდება, რომ ამით ფაქტობრივად საკუთარ განაჩენს აწერს ხელს.

მაშ ასე, ისკანდერ-ხანს არ უნდა დაემორჩილოს ოდესღაც თავისი სამშობლოს, ახლა კი თავისი საბრძანებლის უმთავრეს პრინციპს — ქვეყანას მაშინ ასე სურდა, ახლა კი ასე სურს, და როცა როგორ მოესურვება, ყოველი ადამიანიც ისე უნდა მოიქცეს. ამიტომ აუცილებლად უნდა დაიღუპოს, რადგან ვერ ითვალისწინებს, რომ საქართველოს მეფეა და სხვა გზა არა აქვს.

აკი დაიღუპა კიდეც.

ყოველთვის გამოჩნდება რომელიმე ამილახვარი, რომელიც არც სხვებს დაზოგავს და არც საკუთარ თავს, ყველას და ყველაფერს გაიმეტებს და ისკანდერ-ხანს მაინც დაღუპავს.

პრინციპი კი უცვლელი დარჩება.

კიდევ ერთი, ამჯერად უკანასკნელი მიმართვა მკითხველს

ასეა.

პრინციპი საუკუნეების განმავლობაში უცვლელი რჩება.

ადამიანთა უმრავლესობა იძულებულია მუხის როლი ითამაშოს, მხოლოდ ცალკეულებს შეუძლიათ ნამდვილი მუხობა, შესაბამისი შედეგებითურთ.

დრო და ჟამი მხოლოდ ფორმებს ცვლის. მუხის როლის თამაშისა და განმუხების ფორმებს.

პრინციპი კი კვლავ და კვლავ უცვლელია.

ლუთერისა არ იყოს, ეტყობა, ჩვენც აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს.

დღეს რომ ამ თემაზე ხმამაღლა ვახერხებთ საუბარს, ეს ნუ შეგაცდენთ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრინციპმა განიცადა მეტამორფოზა. აქაოდა, რაც უნდა იყოს, თითქოს მაინც 21-ე საუკუნეაო.

რა სათქმელია.

ვისთვის 21-ეა და ვისთვის მე-17.

მოჩვენებითი და ნამდვილი მუხების ქვეყანაში თავისუფლება ის არის, როცა ვისაც რა გასდის, იმას აკეთებს. როცა განმკითხავი აღარავინაა. მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ მოლოხის სამსხვერპლო არ დანგრეულა, არ გაუქმებულა, უბრალოდ ცოტა ხნით დავივინყეთ თავაშვებულობით თავბრუდახვეულებმა. სინამდვილეში ისევ მოლოხის ტყვეობაში ვართ, რადგან, როგორც ჩანს, თავაშვებულობად გაგებული თავისუფლებით დათესილი ქაოსის წესრიგად გარდაქმნა მხოლოდ მას შეუძლია.

ეტყობა, პიროვნების თავისუფლება მხოლოდ „თავკერძა“ ხალხებში არ თესავს ქაოსს.

ჩვენ კი ვამჯობინებთ ისევ ბაზალეთის ტბის ბნელ ფსკერზე დადებული ოქროს აკვნისკენ მივმართოთ იმედიანი მზერა, რადგან სინამდვილეში არაფერი იცვლება.

ეს ყველაფერი თითქოს არც არასოდეს დაწყებულა და არც არასოდეს დამთავრდება.

თითქოს მართლა არაფერი იცვლება.

1994-2001

ორი მგზავრობა რუსეთიდან საქართველოში

1.

უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში, ვინ იცის, რამდენ ჩვენს თანამემამულეს გაუვლია ეს გრძელი გზა. აქედანაც მიემგზავრებოდნენ და უკანაც ბრუნდებოდნენ. მგზავრობდნენ ცხენებით, ურმებით, სამდინარო გემებითაც კი. მერე მატარებლებით, ავტომობილებით, თვითმფრინავებით.

მართლაც ვინ იცის, რამდენ ადამიანს გაუვლია ეს დამქანცველი გზა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ორი მათგანის მგზავრობის ამბავი გვაინტერესებს, მით უმეტეს, რომ ორივემ საჭიროდ ჩათვალა ამ დამღლელი მგზავრობის ერთი მცირე მონაკვეთი აღეწერა და შთამომავლობისთვის დაეტოვებინა.

ერთი მგზავრობა მე-19 საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში შედგა. თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

კავკასიური გარეგნობის, მაგრამ ევროპულად გამოწყობილი ახალგაზრდა ბატონი ზუსტად ისე მოემგზავრება პეტერბურგიდან თბილისს, როგორც იმ დროს მგზავრობდნენ — დანჯღრეული „პოვოსკითა" და ასეთივე გზებით. მაგრამ ამ ვითომდა არაფრით გამორჩეული მგზავრობის ამბავი ჩვენში საყოველთაოდაა ცნობილი იმ მომცრო ტექსტის წყალობით, რომელსაც ხსენებულმა ახალგაზრდა ბატონმა „მგზავრის წერილები" დაარქვა.

მეორე მგზავრობა მე-20 საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევარში შედგა.

ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არც ამჯერად მომხდარა რამე. აშკარად კავკასიური გარეგნობის, მაგრამ ევროპულად გამოწყობილი ახალგაზრდა ბატონი რუსეთის დედაქალაქიდან საერთაშორისო ვაგონით მოემგზავრება თბილისში, რადგან გადანყვიტა შეძლებისდაგვარად სასიამოვნოდ ემგზავრა.

პირველი მგზავრობიდან მეორემდე თითქმის ერთი საუკუნეა გასული, ამიტომ აღარც ის არის გასაკვირი, რომ ის საშინელი „პოვოსკა"

თავისი დაღრეჯილი „იამშჩიკით“ უკვალოდ გამქრალა და ახლა ეს უზარმაზარი სივრცე შეიძლება ისე გადასერო, რომ გზაში დაისვენო კიდეც.

როგორც უკვე ითქვა, თავისი მგზავრობის პატარა მონაკვეთის აღნერა ამ ახალგაზრდა ბატონმაც ჩათვალა საჭიროდ, სათაურიც ცოტა უცნაური — „I დიალოგი ვრცელი რემარკებით“ — შეურჩია, მაგრამ ჯერჯერობით ეს ამბავი ლიტერატორთა ვიწრო წრის გარდა, თითქმის არავისთვის არ არის ცნობილი.

ჯერჯერობით.

ჯერჯერობით იმიტომ, რომ მომავალში შეიძლება ისეთი მნიშვნელოვანი გახდეს, პოპულარობით პირველი მგზავრობის ამბავსაც კი გაუთანაბრდეს.

თამამი განცხადებაა?

შეიძლება, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გასულ საუკუნეში ჩვენს მწერლობაში თუკი ვინმეს არ ჰქონია ილია ჭავჭავაძეობის პრეტენზია, უპირველესად, სწორედ გურამ ასათიანი იყო.

და მაინც, ნება მომეცით, ჩემს აზრზე დავრჩე, რადგან გურამ ასათიანის ეს მართლაც უცნაური ტექსტი, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილები“, სცილდება ერთი კონკრეტული, თუნდაც ძალზე საინტერესო მგზავრობის აღწერას და ჩვენი კულტურის კონტექსტში საეტაპო მნიშვნელობას იძენს.

2.

„I დიალოგი ვრცელი რემარკებით“ უჩვეულოა მრავალი თვალსაზრისით.

უპირველესად, ეს არის „მგზავრის წერილების“ თანამედროვე, მე-20 საუკუნის, ვარიანტი. მართალია, გურამ ასათიანს არასოდეს ჰქონია შეხება პოსტმოდერნიზმთან, მაგრამ თუკი ამ მხატვრული სტილის ენას გამოვიყენებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გახლავთ ილია ჭავჭავაძის ქრესტომათიული ტექსტის „ხელახლა გადაწერილი“ ვარიანტი.

მაგრამ ეს გარემოება ამ ორი ტექსტის მხოლოდ გარეგნულ მსგავსებას არ გულისხმობს, თუმცა, ცხადია, ესეც ძალზე მნიშვნელოვანია.

ერთი სიტყვით, „ხელახლა გადაწერაში“, მხოლოდ იმას არ ვგულისხმობ, რომ „მგზავრის წერილების“ მთავარი გმირივით, „I დიალოგის“ პერსონაჟიც რუსეთში მიღებული განათლების შემდეგ, მოღვაწეობის სურვილით ანთებული ბრუნდება საქართველოში.

გაცილებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „I დიალოგის", როგორც ავტონომიური ტექსტის, ღრმად გააზრება შეუძლებელია, თუკი ათვლის წერტილად „მგზავრის წერილები" არ ვიქონიეთ.

ამ თვალსაზრისით, გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რითი ჰგვანან ერთმანეთს ამ ორი ტექსტის პერსონაჟები, არამედ იმას, რითიც განსხვავდებიან.

საინტერესოა, რომ მსგავსება თუ გარეგანია, განსხვავება შინაგანი ხასიათისაა, ანუ გაცილებით მნიშვნელოვანი და ცხადად გვაჩვენებს იმ ცვლილებას, რაც ამ ერთი საუკუნის განმავლობაში მომხდარა ჩვენს კულტურულ სივრცეში და, შესაბამისად, ჩვენს ცნობიერებაში.

ეს ცვლილება ასეც შეიძლება ჩამოყალიბდეს: ის, რაც განსაზღვრავდა „მგზავრის წერილების" პერსონაჟის აზროვნების ორიგინალობას, მისი პიროვნების ძალასა და მომხიბვლელობას, „I დიალოგის" მგზავრს უკვალოდ დაუკარგავს.

ანუ ის, რაც „მგზავრის წერილების" მთავარი გმირის პროტოტიპს, თავად ამ ტექსტის ავტორს აიძულებდა, მიუხედავად სამშობლოს სიყვარულისა, მის ღირსებებთან ერთად, არც ნაკლზე დაეხუჭა თვალი, „I დიალოგის" გმირის თავისებური პროტოტიპის, თავად გურამ ასათიანისთვის შეუძლებელი გამხდარა.

მიუხედავად იმისა, რომ ნაკლს ეს უკანასკნელიც არანაკლები სიცხადით ხედავს და ისიც კარგად ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია მათი რეფლექსიის საგნად ქცევა, რაღაც მიზეზის გამო ამაზე პირდაპირ და ხმამაღლა საუბარი აღარ შეუძლია.

სწორედ ეს გახლავთ „I დიალოგის" მთავარი სათქმელიც და „მგზავრის წერილების" „გადაწერის" უმთავრესი აზრიც.

მაგრამ ამ გარემოებას კარგად გაცნობიერება სჭირდება.

ის, რაც ასე ბუნებრივი იყო ილია ჭავჭავაძისა და მისი პერსონაჟის დისკურსისათვის, კერძოდ, სამშობლოს სიყვარულისა და რაციონალური აზროვნების, იმავე გრძნობისა და გონების ჰარმონიული სინთეზი, რაღაც ძალას გურამ ასათიანსა და, შესაბამისად, მის პერსონაჟშიც, შუაზე გაუხლეჩია და მათ შორის გადაულახავი წინააღმდეგობა წარმოუქმნია.

ემოციურ დისკურსს, რომელიც მიდრეკილია სიყვარულის ობიექტის გაღმერთებისკენ და რომელსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მისი რაციონალური შემეცნება თავისი ნაკლითა და ღირსებით, თითქმის მთლიანად გაუძევებია ჩვენი კულტურული სივრციდან რაციონალური დისკურსი.

როგორც ჩანს, გურამ ასათიანს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ეს ვითარება. მაგრამ მის წარმოსაჩენად საკმარისი არ იქნებოდა ის,

რასაც „მგზავრის წერილების“ „გადაწერაში“ ვგულისხმობ. ეტყობა, სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ჩვენი კულტურული სივრციდან გაძევებული რაციონალური დისკურსის პროტაგონისტად ერთი ძალზე უცნაური და საიდუმლოებით მოცული პერსონაჟის შემოყვანა.

ერთი სიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ „მგზავრის წერილების“ მონოლითური გმირი შუაზე გახლეჩილა და „I დიალოგის“ პერსონაჟი იმ საიდუმლოებით მოცული თანამგზავრის სახით შეიძლება საკუთარ არაცნობიერსაც ეკამათება.

ასეა თუ ისე, ეს იმას მოასწავებს, რომ მე-20 საუკუნის ქართული კულტურა ილია ჭავჭავაძის მონოლითური დისკურსიდან იღებს მხოლოდ მის ემოციურ ნაწილს და იატაკქვეშეთში ერეკება რაციონალურს.

მაგრამ ვინ არის ის საიდუმლოებით მოცული პერსონაჟი, რომელმაც გურამ ასათიანის ჩანაფიქრით ჩვენი კულტურის მიერ შერისხული რაციონალური რეფლექსია უნდა განასახიეროს?

3.

ეს არის ორმოცდაათიოდე წლის სოლიდური გარეგნობის მამაკაცი, ჩვენი მგზავრის ასვლამდე რომ მოუსწრია საერთაშორისო ვაგონის კუპეში მყუდროდ მოწყობა.

ერთი შეხედვით უცხოელის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ არა მარტო ქართულად ლაპარაკობს მშვენივრად, ასევე კარგად იცნობს ჩვენს მწერლობასაც. უცნობი თბილ წუღებსა და ატლასის გრძელ, მწვანეზოლებიან ხალათში გამოწყობილა, ოდნავ შეევრცხლილი ბლანჟე აქვს და მარცხენა ხელზე ორ მსხვილ ბეჭედს ატარებს.

ნურც იმას დაივიწყებთ, რომ ეს ბატონი, ასე მყუდროდ რომ მოკალათებულა კუპეში, რადიოთი „ფაუსტის“ მეორე მოქმედებას უსმენს და თან მონტენის „ცდების“ ძველი ფრანგული გამოცემის კითხვით იქცევს თავს.

მე მგონი, გამჭვირვალე რემინისცენციებია.

ამიტომ, თუკი ყურადღებით გადაიკითხეთ ამ ბატონის გარეგნული აღწერილობა, მაშინ, ვფიქრობ, აღარ გაგიჭირდებათ მასში იმ დიადი ძალის ნაწილის ამოცნობა, ვისაც, გოეთეს თქმით, მუდამ ავი სურს და კეთილს სჩადის.

განა ასე არ არის?

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს მეფისტოფელი არ გახლავთ.

ვფიქრობ, თუკი ოდესმე ერთხელ მაინც წაგიკითხავთ ბულგაკოვის ყველაზე ცნობილი ქმნილება, მაშინ ამ შევერცხლილბლანჟეიან სოლიდურ მამაკაცში, ერთი შეხედვით უცხოელის შთაბეჭდილებას რომ ტოვებს, მისი უწმინდურება, ბატონი ვოლანდის ტიპის არსების ამოცნობა აღარ გაგიჭირდებათ.

საიდან სადაო?

არ დაგავიწყდეთ, ეს არც უმიზნოდ კეთდება და არც ბულგაკოვის ან სხვა რომელიმე ავტორის უნებლიე და გაუცნობიერებელი გავლენის შედეგი არ არის.

გარდა ამისა, ნუთუ არ გახსოვთ, როგორ გაუცრუა იმედი ვოლანდს მოსკოვურმა საზოგადოებამ? როგორ ჩაიქნია ხელი ამდენ გაუგებრობაზე, სირეგვნეზე, ღალატზე, სულმოკლეობასა და იდიოტიზმზე?

იქნებ ახლა ჩვენი საყვარელი სამშობლოს მონახულებას აპირებს? იქნებ აქ იპოვოს ის, რასაც ეძებს: პირობითობებისგან მაქსიმალურად თავისუფალი, მოაზროვნე, სულგრძელი ადამიანები? და რაკი თავისი ყოვლისმხედველი თვალით დაინახა, რამდენიმე დღის წინ როგორი წარმატებით დაიცვა ჩვენმა ახალგაზრდა მგზავრმა საკანდიდატო დისერტაცია, გადაწყვიტა მას დამგზავრებოდა.

რა სჯობია სასიამოვნო, განათლებულ და დახვეწილ ადამიანთან ერთად მგზავრობას? მით უმეტეს, ისეთთან, ვისაც ეს-ეს არის დაუსრულებია სწავლა-განათლება და ახლა სამშობლოს საკეთილდღეოდ აპირებს თავისი ნიჭის, უნარისა და შეძენილი ცოდნის გამოყენებას.

ვოლანდსაც მეტი რა უნდა? სწორედ ასეთ ადამიანებს ეძებს, მაგრამ...

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მესირს აშკარად არ სწყალობს ბედი.

არც ამჯერად გაუმართლა.

ასე რომ, თავის ახალგაზრდა თანამგზავრთან რამდენიმე საათის საუბარი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რათა მესირს საქართველოში ჩამოსვლა გადაეფიქრა, ტიხორეცკაიაში გაჩერებული მატარებლის სახურავზე სულ ნაპერწკლების ყრით ამძვრალიყო, მოსჯდომოდა თავის ცოცხს და უგზო-უკვლოდ გადაკარგულიყო.

ეს ყველაფერი, ცოტა არ იყოს, მოიდიოტო გამყოლმა თავისი თვალით დაინახა.

თუმცა ჯანდაბას გამყოლი.

მთავარი ის არის, რა დაინახა მესირმა ჩვენს მგზავრში ისეთი, რომ არათუ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსვლა გადაიფიქრა, თავის თანამგზავ-

რთან საუბრის გაგრძელების ყოველგვარი სურვილიც გაუქრა და ისე უგზო-უკვლოდ გადაიკარგა, რომ დღემდე აღარსად ჩანს მისი კვალი.

4.

ის, რაც დაინახა მესირმა, არის კიდეც ამ პატარა, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი ესეის სათქმელი. ამაზე ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ, მაგრამ მივყვეთ თანამიმდევრობით.

გახსოვთ, კავკასიონზე გადმომდგარი ი. ჭავჭავაძის მგზავრი ქვემოთ, ნისლსა და ჯანღში ჩაკარგულ თავის დაჩაგრულ სამშობლოს რომ გადმოხედავს, როგორი ეჭვები შეიპყრობს?

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე?.. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს...“

ვერაფერს იტყვი, მართლაც მტანჯველი ეჭვებია, გულისა და გონების გამთანგავი...

მაგრამ აუცილებელი.

როგორც ძველისძველი დროიდან ამბობენ, აზროვნება საერთოდ ეჭვიდან იწყება. ეჭვი აიძულებს ადამიანს ფიქრს, განსჯას, საერთოდ, რეფლექსიას და განსაკუთრებით მნიშვნელოვან — თვითრეფლექსიას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ კულტურაში ეჭვის, სკეფსისის, საერთოდ, რაციონალიზმის ლეგიტიმურობის შეგნება იყო ის საფუძველი, რის გამოც „კაცია-ადამიანსა?!“ და „ბედნიერი ერის“ ავტორზე არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არ უთქვამს, სამშობლო არ უყვარსო.

მაგრამ მე-20 საუკუნის 50-იანი წლების მგზავრი არათუ თავისუფალია ყოველგვარი ეჭვებისაგან და ერთი წამითაც არა გრძნობს მათ რაიმე საჭიროებას, თითქმის სამშობლოს ღალატადაც კი მიაჩნია მათი წინ წამოწევა და რეფლექსიის საგნად გადაქცევა. მაგრამ ჩვენს მესირს განსაკუთრებით არ უყვარს ასეთი სირაქლემას მეთოდები და იძულებული ხდება ერთ დიდ ეჭვად გადაიქცეს თავისი თანამგზავრისათვის.

ოღონდ არ გეგონოთ რაღაც მარადიულ პრობლემებზე სასაუბროდ იწვევდეს მას. სხვათა შორის, ამგვარი თემების გარჩევაზე არც ჩვენი დისერტანტი იტყოდა უარს. ჩამოჯდებოდა ღრმააზროვანი სახით და დაიწყებდა სადღაც ამოკითხული თუ გაგონილი აზრების ფრქვევას.

მაგრამ ვოლანდს ამგვარ მაღალ მატერიებზე მეტად ის აინტერესებს, როგორ აღიქვამს ადამიანი მის წინაშე მდგარ გაცილებით უფრო მიწიერ და რეალურ პრობლემებს.

„— თქვენ, როგორც ჩანს, ლიტერატორი ბრძანდებით?

— დიახ, კრიტიკოსი... უკვე ორი წერილი დავბეჭდე „მნათობში“...

— საქართველოში აპირებთ მუშაობას?

— რასაკვირველია.

— ჰმ...

ეს კაცი უკვე აშკარად მაღიზიანებდა...

— გაგიჭირდებათ... — ძალიან ჩუმად, თითქმის ჩურჩულით მითხრა უცნობმა, — პროფესიულ კრიტიკას საქართველოში ფაქტობრივად მხოლოდ ერთი საუკუნის ისტორია აქვს. დაფიქრებიხართ ამ ფაქტს?

— ეს ობიექტური მიზეზების ბრალი იყო. კრიტიკის განვითარებისთვის საჭიროა ლიტერატურული პრესის არსებობა, მუდმივი კულტურული დაწესებულებები...

საკვირველია, ამ საკითხზე არასოდეს მიფიქრია, პასუხი კი თითქოს მომზადებული მქონდა და, რაც მთავარია, სრულიად კმაყოფილი დავრჩი ჩემი არგუმენტით.

— თქვენ მართლა ფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ ობიექტურმა პირობებმა გამოიწვიეს?

— ცხადზე ცხადია!..

— ჰმ!..

(— რა, „ჰმ“,— მწარედ გავიფიქრე გულში, — ეს მაჯლაჯუნა ძილის საშუალებას არ მომცემს ამაღამ! არ გეგონოს, შემაშინებ... შენისთანა ურწმუნოებისათვის ხშირად მოგვიგრეხია კისერი!..).

— ზუსტად აღარ მახსოვს, — განაგრძო უცნობმა, — ინდოეთში თუ აფრიკაში ცხოვრობს ერთი კაცი, რომელიც ყველაზე საშინელი ქვეწარმავლების შხამს იტანს... ემილ ზოლა ამტკიცებს, რომ ის ყოველ დილით მუშაობის დაწყებამდე ცოცხალ გომბეშოს ყლაპავდა. ქართველმა კრიტიკოსმა, თუ მას სერიოზული მიზნები აქვს მწერლობაში, დაახლოებით ასეთი იმუნიტეტი უნდა გამოიმუშაოს“.

მაგრამ ვისა აქვს სერიოზული მიზნები?

ყოველ შემთხვევაში, ის, რაც ჩვენს მგზავრს სერიოზული ჰგონია, სინამდვილეში უკიდურესად ზედაპირული და არასერიოზულია, რადგან ჭეშმარიტ თავისუფალ რეფლექსიასთან საერთო არაფერი აქვს.

საამისოდ იგი მეტისმეტად ცალმხრივია და მეტისმეტად უსაფუძვლოდაა თავის თავში დარწმუნებული. მას არავითარი სურვილი არა აქვს

მე-20 საუკუნის ქართული ეპისტემის მიერ მოწოდებული სტერეოტიპების მიღმა გადაიხედოს.

მეტიც, იგი იმდენადაა მოტივირებული ხსენებული ეპისტემით, რომ მისი სტერეოტიპების ჩარჩოებში აღმოჩენებსაც კი აკეთებს („საკვირველია, ამ საკითხზე არასოდეს მიფიქრია, პასუხი კი თითქოს მომზადებული მქონდა...“), რაც თავადაც უკვირს.

ანუ ეს გახლავთ ჩვენს კულტურულ სივრცეში გავრცელებული ადამიანის ტიპი, რომელსაც არა მარტო თვითონ არა აქვს არავითარი სურვილი, სხვათა მცდელობაც დამოუკიდებლად, საკუთარი ძალებით გაიაზრონ რეალობა, მის სასტიკ გაღიზიანებას იწვევს.

უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი რეფლექსიის მოყვარული ადამიანისთვის ასეთ ტიპთან ურთიერთობა არა მარტო მოსაწყენი და არაფრის მომტანია, რისკთანაც კია დაკავშირებული.

თუმცა, ცხადია, არა ვოლანდისთვის.

იგი აუღელვებლად აგრძელებს ჩვენი ბედნიერი დისერტანტის ცნობიერების კვლევას და ნელ-ნელა უფრო და უფრო გასაოცარ მარგალიტებს აღმოაჩენს.

ოღონდ, გასაოცარს მისთვის, თორემ ბევრი ჩვენგანისთვის ეს ყოველივე დღემდე ისევე ბუნებრივი და მშობლიურია, როგორც, ვთქვათ, ხორაგის სიმძიმით წელში გაწყვეტილი სამსართულიანი სუფრა ენამჭევრი თამადით, ვის რეპერტუარშიც განსაკუთრებული ადგილი სწორედ სამშობლოს გულისამაჩუყებელ სადღეგრძელოს უკავია.

რას ვგულისხმობ?

ვგულისხმობ მე-20 საუკუნის ქართული კულტურის მიერ ყველა ჩვენს თვალსაჩინო მწერალსა თუ ისტორიულ მოღვაწეზე დადებულ მეტად თავისებურ ტაბუს.

ჩვენი ეპისტემის მიერ კოდირებული ენა, რომელიც ასევე შეიძლება განისაზღვროს როგორც ემოციური დისკურსი, პირდაპირ სამშობლოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად განიხილავს ამგვარ მოღვაწეთა შემოქმედებისა თუ საქმიანობის რაციონალურ ანალიზს, მათი ღირსებისა და ნაკლის თანაბრად წარმოჩენას.

რაც შეეხება ქების შესხმას, ამ მხრივ არავითარი საზღვარი არ არსებობს.

შესაბამისად, ჩამოყალიბდა, ასე ვთქვათ, ხელშეუხებელთა მთელი თანავარსკვლავედი, რომელთა მხოლოდ ხოტბის შესხმა იყო დაშვებული.

და რამაც მართლა შეიძლება გააოცოს კაცი, ამ თანავარსკვლავედში ერთ-ერთ უმთავრეს ადგილს იკავებს ილია ჭავჭავაძე, კაცი, რომელიც თავისი ცხოვრების მიზანს ჩვენს კულტურულ სივრცეში რაციონალური დისკურსის თანამიმდევრულ დაფუძნებაში ხედავდა, რადგან ჩვენი გაუბედურებული ქვეყნისთვის ერთადერთ ღირსეულ გამოსავლად რეალობისა და ამ რეალობაში ჩვენი თავის მაქსიმალურად ობიექტური შემეცნება მიაჩნდა.

კაცი, რომელიც დასავლური კაცობრიობის მაგალითით შთაგონებული, თავისი ბასრი გონებით ყოველთვის მძაფრად აკრიტიკებდა ჩვენი ყოფის მთელ ირაციონალიზმსა და სიბნელეს.

ეს მართლაც საოცარია.

მე-20 საუკუნის ქართულ კულტურაში ერთპიროვნულად გაბატონებულმა ემოციურმა დისკურსმა თვით ასეთი კაციც კი თავის სამსახურში ჩაიყენა და ერთ-ერთ უმთავრეს ხელშეუხებლად აქცია.

პრაქტიკულად, ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი, მაგალითად, მე-19 საუკუნეში ჯერ კიდევ შეიძლებოდა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ღირსება-ნაკლოვანებებზე თავისუფალი რეფლექსია, როგორც ამას აკაკი წერეთელი ან კიტა აბაშიძე აკეთებდნენ, მე-20 საუკუნეში ასეთ მცდელობებს დაახლოებით ისეთი რეაქცია მოჰყვებოდა, როგორიც ჩვენი სკეპტიკოსი ვოლანდის მცდელობას მოჰყვა დისერტანტი მგზავრისგან:

„ილიას სახელი ჩვენთვის, დღევანდელი ქართველი მკითხველებისთვის, წმინდა სახელია, ეროვნული შეგნების დროშა! მისი შებღალვის უფლებას არავის მივცემთ!"

მაგრამ მესირს, რასაკვირველია, აზრადაც არ მოსვლია ილიას სახელის შებღალვა, რადგან ის არ თვლის, რომ ადამიანის შემოქმედებაზე საკუთარი აზრის ქონა მისი შეურაცხყოფაა.

ამიტომ მას კიდევ უფრო აოცებს ფეტიშიზმის ასეთი უცნაური სახეობა და ცდილობს ელემენტარული საღი ლოგიკით გონს მოიყვანოს თავისი თანამგზავრი:

„ცოცხალი ადამიანი არ შეიძლება დროშად იქცეს".

ასეთია მისი არგუმენტი.

მაგრამ რაციონალიზმის ეს აქსიომატური ხასიათის ჭეშმარიტება აბსოლუტურად გაუგებარი და მიუღებელია ემოციური დისკურსის ისეთი ადეპტისათვის, როგორიც ჩვენი დისერტანტი მოგზაურია.

ასეთ არგუმენტზე ემოციურ დისკურსს მხოლოდ ერთი პასუხი აქვს — საშინელი რისხვა, რაც, რა თქმა უნდა, არც მესირს ასცდა:

„თქვენ ქართულ მწერლობას პატივს არ სცემთ! საერთოდ ქართველი არა ხართ!.. ჩვენს მწერლობას საკმარისი მეურვეები ჰყავს... არავის არ მივცემთ ნებას!..“ და ა. შ. და ა. შ.

5.

ასეთი, მართლაც უაღრესად ზუსტი და ორიგინალური ფორმით წარმოგვიდგენს გურამ ასათიანი მე-20 საუკუნის ქართული კულტურის ყველაზე ფუნდამენტურ, ყველაზე მნიშვნელოვან რეალობას: ემოციური დისკურსის მიერ მთელი ქართული კულტურული სივრცის დაპყრობასა და ერთპიროვნულ გაბატონებას.

ამგვარი არანორმალური ვითარება ქმნის განსაკუთრებულ დაძაბულობის ველს, რომელიც ლამის სამშობლოს ღალატად აღიქვამს ჭეშმარიტად რაციონალური რეფლექსიის (თვითრეფლექსიაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) ყოველ მცდელობას.

რეალურად ეს სხვა არაფერია, თუ არა პრიმიტიული რელიგიური ცნობიერების, თავისებური ფეტიშიზმის გამოვლინება, რასაც დიდებულად იყენებს გურამ ასათიანი და ღრმად შეფარული ირონიით უწმინდური სულის ფრიად და ფრიად მავნე გამოხდომად წარმოგვიდგენს რაციონალიზმის ყოველ რეციდივს, რომელიც სამშობლოს სიყვარულისა და ქართველობის სახელით დაუნდობლად უნდა ჩაიკლას და ჩაიქოლოს.

ერთი სიტყვით, როგორც უკვე ითქვა, მოხდა ძალზე უცნაური რამ: ჯერ კიდევ „მგზავრის წერილების“ მთავარი გმირისა და მისი პროტოტიპის, თვითონ ილია ჭავჭავაძის ცნობიერებაში არსებული ერთიანი დისკურსი, რომელიც სამშობლოს სიყვარულსა და რაციონალურ აზროვნებაში ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ ხედავდა, სულ მალე შუაზე გაიხლიჩა და გამარჯვებულმა ემოციურმა დისკურსმა, უკვე მე-20 საუკუნეში, იატაკქვეშეთში ჩადენა თავისი მეორე ნახევარი — რაციონალური დისკურსი. თითქოს ერთის არსებობას მეორის გარეშე რაიმე ფასი ან აზრი გააჩნდეს.

ემოციური დისკურსი თავს ავლენს როგორც ჭარბად ჰიპერბოლიზებული ენა, თავისი ნარცისიზმით, ცრურომანტიზმითა და უხვი სენტიმენტებით.

კიდევ ერთი კომპონენტი, რომელმაც განსაკუთრებული კვალი დაატყო ჩვენს კულტურას მე-20 საუკუნეში, ამ ენის პათეტიკური ხასიათია.

ეს ენა არა მარტო ჩვენს თვალსაჩინო მწერლებსა და მოღვაწეებს აცხადებს განსაკუთრებულ და უნაკლო მოვლენებად, არამედ ყოველივე ქართულს რაღაც წრეგადასული აღფრთოვანებისა და ხოტბის შესხმის ობიექტად წარმოგვიდგენს.

ამ სპეციფიკური ენის გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს, ერთი შეხედვით, ისეთი უმანკო დეტალიც კი, როგორიცაა ჩვენი გამოჩენილი მწერლების ფამილარულად, მხოლოდ სახელებით მოხსენიება.

რა თქმა უნდა, ისეთ ვითარებაში, როცა მთელი კულტურული სივრცე ხაფი პათეტიკითა და უნაზესი სენტიმენტალური კვნესა-გალობით ივსება, როცა, ჩვენი ვოლანდის თქმისა არ იყოს, მწერლობა და განსაკუთრებით პოეზია „მკითხველის გულის ქათინაურებით მოსაგებ საშუალებად იქცევა — გამუდმებულ პირში ფერებად, ქების შესხმად, პირფერობად...", მაშინ იქ თავისუფალი რეფლექსია მხოლოდ საშინელ დისონანსად აღიქმება, რომელიც მაშინვე უნდა აღიკვეთოს.

სწორედ ამიტომ ჩნდება გურამ ასათიანის მართლაც მშვენიერ ესეში ისეთი უცნაური და მისტიკური პერსონაჟი, როგორიცაა ვოლანდის ქართული ნაირსახეობა.

მან უნდა თქვას და გვაჩვენოს ის, რისი პირდაპირ თქმა და ჩვენება ავტორისთვის შეუძლებელი გამხდარა.

6.

თქვა კიდეც, მაგრამ რა?

ცხადია, არაფერი.

მე-20 საუკუნის ქართულ კულტურაში ემოციური დისკურსის მართლაც ფენომენალურ და ყოვლისგამჭოლ ხასიათზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მომავალში მის ზეგავლენას ვერ გაუძლებს თავად გურამ ასათიანიც კი. ამის დასტურია მისი „სათავეები", სხვა მხრივ მეტად მნიშვნელოვანი წიგნი. სხვათა შორის, თავის დროზე ეს გარემოება ზუსტად შენიშნა აკაკი ბაქრაძემ.

მაგრამ ამ ესეის მაშინაც ჰქონდა მნიშვნელობა, როცა იწერებოდა, დღესაც აქვს და, იმედია, ხვალ კიდევ უფრო მეტი ექნება, რადგან იგი ნათლად გვაჩვენებს ერთ გარემოებას: მიუხედავად ემოციური დისკურსის ასეთი ტოტალური წნეხისა, ჩვენმა საუკეთესო ინტელექტუალებმა, ხშირად ძალზე უცნაური ფორმებით, მაგრამ მაინც შეძლეს თავისუფალი, რაციონალური თვითრეფლექსიის ტრადიციის შენარჩუნება.

მართალია, ამან თავის დროზე ოდნავადაც ვერ შეცვალა ჩვენს კულტურაში არსებული რეალური ვითარება, მაგრამ მომავალში, დღეს არსებული კრიზისიდან ერთადერთი რეალური გამოსავალი შეიძლება სწორედ ამ გადარჩენილი ტრადიციის გაღრმავებასა და გაძლიერებაში აღმოჩნდეს.

სხვა მხრივ კი, როგორც ჩანს, ფენომენების წინააღმდეგ პროდუქტიული დაპირისპირება მხოლოდ ფენომენებსვე შეუძლიათ.

ამიტომ, ეტყობა, ემოციური დისკურსისგან უაღრესად ქაოსური, წინააღმდეგობრივი და მასობრივი განხიბვლა მაინცდამაინც ისე ტრაგიკულად უნდა მომხდარიყო, როგორც მოხდა.

ნამდვილი ბედის ირონია კი ის გახლავთ, რომ ეს პროცესი მაინცდამაინც მაშინ უნდა დაწყებულიყო, როცა, როგორც იქნა, აღსრულდა ჩვენი საუკუნოვანი ოცნება და „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნის".

თავისუფლებამ ძალიან მოკლე დროში შეძლო იმის გაკეთება, რაც ჩვენი ინტელექტუალების ყველაზე გონიერმა ნაწილმა ერთი საუკუნის მანძილზეც ვერ მოახერხა — ელვისებური სისწრაფითა და ძალზე სასტიკი წესით დაგვიმსხვრია ის ყალბი და ჰიპერბოლიზებული წარმოდგენები საკუთარ თავზე, რომელსაც ჩვენი კულტურა გასულ საუკუნეში ასე პათეტიკურად და ასე წინდაუხედავად გვინერგავდა.

სამყაროს წინაშე პირისპირ დარჩენილებმა უცებ აღმოვაჩინეთ ჩვენი უმწეობა, ელემენტარული პრობლემების მოგვარების უუნარობა, ჩვენი ფარისევლობა.

ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რასაც ჩვენი კულტურა ასე მონდომებით აფუჩეჩებდა და გვიმალავდა, რეალობამ ისეთი სიცხადით დაგვიყენა თვალწინ, რომ მათზე თვალის დახუჭვა შეუძლებელი გახდა.

მაგრამ, როგორც წესი, უკიდურესობები უკიდურესობებს შობენ.

ჩვენთვის ჩვეულ ყოველივე ქართულის ჰიპერბოლიზებას და მერე მისით უსაზღვრო აღტაცებას ახლა იმავე ყოველივე ქართულის პირწმინდად უარყოფა და გაქილიკება ჩაენაცვლა.

მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ ემოციური დისკურსის სრულ კრახზე არ მიგვითითებს. ამავე დისკურსის ენით ალაპარაკებული ნიჰილიზმი, ამავე დროს, ჩვენი კულტურის რადიკალური კრიზისის მაჩვენებელიცაა.

ნიჰილიზმი მოდაში შემოვიდა.

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, საუბედუროდ, იგი იმავე ეგზალტირებული უკიდურესობების ენით ოპერირებს, რომელიც ჩვენს კულტურაში ემოციურმა დისკურსმა დაამკვიდრა.

ეს გარემოება, გარდა იმისა, რომ კანონზომიერია, თან სხვა ბევრ რამეზეც მეტყველებს.

უპირველესად, ეს იმას ნიშნავს, რომ ემოციური დისკურსი და მისი უდიდებულესობა ქართული ნიჰილიზმი ერთი მედლის ორი მხარეა.

ანუ, ფაქტობრივად, თავისი არსით, ეს ერთი და იგივე მოვლენაა. უბრალოდ, ერთი თუ დადებითადაა დამუხტული, მეორე — უარყოფითად. ეს არის და ეს.

და რაკი ასეა, ეს იმასაც ნიშნავს, რომ ჩვენებური ნიჰილიზმი უნაყოფო მოვლენაა. ერთადერთი, რაც მას შეუძლია, დღევანდელი კრიზისის კიდევ უფრო გაღრმავებაა, რადგან სინამდვილეში ის არ არის ემოციური დისკურსის ალტერნატიული მოვლენა.

კრიზისის დაძლევა მხოლოდ რაციონალური დისკურსის სუსტი ტრადიციის გაღრმავებასა და გაძლიერებას შეუძლია, როგორც ჩვენს კულტურაში ჭეშმარიტად ალტერნატიულ მსოფლაღქმას.

სხვა მხრივ კი, როგორც დღეს მოჰყვება ღამე, ხოლო ღამეს — დღე, ისე ჩვენებურ ნიჰილიზმს უნდა მოჰყვეს ისევ პათეტიკური აღფრთოვანება საკუთარი თავით, მერე ოდესმე — ისევ კრიზისი, ისევ ნიჰილიზმი და ა. შ.

ანუ, ფაქტობრივად, ეს შეკრულ წრეში ტრიალი და ერთი ადგილის ტკეპნაა.

ეს რომ რეალობაა, ამის დასტურია ქართული კულტურის კრიზისი მე-20 საუკუნის დასაწყისში და მისი თანამდევი ნიჰილიზმი, რომლის კლასიკურ ნიმუშადაც ნიკოლო მიწიშვილის ცნობილი ოპუსი იქცა. ხოლო თუ რა შეიძლება მოჰყვეს ასეთი წინდაუხედავი უკიდურესობების ენით მეტყველ ნიჰილიზმს, ამის ნიმუშია მე-20 საუკუნის ქართული კულტურის გამოკვეთილად ნარცისული ხასიათი, რამაც ამავე საუკუნის ბოლოს ახალ კრიზისში ამოგვაყოფინა თავი.

რა მოხდება ხვალ?

2003

ნიჰილიზმის ენა

1.

ამ ოცდაათი წლის წინ დაწერილ, ნოდარ ჩხეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ პატარა, მაგრამ მშვენიერ ესეიში, კრიტიკოსმა კობა იმედაშვილმა ჟიულ რენარის ერთი ასეთი აზრი დაიმოწმა: კრიტიკოსების მიმართ მოწყალენი უნდა ვიყოთ, რადგან ეს ის ხალხია, ყოველთვის სხვებზე რომ ლაპარაკობენ, მათზე კი არავინ არაფერს ამბობსო. დაიმოწმა, რათა იქვე დაერღვია. და დაარღვია კიდეც, თუმცა, რასაკვირველია, ამით საერთო ტენდენციას არაფერი ეშველა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა.

დრომ ბევრ რამეს დაატყო თავისი ხელი, მაგრამ ნამდვილად ვერაფერი დააკლო რენარის მიერ თავის დროზე ასეთი იქედნური ფორმით გამოთქმულ აზრს.

ჩვენში ვერ დააკლო.

ეს იმას ნიშნავს, რომ შეგიძლიათ მთელი სიცოცხლე კრიტიკოსობდეთ, ანუ წერდეთ, იკვლევდეთ და ერთ მშვენიერ დღეს ისე გადახვიდეთ უკეთეს სამყაროში, თქვენი პერსონისა და საქმის მიმართ მოწყალე დამოკიდებულების გარდა ვერაფერი იგრძნოთ.

ცხადია, ამაში არაფერია სასიამოვნო, მაგრამ ისე, კაცმა რომ თქვას, რა არის აქ უცნაური?

იმგვარი კრიტიკა, როგორსაც ჩვენ ვიცნობთ, მართლაც ე.წ. „მეორადი ლიტერატურაა", რომელსაც არავითარი დამოუკიდებელი ფასეულობა არ გააჩნია.

ჩვეულებრივ, ალბათ ამიტომაც ხედავენ ხოლმე ძალიან ხშირად კრიტიკოსსა თუ ესეისტში ხელმოცარულ მწერალს.

არ დაგავიწყდეთ ლიტერატურული პოლიციის ფუნქცია, რომელსაც ასეთი ხალისით იღებდა თავის თავზე ჩვენებური კრიტიკა სულ ახლო წარსულში, მერე ამას დაამატეთ თავის მეორადობას შეგუებული კრიტიკოსებისათვის დამახასიათებელი ფრიად გავეშებული მცდელობანი, გულისამრევად ყალბი და უმწეო ოპუსებით მატერიალური ყოფა

გაიუმჯობესონ და, ვფიქრობ, ვეღარც რენარს გაამტყუნებთ და ვეღარც იმათ, ასე მოწყალედ რომ დაჰყურებენ ცხოვრების ჭუჭყსა და ნაგავში ენერგიულად მოფუსფუსე კრიტიკოსებისა თუ ესეისტების ლაშქარს.

2.

მაგრამ ნება მომეცით გითხრათ, რომ დასავლეთში რენარის ზემოხსენებული აზრი დიდი ხანია ანაქრონიზმად იქცა. ამიტომ იქ ახლა ალბათ საკითხავი ის არის, ვინ ვის უნდა უყუროს მოწყალედ.

უკანასკნელი 40–50 წელია დისკურსის ესეისტურმა მანერამ დაიპყრო დასავლური კულტურის როგორც ჰუმანიტარული, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თვით არაჰუმანიტარული ნაწილიც კი.

რაღა უნდა ითქვას მხატვრულ შემოქმედებაზე?

დღევანდელობის ერთ-ერთ დამახასიათებელ მოვლენად იქცა ის ფაქტი, რომ ახლა მწერლები და პოეტები, ძირითადად, გვევლინებიან როგორც კრიტიკოსები და ხელოვნების თეორეტიკოსები, ხოლო კრიტიკოსები და ლიტერატურის თეორეტიკოსები — როგორც ფილოსოფოსები.

ცხადია, ასეთ საკმაოდ უცნაურ მოვლენას თავისი მიზეზები უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც, რასაც არც თავად მწერლები მალავენ. მრავალი მათგანი თავის ქმნილებაში ჩართულ ვრცელ თეორიულ პასაჟებში, არა მარტო განმარტავს თუ კომენტირებას უკეთებს საკუთარ ნაწარმოებს, არამედ არცთუ იშვიათად პირდაპირაც ამბობს, რომ ახალ ეპოქაში შეუძლებლად მიაჩნია ძველებურად, ანუ რეალისტური მანერით წერა.

ერთი სიტყვით, თხრობის კრიტიკულ-ესეისტური მანერა სინთეზირდა არა მარტო წმინდად მხატვრულ გამონაგონთან (შორს რომ არ წავიდეთ, ამის ნიმუშია გივი მარგველაშვილის „მუცალი"), არამედ ფილოსოფიასთანაც.

ყოველივე ამას წინ უძღოდა დასავლური კულტურის მასშტაბით განხორციელებული ე. წ. ლინგვისტური გადატრიალება, სოსიურის სტრუქტურული ლინგვისტიკა, ვიტგენშტეინის „ენობრივი თამაშები", ცნობიერების გათანაბრება მის ენობრივ გამოხატულებასთან.

შესაბამისად, სემიოტიკა ისეთივე ადგილს იკავებს დასავლურ ინტელექტუალურ სივრცეში, როგორიც, ვთქვათ, ანტიკურ ხანაში გეომეტრიას, ხოლო შუა საუკუნეების სქოლასტიკაში არისტოტელეს ლოგიკას ეკავა.

ამგვარი ვითარება, რეფლექსიის ასეთი ტოტალურად პანენობრივი ხასიათი იჰაბ ჰასანმა ძალზე მოსწრებულად დაახასიათა როგორც დასავლური ინტელექტუალური ელიტის წიაღში ახალი ღმერთის დაბადება, რომელმაც მანამდე არსებული, მაგრამ დევალვირებული ღვთაებების — მამაღმერთის, ადამიანის, სახელმწიფოსა თუ გონების — ადგილი დაიკავა. ეს ახალი ღმერთია ენა.

3.

თუმცა იმავე ჰასანის თქმით, ღმერთებს შორის ამ ყველაზე ახალგაზრდა ღვთაებასაც არ ეწერა თავისი ძალაუფლებით დიდხანს ტკბობა. მისი ტახტის შერყევის პატივი წილად ხვდათ პოსტსტრუქტურალისტებს.

ეს პროცესი დაიწყო ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენით, როგორიც იყო ცნობიერების გათანაბრება დაწერილ ტექსტთან, როგორც მისი ფიქსაციის ყველაზე სანდო საშუალებასთან. ხოლო იმის გამო, რომ პოსტსტრუქტურალიზმი და განსაკუთრებით ჟაკ დერიდა, აბსოლუტურად ყველაფერს ცნობიერების პრიზმიდან განიხილავს და სისტემატურად ცდილობს წაშალოს საზღვარი ცნობიერებაში არეკლილ შინაარსსა და რეალობას შორის, იწყება ე. წ. „სამყაროს ტექსტუალიზაციის" პროცესი.

„ამიერიდან ყველაფერი მოიაზრება როგორც ტექსტი. ტექსტია ლიტერატურა, საზოგადოება, ისტორია, ადამიანი. ტექსტია ცნობიერება, არაცნობიერი, ტექსტია „მე". უთვალავი ტექსტების ერთობლიობა, ანუ ინტერტექსტია კაცობრიობის კულტურა, რომელიც ერთგვარი წინარეტექსტის როლს ასრულებს ნებისმიერი ახალი ტექსტისთვის."

დერიდა იქამდე მიდის, რომ საბოლოოდ მთელ სამყაროს აღიქვამს როგორც ერთ უზარმაზარ დაუსაბამო ტექსტს, როგორც ერთგვარ კოსმოსურ ბიბლიოთეკას ან როგორც გიგანტურ ლექსიკონსა თუ ენციკლოპედიას."

რადგან ყველაფერი ტექსტია, ე. ი. მისი წაკითხვაც შეიძლება.

ოლონდ წაკითხვაცაა და წაკითხვაც.

სწორედ ლიტერატურული ტექსტის წაკითხვის, მისი თავისებურებების ანალიზისა და ინტერპრეტირების უაღრესად სპეციფიკურ მეთოდს ამუშავებს და ასაბუთებს თეორიულად ჟაკ დერიდა.

ეს არის დეკონსტრუქციის მეთოდი.

„დეკონსტრუქციის მიზანია სტრუქტურალისტური თუ სემიოტიკური კანონების საწინააღმდეგოდ ლიტერატურული ტექსტის შინაგანი წინააღმდეგობების გამოვლენა.

ოლონდ, რასაკვირველია, არა მეათეხარისხოვანი ტექსტებისა და არა ისეთი წინააღმდეგობებისა, რომელთა დანახვას არც ჟაკ დერიდა სჭირდება და არც იულია კრისტევა.

თავად დერიდას განხორციელებული აქვს პლატონის, რუსოს, კონდილიაკის, ჰუსერლის, სოსიურის ტექსტების დეკონსტრუქცია.

ეს არის მეთოდი, რომელიც კლასიკურ, კანონიკურად ქცეულ ტექსტებში არა მარტო ეძებს, პოულობს კიდეც წინააღმდეგობებს, რომლებიც არამცთუ რომელიმე გულუბრყვილო მკითხველს, თავად ავტორსაც კი შეუმჩნეველი რჩება, რადგან ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს წარსულის დისკურსული პრაქტიკების ნარჩენებთან, რომლებიც ენაში რჩებიან გაუცნობიერებელი სააზროვნო სტერეოტიპების ფორმით და რომლებიც, თავის მხრივ, ასევე გაუცნობიერებლად და ტექსტის ავტორისაგან დამოუკიდებლად განიცდიან ტრანსფორმაციას ახალი ეპოქის ენობრივი კლიშეების ზეგავლენით.

მე მგონი, გასაგებია, რომ ეს ყველაფერი რეალისტური ხელოვნების წიაღში შექმნილ მითს მწერალზე, როგორც რაღაც ღვთის რჩეულზე, ნაცარტუტად აქცევს. ამიერიდან შეუძლებელი ხდება მწერლის როგორც ჭეშმარიტების მჭვრეტელისა და მღაღადებლის, როგორც ხალხთა მასწავლებლის, როგორც „ადამიანის სულის ინჟინრის" წარმოდგენა.

ასეთ ვითარებაში გაცილებით მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება კრიტიკოსი, ვთქვათ, რომელიმე პოლ დე მანი ან ჰილის მილერი, რომელთაც შეუძლიათ არაჩვეულებრივი გონებამახვილობითა და ოსტატობით გვაჩვენონ, როგორ ცდილობდა რომელილაც ტექსტის ავტორი დაეცვა რაღაც გარკვეული პოზიცია, მაგრამ რეალურად როგორ გამოსდის სრულიად სხვა რამ, რადგან ვერ იცნობიერებს ლიტერატურული ტექსტისათვის არსობრივად დამახასიათებელ შინაგან ლოგიკურ ჩიხებს.

შესაბამისად, თუკი, ვთქვათ, როლან ბარტის „S\Z"-ს ჩახედავთ, რომელიც ბალზაკის ნოველა „სარაზინის" დეკონსტრუქციის ნიმუშს წარმოადგენს, ნულარ გაგიკვირდებათ, როცა აღმოაჩენთ, რომ ბარტის ვრცელ ტექსტს წვრილი შრიფტით აწყობილი ბალზაკის ნოველა დამატების სახით ბოლოში აქვს დართული.

4.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის კრიტიკოსთა თავისებური „კრიტიკული შურისძიება“ დანარჩენ სამყაროზე.

საერთოდ, არც დასავლეთში და არც სხვაგან, საუკუნეების განმავლობაში ტრადიციად დამკვიდრებული და მთელი თაობების ძვალსა და რბილში გამჯდარი წესრიგის ასეთი რადიკალური შემოტრიალება შეუძლებელია ერთი ან თუნდაც ადამიანთა მთელი ჯგუფის გინდაც ყველაზე თავგანწირული მცდელობის შედეგი იყოს. ასეთი სიღრმისა და მასშტაბის ფენომენებს, რასაკვირველია, ყოველთვის გაცილებით უფრო სერიოზული საფუძველი აქვთ.

ამჯერადაც ასეა.

ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება (განსაკუთრებით მათთვის, ვისთვისაც ყველაფერი დასავლური მოდური და ზერელე გატაცების საგანია), რომ პოსტსტრუქტურალიზმი ან დეკონსტრუქტივიზმი ფუკოს, ბარტის ან დერიდას ინტელექტუალური ახირების შედეგი კი არ არის, რომელიც კაცმა არ იცის, თავში საიდან მოუვიდათ, არამედ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან (თუ უფრო ადრე არა) დასავლური კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის დამახასიათებელი ძალზე სპეციფიკური განცდის, უაღრესად თავისებური მსოფლშეგრძნების პირდაპირი შედეგი.

ეს მსოფლშეგრძნება ცნობილია „პოსტმოდერნისტული მგრძნობიარობის“ სახელით და რამდენიმე ასპექტით ხასიათდება. თითქმის ყველა სახის დისკურსის ტოტალურად ესეისტურ მანერაზე გადასვლა უკვე ვახსენეთ, მაგრამ პირველ რიგში, ეს მაინც არის სამყაროს როგორც ქაოსის შეგრძნება.

დასავლელ ინტელექტუალს (და როგორც ჩანს, არა მარტო ინტელექტუალს) აღარ შეუძლია სამყარო აღიქვას როგორც ჰარმონია, როგორც მოწესრიგებული სტრუქტურის იერარქიული სისტემა.

კვლავ და კვლავ უნდა გავიმეორო, რომ ამის კარგად გაცნობიერებაა საჭირო. ანუ ეს „ველარ შეძლება“ მოდური გატაცება ან რაღაც ამგვარი ზერელე განცდა კი არ არის, არამედ ნამდვილზე ნამდვილი კრიზისი. მას ნამდვილად აღარ შეუძლია ძველ მსოფლმხედველობრივ ჰარმონიას დაუბრუნდეს, რადგან მის თვალწინ და თავად მასშივე უფასურდება (თუ უკვე არ გაუფასურდა) ყველა ის „ცოდნა“, პრინციპი თუ რწმენა-წარმოდგენა, რომლებიც საფუძვლად დაედო დასავლურ ცივილიზაციას და რომელთა ერთობლიობაც ერთიანი სამყაროს ჰარმონიულობის განცდას ბადებდა.

დგება დიდი ნიჰილიზმის ერა.

იწყება ყველა იმ „ცოდნის", პრინციპისა თუ რწმენა-წარმოდგენის გადაფასების მტანჯველი პროცესი, რომელთაც ასეთი იმედის გაცრუება გამოიწვიეს.

სწორედ ამ კრიზისული გადაფასების პრეტენზიით გამოდის პოსტსტრუქტურალიზმ-დეკონსტრუქტივიზმიც, მაგრამ დასავლეთისთვის არც ფილოსოფიური რელატივიზმი ყოფილა ოდესმე უცხო და არც სკეპტიციზმი.

ის, რითაც კრიტიკის ყველა დანარჩენი მეთოდისგან ასე რადიკალურად გამოირჩა პოსტსტრუქტურალიზმი, არის მისი კრიტიკის დისკურსული ხასიათი.

ამიტომ, როდესაც, ვთქვათ, დერიდა, დასავლური ცივილიზაციის „რაციონალურ სულს" აფასებს, როგორც ე. წ. „ლოგოცენტრიზმს", რომელიც ძალადობით ცდილობს სისტემაში მოაქციოს, წესრიგი, სტრუქტურა დაინახოს იქ, სადაც ის არ არსებობს, ამის წარმოსაჩენად იგი საერთოდ დასავლური მეტაფიზიკისათვის ჩვეულებრივ ფილოსოფიურ სპეკულაციებს კი არ მიმართავს, არამედ ამ სპეკულაციებისთვის გამოყენებულ ენას და ამისათვის დასავლური ცივილიზაციის მასშტაბით კანონიკურად ქცეული ტექსტების ენობრივ დეკონსტრუქციას ახდენს.

ერთი სიტყვით, პოსტსტრუქტურალიზმი იღებს არა თავად დასავლური მეტაფიზიკის, არამედ მისი დისკურსული პრაქტიკის კრიტიკის ფორმას, რაც საბოლოოდ მაინც მთელი კულტურის კრიტიკას ნიშნავს, რადგან პოსტსტრუქტურალიზმის თანახმად ენა იგივეა, რაც აზროვნების წესი.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისეა, პოსტსტრუქტურალიზმი ძალზე დამაჯერებლად გვაჩვენებს, რომ დასავლური მეტაფიზიკური ტრადიციის მიერ დაკანონებული ყოველგვარი ე. წ. ობიექტური ჭეშმარიტება სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ფიქცია, მხოლოდ ერთ-ერთი ვერსია რეალობის ინტერპრეტაციის უთვალავ შესაძლებლობათა შორის.

ამიტომაა, რომ ყოველი დეკონსტრუქტივისტის ზეამოცანაა, აჩვენოს ტექსტის ნებისმიერი და მათ შორის, მისი საკუთარი ინტერპრეტაციის შინაგანი წინააღმდეგობანიც.

მაგრამ ამას წინ უძღოდა იმის აღიარება, რომ ყოველივე ის, რასაც ჩვენ რეალობად მივიჩნევთ, სინამდვილეში მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი წარმოდგენაა მასზე. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია იმ თვალსაზრისზე, რომელსაც დამკვირვებელი ან თავად ირჩევს, ანდა თავს ახვ-

ევენ. შესაბამისად, თვალსაზრისის შეცვლა იწვევს თავად წარმოდგენის პრინციპულ ცვლილებას.

ერთი სიტყვით, დეკონსტრუქცია მეტაფიზიკაში თუ მისი რაციონალიზმისა და დეტერმინიზმის პრინციპის ფიქციურობას ამხელს, ლიტერატურაში, ე. წ. „რეალისტური ხედვის" ადგილს აღარ ტოვებს. გასაგები ხდება, რომ რეალისტური ლიტერატურის პრეტენზია სამყაროს ობიექტურ ასახვაზე, სხვა არაფერია, თუ არა მავნე ილუზია.

შესაბამისად, ზედმიწევნით თანამიმდევრული ჩანს ამერიკელი დეკონსტრუქტივისტი ჰილის მილერი, როცა ძალზე მკვეთრად უპირისპირდება რეალიზმის პრინციპს ლიტერატურაში. მისი დამაჯერებელი მსჯელობით, ენას არ შეუძლია ადეკვატურად ასახოს რეალობა, რაც, ცხადია, ყოველგვარ საფუძველს აცლის რეალიზმის პრინციპს.

მაგრამ, გარდა ამისა, რეალიზმის პრობლემა მჭიდროდ უკავშირდება ძალაუფლების პრობლემასაც.

5.

მე-20 საუკუნის დასავლურმა აზროვნებამ ტერმინი „რეალიზმი" ან სრულ აბსურდად, ანდა ტოტალიტარიზმის გამოხატულებად აქცია.

ერთი მხრივ, თუკი არ ვიცით და, როგორც ჩანს, პრინციპულად არც შეგვიძლია ვიცოდეთ, რა არის რეალობა, მაშინ როგორ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ესა თუ ის მხატვრული სტილი თუ მეთოდი უკეთესად გამოხატავს რეალობას, ხოლო რომელილაცა უარესად?

მეორე მხრივ, თუკი ნათელია, რომ დასავლეთისათვის ტრადიციულ რაციონალურ აზროვნებას, დერიდას ენაზე ლოგოცენტრიზმს, პრინციპულად არ შეუძლია ჩასწვდეს ჭეშმარიტებას, მაშინ, ცხადია, რეალობის მისეული ინტერპრეტაციისათვის ერთადერთობის სტატუსის მინიჭება სხვა არაფერია, თუ არა ნიცშეანური „ძალაუფლების ნების" გამოვლენა. ეს ინტერპრეტაცია ხომ მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია ინტერპრეტაციის უთვალავ შესაძლებლობათა შორის.

შესაბამისად, რეალიზმი სინამდვილეში ყოველთვის დგება გაბატონებული იდეოლოგიის სამსახურში და ინდივიდებს თავს ახვევს თავის ენას. ხოლო იმის გამო, რომ პოსტსტრუქტურალიზმის თანახმად, ეს იგივეა, რაც აზროვნების წესის თავს მოხვევა, გაბატონებული იდეოლოგიის თარგზე მოჭრილი ცნობიერების მქონე ადამიანები მნიშვნელოვნად კარგავენ უნარს დამოუკიდებლად გაიაზრონ საკუთარი

ცხოვრებისეული გამოცდილება, საკუთარი მატერიალური ყოფიერება. ანუ ისინი შეუმჩნევლად კარგავენ თავისუფლებას.

თანამედროვე დასავლეთისათვის დამახასიათებელი პოსტსტრუქტურალისტურ-დეკონსტრუქციულ-პოსტმოდერნისტულ იდეათა კომპლექსი, მართალია, უამრავ ასპექტს შეიცავს, რომელთაგან ბევრის შედეგი ჯერ კიდევ არა ჩანს ნათლად, მაგრამ ნათელია ისიც, რომ ეს არის დასავლური გონის კანონზომიერად რადიკალური მცდელობა გათავისუფლდეს კიდევ ერთი, შეიძლება ყველაზე ძნელად მოსაშორებელი — ცნობიერების ბორკილებისაგან.

და ამ საქმეში კრიტიკოსის ფუნქცია სრულიად განსაკუთრებულია.

6.

როგორ ფიქრობთ, კობა იმედაშვილს დღეს რომ დაეწერა თავისი ესეი, მაინც საჭიროდ ჩათვლიდა თუ არა რენარის იქედნური აზრის მოყვანას?

ალბათ ჩათვლიდა, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ჩვენში კრიტიკოსს დღესაც ისევე მოწყალედ უყურებენ, როგორც ოცდაათი წლის წინ უყურებდნენ.

რა თქმა უნდა, არაკანონზომიერი ამაში არაფერია.

მაგრამ გარდა კანონზომიერებისა, ამგვარი ვითარება სხვა უამრავ წვრილმან თუ მსხვილმან გარემოებასთან ერთად კარგად გვაჩვენებს იმასაც, რამდენად პირობითი სიტყვათშეთანხმებაა „ქართული პოსტმოდერნიზმი",

იგი პირობითია ტერმინოლოგიურ დონეზე — კულტურა, რომელიც შინაგანად არასოდეს მდგარა სამყაროს მოდერნისტულად აღქმის აუცილებლობის წინაშე და ამიტომ არც არასოდეს განუვითარებია მოდერნისტული ხელოვნება, ცხადია, ვერც „პოსტმოდერნისტული", ანუ მოდერნიზმის შემდეგდროინდელი იქნება.

ტერმინოლოგიურად, და შეიძლება არა მარტო ტერმინოლოგიურად, გაცილებით უფრო ზუსტი იქნებოდა, თუკი „პოსტმოდერნიზმის" ნაცვლად „პოსტსოცრეალიზმს" გამოვიყენებდით, მაგრამ შეიძლება ასეთმა ტერმინოლოგიურმა თამაშმა კიდევ მეტი გაუგებრობა გამოიწვიოს.

ამიტომ, ვფიქრობ, ბევრი არაფერი დაშავდება, თუკი იმ სპეციფიკური მსოფლგანცდის გამოსახატავად, რომელიც ბოლო ათითორმეტი წელია თანდათან წარმმართველი გახდა ჩვენს კულტურულ სივრცეში, მაინც „ქართულ პოსტმოდერნიზმს" გამოვიყენებთ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მსოფლგანცდას არსობრივად საერთო არაფერი აქვს დასავლურ პირველწყაროსთან.

მაგრამ ასეთ შემთხვევაში აუცილებლად მოგვიწევს „ეპისტემოლოგიური დაეჭვებისა" და „პოსტმოდერნისტული მგრძნობიარობის" რაღაც ჩვენებური ნაირსახეობის გამოკვეთაც, რათა აიხსნას ქართული მენტალიტეტისათვის პრინციპულად უცხო და გაუგებარი ნიჰილიზმის გაჩენის მიზეზები და თავისებურებანი.

სხვათა შორის, დღეს ამის გაკეთება მაინცდამაინც დიდ სირთულესთან აღარ არის დაკავშირებული, რადგან ნელ-ნელა ნათელი გახდა, რომ ზედაპირზე მოტივტივე ყველა სახის კრიზისი, იქნება ეს პოლიტიკური, ეკონომიკური თუ საერთო სოციალური, მხოლოდ შედეგია იმ გლობალური კრიზისისა, რომელსაც შეიძლება მსოფლმხედველობრივი ან კულტუროლოგიური კრიზისიც ვუწოდოთ. პოსტსტრუქტურალიზმის ენაზე ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს თვალწინ ხდება ქართული კულტურის დისკურსული პრაქტიკების მიერ შექმნილი ქართული ეპისტემის რადიკალური კრიზისი.

ჩვენი იმედის გაცრუება გამოიწვია განსაზღვრული დროიდან ჩვენს კულტურაში გაბატონებულმა მეტისმეტად „თხისმწყემსურმა" (გივი მარგველაშვილის მეტაფორა) დისკურსმა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ყოველგვარი რაციონალიზმისა და ელემენტარული საღი აზრის საპირისპიროდ ქართულ კულტურაში მესიანისტური ხასიათის დისკურსის გამარჯვება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში პარალელურად ყოველთვის არსებობდა შედარებით რაციონალური, ზომიერი სკეპტიციზმით შეზავებული დისკურსი (ზოგჯერ საკმაოდ მომძლავრებულიც, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის საქმიანობაში), მან მაინც ვერასოდეს ვერ შეძლო გაბატონებული მდგომარეობის მოპოვება. ამის ნაცვლად წინა პლანზე წამოიწია თავისებურმა ფენომენმა, რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც „რომანტიზირებული პატრიოტიზმი" (გერონტი ქიქოძე) ან როგორც „პათეტიკური ნარცისიზმი", რაც საკუთარი გამორჩეულობის აშკარა თუ ფარულ ქადაგებას გულისხმობს. არც ის არის გასაკვირი, რომ ამ დისკურსმა თავისი განვითარების პიკს სწორედ მე-20 საუკუნეში, საბჭოური სისტემის პირობებში მიაღწია.

სხვათა შორის, იმავე გივი მარგველაშვილის აზრით, ყოველივე ამის საფუძველი გახდა შიში, რომელიც, როგორც ჩანს, ქართულ მენტალიტეტში გარკველი დროიდან დამკვიდრდა.

ცხადია, ჩვენს ისტორიაში, განსაკუთრებით ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, არაერთხელ შექმნილა ისეთი ვითარება, ჩვენზე გაცი-

ლებით ძლიერ ქვეყნებსაც რომ მოჰგვრიდა ასეთ ეგზისტენციალურ შიშს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ეს შიში სრულიად გაუცნობიერებელი დარჩა და ცნობიერების დონეზე „რაციონალიზირებული" ლოზუნგების ფორმით ამოვიდა. თვითმყოფადობის შენარჩუნების, მამაპაპური ტრადიციების გადარჩენისა და სხვა ამგვარი ხასიათის მოწოდებები, ჩვენი კულტურის ერთგვარი კატეგორიული იმპერატივების სახეს იღებს, რაც ცალსახად უარყოფით დამოკიდებულებას (თავისი უამრავი გრადაციით) ბადებს განსხვავებული რელიგიური წარმოდგენების, განსხვავებული ეთნოსის, კულტურის, ცივილიზაციის, განსხვავებული მსოფლაღქმის, საერთოდ განსხვავებული აზრის მიმართ, რათა შესაძლებელი გახდეს საკუთარი განსაკუთრებულობის მითის გადარჩენა, ანუ საკუთარი თავის მოტყუება.

რასაკვირველია, ამგვარი დისკურსის გაბატონება მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც დერიდასა და ყველა დეკონსტრუქტივისტისთვის ასე საძულველი ლოგოცენტრიზმი ყოველთვის ჩრდილში იდგა. ანუ იქ, სადაც მეცნიერული რაციონალიზმის ზომიერი სკეპტიციზმი გაძევებულია და მის ნაცვლად „რომანტიზირებული პატრიოტიზმის" ეგზალტირებული უკიდურესობების ენა ბატონობს.

მაგრამ ვის შეეძლო ასეთი დისკურსის ზეგავლენით შექმნილი ქართული ეპისტემის ამგვარი ფუნდამენტური კრიზისი გამოეწვია, როგორის მოწმენიც დღესა ვართ?

ცხადია, ვერავის.

თავის დროზე ამ დისკურსს ვერაფერი მოუხერხა თვით ილია ჭავჭავაძემ, რადგან ადამიანს არ შეუძლია ასეთი მასშტაბისა და სიღრმის ფენომენის წინააღმდეგ შედეგიანი ბრძოლა. ფენომენს მხოლოდ ფენომენი შეიძლება დაუპირისპირდეს.

ამიტომ ის, რაც მოყოლებული ილია ჭავჭავაძიდან ვერ შეძლო ქართველ ინტელექტუალთა ყველაზე გონიერმა და შორსმჭვრეტელმა ნაწილმა, თავისუფალმა ცხოვრებამ სულ რაღაც ათ წელიწადში უსასტიკესი ფორმით გააკეთა.

ციდან ჩამოვარდნილმა თავისუფლებამ ძალიან მოკლე დროში ნებისმიერ ჩვენგანს საკუთარ ტყავზე აგრძნობინა ჩვენი ეპისტემის მეტისმეტად ცალმხრივი, მეტისმეტად ჰიპერბოლიზებული, ჭარბად ნარცისული ხასიათი, რამაც საკუთარი კულტურისგან ადამიანთა ელვისებური განხიბვლა გამოიწვია.

გაკოტრდა ყველა ის ფასეულობა, ეჭვის ქვეშ დადგა ყველა ის „ცოდნა" (თუკი ამას ცოდნა შეიძლება ეწოდოს), რომლებიც აქამდე ქართული ეპისტემის ბირთვს შეადგენდნენ.

ესეც ჩვენებური ეპისტემოლოგიური დაეჭვება, რომელმაც აქამდე არნახული კრიზისი და ქაოსი გამოიწვია. და აი, ჩვენი კრიზისის კიდევ ერთი, შეიძლება ყველაზე კანონზომიერი და საშიში თავისებურება. საქმე ის გახლავთ, რომ ეს მსოფლმხედველობრივი თუ კულტუროლოგიური კრიზისი ჯაჭვური რეაქციის პრინციპით გავრცელდა და მთელი ქვეყნის ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების კოლაფსი გამოიწვია.

მსოფლმხედველობრივი კრიზისები რომ დასავლეთმა იცის, ისეთი, უკაცრავად და, არც დაგვესიზმრება, მაგრამ ამას იქ არავითარი გლობალური პოლიტიკური ან ეკონომიკური კატაკლიზმები არ გამოუწვევია.

ამ გარემოების ახსნა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებრიობის ტრადიციის ქონით ან არქონით იმ ტიპის არგუმენტია, ჩვენში რომ ყველა დემაგოგ პოლიტიკოსს ენის წვერზე ადგას და მხოლოდ ხალხის კი არა, საკუთარი თავის მოტყუებასაც ემსახურება.

სამწუხაროდ, პრობლემა გაცილებით უფრო ფუნდამენტურია.

ეს გახლავთ ჩვენი ცნობიერების ნიჰილიზმთან დამოკიდებულების პრობლემა.

7.

დასავლური გონის ისტორიაზე ზერელე დაკვირვებითაც კი შეიძლება დავინახოთ, რომ ნიჰილიზმი არც ისეთი საშინელი მოვლენაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ევროპაში ნიჰილიზმის გარკვეული ტრადიციაც კი არსებობს, რაც, არც მეტი, არც ნაკლები, საზოგადოების ინტელექტუალური (და არა მარტო ინტელექტუალური) მოძრაობის ერთ-ერთი მძლავრი სტიმულია.

დასავლური კულტურა ყოველთვის ახერხებდა და დღესაც ახერხებს თვით ისეთი მასშტაბის, სიღრმისა და პათოსის ნიჰილისტის თავის სამსახურში ჩაყენებას, როგორიც ფრიდრიხ ნიცშე გახლდათ. ეს იმას ნიშნავს, რომ დასავლეთი ნიცშეს შემდეგ, ცხადია, ის აღარ არის, რაც ნიცშემდე იყო.

რა თქმა უნდა, ვერც პოსტსტრუქტურალისტურ-პოსტმოდერნისტული გადაფასების შემდეგ დარჩება ის, რაც მანამდე გახლდათ. ანუ ნიჰილიზმი იქაც ძალზე მტკივნეული და დრამატული მოვლენაა, მაგ-

რამ დამანგრეველი არასოდეს არ არის. იგი მუდმივად უარყოფს რაღაცას, მაგრამ ამავე დროს, რაღაცას აფუძნებს კიდეც.

ჩვენში ნიჰილიზმი ყოველთვის მყისიერად ფეთქდება, ყოველთვის საშინელ, დამანგრეველ ენერგიას ავლენს, ყველაფერს წალეკვითა და განადგურებით ემუქრება და ასევე ყოველთვის... შერცხვენილი და თავლაფდასხმული უკვალოდ ქრება.

ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო.

ერთადერთი შემთხვევა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე ერთადერთად რჩება, ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების კარგად დასაბუთებული და ზომიერი ნიჰილიზმია, რომელმაც, მიუხედავად საშინელი წინააღმდეგობისა, მაინც მოახერხა რაღაცის შეცვლა.

სრულიად უკვალოდ გაქრა ნიკოლო მიწიშვილის მართლაც დრამატული მაქსიმალიზმი. ფუჭი გასროლა აღმოჩნდა კონსტანტინე კაპანელისა და კიდევ რამდენიმე კაცის ნააზრევი.

ჩვენმა კულტურამ ვერც ერთის გამოყენება ვერ შეძლო. ჩვენს ცნობიერებაში მათ იოტისოდენა ძვრაც კი არ გამოუწვევიათ. ეგ არის მხოლოდ, რომ ნიკოლო მიწიშვილის ოპუსის გახსენება ჩვენს „პროფესიონალ პატრიოტებში" დღემდე მრისხანების კონვულსიებს იწვევს. მათ დღემდე ერთადერთი კითხვა აწუხებთ:

როგორ გაბედა?!

მეტი არაფერი.

გამორიცხული არ არის, იგივე ბედი ეწიოს დღევანდელ ნიჰილიზმსაც. მიუხედავად თავისი საშიში ფიზიონომიისა, შეიძლება ისიც უკვალოდ გაქრეს, რისი ნიშნებიც უკვე აშკარად იგრძნობა.

მაგრამ შეიძლება თუ არა ასეთი ვითარების მიზეზი გავიცნობიეროთ?

მე მგონი, შეიძლება.

დააკვირდით: დეკონსტრუქტივიზმი ფაქტობრივად სისტემატურად აწყდება ერთ გადაულახავ პრობლემას. საქმე ის გახლავთ, რომ, მიუხედავად დასავლური მეტაფიზიკის მიმართ ასეთი უარყოფითი განწყობილებისა, დეკონსტრუქტივისტები იძულებული არიან, ძირითადად, იმავე მეტაფიზიკის ტერმინებით მოახდინონ ოპერირება.

შესაბამისად, მეტაფიზიკური დისკურსის ტერმინოლოგიით გამოხატული მათი არგუმენტაცია მუდამ პრობლემატურ ურთიერთობაში რჩება მათივე მცდელობასთან თავი დაღწიონ ლოგოცენტრიზმის ფარულ, მაგრამ ყოვლისგამჭოლ ზეგავლენას.

რომელი ენით უხდება ოპერირება ქართველ ნიჰილისტს?

ცხადია, მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომელიც ქართულმა კულტურამ შეიმუშავა.

მაგრამ ეს არ არის რეფლექსიის, სკეპტიციზმის ენა.

ქართული ეპისტემის შემქმნელი დისკურსისთვის მოსაწყენი და არაფრის მთქმელია დინჯი, კარგად არგუმენტირებული საუბარი, პოლემიკა. ჩვენი ენა უკიდურესობების, რისამე ეგზალტირებულად განდიდების ან დამხობა-განადგურების ენაა.

ამ ენამ არ იცის მოსმენა.

ეს ენა არ ცნობს განსხვავებულ აზრს.

იგი რატომღაც უკანმოუხედავად დარწმუნებულია, რომ ამქვეყნად ერთადერთი ჭეშმარიტება არსებობს და იმასაც თვითონ ფლობს.

ჩვენ ვერ შევძელით რაციონალიზმის, დეტერმინიზმის ენის შექმნა. ჩვენთვის დღემდე უცხოა და მოსაწყენი ლოგოცენტრიზმი, სისტემა, სტრუქტურა, ანუ ყოველივე ის, რამაც დასავლური ცივილიზაცია შექმნა და რომლისგან გათავისუფლებასაც სრულიად სხვა საჭიროების გამო, ასე ცდილობს დღეს იგივე დასავლური კაცობრიობა.

იმისათვის, რომ ჩვენში შენი ხმა გაიგონონ, სულაც არ არის აუცილებელი აკადემიური, თუნდაც ბრწყინვალედ არგუმენტირებული რეფლექსია.

ამისათვის საჭიროა ყვირილი, ანუ წრეგადასული ქება-დიდება ან ასეთივე ლანძღვა-გინება.

სხვათა შორის, აქამდე ეს ენა არავითარ პრობლემას არ ქმნიდა, რადგან აქამდე არც ნიჰილიზმის პრობლემა არსებობდა. ამ ენით იწერებოდა პოპულარული რომანები, იქმნებოდა გულისამაძგერებელი პატრიოტული პოეზია, ითხზვებოდა გულის მოსაფხანი კრიტიკული ოპუსები და ყველა ან თითქმის ყველა კმაყოფილი იყო.

მაგრამ, როცა ნიჰილიზმმა მოგვიკაკუნა კარზე, ისიც ამ ენაზე ალაპარაკდა.

რა ექნა?

ამ ენაზე ლაპარაკობდა ნიკოლო მიწიშვილიც.

აქედან იბადება ჩვენი ნიჰილიზმისათვის დამახასიათებელი არაარგუმენტირებული და ამიტომ ფუჭი უკიდურესობები, რომლებიც მხოლოდ იმას აღწევენ, რომ უფრო აძლიერებენ და ფუნდამენტალიზმისაკენ მიერეკებიან ჩვენს პროფესიონალ პატრიოტებს.

მეტაფორულად თუ ვიტყვით, დღეს ჩვენში არსებული ვითარება ძალიან ჰგავს ორი ეგზალტირებული ყრუს „დიალოგს", რომელთაც ერთმანეთის ლაპარაკი კი არ ესმით, ენერგიული ჟესტიკულაციით ხვდებიან, რომ მოწინააღმდეგე მხარე გაჩერებას არ აპირებს.

ასეთ ვითარებაში ვის შეუძლია საღი სკეპტიციზმის წყნარი ხმა გაიგონოს და მის არგუმენტებზე იფიქროს?

ქართულ ნიჰილიზმს აქვს კიდევ ერთი თვისება, რომელიც მხოლოდ ავსებს ზემორე ნათქვამს და კიდევ უფრო მეტი სიცხადით წარმოაჩენს მის ფუჭ ხასიათს.

თავის დროზე, ნიცშემ დაახლოებით ასე განსაზღვრა რუსული ნიჰილიზმის არსი: ეს არის მოვლენა, რომელიც ისწავლის რა ერთი რომელიმე ავტორიტეტის უნდობლობას, იქვე ცდილობს იპოვოს მეორე, რათა ახლა ის გააღმერთოსო.

თითქოს დღევანდელ ქართულ ნიჰილიზმზე იყოს ნათქვამი.

ჩვენი ნიჰილისტების ახალი ღმერთი, რა თქმა უნდა, დასავლური ცივილიზაციაა, მაგრამ, ცხადია, არა ღრმად განცდილი და გააზრებული, არამედ მოდის სახით ატყეპებული, რაც უკიდურესად წინდაუხედავი საქციელია, რადგან დასავლური კულტურა და ცივილიზაცია იმ მასშტაბისა და ძალმოსილების ფენომენია და ისეთი სისწრაფით, ზათქითა და გრიალით მიექანება საითკენღაც, რომ თუ ფეხებში გაებლანდე, უნებლიეთ (და არა საგანგებოდ!) ისე გაგსრესს და გაგასწორებს მიწასთან, თვითონ ვერც გაიცნობიერებს ამას.

8.

და მაინც, მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, მომავალშიც ყველა თავისას ეცდება.

„პროფესიონალი პატრიოტები" ფუნდამენტალიზმისკენ გააგრძელებენ ჩოჩვას, ვითომ ნიჰილისტები ისევ ისე კუნტრუშ-კუნტრუშით განაგრძობენ დასავლური მასკულტურის ნარჩენების ჩვენში ხალას ოქროდ გასაღებას, პოლიტიკოსები — ქვეყნის ყიდვა-გაყიდვით დაგროვილი ქონების ევროპულ ბანკებში დაბანდებას...

ხოლო სკეპტიკოსებს სხვა რაღა დარჩენიათ, გარდა იმისა, რომ ქართული კულტურის „უნივერსალური ეპისტემის" დეკონსტრუქციას შეეცადონ, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა იმისათვის, რომ ლოგოცენტრიზმი ამხილონ.

რაც არ გვქონია, რას ამხელ?

ცხადია, ვერც რეალიზმის პრინციპზე ვიტყვით უარს.

ჩვენებური დეკონსტრუქციის მიზანი უფრო იმ დისკურსის დამკვიდრების მცდელობა უნდა იყოს, რომელიც თითქოს ყოველთვის არსებობდა ჩვენში, მაგრამ იმდენად სუსტი და უმწეო გახლდათ ტრადიციულ ქართულ დისკურსთან დაპირისპირებაში, რომ ვერ შეძლო თავისი კვალი დაეჩნია ჩვენი კულტურისათვის.

მართალია, მხოლოდ ღმერთმა იცის, აქედან რა გამოვა, მაგრამ ერთმა ჩვენმა უპირველესმა სკეპტიკოსთაგანმაც ხომ თქვა თავის დროზე — „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა“ და სხვა და სხვა.

2003

პოსტმოდერნისტული ბიოგრაფიები

მართალია ასოციაციის პრინციპი საერთოდ პოსტმოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთი საყვარელი ხერხია, მაგრამ არა მგონია ლაშა იმედაშვილის პოსტმოდერნისტულმა შედევრმა „მწერლობის იმიტაცია: საეჭვო ბიოგრაფიის კაცი" („ჩვენი მწერლობა", 2001, #37, 38) მხოლოდ ამიტომ მომაგონა ჯემალ ქარჩხაძის დიდი ხნის წინ დაწერილი და მივიწ-ყებული მოთხრობა „რაჰათ-ლუხუმი". ალბათ, არც მარტო იმიტომ, რომ ეს უკანასკნელიც აშკარად პოსტმოდერნისტული მენტალიტეტის მქონე მწერლის მიერაა დაწერილი. ჩემი აზრით, ამგვარი ასოციაცია უფრო იმიტომ გაჩნდა, რომ ორივე მოთხრობა დიდი სიცხადით გვაჩვენებს ერთ ჭეშმარიტებას: განსხვავებით ჩვენებური მოდერნიზმის ან ავანგარდი-ზმისაგან, რომლებიც ძირითადად მაინც მოდური ჩხირკედელაობის დონეზე დარჩნენ, ქართულ პოსტმოდერნიზმს თავისი მყარი საფუძველი აღმოაჩნდა. ანუ თუკი მოდერნისტული ან ავანგარდისტული განწყობა ჩვენში საუკეთესო შემთხვევაშიც კი მხოლოდ რამდენიმე ინტელექტუალის პირადი პრობლემა აღმოჩნდა, პოსტმოდერნისტული მსოფლგანცდა, სხვადასხვა მიზეზის გამო, ჩვენს ქვეყანაშიაც ეპოქალურ მოვლენად იქცა. ჩვენი საზოგადოების მოზრდილ ნაწილს აშკარად აღმოაჩნდა მენტალური მზაობა პოსტმოდერნისტული ესთეტიკის არა მარტო მისაღებად, არამედ დასაფასებლადაც. ქართული პოსტმოდერნიზმის ნარმატების საიდუმლოს ამოსახსნელად, ვფიქრობ, მაინც უკეთესია მივმართოთ ლაშა იმედაშვილის „მწერლობის იმიტაციასა" და ჯემალ ქარჩხაძის „რაჰათ-ლუხუმს". მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელისათვის პოსტმოდერნისტული მსოფლგანცდა ჯერ კიდევ მაშინ იყო ბუნებრივი მდგომარეობა, როცა ჩვენში საამისოდ თითქოს არავითარი პირობა არ არსებობდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ჯემალ ქარჩხაძე მაშინვე ნათლად ხედავდა ჩვენი კულტურისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ ისეთ ტენდენციას, რომელთა სპეციფიკურმა ხასიათმა დიდად შეუწყო ხელი ჩვენი საზოგადოების ულრმესი კრიზისის ფაზაში, ანუ „პოსტმოდერნისტულ საუკუნეში" შესვლას.

* * *

როგორც ცნობილია, XX საუკუნის დასავლური კულტურის ისეთ ფენომენებს, როგორებიცაა მოდერნიზმი, ავანგარდიზმი და პოსტმოდერნიზმი, ერთი და იგივე საფუძველი აქვთ. სამივე მიმდინარეობა ზოგადად ევროპული ცნობიერების ყოვლისმომცველი კრიზისის პროდუქტია. თავის დროზე ინდივიდუალიზმისა და რაციონალიზმის გზაზე შემდგარმა ევროპულმა კაცობრიობამ ჯერ ბიბლიური ღმერთის რწმენა დაკარგა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ჰიპერბოლიზებული ავტორიტეტის სასარგებლოდ, ხოლო XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეს უკანასკნელიც ჩამოენგრა თავზე. ტრადიციული ფასეულობებისა და ორიენტირების ნანგრევებში მოყოლილი მთელი XX საუკუნის ევროპული კულტურა ამ მდგომარეობით მოგვრილი შოკის, უგზოობის, „სამყაროში გადმოგდებულობისა" და სრული ქაოსის მტკივნეული გაცნობიერებისა და ასეთ ვითარებაში აღმოჩენილი ადამიანის ყველა შესაძლო რეაქციის გამოხატვის ტრაგიკული მცდელობაა.

მაგრამ ის, რაც სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემა იყო რომელიმე ევროპელი დეკადენტი პოეტისათვის, არაევროპელისათვის ძირითადად მაინც მოდის საკითხად რჩებოდა.

უმეტეს შემთხვევაში ასე იყო ჩვენშიაც.

ამ ვითარებას, სხვათა შორის, კარგად ხედავდა ჯერ კიდევ გერონტი ქიქოძე, როცა წერდა: „უნდა ითქვას, რომ არც პაოლო იაშვილის გარეგნობაში, არც მის სულში არაფერი იყო დეკადენტური: გეგონებოდათ, ის სიმბოლისტური და დეკადენტური პოეზიის სკოლას უფრო თავით მიემხრო, ვიდრე გულითო... როდესაც იგი უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნდა და „ცისფერი ყანწების" ორდენი დააარსა, მან, უწინარეს ყოვლისა, ძველი პოეტური თაობის ცენტრალურ ფიგურას — აკაკი წერეთელს შეუტია. ეს გასაგები იყო ახალი ორდენის ინტერესების თვალსაზრისით, მაგრამ ძნელი ასახსნელი იყო პაოლო იაშვილის ადამიანური და პოეტური ბუნების თვალსაზრისით: ის უფრო აკაკი წერეთლის ანდერძის დამცველად გამოდგებოდა, ვიდრე მის დამრღვეველად".

ანუ კრიზისი, რომელმაც ევროპაში, ვთქვათ, ბოდლერის პოეზია შექმნა და არაჩვეულებრივი პოპულარობა მოუპოვა მას, საქართველოში ვერაფერს შექმნიდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მაშინაც და დღესაც ჩვენ სულ სხვა პრობლემები გვაწუხებდა და გვაწუხებს.

წარმოიდგინეთ, რეალურად რამდენად შეიძლება გვაწუხებდეს ის, რასაც პოსტმოდერნისტული ტერმინოლოგიით „ეპისტემოლოგიური დაეჭვება" ეწოდება? რამდენად შეიძლება ჩვენი საზოგადოების ცნობ-

იერებაზე რეალური ზეგავლენა მოახდინოს იმან, რაც ევროპული კაცობრიობისათვის ნამდვილი ტრაგედიაა? წმინდა აბსტრაქტული ინტერესის გარდა, რეალურად რა შეიძლება შეიცვალოს ჩვენს ყოფაში იმის გამო, რომ ევროპელებს საკუთარი რაციონალიზმი ჩამოენგრათ თავზე? რომ მათ ალარ შეუძლიათ მანამდე ჰიპერბოლიზებული ავტორიტეტის მქონე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიერ შემოთავაზებული სამყაროს სურათის ჭეშმარიტებას ენდონ? რომ მათ მიზეზშედეგობრიობის მკაცრ კანონებზე დაფუძნებული საკუთარი ფილოსოფიური სისტემების ნდობაც დაკარგეს?

სხვათა შორის, ასეთ წმინდა ევროპულ პრობლემატიკაზე იმავე ჯემალ ქარჩხაძეს ერთი მშვენიერი და გონებამახვილური ნოველაც აქვს დაწერილი (ამის შესახებ იხ. ლევან ბრეგაძის „პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში", კრებული „სჯანი", II), მაგრამ ეს ნოველა მხოლოდ მისი ავტორის ნიჭიერებასა და ინტერესთა მრავალმხრივობაზე მიგვითითებს, ისე კი, უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარი თემატიკა ჩვენი საზოგადოებისათვის დიდი ფუფუნება იყო და არის დღესაც. ქართული პოსტმოდერნიზმი მისთვის ასეთ აბსტრაქტულ პრობლემებს ვერ დაეყრდნობოდა. ჩვენ არასოდეს შეგვიქმნია ინდივიდუალიზმსა და რაციონალიზმზე დაფუძნებული საზოგადოება, რათა მერე მის ყოვლისმომცველ კრიზისს ჩვენთვის რეალური პრობლემები შეექმნა.

საბედნიეროდ თუ სამწუხაროდ, ამგვარი რამ არ მომხდარა.

და მაინც, მიუხედავად ამისა, დღეს ჩვენში, ისევე როგორც თავის დროზე დასავლეთში, სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება ძველებურად წერა და აზროვნება. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენთვის აქამდე მოდერნისა და ავანგარდის მსგავსად უცხო პოსტმოდერნისტული ესთეტიკა, ახლა არა მარტო მისაღები, შეიძლება ითქვას, ერთადერთი შესაძლო პოზიცია ხდება ბოლო ათი წლის მანძილზე ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი უაღრესად ღრმა და სპეციფიკური კრიზისის პირობებში. ერთი შეხედვით მართლაც უცნაურია, მაგრამ პოსტმოდერნისტული ესთეტიკა აღმოჩნდა ის უნივერსალური მეთოდი თუ რეაქცია, რითაც საერთოდ კულტურამ შეიძლება უპასუხოს როგორც ევროპულ, ისე ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კრიზისებს.

* * *

დასავლური ტრადიციის თანახმად, ყოველი ესთეტიკური მიმდინარეობა საზოგადოების სულიერი კრიზისის თავისებური ანარეკლი და

თან მისი გადალახვის მცდელობა იყო. მაგრამ როგორც ამბობენ, განსხვავებით ამ ტრადიციისაგან, პოსტმოდერნიზმი ცდილობს არა ახალი „ცოდნის“ დაკანონებას, არამედ არსებული კრიზისის დრამატიზებას.

გამომდინარე ზემოთ ნახსენები ეპისტემოლოგიური დაეჭვებიდან, პოსტმოდერნიზმი საერთოდ უნდობლობითაა გამსჭვალული ყოველგვარი სახის „ცოდნის“ მიმართ, იქნება ეს რელიგია, ისტორია, სხვადასხვა მეცნიერება, ფსიქოლოგია თუ ხელოვნება, ანუ ჟან-ფრანსუა ლიოტარის ტერმინოლოგიით, ყველა იმ „მეტამოთხრობის“ მიმართ, რომელთა მეშვეობითაც საზოგადოება ახერხებს ორგანიზებას და დაფუძნებას. ყოველგვარი დეტერმინიზმის, ყოველგვარი მიზეზშედეგობრიობისა და საერთოდ, რაციონალიზმის კრახიდან გამომდინარე, პოსტმოდერნისტები თვლიან, რომ სამყაროს რეალური წვდომა, მისი ადეკვატური გააზრება მხოლოდ ინტუიტივიზმით შეიძლება თავისი ასოციაციურობით, მეტაფორულობით, გონების წამიერი განათებით. ხედვისა თუ აღქმის კუთხის ასეთი ცვლილება იწვევს ძველი „დიადი მეტამოთხრობების“ დაქუცმაცებას პატარ-პატარა, ხშირად ძალზე მოულოდნელ, პარადოქსული ხასიათის ამბებად, რითაც თავდაყირა დგება ყველა ტრადიციული ფასეულობა. ჩვეული ლოგიკური კავშირებისა და ტრადიციული ფასეულობების ნამსხვრევებში მოყოლილი პოსტმოდერნისტი ამიერიდან სამყაროს აღიქვამს როგორც მოუწესრიგებელი ფრაგმენტების გროვას. სამყაროს ასეთმა, დასავლეთისათვის არატრადიციულმა ხედვამ, „პოსტმოდერნისტული მგრძნობიარობის“ სახელწოდება მიიღო.

საქართველო „პოსტმოდერნისტულ საუკუნეში“ შეიყვანა არა ინდივიდუალიზმის ან რაციონალიზმის კრიზისმა, ასეთი რამ ჩვენში არ არსებულა, არამედ თავისუფლების ათმა წელიწადმა. ელვის სისწრაფით განვითარებულმა მოვლენებმა და წარმოქმნილი კრიზისის სიღრმემ და ყოვლისმომცველობამ თავისთავად დაბადა უნდობლობა იმ მეტამოთხრობების მიმართ, რომელთა მეშვეობითაც ჩვენი საზოგადოება უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე ახორციელებდა თავის დაფუძნებას და გარემომცველ სამყაროზე საკუთარ შეხედულებათა ლეგიტიმიზებას. შესაბამისად, თუკი დასავლური პოსტმოდერნიზმის საფუძველი შეიძლება განიმარტოს როგორც დიდი იმედგაცრუება რაციონალიზმით, რადგან ასეთი მსოფლხედვა უძლური აღმოჩნდა სამყაროს ადეკვატურ წვდომაში (ჯემალ ქარჩხაძე ზემოთ ნახსენებ ნოველაში „დრო“ ამ იმედგაცრუების ასეთ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „მეცნ-

იერული თეორია ორგვარია: ერთია მცდარი თეორია, რომელიც დროთა განმავლობაში სწორით შეიცვლება. და მეორეა სწორი თეორია, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო სწორით შეიცვლება"), ქართული პოსტმოდერნიზმის საფუძველი საკუთარი ვინაობისა თუ რაობის გაურკვევლობას დაუკავშირდა. დღევანდელი კრიზისის ფონზე უნებლიეთ საერთო-საყოველთაო ეჭვის ქვეშ დადგა ყველა ის „ცოდნა", რაც საკუთარი თავის შესახებ გვქონდა. გამოიკვეთა ჩვენი მეტამოთხრობების აპოლოგეტური, პათეტიკური, არარეალური შინაარსი.

მთავარი განსხვავებაც ეს არის. ეს გარემოებავე წარმოქმნის ჩვენში ნოყიერ ნიადაგს პოსტმოდერნიზმისათვის, იმდენად ნოყიერს, რომ ნელ-ნელა მართლა შეუძლებელი ხდება ძველებურად აზროვნება და წერა. უმთავრესი დარტყმის ქვეშ ქართული მეტამოთხრობების აშკარად გამოხატული ნარცისული ხასიათი აღმოჩნდა, ანუ ის, რასაც ჯერ კიდევ გერონტი ქიქოძე „რომანტიზირებულ პატრიოტიზმს" უწოდებდა.

* * *

მართალია, ჯემალ ქარჩხაძის „რაჰათ-ლუხუმი" ვერ ჩაითვლება გამოკვეთილად პოსტმოდერნისტული პოეტიკით შექმნილ მოთხრობად, მაგრამ მასში არის ის უმთავრესი, რასაც მომავალში უნდა დაყრდნობოდა ქართული პოსტმოდერნიზმი.

უცნაურია თავად მოთხრობის სათაური. ცხადია, ტექსტი, რომელშიაც თევდორე მღვდლის მართლაც უკვდავი გმირობის ამბავია მოთხრობილი, ჩვენი ტრადიციების დაცვით, გაცილებით უფრო რომანტიკულ, პათეტიკით აღსავსე სათაურს მოითხოვდა და არა რაღაც რაჰათ-ლუხუმს, რომელიც, უცხო სიტყვათა ლექსიკონს თუ არ ჩავხედეთ, შეიძლება არც კი ვიცოდეთ, რომ ერთგვარი აღმოსავლური ტკბილეულის სახელია. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ქართული ისტორიული პროზის ტრადიციებიდან მართლა აღარაფერი გვრჩება ხელთ, როცა ვიგებთ, რომ თევდორე მღვდლის ამბავს ვილაც გადაყრუებული თურქი გვიყვება. მერე იმასაც შევიტყობთ, რომ ეს თურქი იმ ლაშქრის ერთ-ერთი გავლენიანი წევრი ყოფილა, რომელიც მეგზურის ძიებაში მაინცდამაინც ისეთ კაცს გადაეყარა, როგორიც თევდორე მღვდელი იყო.

რა თქმა უნდა, ხედვის კუთხის ასეთი პოსტმოდერნისტული გადანაცვლების მიზანია არა თევდორეს სახელის შეურაცხყოფა, არამედ მკითხველის გაუცხოება იმ ამბისადმი, რომელიც ჩვენში საყოველთაოდაა ცნობილი. ეს კი იმისთვისაა საჭირო, რომ მწერალს განზრა-

ხული აქვს, თევდორეს „დიადი ისტორიის“ არასწორი „ექსპლუატაციით“ საფუძვლიანად წონასწორობადაკარგულ საზოგადოებას რამდენიმე „წვრილმანი ისტორია-მოთხრობით“ წონასწორობა აღუდგინოს. ამ მიზანს ემსახურება, იმავე დიადი ისტორიის თანახმად, რეალურად არარსებული, არმომხდარი ისეთი ეპიზოდები, როგორებიცაა მოღალატე და ფრიად დარდიმანდი ქართველის გამოჩენა და ლუარსაბ მეფის წინა ღამით ღვინით გალეშილი მთელი მენაპირე ლაშქრის ცხვრებივით ამოხოცვის ამბავი, რაც ვინმე ალი-მირზამ, ადრე ქართლში დიდხანს ნაცხოვრებმა, მაგრამ მერე რაღაც დანაშაულის გამო დასაჭურისებულმა და იქიდან გამოძევებულმა თურქმა, მართლაც გასაოცარი სიზუსტით იწინასწარმეტყველა.

მაგრამ ის, რამაც ჯემალ ქარჩხაძის მკითხველი მართლაც შოკში უნდა ჩააგდოს, იმავე ალი-მირზას მიერ ქართველის ბუნების ასეთი დახასიათებაა:

„ყველა გურჯი ბუნებით მოღალატეა, ოღონდ ეგ არის, ზოგს ეძლევა ღალატის საშუალება და ზოგს არა... შურიანები არიან, ერთიმეორის სიკეთე მოსვენებას უკარგავთ და ვინც მათს ამ თვისებას ბრძნულად გამოიყენებს, როცა დასჭირდება, ერთმანეთს იოლად გადაჰკიდებს. გურჯი უნდა აქო, თავი ისე უნდა მოაჩვენო, ვითომ შენ იმის ფეხთა მტვრად არა ღირხარ, გურჯი გულუბრყვილოა, თანაც გადამთიელის ნათქვამს ყოველთვის უფრო იოლად იჯერებს, ვიდრე თავისიანისას, ამიტომ სწრაფად მოგენდობა და შეუყვარდები, ხოლო რაკი შენ შეუყვარდები, საკუთარი ძმა შესძულდება... გურჯების უგუნურება ყველაზე უკეთ მათს ამპარტავნობაში ჩანს, თავიანთ ურიცხვ ნაკლს ისე სასოებით მალავენ, თითქოს ერთი რამ ძვირფასი საგანძური იყოს, ყველაფერი შეიძლება გაპატიონ, მაგრამ მათი ნაკლი თუ შეამჩნიე, ამას არამც და არამც არ გაპატიებენ. ამიტომ თავი ისე დაიჭირეთ, ვითომ გურჯისთანა სრულქმნილი თქვენს დღეში არავინ გენახოთ, ამით ორ რამეს მიაღწევთ — მორჩილებაშიც გეყოლებათ და თავის უთვალავ ნაკლსაც ვერასოდეს მოიშორებს... გახსოვდეთ, მაძღარი გურჯი კარგი გურჯია, მაძღარ გურჯს ბრძოლა არ უყვარს, მაძღარ გურჯს მხართეძოზე წოლა და სლოკინი უყვარს... ბრძოლა კარგი იციან... მაგრამ ისეთი არა, როგორც ღალატი, ღალატის ხელოვნებაში მაგათ ბადალი არა ჰყავთ, ისე კი, სხვის ლაშქარში უფრო მონდომებით იბრძვიან, რადგან უცხოთა წინაშე თავის გამოჩენა უყვართ“.

დღეს შეიძლება ასეთი ან მსგავსი მოსაზრებები თითქმის ნებისმიერ გაზეთში ამოიკითხოთ, რადგან როგორც უკვე ითქვა, ბოლო ათმა

წელიწადმა პირდაპირ „პოსტმოდერნისტულ საუკუნეში“ ამოგვაყოფინა თავი, მაგრამ იმ დროს, როცა ჯემალ ქარჩხაძე თავის მოთხრობას წერდა, ჩვენში ასეთ თემებზე ხმამაღლა არ საუბრობდნენ. ქართული მეტამოთხრობების დემონტაჟის მცდელობის არავითარი საჭიროება არ არსებობდა, ყველაფერი მეტად ჰარმონიულად გამოიყურებოდა. სიმართლე რომ ითქვას, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი ალი-მირზას შოკის მომგვრელი მონოლოგისა, არც ჯემალ ქარჩხაძეს უცდია დღევანდელი ჩვენი პოსტმოდერნისტებისათვის დამახასიათებელი უაპელაციო დემონტაჟი. დამეთანხმეთ, რომ მაშინ ამის გაკეთება იქნებოდა სრული ნონსენსი, საშინელი და არაფრის მომცემი დისონანსი. მართალია, იგი მაინც დაუპირისპირდა ჩვენს მეტაისტორიებს, მაგრამ ეს ისეთი ხელოვნებით გააკეთა, რომ რომანტიზირებული პატრიოტიზმის თვით ყველაზე ეგზალტირებული ადეპტიც კი ვერაფერში შეედავებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ მიუხედავად ალი-მირზას საშინელი სიტყვებისა, რომელთა უმრავლესობაც საოცარი სიზუსტით ასრულდა, თევდორე მღვდლის „დიადი ისტორიის“ გადაწონვა მაინც შეუძლებელი იყო. ამგვარი განზრახვა არც მწერალს ჰქონია. იგი მხოლოდ საკუთარი თავის განდიდების გავრცელებულ პრაქტიკას დაუპირისპირდა და ამ საქმეში წონასწორობის აღდგენას შეეცადა. მაგრამ ის, რაც შეუძლებელი იყო ერთი ან ათი კაცისათვის, სულ მალე რეალობასთან პირისპირ შეჯახებამ თვითონ გააკეთა. წონასწორობა არც ამჯერად დამყარდა, უბრალოდ ჩვენი „მეტამოთხრობებისაგან“ ქვა ქვაზე აღარ დარჩა. მიუხედავად ჩვენი საზოგადოების ასეთი სპეციფიკური ხასიათის კრიზისისა, იგი თავისი სიღრმითა და ყოვლისმომცველობით არაფრით არ აღმოჩნდა ევროპულზე ნაკლები, რამაც საბოლოოდ გამოიწვია კიდეც „ქართული პოსტმოდერნისტული საუკუნის“ დადგომა.

* * *

ლაშა იმედაშვილის „მწერლობის იმიტაცია: საეჭვო ბიოგრაფიის კაცი“ შეიძლება ქართული პოსტმოდერნიზმის ქრესტომათიულ ნიმუშად ჩაითვალოს, იმდენად ზუსტად გამოხატავს ყველა იმ თავისებურებას, რაც ამ მიმდინარეობას ჩვენში აქვს. აქ არის აშკარად გამოკვეთილი ეპისტემოლოგიური დაეჭვების სპეციფიკურად ქართული ვარიანტი, განხორციელებულია მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული მთელი რიგი სტერეოტიპული მოსაზრებების პოსტმოდერნისტული მგრძნობიარობის პრინციპით გადასინჯვის მცდელობა, ჩვენ თვალწინ ხდება ზოგიერთი ჩვენი დიადი მეტამოთხრ-

ობის მუტაცია მრავალ წვრილმან და პარადოქსული ელფერის ამბებად, რომელთა მიზანია არა ახალი მეტამოთხრობების აშენება, არამედ არსებული კრიზისის ავტორისეული გაგების დრამატიზირება (ჟან-ფრანსუა ლიოტარი). აშკარაა მოთხრობის ინტერტექსტუალური ხასიათი — სისტემატური ციტირებები, ალუზიები როგორც მიხეილ ჯავახიშვილის, ისე სხვათა ნაწარმოებებიდან, კინოფილმიდან. შეუძლებელია თვალში არ მოგხვდეთ მოთხრობის ხაზგასმული ესეისტურობა — თქვენ არა მარტო ის იცით, როგორ შეიქმნა ეს ტექსტი, რომელსაც ახლა ინტერესით კითხულობთ, არამედ ზოგჯერ იფიქრებთ, რომ გამოკვლევას კითხულობთ მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. თვალში საცემია ორმაგად კოდირებული ციტატები და ნონსელექციის პრინციპი — ტექსტში განხორციელებულია რეალისტური ხელოვნებისათვის წარმოუდგენელი სხვადასხვა ჟანრისა და მხატვრული სტილის სინთეზი.

ეჭვის ქვეშ დგება ყველაფერი, რაც კი ჩვენი მეტამოთხრობების ურყევ პარადიგმებს წარმოადგენდა. ყველაფერი ირყევა, უცვლელი და ურყევი არაფერი რჩება. ისიც კი გაუგებარია, მიხეილ ჯავახიშვილი მართლა ჯავახიშვილი იყო, ადამაშვილი თუ ტოკლიკაშვილი.

ირონიზებულია საერთოდ ჩვენი მენტალიტეტისათვის დამახასიათებელი ერთგვარი „გვარიშვილობის სნობიზმი“: „წამსვე წამოვხტი და პატარა, დამჯერე ბავშვივით ორბელიანს (იგულისხმება გრიგოლ ორბელიანი — ნ.მ.) უკან ავედევნე. ავედევნე იმ კაცს, რომელსაც ნახევარზე მეტ საქმეს მისი გვარი დაბადებამდე გაკეთებულს ახვედრებდა, მე კი დღემდე ვერაფრით გამირკვევია, ტოკლიკაშვილი ვარ, ადამაშვილი, ჯავახიშვილი თუ სამივე ერთად. ფინიასავით გავყევი იმ კაცს, რომელმაც ერთი ხეირიანი ლექსიც კი ვერ შექმნა...“

სრულიად უაპელაციოდ ხდება ჩვენი მეტაისტორიების ხერხემლის — რომანტიზირებული პატრიოტიზმის — გადასინჯვა: „ასე ვიყავით ჩვენც. მუდამ ვბაქიბუქობდით, განუმეორებლობას ვიჩემებდით, ცოდვა გამხელილი სჯობია და მეც ბევრი ტყუილი და მართალი გადავხლართე ერთმანეთში, ხელი ნავკარი, წავაქეზე და ყოვლად უსაფუძვლო იმედები ბაირაღად ვაქციე. ვამბობდი იმას, რაც არ უნდა მეთქვა, ვაქებდი მას, რაც არ უნდა მექო, თუმცა სხვას კი ვწერდი, შეფარულად, სხვა სიტყვათა ჩრდილქვეშ. ვინც ამ მიმალულს შეამჩნევს და ამოიკითხავს, უმალ მიხვდება, რომ ქართული მწერლობა არათუ შვილი, მეზობელიც კი არასოდეს ყოფილა ევროპული, დიდი მწერლობისა. შავი ზღვის ნაპირებზე არ გაშლილა და ვერც გაიშლებოდა მსოფლიო მასშტ-

აბის ცივილიზაცია, მხოლოდ ბერძნებმა და გენუელებმა ოდნავ შთაბეჭდეს მას სული...“

მოულოდნელი კუთხიდანაა დანახული ქართული მწერლობისა და საერთოდ კულტურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პარადიგმა, ე.წ. ქალის კულტი: „როცა ქართველ ქალს ჩვენს მწერლობასა და ხელოვნებაში თავისი წვლილი შეჰქონდა, აღმოსავლელი დედაკაცი ჰარამხანასა და ჩადრში იხრჩობოდა. ჩადრი არც ევროპამ მიიღო, ჩვენც ჩამოვიხსენით, მაგრამ ევროპულმა მწერლობამ, ჩადრთან ერთად, ქალი სამოსიდანაც გაათავისუფლა, ჩვენ კი ჩადრს გადავარჩინეთ და მასზე უარესი ხუნდები დავადეთ. ვერსად ნახავთ შიშველ სხეულს, ვნებიან კოცნას, მიჩქმალული გრძნობის დუღილს. მხოლოდ შორით ალვა, შორით დაგვა, გაუთავებელი წუხილი და გაუმხელელი საიდუმლო. ამის გამო ვიხარშებით საკუთარ წვენში, ვერაფრით გაგვირღვევია საზღვარი და ვერც ევროპის მაჯისცემას ავდევნებივართ“.

ხედვის კუთხის პოსტმოდერნისტული გადანაცვლებისა თუ მგრძნობიარობის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მიხეილ ჯავახიშვილის ბიოგრაფიის ე.წ. თეთრი ლაქების შევსებისა და მათი მწერლის შემოქმედებასთან დაკავშირების მცდელობა, რომელიც განხორციელებულია არა გამოჩენილ ადამიანთა ბიოგრაფიების შექმნის ჩვენთვის ტრადიციული რომანტიზირებისა და უხერხულობათა მიჩქმალვის ლოგიკით, არამედ ინტუიციური აზროვნების პრინციპით. ეს გარემოება თავისთავად ინვევს ჩვენი ცნობიერების ტოტალიზირებადი მეტაისტორიის დაქუცმაცებას მრავალ პატარ-პატარა პარადოქსული ხასიათის ამბად. ასეთ ეფექტს ახდენს მიხეილის მამის, საბჯს თავგადასავალი. მისი კავშირი მაიკო ბარათაშვილთან და მერე მიხეილის მიერ ჯაყოსა და მარგოს პროტოტიპებად საკუთარი მამისა და მაიკო ბარათაშვილის გამოყენება.

მაგრამ ყველაზე სასეირო ის არის, რომ მიხეილ ჯავახიშვილთან დაკავშირებულ ამ ღვთისმგმობელ ისტორიებს ვინმე თბილისელი ნიკა მოგვითხრობს, რომელმაც მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ ერთადერთი, რითაც შეიძლება შიმშილით სიკვდილს გადაურჩეს, წერის ნიჭია. მას გენიალურად შეუძლია მიბაძვა, პაროდირება და, რაც მთავარია, იგი პოსტმოდერნისტული საუკუნის შვილია, ანუ ადამიანი, რომელიც ტრადიციული ფასეულობების ნანგრევებში ცხოვრობს. ამიტომ მისი განცდით სწორედ ასე უნდა დაეწერა სიკვდილმისჯილთა საკანში მყოფ მიხეილ ჯავახიშვილს საკუთარი ბიოგრაფია, ხოლო ამგვარად „ფალსიფიცირებული“ ჯავახიშვილის ავტობიოგრაფია მერე ბარიგა

ტელმანამ უნდა გაყიდოს როგორც დიდი მწერლის ხელნაწერი.

ასე ხორციელდება მოთხრობაში პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი მთავარი პრინციპთაგანი — ტექსტი ტექსტში.

ყველაზე მოულოდნელი კი მაინც ის გახლავთ, რომ როცა ეს აფერა გამოაშკარავდება, ნიკას ციხეში სვამენ არა „ყალბისმქმნელობისათვის", არამედ მუზეუმიდან ძველი ხელნაწერების ქურდობისათვის! უკეთესი დასტური გნებავთ იმისა, რამხელა ძალაუფლების მოპოვება შეუძლია პოსტმოდერნისტულ ტექსტს თავისი ინტერტექსტუალურობით? თუმცა ვერანაირი ტექსტი ვერ შეძლებდა ამის გაკეთებას, რომ არა ერთი გარემოება: საქმე ის არის, რომ პოსტმოდერნისტული მსოფლგანცდის მატარებელნი აღმოჩნდნენ ნიკასთან ერთად ის მოსამართლენიც, რომლებმაც ჩვენი მწერალი ციხეში გამოამწყვდიეს. მათ ერთი წუთითაც კი არ ეპარებათ ეჭვი, რომ ჩვენი ტრადიციული მენტალიტეტისათვის ყოვლად მიუღებელი და აბსურდული ოპუსი მართლა მიხეილ ჯავახიშვილმა შეთხზა და არა ამ ვიღაც ნიკამ, რათა მერე გაეყიდა და პურის ფული ეშოვა. არა, ცხადია, ამ ნაძირალამ საიდანღაც მოიპარა იგი და გაყიდა.

რას ვიზამთ, ისინიც, ისევე როგორც ჩვენ, პოსტმოდერნისტული საუკუნის შვილები ვართ, და ის, რაც ცოტა ხნის წინ ყოვლად წარმოუდგენელი, მიუღებელი, აღმაშფოთებელი ან შეურაცხმყოფელი იყო, დღეს ჩვეულებრივი ამბავია.

საკუთარი ხელოვნების მსხვერპლად ქცეულ ნიკას კი სხვა რაღა დარჩენია, ციხეშიც თავისი ხელოვნებით გააქვს თავი: დაუსრულებლად ყვება ჩვენი კულტურის ბურჯების — გალაკტიონის, ჩვენი გალას, ტიციანის, პაოლოს და ვინ მოთვლის კიდევ ვის, პოსტმოდერნისტულ ბიოგრაფიებს. წარმატებაც დიდი აქვს. მარტო პატიმრები კი არა, ციხის ღრმად პატივცემული ადმინისტრაციაც დიდი სიამოვნებით უსმენს ნიკას.

დიახ, პოსტმოდერნისტული მსოფლგანცდა თავისი ბუნებით ტოტალურია — მხოლოდ ძლიერთა ამა სოფლისათა ან უგზო-უკვლოდ განათლებულთა გულსა და გონებას კი არ იპყრობს, ციხეებშიც იოლად აღწევს. ის არაფერს ნიშნავს, რომ ბევრს წარმოდგენაც არა აქვს, რა სჭირს, რას დაუპყრია მისი გული და გონება. ეს ხომ უაღრესად ადამიანური რამაა!

რაც შეეხება ჩვენს ნიკას, იგი თვლის, რომ, მართალია, „მისი ფუნჯი ყოველთვის მხატვრისას ვერ უტოლდება, მაგრამ კარგი მღებავის სახელიც არ არის ხელწამოსაკრავი".

ეგ არის, მხოლოდ ერთი რამ აშინებს:

ერთხელაც იქნება, მოვა ვინმე მისნაირი, ჩამოჯდება, მოუსმენს ნიკას და მერე დამცინავად ჰკითხავს:

„მალიარი ხარ, ბიჭო?!"

თემურ ბაბლუანის ცნობილი ფილმის ასეთი მოხდენილი და მრავალგზის კოდირებული ციტირებით მთავრდება ლაშა იმედაშვილის ეს მშვენიერი მოთხრობა.

გარდა იმისა, რომ რომელიმე „ნაღდმა ტიპმა" მართლაც შეიძლება ისე „ამხილოს" ჩვენი ნიკა, როგორც ბაბლუანის „მუსიკოსი" ამხილეს, იმედაშვილი ამ ციტატით ერთგვარად საკუთარ პოზიციასაც უნდა გამოხატავდეს საერთოდ პოსტმოდერნისტული სტილისათვის დამახასიათებელი ეკლექტიზმისა და განურჩეველი გემოვნების მიმართ.

მაგრამ ამ ციტატის უმთავრესი მნიშვნელობა მაინც ის გახლავთ, რომ მხილება შეიძლება როგორც ერთი კერძო პიროვნების, ისე მთელი ქვეყნისაც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მამხილებლის როლში დრო და ეპოქა გამოდის — ჩვენ ყველანი უკანასკნელმა ათმა წელიწადმა გვამხილა და დაგვანახვა, რომ საკუთარ თავზე ფრიად ჰიპერბოლიზებული წარმოდგენა გვქონია.

განსხვავებით დასავლური პოსტმოდერნიზმისაგან, რომელიც სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენდა, სწორედ ეს ვითარება წარმოადგენს ქართული პოსტმოდერნიზმის მასაზრდოებელ წყაროს.

ამ თვალსაზრისით ლაშა იმედაშვილის მოთხრობა არა მარტო მაღალი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებია, გარკვეული გაგებით იგი ქართული პოსტმოდერნიზმის თავისებურ მანიფესტადაც შეიძლება ჩაითვალოს.

2001

ინტერპრეტაციის უფლება

1.

გივი მარგველაშვილის ძალზე ღრმა და უჩვეულო ფორმის მხატვრული შემოქმედების ეპიგრაფად და, ამავე დროს, ერთგვარ გასაღებადაც ზედგამოჭრილი იქნებოდა ჟაკ დერიდას ცნობილი სიტყვები – „ტექსტის მიღმა არაფერი არ არსებობს".

თუმცა არა.

არა, იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევაში მივიღებდით ვითარებას, როცა „გასაღებად" გამიზნულ სიტყვებს თავადვე დასჭირდებოდა სხვა გასაღები.

საქმე ის გახლავთ, რომ როგორც დერიდას ამ აფორიზმში, ისე მარგველაშვილის შემოქმედებაში აკუმულირებული XX საუკუნის დასავლური სამყაროს პოსტსტრუქტურალისტური თუ პოსტმოდერნისტული იდეები, სამწუხაროდ, ნამდვილი ტერა ინკოგნიტაა ტრადიციული ქართული მსოფლაღქმისათვის.

მაგრამ მარგველაშვილის მკითხველის სიძნელეები ამით არ ამოიწურება.

როლან ბარტის ოდნავ სექსუალიზებულ ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ვთქვათ, გივი მარგველაშვილის რომანი „მუცალი" (რომელზედაც დღეს უნდა ვისაუბროთ), სრულიადაც არ არის გამიზნული „სიამოვნების" მისაღებად.

ანუ დიდი იმედის გაცრუება ელის იმ ტიპის მკითხველს, რომლისთვისაც ყოველი ახალი რომანი, ახალი თავდავიწყება, ახალი თავგადასავლებია.

განსხვავებით ჩვენი ლიტერატურისათვის, დღემდე ტრადიციული კლასიკური ტიპის ტექსტებისაგან, რომლებიც, ჩვეულებრივ, ცდილობენ მკითხველში ერთგვარი ეიფორიის განცდა გამოიწვიონ და ახერხებენ კიდეც ამას, რადგან არ უპირისპირდებიან ჩვენი კულტურის ძირითად პარადიგმებს და დაკავშირებულნი არიან კომფორტაბელური კითხვის პრაქტიკასთან, „მუცალით", იმავე ბარტის ტერმინოლოგიის მიხედვით, მხოლოდ „დატკბობა" შეიძლება.

ეს არის ტექსტი, რომელმაც შეიძლება დააბნიოს და დისკომფორტის განცდა ალუძრას ადამიანს. შეარყიოს მისი ისტორიული, კულტურული, ფსიქოლოგიური საყრდენები. დაუპირისპირდეს მის გემოვნებასა და ფასეულობებს.

შესაბამისად, ასეთი ტექსტი მოითხოვს როგორც განსაკუთრებულ მკითხველს, ასევე კითხვის განსაკუთრებულ პრაქტიკასაც. შეუძლებელია ასეთი წიგნის სხაპასხუპით წაკითხვა. საჭიროა მისი ნელი, თანდათანობითი გააზრება და დაგემოვნება.

ოღონდ, მიუხედავად ამისა, გამორიცხული არ არის, რომ მაინც ვერ შეძლოთ საკმაოდ უცნაურ ფიგურებად გარდაქმნილი რთული იდეების შემეცნებით დატკბობა.

რას ვიზამთ, ეს მთელი XX საუკუნის დასავლეთის მოდერნისტული მხატვრული შემოქმედების განმსაზღვრელი თვისებაა.

2.

საერთოდ, მოდერნიზმის ასეთი სპეციფიკიდან გამომდინარე, ბევრი ხელოვანი თავს ვალდებულად თვლიდა თავისი ქმნილების ერთგვარ თეორიულ ახსნა-განმარტებასა თუ დასაბუთებაზეც ეზრუნა. ბევრი მათგანი ისეთივე კარგი თეორეტიკოსი აღმოჩნდა, როგორიც ხელოვანი.

ამიტომ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ტრადიციული ხელოვნების დაუწერელ კანონს, რომლის თანახმადაც არც ერთი მწერალი არ იტყოდა იმაზე მეტს, რაც უკვე თქვა თავის ტექსტში, არღვევს გივი მარგველაშვილიც. „მუცალს" დართული აქვს ავტორის წინათქმა, რომელიც რომანის ზოგადი ინტერპრეტაციის მცდელობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან საკმაოდ კონკრეტულად მიგვანიშნებს სად და როგორ უნდა ვეძებოთ რომანის სათქმელი.

3.

მაგრამ მიუხედავად „მუცალისათვის" დამახასიათებელი ასეთი მოდერნისტული ობერტონებისა, დიდი გამჭრიახობა სულაც არ არის საჭირო იმისათვის, რათა დავინახოთ, რომ მარგველაშვილის ტექსტი ასევე წარმოადგენს მკვეთრად გამოხატულ პოსტმოდერნისტულ რომანს.

წიგნის ინტერტექსტუალურობას მისი სათაურივე მიგვანიშნებს. ჩვენში ნებისმიერი გეტყვით, რომ მუცალი ვაჟა-ფშაველას ცნობილი პოემის ერთ-ერთი პერსონაჟია. ხოლო რომანის კითხვის პროცესში აშკარა ხდება, რომ ხელთა გვაქვს ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის" მეტად თავისებური „გაგრძელება-გამოკვლევა";

ანუ ყოველგვარი კვლევა-ძიების გარეშე გვხვდება თვალში პოსტმოდერნისტული ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომლის თანახმადაც ყოველი ახალი ტექსტი სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი „რეაქცია" მანამდე არსებულ ტექსტებზე.

„მუცალში" ასევე თვალში საცემია თხრობის ის განსაკუთრებული მანერა, რომელიც პოსტმოდერნისტულ მგრძნობიარობად წოდებულ სრულიად განსაკუთრებული მსოფლშეგრძნების ერთ-ერთ მთავარ ასპექტადაა მიჩნეული. ეს არის ე.წ. „მეტაფორული ესეისტიკა", ანუ თავისებური ფილოსოფიურ-პოეტური აზროვნების ფენომენი, რომლის დამამკვიდრებლადაც დასავლეთში მარტინ ჰაიდეგერი ითვლება.

4.

სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენში ბევრისთვის პოსტმოდერნიზმი მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა ავტორისგან ამოგლეჯილი ციტატებისგან შემდგარი თავშესაქცევი კოლაჟია, რომლის „გაკეთებაც" დიდ სირთულეს არ წარმოადგენს და რომელსაც, შესაბამისად, არავითარი სერიოზული ფასეულობა არ გააჩნია.

რა შეიძლება უთხრას ასეთ მკითხველს „მუცალმა"?

სხვისი ნაწარმოების პერსონაჟებისადმი მიძღვნილი ამოდენა რომანით გამოწვეულ გაოცების გრძნობას ალბათ მალე მოწყენილობის განცდა შეცვლის, რადგან მარგველაშვილი თანამიმდევრული და თან „შეუბრალებელი" მწერალია და არ ცდილობს სასიყვარულო ინტრიგებით ან სულისშემძვრელი თავგადასავლებით შეიქციოს მკითხველი. ამგვარ მკითხველს იგი პატარ-პატარა აღმოჩენების გაკეთებით გამოწვეულ სიხარულსაც კი ართმევს, რადგან ამ მხრივ საკვლევ-საძიებელს არაფერს ტოვებს.

რა კვლევა სჭირდება იმას, რომ რომანში ვაჟა-ფშაველას პოემის პერსონაჟები მოქმედებენ, ბარათაშვილის მერნები (თანმხლები ავბედითი შავი ყორნებით) დაქრიან და პიკასოს მშვიდობის მტრედები დაფრინავენ?

მარგველაშვილი იმედს უცრუებს XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საბჭოთა პროზის ასე ქებული ქვეტექსტების ამოცნობაში გამობრძმედილ მკითხველსაც. წინათქმაში იგი თავადვე შიფრავს, რომ -ᲗᲘ რომანის ქისტეთში დასავლურ კაცობრიობას გულისხმობს, ხევსურულ თემში – ქართველ საზოგადოებას, ხოლო მუცალის ბედში საკუთარ ტრაგიკულ ცხოვრებასა და განცდებზე მოგვითხრობს.

მორჩა და გათავდა.

ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ მწერალი ამას საგანგებოდ აკეთებს, რათა ასეთი ჩხირკედელაობის მოყვარულ მკითხველს თავიდანვე მოუჭრას გზა და თავიდან აიცილოს რომანის უკიდურესად ბანალური ინტერპრეტაცია.

ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, თავად მარგველაშვილის მიერ შემოთავაზებულ მეტაფორულ ენას თუ გამოვიყენებთ, ეჭვი არ არის, ყველაფერი ეს გაღიზიანებული მკითხველის მიერ წიგნის თავშეუკავებლად მკვეთრი დახურვით გამონვეულ თემატურ მინისძვრებს გაახშირებს „მუცალში". თუმცა ისედაც შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი მუცალის, ალუდასა და სხვა პროგრესულად მოაზროვნე ხევსურების საბედნიეროდ, ქართულად თარგმნილი და გამოცემული „მუცალი" (თარგმნა მაია ბადრიძემ) თხელყდიანი წიგნია, რაც, მართალია, მთლიანად ვერ გააუქმებს რომანის ლანდშაფტის სეისმურ არამდგრადობას, მაგრამ, სამაგიეროდ, იმის გარანტიას ნამდვილად იძლევა, რომ მინისძვრას დამანგრეველი ძალა თვით ყველაზე მეტად გაღიზიანებული მკითხველის ხელშიაც კი არ ექნება.

5.

ერთი სიტყვით, გივი მარგველაშვილმა თავისი წინათქმით „მუცალის" ჩვენთვის ტრადიციული წესით წაკითხვის ყოველგვარ მცდელობას საბოლოოდ დაუკარგა აზრი. სხვათა შორის, ეს წინათქმა თავისი ფუნქციით ძალიან ჰგავს უმბერტო ეკოს ცნობილ „ვარდის სახელზე" დართულ არანაკლებ ცნობილ „შენიშვნებს „ვარდის სახელის" მინდვრებზე".

მაგრამ თუ მაინცდამაინც პარალელებზე მიდგა საქმე, თავად „მუცალი" რაღაცით მართლა ძალიან მოგვაგონებს როლან ბარტის ცნობილ „S/Z"-ს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი რომანი კი არა, ესეია.

მოგვაგონებს არა მარტო იმიტომ, რომ როგორც მარგველაშვილი, ბარტიც კლასიკური მწერლობის ქმნილებას იკვლევს (ბალზაკის ნოველას). არც მარტო იმიტომ, რომ ეს გამოკვლევანი თუ გაგრძელებანი მოცულობით ათჯერ და მეტად აღემატება თავად საკვლევ ტექსტებს.

მთავარი ის არის, რომ ორივე შემთხვევაში განხორციელებულია მცდელობა კლასიკური სტრუქტურის, „ჩაკეტილი" ტექსტი გაგებულ-გაგრძელებულ იქნეს როგორც პოსტმოდერნისტული, პრინციპულად ნონფინალური პროცესი.

ამ შემთხვევაში, მე მგონი, ყველაზე მნიშვნელოვანიც ეს არის.

შესაბამისად, „მუცალი“ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ერთგვარი რომანი-რიზომა, როგორც „ლია ნაწარმოები“ (ეკოს ტერმინოლოგიით), რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ცდილობს შექმნას გამონაგონის ახალი თვითკმარი სამყარო, ჩაკეტილი სტრუქტურა, საკუთარი მკაცრი მიზეზშედეგობრივი ლოგიკითა და დასმულ კითხვებზე გაცემული ამომწურავი პასუხებით.

არა.

დასავლური (!) პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი უმთავრესი მომენტი სწორედ ის გახლავთ, რომ იგი შიგნიდან აფეთქებს ასეთ ტექსტებს, ამსხვრევს და აქუცმაცებს სტრუქტურებს. ოღონდ ეს კეთდება არა ვიღაცის ახირებით ან პუბლიკის თავშესაქცევად. ამის გაცნობიერება ძალზე მნიშვნელოვანია.

საქმე ის არის, რომ „პოსმოდერნისტულ საუკუნეში“ სამყარო აღარ შეიგრძნობა აღარც როგორც ღვთაებრივი ჰარმონიის ემანაცია და აღარც როგორც ფიზიკის კანონებით მკაცრად დეტერმინირებული ორგანული თუ არაორგანული მატერიის მოწესრიგებული სისტემა. ანუ „მოკვდა“ როგორც ღმერთი, ყავლი გაუვიდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით მისი ჩანაცვლების ენერგიულ და საკმაოდ გულუბრყვილო მცდელობებსაც.

დასავლური კაცობრიობა ახლა სამყაროს განიცდის როგორც ქაოსს, რომელშიაც აღარ არსებობს აღარავითარი კრიტერიუმი ფასეულობრივი ან აზრობრივი ორიენტაციისათვის და რომელშიაც, შესაბამისად, შეუძლებელი და უაზრო ხდება „სამყაროს მოდელის“ ახლებური კონსტრუირების ნებისმიერი მცდელობა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი ან ზოგადი მონახაზია იმ მსოფლშეგრძნებისა, რომლითაც XX საუკუნეში განიმსჭვალა ადამიანი დასავლეთში და რომელსაც პოსტმოდერნისტული მგრძნობიარობა უწოდეს. მალევე ცნობიერდება როგორც პოსტსტრუქტურალიზმის, ასევე პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთი ცენტრალური და შორს მიმავალი იდეა – ყველა ოდინდელი „მეტამოთხრობის“, ყველა სახის „ცოდნის“ (ლიოტარი) რეპრესიული, ტირანული ხასიათი.

მიშელ ფუკოსთვის უკვე სრულიად შეუძლებელია „ცოდნა“ ნეიტრალური ან ობიექტური იყოს, რადგან იგი ყოველთვის წარმოადგენს ძალაუფლებრივი ურთიერთობების პროდუქტს, ანუ გასაგები ხდება ცოდნის „ინტერპრეტაციული“ ხასიათი.

შესაბამისად, სრულიად აშკარაა, რომ საზოგადოებაში უმთავრესი

ხდება სხვადასხვა იდეოლოგიურ სისტემას შორის გამართული ბრძოლა „ინტერპრეტაციის უფლებისათვის". იმარჯვებს ის, ვინც ხელში იგდებს კულტურის ინდუსტრიას და ინდივიდებს თავს ახვევს თავის ენას, ანუ სამყაროს საკუთარ ინტერპრეტაციას.

მაგრამ პოსტსტრუქტურალისტური დისკურსის არსის წვდომა მისი პანენობრივი ხასიათის გაუთვალისწინებლად ვერაფერით ვერ მოხერხდება.

6.

ჯერ კიდევ სტრუქტურალიზმის ნიაღში ჩასახული იდეა, რომელიც ტოლობის ნიშანს სვამდა ადამიანის ცნობიერებასა და მის ენობრივ გამოხატულებას შორის, დასავლეთში მალე საყოველთაოდ იქნა გაზიარებული და განვითარებული.

პოსტსტრუქტურალიზმი უფრო შორს მიდის და ცნობიერებას უთანაბრებს დაწერილ ტექსტს, როგორც მისი ფიქსაციის ერთადერთ მეტ-ნაკლებად სანდო საშუალებას. შესაბამისად, ადამიანი, ლიტერატურა, კულტურა, რელიგია, საზოგადოება, ისტორია, მთელი სამყარო განიხილება როგორც ტექსტი.

ანუ, თუკი მართალია დერიდა (და, როგორც ჩანს, მართალია), რომლის თანახმადაც „ტექსტის მიღმა არაფერი არ არსებობს", მაშინ ნებისმიერი ინდივიდიც ასევე „ტექსტის შიგნით", სხვაგვარად, განსაზღვრული ისტორიული ცნობიერების ჩარჩოებში უნდა იმყოფებოდეს.

გამომდინარე ცნობიერების ენობრივი ხასიათის კონცეფციიდან და ადამიანური მოღვაწეობის „დისკურსიულ პრაქტიკებად" გააზრებიდან, ფუკო დასავლური კაცობრიობის ყოველი კონკრეტული ისტორიული ეპოქისათვის სპეციფიკური ეპისტემის – თავისებური „პრობლემატური ველის" – არსებობას უშვებს. იგულისხმება ამა თუ იმ ეპოქის სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინის დისკურსების ერთგვარი კომპენდიუმი.

მიუხედავად ამ დისკურსების სხვადასხვაობისა, ფუკოს აზრით, ისინი ერთიანობაში მეტ-ნაკლებად ერთიანი ცოდნის სისტემას – ეპისტემას – აყალიბებენ, რომელიც თანამედროვეობის სალაპარაკო პრაქტიკაში რეალიზდება როგორც მკაცრად განსაზღვრული ენობრივი კოდი – წესებისა და აკრძალვების სისტემა. ეს ენობრივი კოდი არაცნობიერად განსაზღვრავს ენობრივ ქცევას და, შესაბამისად, ცალკეული ინდივიდის აზროვნებასაც.

ერთი სიტყვით, დასავლური საზოგადოებისათვის განმსაზღვრელი „ცოდნის ნება“ ფუკოს მიერ ინტერპრეტირდება როგორც სწრაფვა შეინიღბოს „ძალაუფლების ნება“ მეცნიერულ ჭეშმარიტებაზე პრეტენზიით.

თუ დავაკვირდებით, ყველაფერი ეს საბოლოოდ მაინც მანამდე, რამდენიმე საუკუნის მანძილზე რელიგიური, სოციალური და სექსუალური რევოლუციების გადამტანი დასავლური კაცობრიობის მიერ კიდევ ერთი რევოლუციის მოხდენის მცდელობაა.

ფუკოს მიერ განხორციელებული დასავლური ცივილიზაციის ანალიზი გვაჩვენებს, რომ დასავლეთმა მონობის კიდევ ერთი, შეიძლება ყველაზე რთული და ფარული ფორმა გაიცნობიერა. ეს არის „კულტურული არაცნობიერის“ რეპრესიული ბუნების, მისი ანონიმურობისა და ყოვლისგამჭოლი, მაგრამ ფარული ძალის გაცნობიერებისა და სხვათა მიერ ინტერპრეტირებული ტექსტიდან „ამოხტომისა“ თუ „გაქცევის“ შესაძლებლობების მოსინჯვის მცდელობა.

თავად ფუკოს აზრით, „კულტურული არაცნობიერის“ ტირანიისათვის წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ მხოლოდ „სოციალურად უარყოფილებს“ – შეშლილებს, ავადმყოფებს, დამნაშავეებს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შემოქმედებითი ბუნების მქონე ადამიანებს – პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს. ფუკო ყოველთვის ოცნებობდა „იდეალურ ინტელექტუალზე“, რომელიც მარგინალური იქნებოდა თავისი თანამედროვე ეპისტემისთვის, განახორციელებდა მის დეკონსტრუქციას და გამოააშკარავებდა გაბატონებული ავტორიტეტების ძალაუფლების გასამაგრებლად გამიზნული, საყოველთაოდ მიღებული არგუმენტაციის ჩავარდნებსა და სუსტ ადგილებს.

7.

ფუკოს იდეების ყველაზე ცნობილი და წარმატებული გაგრძელება ეკუთვნით გივი მარგველაშვილის მიერ თავის წინათქმაში არაერთხელ ნახსენებ დელიოზსა და გუატარის. მათ მიერ „კაპიტალიზმსა და შიზოფრენიაში“ შემოთავაზებული შიზოანალიზი (იგივე „შიზოფრენიული დისკურსი“) სხვა არაფერია, თუ არა მცდელობა იმის გამოკვლევისა, როგორ შეიძლება ადამიანმა თავი დააღწიოს კულტურული არაცნობიერის ტირანიას.

ამის გაკეთება შეუძლია მხოლოდ მარგინალურ ინდივიდს, დელიოზ-გუატარის უაღრესად თავისებური და რთული ტერმინოლოგიით – „შიზოიდურ პიროვნებას“. მათი აზრით, ნამდვილი შემოქმედი ყოვე-

ლთვის შიზოიდია, რადგან ეს არის სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპი – მარგინალური სუბიექტი, რომელიც ამოვარდნილია საზოგადოების ცნობიერების ფორმატირებადი სისტემიდან და დისტანცირებულია მისგან. სისტემიდან „ამოვარდნილი" ხელოვანი მიმართავს შიზოფრენიულ დისკურსს – ენას, რომელიც ანგრევს ადამიანების არათავისუფლებას ყველა ფორმაში (თავსმოხვეული სტრუქტურული ერთიანობა, ფიქსირებული ერთნაირობა და ა.შ.).

გარდა ასეთი განმათავისუფლებელი პოტენციალისა, დელიოზის თქმით, შიზოფრენიული დისკურსი ასევე ახორციელებს რეალობის კრიტიკულ, მიუკერძოებელ ანალიზს, რომელიც კითხვის ქვეშ აყენებს საზოგადოებაში მიღებული ლოგიკისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების უფლებამოსილებას. და ამას იგი აკეთებს აბსურდისა და პარადოქსის ენაზე. დელიოზისთვის ასეთი შემოქმედნი არიან, ვთქვათ, ლუის კეროლი, ანტონენ არტო, ფრანც კაფკა. ჩვენ თამამად შეგვიძლია სწორედ ასეთი ტიპის შემოქმედად მივიჩნიოთ გივი მარგველაშვილიც.

შიზოანალიზში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დეტერიტორიალიზაცია-რეტერიტორიალიზაციის დიალექტიკას (სწორედ ამ ცნებების პარალელურად ქმნის მარგველაშვილი თავისი რომანისათვის ძალზე მნიშვნელოვან დეთემატიზაცია-რეთემატიზაციის ტერმინოლოგიურ წყვილს).

შიზოანალიზის მიხედვით დეტერიტორიალიზაცია სხვა არაფერია, თუ არა კოდირებული საზოგადოებრივი ცნობიერების დეკოდირების პროცესი. დელიოზის თანახმად, ისტორია დასაზღვრულია, ერთი მხრივ, პირველყოფილი ტომით და, მეორე მხრივ, კაპიტალისტური საზოგადოებით. პირველ შემთხვევაში კოდირებულია აბსოლუტურად ყველაფერი, ნებისმიერი ჟესტი, ცხოვრების ყველა გარემოება, მთელის ყველა ფრაგმენტი. ერთი სიტყვით, კაპიტალიზმამდელი ცხოვრების ნებისმიერი წამი სოციალური მოვლენაა.

კაპიტალიზმი იწყებს ყველა ადრინდელი წმინდა რიტუალების, ჩვეულებებისა და ტრადიციების დესაკრალიზებას. ამ პროცესს თითქოს უნდა გამოეწვია ადამიანის ცნობიერების გათავისუფლება ყოველგვარი ცნობიერი თუ არაცნობიერი აკრძალვებისაგან, მაგრამ ეს ასე არ ხდება.

შიზოანალიზის თანახმად, დეტერიტორიალიზაციას პერმანენტული რეტერიტორიალიზაცია მოჰყვება. საზოგადოება სულ უფრო და უფრო შორს გადასწევს იმ ზღვარს, რომლისკენაც დეტერიტორიალიზაციას მივყავართ.

დეტერიტორიალიზაციის უმთავრესი მეთოდია „დასხლტომა" (გაქცევა) ნებისმიერი სახის განსაზღვრულობიდან. მნიშვნელობა არა აქვს იგი დადებითი იქნება თუ უარყოფითი, ნებისმიერი განსაზღვრულობა არის ცალსახოვნება და სოციალური ხაფანგი. ინდივიდების გასხლტომა თუ გაქცევა განსაზღვრულობიდან არღვევს სისტემას, სტრუქტურას, ანუ არღვევს საზოგადოების იგივეობას მთლიანად საკუთარ თავთან.

ამიტომ, მე მგონი, გასაკვირი აღარ არის რატომ იქცა ჟილ დელიოზის უმთავრესი პრინციპი – „ნუ დასვამთ წერტილებს, სჯობს ხაზები გაავლოთ!" – დასავლური პოსტმოდერნიზმის ერთგვარ ფილოსოფიურ კვინტენსენციად და რატომ უდებს გივი მარგველაშვილი თავის რომანს ამავე პრინციპს საფუძვლად.

8.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მთელი ეს პოსტსტრუქტურალისტურ-პოსტმოდერნისტული მსოფლშეგრძნება დასავლურ კაცობრიობას არც ვინმეს წაბაძვით აუღია და არც ზეციდან მიუღია საჩუქრად. იგი აქამდე საკუთარი განცდით, საკუთარი ცხოვრების განვითარების ღრმა შინაგანი კანონზომიერებების გამოისობით მიდის, რომელშიაც უმთავრესი სისტემატური მოძრაობაა. დასავლეთს გაჩერება არ შეუძლია. ამიტომ მისი განვითარების ყოველი მორიგი ფაზა აღიქმება როგორც ერთგვარი კრიზისი, რომელიც ინტელექტუალთა და ხელოვანთა ქმნილებებში არეკლილი, დანარჩენ მსოფლიოს უკვე მოდის სახით ევლინება.

დამეთანხმეთ, რომ არის რაღაც აბსურდული სხვათა განცდის, სხვათა გამოცდილებისა და პრობლემების მოდის სახით ათვისებაში. ამჯერადაც თითქოს ასე ხდება, რადგან „მუცალში" დასავლეთის ყველაზე მოწინავე იდეების ფონზე, ისეთი საზოგადოების პრობლემატიკის განხილვა ხდება, რომელშიაც თავისი სიღრმით მართლაც უპრეცედენტო კრიზისი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გარემოებათა გამო გაჩენილმა მოძრაობის, გადაწყვეტილებების მიღების, პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების აუცილებლობამ გამოიწვია.

ფუკოს, დერიდას ან დელიოზის იდეებით ოპერირება ჩვენი საზოგადოების ცნობიერების ანალიზისას, მართლა ძალიან ჰგავს ქვემეხით ჩიტებზე ნადირობას. ცხადია, ქვა ქვაზე აღარ დარჩება.

აკი ასეც ხდება, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამგვარ ვითარებაში ყველაზე ნაკლებად სწორედ გივი მარგველაშვილია დამნაშავე. აბსურდი

მაშინ დაიწყო, როცა 1946 წელს „ხშირულვაშიანი და გამჭოლი მზერის მქონე კაცის“ აბსოლუტურად რაციონალური და ბოროტი ნება აბსოლუტურად ირაციონალური აღმოჩნდა ჩვენი ავტორისათვის და დასავლეთში დაბადებული და გაზრდილი კაცი იძულებული გახდა თითქმის მთელი ცხოვრება მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელი ცნობიერების საზოგადოებაში გაეტარებინა.

ამ თვალსაზრისით ალბათ სრულიად კანონზომიერია, რომ „მუცალი“ გერმანულ ენაზეა დაწერილი და იმისათვის, რომ მან ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში შემოაღწიოს, თარგმნა და სპეციალური წინათქმის წამძღვარებაც სჭირდება.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ „მუცალი“ ქართველი კლასიკოსის –ვაჟა-ფშაველას ცნობილი ტექსტის მოდერნიზებული გაგრძელება-გამოკვლევაა, იგი მაინც ვერ ჩაითვლება ქართული პოსტმოდერნიზმის ნიმუშად. „მუცალი“ დასავლელი ინტელექტუალის მიერ ქართული ეპისტემის დეკონსტრუქციის მეტად შთამბეჭდავი მცდელობაა.

ქართული პოსტმოდერნიზმი, გამომდინარე თავისი გენეზისის თავისებურებებიდან, ამ სიღრმესა და სიშორეზე ჯერ ვერც ჩასვლას ახერხებს და ვერც წასვლას.

9.

არა მგონია, ეს რაიმე შეღავათი იყოს გივი მარგველაშვილისათვის, მაგრამ „ხშირულვაშიანი და გამჭოლი მზერის მქონე კაცის“ ბოროტი ნებით 1946 წლის გაზაფხულზე მომხდარ ძალადობას ერთი დადებითი მომენტი მაინც აღმოაჩნდა მათთვის, ვისაც ამის დანახვა და დაფასება შეუძლია. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენმა ქვეყანამ გივი მარგველაშვილის სახით მიიღო ფუკოს საოცნებო „იდეალური ინტელექტუალი“, რომელიც მთელი ცხოვრება ჩრდილში იდგა, ანუ მარგინალური იყო თავისი თანამედროვე ეპისტემისათვის და რომელმაც თავისი ცხოვრების ეს ტრაგიკული აბსურდი ბოლოს ამ ეპისტემის შთამბეჭდავი დეკონსტრუქციისათვის გამოიყენა.

რომანში ჩვენი ავტორის ბედი, მისი წარსული და აწმყო განცდები მუცალის პიროვნებაშია გაუცხოებული. ქისტი მუცალიც ზუსტად ასევე ვილაცის გაუგებარი და ირაციონალური ნების წყალობით აღმოჩნდა მისთვის სრულიად უცხო და მიუღებელ ხევსურულ თემში და განწირულია, როგორც ვილაცის მიერ შექმნილი ტექსტის პერსონაჟი, მუდამ კლავდნენ და მერე მარჯვენას აჭრიდნენ მის უპატრონოდ დაგდებულ გვამს.

მაგრამ ქართველი მკითხველისთვის ყველაზე უცნაური ის არის, რომ ქისტი მუცალი ხევსურულ თემში ბარათაშვილისეული მერანით (და თანმხლები ავბედითი შავი ყორანით) მოიტაცეს. არ ვიცი ეს დეტალი რა შთაბეჭდილებას ახდენს გერმანელ მკითხველზე, მაგრამ ჩვენ ნამდვილად არ ვართ მიჩნეულნი ჩვენი კულტურის ერთგვარ პარადიგმულ სახე-სიმბოლოებად ინტერპრეტირებული მერანისა და მისი თანმხლები შავი ყორანის ასეთ კონტექსტში ხსენებას.

ყველა ჩვენგანში თითქმის დედის რძესთან ერთად შეწოვილი ბარათაშვილის მერანის კოდი ოდნავადაც არ შეესაბამება ამ უკანასკნელის მარგველაშვილისეულ ინტერპრეტაციას. ამ ინტერპრეტაციის მიხედვით ჩვენი ერთადერთი ნამდვილი რომანტიკოსი და ამის გამო კიდევ უფრო ტრაგიკული ბარათაშვილიც ისეთივე მსხვერპლი გამოდის ჩვენი საზოგადოებისა, როგორც თავად გივი მარგველაშვილი, როგორც მუცალი და ალუდა და როგორც რომანის „ყველა პროგრესულად მოაზროვნე ხევსური“.

მუცალს, ისევე როგორც რომანის ავტორს, არ შეუძლია მარგინალური არ იყოს ხევსურული თემის მიმართ და ამიტომ არ შეუძლია ნებსით თუ უნებლიეთ თემის ეპისტემის დეკონსტრუქცია არ მოახდინოს, ან, დელიოზის ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, ნომადურად არ იაზროვნოს, რაც შინაგანად არღვევს სასტიკი ხევსურული თემის უმთავრეს პრინციპს.

მუცალის ნომადიზმის პირველი რეციდივი მის მიერ ერთგვარი თამაშის – თომინოს – გამოგონებაა, რომელიც მართალია თეორიულად და თამაშ-თამაშ, მაგრამ მაინც ახდენს დიქტატორული თემი-თემას დეთემატიზაციას. მაგრამ როგორც ამას დელიოზიც ამბობს, შეუძლებელია დეთემატიზაციას რეთემატიზაცია არ მოჰყვეს, რითაც საზოგადოება და მისი ავტორიტეტები საკუთარი ინტერპრეტაციის უფლებისა და ამით საკუთარი თავისა და ძალაუფლების გადარჩენას ცდილობენ.

რომანში ამ ფუნქციას დაულალავი, ყველგანმყოფი და ყოვლისმხედველი თხის მწყემსები ასრულებენ. ხევსურულ თემში ისინი სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ყოველთვის და ყველგან არსებობენ და სწორედ მათი დამსახურებაა, რომ თემის უმთავრესი პრინციპი დღესაც არ თმობს პოზიციებს.

მარგველაშვილის თანახმად, ამ პრინციპის სახელია Schisch-ი, რაც სხვა არაფერია, თუ არა ლათინური შრიფტით სპეციალურად გაუცხოებული „შიში“. შიში შეიძლება იყოს განსხვავებული რელიგიური წარმო-

დგენების, განსხვავებული ეთნოსის, კულტურის, ცივილიზაციის, განსხვავებული მსოფლაღქმის, საერთოდ განსხვავებული აზრის მიმართ. შიში, რომელიც საბოლოოდ გარდაუვლად გადაიზრდება შეუწყნარებლობაში, სისასტიკესა და ძალადობაში და რომელიც საბოლოოდ ყოველგვარ სიახლეს ეჭვის თვალით უყურებს, „მშვენივრად" მართლდება ისეთი არგუმენტით, როგორიცაა ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა.

მართალია, ეს შიში თავისი არსით იმას ჰგავს, შვილებზე გაგიჟებულ რომელიმე მშობელს შვილის გაზრდისა იმ მოტივით ეშინოდეს, თვითმყოფადობას დაკარგავს და შეიცვლებაო და ყველანაირად ამუხრუჭებდეს ზრდის, განვითარებისა და ცვლილებების ბუნებრივ პროცესს, მაგრამ მიუხედავად ასეთი აბსურდული ხასიათისა, ეს შიში ამით არც ძალას კარგავს და არც გავლენას.

არ კარგავს, რადგან ასეთი მშობელი პოსტსტრუქტურალისტური დისკურსის თანახმად, ე.წ. ბრმა სიყვარულით კი არ იმართება, არამედ ავტორიტეტისა და ძალაუფლების დაკარგვის ავადმყოფური შიშით.

ეს დისკურსი სწორედ ის აბსურდისა და პარადოქსის ენაა (განსაკუთრებით ჩვენი საზოგადოებისათვის), რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საზოგადოებაში მიღებული ლოგიკისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების უფლებამოსილებას. შიზოანალიზის ამ მეთოდით მსჯელობს მუცალი იმ პოემის ავტორზეც, რომელშიაც ძალადობით მოხვდა და რომლის დეთემატიზაცია მისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო საქმე გამხდარა:

„ჩვენი თემის სიუჟეტს შატილში ყველა ეშმაკეულსა და ჯოჯოხეთურს უწოდებს – თუმცა აშკარად ამის გამხელას ვერავინ ბედავს – რადგან ის საყოველთაო ხელის ჩამორთმევას უპირისპირდება და ქისტებთან თანაარსებობას (ნახევრად ფარული) შიშით შეუძლებელს ხდის. უცნაურია, მაგრამ შატილელთა აღშფოთებას არასოდეს, – ან იშვიათ შემთხვევებში – იწვევს არა თავად ავტორი ამ სიუჟეტისა, რომელსაც ყველა მხოლოდ სახელით იცნობს და რომლის ყველა ზომის სურათსაც გასაყიდად ნებისმიერ მაღაზიაში იხილავთ. ხევსური თავისი სიუჟეტის მიზეზად მიიჩნევს არა ავტორს, არამედ – როგორც შევამჩნიე, – ცდილობს ავტორი სიუჟეტისაგან განაცალკევოს და როგორც საქებარს და განდიდების ღირსს, ისეთად წარმოიდგენს. ასე მაგ: თვლიან, რომ ჩვენი ავტორი თითქოსდა საყოველთაო ხელის ჩამორთმევისაკენ ისწრაფოდეს, თითქოს ეს უკანასკნელი ჩვენი საერთო თემის უმთავრესი და უძირითადესი აზრი იყო, სანამ თხის მწყემსებმა ის Schisch-ად და ყველა დროის სამარცხვინო მოვლენად არ აქციეს... მაგრამ მე თქვენ გეკითხებით, თუ

სიუჟეტით თავიდანვე არ იყო გამიზნული, რატომ დაუშვა მან საერთოდ ჩემი და ალუს ორთაბრძოლა? თუ მისი თემი მშვიდობისმოყვარე იყო, რატომ არ მოგვცა უფლება, დასაწყისშივე ერთმანეთს ხელგაშლილები შევხვედროდით და ხელი ჩამოგვერთმია? რატომ უნდა დაწყებულიყო მთელი ეს ისტორია დიდი, შავი Schisch-ით, თუ იგი თავისი არსით მომაკვდინებელი არ არის? დიახ, რატომ გამომიგზავნეს ჯერ მერანი, თუ თემი ძალადობაზე არ არის დამყარებული და ძალადობით არ ვითარდება?"

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ხასიათზე დააყენებს ამგვარი მსჯელობები ჩვენს დღევანდელ რეალურ თხის მწყემსებს, ისედაც აგერ თითქმის მთლად რომ გამოეცალათ ხელიდან ძალაუფლება.

მაგრამ მაინც ვინ არიან ეს თხის მწყემსები?

ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ამაზე ღირს სპეციალურად შეჩერება.

10.

სხვათა შორის, თხის მწყემსები ძალიან ჰგვანან დელიოზისა და გუატარის „ანტიოიდიპოსის" ფსიქოანალიტიკოსებს.

შიზოანალიზის ავტორები ამ უკანასკნელთ განიხილავენ როგორც რეტერიტორიალიზაციის აგენტებს, რადგან ისინი ხელს უწყობენ სხვადასხვა „რწმენის", კოდისა და ტაბუს დაფუძნებას თვით მათი განადგურების შემდეგაც კი. აიძულებენ მათაც ირწმუნონ, რომლებსაც საერთოდ აღარაფრის აღარ სჯერათ.

თხის მწყემსები რეთემატიზაციის აგენტები არიან.

მართალია, მათი მეთოდები მნიშვნელოვნად განსხვავდება შიზოანალიზის ფსიქოანალიტიკოსების ცივილიზირებული მეთოდებისაგან, მაგრამ ფუნქციას მაინც ერთს ასრულებენ.

ისინი მთელი არსებით ცდილობენ შეინარჩუნონ სისტემა, სტრუქტურა თავისი კოდირებული ენითა და ავტორიტეტებით. მათ ხელშია უმთავრესი – ინტერპრეტაციის უფლება – რომლის მეშვეობითაც ისინი პრინციპულად ზღუდავენ ყოველი ინდივიდუმისათვის განგების მიერ მინიჭებულ უფლებას, გაიცნობიეროს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილება, თავისი მატერიალური ყოფიერება.

მაგრამ განსხვავებით დასავლური სამყაროსაგან, ჩვენში ეს ყველაფერი იმდენად უხეში და აშკარა თანამიმდევრობით ხორციელდება, იმდენად მძლავრადაა მთელი კულტურა მისით მოტივირებული და იმდენად „დამაჯერებლადაა" არგუმენტირებული თვითმყოფადობის შენარჩუნების, მამაპაპური ტრადიციების გადარჩენისა და სხვა ამგვარი

ხასიათის ლოზუნგებით, რომ მთელი საზოგადოების სტაგნაციას, ერთ ადგილზე გაქვავებას იწვევს.

თუმცა თხის მწყემსებს ეს არ აღელვებთ. მეტიც, ისინი აქედანაც კი ახერხებენ თემატური სარგებლობის ნახვას.

როგორც მუცალი გვეუბნება და როგორც თვითონაც კარგად ვიცით, კლასიკოსებს მკითხველი აღარა ჰყავთ. სიახლის მწყურვალ მკითხველს უცვლელი შატილის დანახვაც აღარ უნდა. ამიტომაა, რომ პოემის წიგნი დიდი ხანია აღარ იშლება. იშვიათად, რომ იგი სრულფასოვანმა მკითხველმა გადაშალოს.

მაგრამ თხის მწყემსებზე „არც მკითხველის აშკარა სიძულვილი ახდენს შთაბეჭდილებას, არც მათი იშვიათი სტუმრობა და არც ნაჩქარევად დახურული წიგნით გამოწვეული თემატური მიწისძვრა. მკითხველის თავის მიერ ჩვენი თემის უარმყოფელ გულგრილობას ისინი დროებით მოვლენად მიიჩნევენ და თვლიან, რომ ხევსურულ თემთან მათი დამოკიდებულება, ბიწიერი აზრების, დაბინდული გონების, ცხოვრების უგვანო წესისა და ქისტურ თემში სარეველა ბალახივით მოდებული მოდერნისტული სტრუქტურის გავლენის შედეგია“.

თითქოს რომელიმე თანამედროვე პროფესიონალი პატრიოტი თხის მწყემსის მგზნებარე გამოსვლას ვუსმენდეთ.

ასევე ზუსტადაა რომანში რესტავრირებული თხის მწყემსების თავის დასამშვიდებელი გასაოცარი ლოგიკის არსი. მათი აზრით, „ხანგრძლივად დახურული წიგნი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენი თემი რეალურ სამყაროს შეესისხლხორცა. ხოლო იმ გარემოებას, რომ რეალურ პირთა წიგნის კარადებში ხელშეუხებლად ვაწყვივართ და დროდადრო, ათ წუთში ერთხელ, ჩვენი ახალი გამოცემები ქვეყანას ევლინება, რომელსაც თუმცა არავინ კითხულობს, მაგრამ მაინც კარგად იყიდება, ამის დამამტკიცებელ საბუთად მიიჩნევენ“.

თხის მწყემსების მეშვეობით ქართული ეპისტემის ერთი ძალზე სერიოზული, მაგრამ დღემდე ჯიუტად არ თუ ვერ შემჩნეული კანონზომიერებაც იჩენს თავს.

საქმე ის არის, რომ მარგველაშვილის რომანში პოემის ტექსტისა და მისი პერსონაჟების თავგადასავალის თხრობა 1888 წლიდან (ანუ პოემის რეალური გამოცემიდან) იწყება და დაახლოებით XX საუკუნის 70-იან წლებამდე გრძელდება. მოგეხსენებათ, ამ დროის (თითქმის ერთი საუკუნის) მანძილზე ჩვენი ქვეყანა ჯერ რუსეთის იმპერიის ერთი მიყრუებული პროვინცია იყო, მერე ძალზე მცირე ხნით დამოუკიდებელი ქვეყანა, დაბოლოს, საბჭოეთის ერთ-ერთი რესპუბლიკათაგანი.

ყველაზე მთავარი ამ შემთხვევაში ის გახლავთ, რომ მთელი ამ დროის მანძილზე თხის მწყემსების რეპრესიულ ფუნქციებს არავითარი არსობრივი ცვლილება არ განუცდია. ანუ მათი უმთავრესი ფუნქცია, საზოგადოებამ უარი არ თქვას მისი არსებობის ძირითად პრინციპზე – Schisch-ზე – უცვლელი დარჩა. მეტიც, საბჭოურ პერიოდამდე თუ ისინი რეტერიტორიალიზაცია-რეთემატიზაციას შედარებით მსუბუქი დაჟინებით ახორციელებდნენ, საბჭოურ პერიოდში მათი ქმედებები კიდევ უფრო დაჟინებული და სასტიკი გახდა.

მაგალითად, თუ საბჭოურ ეპოქამდე ისინი შედარებით რბილად ცდილობდნენ მუცალის გამოგონილი თომინოც როგორმე საკუთარ სამსახურში ჩაეყენებინათ, საბჭოთა რეჟიმის პირობებში ამგვარ რევერანსებს თავი ანებეს და თომინოს სახსენებელიც მოსპეს.

ეს იმას ნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, საბჭოური რეჟიმი ჩვენს ცნობიერებას ძალიან კარგად მოერგო.

მაგრამ დროთა განმავლობაში თვით თხის მწყემსების ტირანიასაც უჩნდება ბზარები, თავიდან სულ სხვა, ილუზორული მიმართულების, მაგრამ პროცესი მაინც იწყება. თავისუფალი, მუდამ მოძრავი და ცვალებადი ქისტური თემის ზეგავლენით, ერთ ადგილზე გაქვავებული და ჩაკეტილი ხევსურული თემი შიგნიდან ლპება.

იმის გამო, რომ თხის მწყემსების საბჭოური ინტერპრეტაციები სწრაფად კარგავენ ადამიანებზე ზეგავლენის ძალას, ხდება თხის მწყემსების ძველი, კომუნისტებამდელი ინტერპრეტაციების რესტავრაცია, რითაც ბობოლა თხის მწყემსები ორ კურდღელს იჭერენ – უცვლელად ინარჩუნებენ საკუთარი კეთილდღეობის უმთავრეს პირობას – ქართული ეპისტემის Schisch-ს, ხოლო ყოველივე დანარჩენს საბჭოთა სისტემასა და „ხშირულვაშიან გამჭოლი მზერის მქონე კაცს“ აბრალებენ.

ეს თხისმწყემსური ოინი შეუმჩნეველი დარჩა, რაც კარგად ჩანს რომანის კულმინაციურ მომენტში, როცა ფიქსირებული, ეგზისტენციურ-თემატური წერტილიდან თემი-თემას მკითხველი რეალური თავის ინტენციური აზრის სხივით გაქცეული მუცალი და ალუდა რეალური მკითხველი თავის ქვეცნობიერის ნაკადში ხვდებიან, რომელიც, როგორც ჟაკ ლაკანი ამბობდა, ისევეა ტექსტუალიზებული, როგორც ყველაფერი დანარჩენი ამ ქვეყანაზე.

მაშ, რა ამოიკითხა მუცალმა რეალური თავის მიერ ქვეცნობიერში გადაყრილი პოემის იდეური მასალის ნაგავის უზარმაზარი მთის ნატეხებში, სანამ ნაგვის ეს გიგანტური გროვა დავიწყების უფსკრულში გაქრებოდა?

გასაგები ხდება, რომ ბობოლა თხის მწყემსების ოინი გაუცნობიერებელი დარჩა. ერთი სიტყვით, ახლა ისეთი დრო დადგა, ახალ შატილში გამართულ ლხინზე საკუთარი თემის (თემატიკის) და Schisch-ის ლანძღვა-გინებასაც მოისმენთ და მშობლიური წიგნის უბნის უკეთესი მომავლის სადღეგრძელოსაც სვამენ. თუმცა, იქვე დასძენს ავტორი, ვერავინ გეტყვით, დადგება თუ არა საერთოდ ეს დღე.

დადგება თუ არა ეს დღე?

გივი მარგველაშვილის რომანი პროფეტურ ფუნქციებს ნამდვილად არ ილებს თავის თავზე, ამიტომ ეს კითხვა, ისევე როგორც ბევრი დანარჩენი, უპასუხოდ რჩება. მაგრამ ის გარემოება, რომ თვით ისეთი პროგრესულად მოაზროვნე რეალური თავიც კი, ვის ცნობიერებაშიაც ასეთი დაუცხრომელი ინტერესით მოგზაურობს ჩვენი მუცალი, სამწუხაროდ, ვერ იცნობიერებს, რომ „გამჭოლი მზერისა და ხშირი ულვაშების პატრონმა უსიამოვნო თავმა" მხოლოდ უკიდურესობამდე მიიყვანა ყველა ის ტენდენცია, რომელიც უკვე არსებობდა წიგნის სამყაროს იმ უბანში, მიგვითითებს, რომ ამ დღის დადგომა, სამწუხაროდ და საუბედუროდ, დიდად სათუო რამ გახლავთ.

11.

სხვათა შორის, რომანის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება.

თუმცა ჯერჯერობით ამას აზრი არა აქვს.

მართალია, რეალური ბობოლა თხის მწყემსების ოინი ბოლოს და ბოლოს გამოაშკარავდა, მაგრამ ეს ისე სტიქიურად და ისე ტრაგიკულად მოხდა, რომ უნებლიეთ სათავე დაუდო ბევრ რამეში ასევე სტიქიურ, თუმცა ნამდვილად ქართულ პოსტმოდერნიზმს. მაგრამ პარალელურად უკვე ყავლგასული, თუმცა გარკვეული ძალის მქონე ბობოლა თხისმწყემსური ინტერპრეტაციებიც განაგრძობენ არსებობას.

ამიტომ ჯერ ის უნდა გაირკვეს, მაინც რა ხარისხისაა ჩვენში ჩვენი თემი-თემას დეტერიტორიალიზაცია-დეთემატიზაციის სურვილი და რა მასშტაბისაა ბევრ ჩვენგანში არსებული სამყაროს თხისმწყემსური ინტერპრეტაციების ნოსტალგია. რომელი რომელს გადასძლევს, რომელი გაიმარჯვებს.

ჩვენთვის უმთავრესი მაინც ეს საკითხია.

რომანის გაგრძელებას მხოლოდ ამ საკითხის გარკვევის შემდეგ მიეცემა აზრი.

2002

„ულირსებო კაცის“
(და არა მარტო მისი)
პოსტმოდერნისტული გახსენება

I.

ვილას ახსოვს „ულირსებო კაცი“?

მეტსაც გეტყვით. გამორიცხული არ არის, ჩვენს პატივცემულ ინტელექტუალებს „ულირსებო კაცის“ ხსენებამ რატომღაც „უთვისებო კაცი“ მოაგონა და ახლა დაზაფრული ფიქრობენ, რომ ხელთ აქვთ მეტად ღრმაა ზროვანი და გულისგამაწყალებელი ოპუსი ბატონი მუზილის თემაზე.

არა, ბატონებო. მუზილს სად შევწვდები.

ჩემი უმწეო მცდელობა იქითაა მიმართული, ერთ დროს ჩვენი სულების სახელოვანი ინჟინრის კონსტანტინე ლორთქიფანიძის უკვდავი (სამწუხაროდ!) მექი ვაშაკიძე გავიხსენოთ, რომელიც „ულირსებო კაცად“, სხვათა შორის ძალიან ზუსტად, აკაკი ბაქრაძემ მონათლა.

სხვამხრივ მართალი ბრძანდებით.

თქვენს ადგილზე მეც გამიკვირდებოდა. იქნებ იქედნურადაც ჩამეცინა.

მართლაც, რაღა დროს ისეთი კაცის გახსენებაა, ვისთვისაც ერთადერთი უმაღლესი ფასეულობა ტრაქტორი იყო (მართალია, ამ თვალსაზრისით ტრაქტორსა და „მერსედესს“ შორის დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ მაინც)? რაღა დროს ასეთი კაცის გახსენებაა იმ ეპოქაში, როცა თავისუფლებაც მივიღეთ, დიდი ზარ-ზეიმითა და პათოსით ასეთი კაცებიც დავივიწყეთ და დასავლური კულტურის ბოლო სიტყვა – პოსტმოდერნიზმიც ელვისებურად ავითვისეთ?!

ცხადია, ამაზე მეც ვიფიქრე.

და უნდა გითხრათ, რომ ამაში გასაოცარი არაფერია.

მართალია, ამ ათ წელიწადში „ულირსებო კაცის“ დავიწყება დიდი წარმატებით მოვახერხეთ, მაგრამ ამან ოდნავადაც ვერ შეასუსტა ის ფუნდამენტური კრიზისი, რომელშიაც თავისუფლების მიღების შემდეგ აღმოვჩნდით (იქნებ, პირიქით, ამან უფრო გაამძაფრა?).

თან არც ჩვენებურ პოსტმოდერნს აღმოაჩნდა ბევრი რამ საერთო ამ მოვლენის დასავლურ ვარიანტთან. ჩვენში ამ ტერმინის უკიდურესად პირობითი ხასიათიც ხომ სრულიად აშკარაა. რა თქმა უნდა, უფრო ლოგიკური იქნებოდა „პოსტმოდერნიზმი" კი არა, „პოსტსოცრეალიზმი" დაგვემკვიდრებინა იმ მსოფლგანცდის გამოსახატავად, რომელმაც ჩვენში მოიკიდა ფეხი.

თუმცა, ჯანდაბას. ბოლოს და ბოლოს, საქმე სიტყვებში არ არის. მით უმეტეს, თუკი იმასაც გავიცნობიერებთ, რომ ჩვენს „პოსტსოცრეალიზმსა" თუ „პოსტმოდერნს" ნამდვილად აქვს შეხების წერტილები მის დასავლურ პირველწყაროსთან.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ თქვენ ალბათ ისევ გიკვირთ.

გიკვირთ, რა კავშირი აქვს ყოველივე ამას ერთმანეთთან და, რაც მთავარია, „ულირსებო კაცის" გახსენებასთან.

მაგრამ კავშირი არსებობს და თანაც პირდაპირი.

***

განსხვავებით დასავლური კაცობრიობისაგან, რომელიც ჟილ ლიპოვეცკის თქმით, უმტკივნეულოდ იტანს თავის პოსტმოდერნისტულ ხვედრს, ჩვენთვის ეს უკიდურესად მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა, რაც, კაცმა რომ თქვას, სავსებით კანონზომიერია.

ისევე როგორც იქ, პოსტმოდერნისტული საუკუნე აქაც კრიზისითა და იმედის გაცრუებით დაიწყო. მაგრამ იქ თუ ამ კრიზისსა და იმედის გაცრუებას ეპისტემოლოგიური ხასიათი ჰქონდა და აქვს, ჩვენში ეს ეგზისტენციური საკითხი აღმოჩნდა, საკუთარი რაობის გარკვევისა და ყოფნა-არყოფნის ძველისძველი პრობლემატიკით.

უმთავრესი ეს არის.

მაგრამ დასავლეთი ყოველთვის ახერხებს ნებისმიერი კრიზისის, ბოლოს და ბოლოს, საკუთარ სამსახურში ჩაყენებას. წარმოიდგინეთ, რა უნდა ყოფილიყო იმაზე საშიში და საშინელი, ვიდრე ის, რაც მას XX საუკუნის დასაწყისში დაემართა. მოულოდნელად მან აღმოაჩინა, რომ ის პრინციპები, რომლებიც ბოლო რამდენიმე საუკუნე განსაზღვრავდნენ და შექმნეს კიდეც ისეთი ფენომენი, როგორიცაა დასავლური ცივილიზაცია და კულტურა, ილუზორული წარმოდგენები ყოფილა. ლაპარაკია რაციონალიზმსა და მეცნიერულ დეტერმინიზმზე, როგორც დასავლური ცივილიზაციის ზოგად საფუძველდამდებ პრინციპებზე.

წარმოიდგინეთ ამ კრიზისის თავზარდამცემი მასშტაბი, სილრმე. მისგან დათესილი იმედის გაცრუება, შიში, აბსურდის განცდა... და მილ-

ებული გასაოცარი შედეგი.

იმის გაცნობიერება, რომ არ არსებობს არავითარი ერთი და საერთო-საყოველთაო ობიექტური ჭეშმარიტება, გასაგებს ხდის, რომ, შესაბამისად, ყოველი მეცნიერება, ყოველგვარი სისტემატიზებული ცოდნა, ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა, ყოველი იდეოლოგია, ყველა წიგნი, ყველა რელიგია, ცალ-ცალკე და ყველა ერთად, ერთი უზარმაზარი ტექსტია, ან ამ უზარმაზარი ტექსტის პატარ-პატარა ფრაგმენტებია, რომლებშიაც გვეძლევა არა ამ სამყაროს ობიექტური სურათი, არამედ მისი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია.

ეს ინტერპრეტაციები კი ყოველთვის ვიღაცის სამსახურში დგას, ვიღაცის წისქვილზე ასხამს წყალს.

ანუ გასაგები ხდება ყოველგვარი მოწესრიგებული სტრუქტურის მქონე ცოდნის, ყოველგვარი იდეოლოგიის, საერთოდ ყოველგვარი ჩაკეტილი სისტემის ღრმად შეფარული რეპრესიული ფუნქცია ადამიანის ცნობიერებაზე. მათი განმსაზღვრელი და დამთრგუნველი ზეგავლენით ინდივიდი ვეღარ ახერხებს საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების გაცნობიერებას და სამყაროსთან საკუთარი, ღრმად ინტიმური მიმართების დამყარებას.

აი, დასავლური პოსტმოდერნისტული დისკურსის არსი.

რა საერთო შეიძლება გვქონდეს ჩვენ ასეთ, შეიძლება ითქვას, მისტიკურ მსოფლგანცდაზე მიბჯენილ ინდივიდუალიზმთან?

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ ასე უაპელაციოდ არამცთუ მისი გათავისება, მიღებაც კი არ შეგვიძლია. ასეთი ხარისხის თავისუფლება ჩვენთვის იქნებოდა დასასრულის დასაწყისი.

***

ჩვენი პოსტსოცრეალიზმი თუ პოსტმოდერნიზმიც ცდილობს ჩვენი ცნობიერების ავგიას თავლები გაწმინდოს, მაგრამ გაწმინდოს არა საერთოდ სისტემების, როგორც ასეთებისაგან, არამედ ამ სისტემების მხოლოდ ჩვენებური ნაირსახეობისაგან, რომლებიც დღეს მხოლოდ პათეტიკისა და ნარცისიზმის ნანგრევებისგანღა შედგება.

ეს სისტემები რეალობასთან შეხვედრამ დაგვინგრია.

ნანგრევებით სავსე ცნობიერებაში იბადება არაფრის მომცემი და დამლუპველი ნიჰილიზმი.

მაგრამ პოსტმოდერნი ნიჰილიზმი არ არის. პირიქით, დღეს იგი ნიჰილიზმისგან თავის დაღწევის ერთადერთი შანსია, რადგან იმ ნანგრევებისგან ძველებურად ინტერპრეტირებული სისტემები ვეღარ აშენდე-

ბა. ძალიან კარგად მესმის მათი, ვინც ამის გაკეთებას მაინც ცდილობს, მაგრამ გარდა იმისა, რომ ეს განწირული მცდელობანია, ამით უნებლიეთ ძალა და ენერგია ემატება იმ ნიჰილიზმსაც, რომელიც კარგა ხანია ხრავს ჩვენს ცნობიერებას.

ერთი სიტყვით, ქართული პოსტმოდერნი არც შეთქმულებაა საქართველოს წინააღმდეგ და არც იმიტომ ცდილობს ჩვენი ცნობიერების გაწმენდას, რომ განთავისუფლებულნი ეთერში ავიჭრათ და იქ ლივლივით დავტკბეთ. მისი მიზანი გაცილებით უფრო პროზაული და ჩვენთვის საჭირბოროტოა. ჯერ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების ოდნავ მაინც რეალური ხედვა და ხშირად საკმაოდ უსიამოვნო ფაქტებისათვის თვალის გასწორება უნდა ვისწავლოთ.

მაგრამ ეს გასაოცრად ძნელი საქმეა ჩვენთვის.

***

ოღონდ ცნობიერის გარდა არსებობს არაცნობიერიც.

„ულირსებო კაცი" ჩვენ მიერვე დიდი პათოსითა და ზარ-ზეიმით არაცნობიერში გაძევებული მსოფლაღქმა, ერთგვარი პოზიციაა, რომელიც რაკი ცნობიერიდან მოვიშორეთ და დავივიწყეთ, გვგგონია საერთოდ განვთავისუფლდით მისგან.

აი, გულუბრყვილობის ქრესტომათიული ნიმუში.

თითქოს ყველანი მექი ვაშაკიძეების მიერ აშენებული სოცრეალისტური სამოთხიდან არ მოვდიოდეთ, რომელშიაც სულ მთლად თუ არ ვნეტარებდით, მაინცდამაინც არც ცუდად ვგრძნობდით თავს.

თითქოს მექი ვაშაკიძე სინამდვილეში ჩვენი, ანუ იმ ჯოჯოხეთური სამოთხის რეალური მშენებლების, განზოგადებული სახე არ იყოს.

თითქოს „კოლხეთის ცისკარი" ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომების, ყველაზე დესტრუქციული მიდრეკილებებისა და ყველაზე დიდი სისულელეების ერთგვარი მხატვრული ენციკლოპედია არ იყოს, რომელშიაც შეგვიძლია ისე ჩავიხედოთ, როგორც სარკეში.

კი, ბატონო, შეგვიძლია „კოლხეთის ცისკარი" სასკოლო პროგრამიდან ამოვიღოთ და მექი ვაშაკიძე დავივიწყოთ, მაგრამ საკუთარი თავები საიდანღა ამოვიღოთ, რომელი პროგრამიდან?

გარდა ამისა, მექი ღამეული კოშმარი არ არის, რომ დავიწყება მექანიკურ განთავისუფლებას ნიშნავდეს. სამწუხაროდ, ულირსებო კაცის კომპლექსი ჩვენი ცნობიერების ჩრდილოვანი ნაწილია, რომელსაც დავიწყება კიდევ უფრო აძლიერებს.

სარკე იმიტომაა კარგი, რომ შანსი გეძლევა საკუთარი თავი რეალუ-

რად დაინახო და შესაბამისი ზომები მიიღო. ცუდად თუ გამოიყურები, სარკე არაფერ შუაშია. მექი ვაშაკიძის დავიწყება კი არა, მისგან განთავისუფლებაა საჭირო. ამ საქმეში „კოლხეთის ცისკარს“ კარგი სამსახურის გაწევა შეუძლია.

მაგრამ რატომ მაინცდამაინც ახლა?

***

იმიტომ, რომ უკვე ათი წელია ჩვენს უსიხარულო პოსტსოცრეალისტურ ტვირთს ვეზიდებით და, რაც დრო გადის, ეს ტვირთი უფრო მძიმდება. იმიტომ, რომ რაც მეტი დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება ერთი რამ: სამყაროსა და საკუთარი თავის ტრადიციული ინტერპრეტაციების ნანგრევებით სავსე ცნობიერებითა და არაცნობიერში ჩაკირული „ულირსებო კაცის“ კომპლექსით ახალი ცხოვრების მოწყობა ვერაფრით ვერ ხერხდება. იმიტომ, რომ გარკვეული მსგავსების წყალობით საშუალება გვაქვს დასავლური პოსტმოდერნის ზოგიერთი პრინციპი ჩვენს სამსახურში ჩავაყენოთ და ბევრ რამეს, მათ შორის საერთოდ მხატვრულ ლიტერატურასთან დამოკიდებულებასაც, სხვა თვალით შევხედოთ.

მართალია, ეს ძნელია, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არ არის, რადგან როგორც „ულირსებო კაცი“, ისე ჩვენი ცნობიერების სხვა მრავალი „დადებითი“ თუ „უარყოფითი“ ნაწილი, საბედნიეროდ, მაღალ დონეზეა ლიტერატურიზებული, ანუ ჩვენი მწერლობის მიერ ოსტატურადაა შესწავლილიცა და დახატულიც. საჭიროა მხოლოდ აღქმის კუთხის შეცვლა.

საქმე ის არის, რომ პოსტმოდერნისტული დისკურსი კლასიკური მწერლობის ნებისმიერ ქმნილებას განიხილავს როგორც ჩაკეტილ სისტემას, რომელშიაც მართლა ყველაფერია გაკეთებული იმისათვის, რათა მთლიანად ჩავიძიროთ მასში, გაგვიჩნდეს ამა თუ იმ პერსონაჟის მიბაძვის, მისი გაიდეალების სურვილი. ცხადია, რაც უფრო ნიჭიერია მწერალი, მით მეტი წარმატებით ახერხებს მკითხველის „დამორჩილებას“, მის მოხიბლვას, რითაც ავტორი და საბოლოოდ მთელი საზოგადოება ცდილობს თავს მოგვახვიოს მოვლენების, ცხოვრების, საერთოდ მთელი სამყაროს მისთვის მისაღები ინტერპრეტაცია.

ჩვენში დღემდე მიჩნეულია, რომ ლიტერატურამ უნდა აღზარდოს და გზაზე დააყენოს, ანუ წარმართოს მკითხველი რაღაც „დადებითი“ მიზნებისაკენ.

ავტორიტარულ საზოგადოებებში სწორედ ამ პრინციპიდან გამომდ-

ინარე ჩნდება აკრძალული წიგნების გრძელი ნუსხები, რადგან ისინი განიხილებიან მიუღებელი ინტერპრეტაციების წყაროებად.

ჩვენ ვერც იდეოლოგიზებული კულტურით გაგვაოცებს ვინმე და ვერც აკრძალული ლიტერატურით. შესაბამისად, პერსონაჟების გაიდეალების, მათი გაფეტიშების სურვილიც ძვალსა და რბილში გვაქვს გამჯდარი, მაგრამ ამგვარმა პრაქტიკამ თვით ჩვენშიაც კი კრახი განიცადა.

დასანგრევი ბევრი დაინგრა, ბევრი ხვალ-ზეგ დაინგრევა, მაგრამ ერთ დროს გაფეტიშებული და ახლა მივიწყებული „ულირსებო კაცი" ისევ დგას თავისი კოლექტივიზმით, თავისი მონური სულით, თავისი ტრაქტორით...

დგას იმიტომ, რომ დავივიწყეთ.

ისევ უნდა გავიხსენოთ, რათა მართლა განვთავისუფლდეთ მისგან. „კოლხეთის ცისკარში" ყოველდღე ისე უნდა ვიყურებოდეთ, როგორც სარკეში.

არა მგონია, ეს მაინცდამაინც საძნელო საქმე იყოს, რადგან „ულირსებო კაცს" კარგა ხანია ჩვენს ცნობიერებაში ცალსახად „უარყოფითი" პერსონაჟის სტატუსი აქვს მინიჭებული.

მაგრამ განთავისუფლება საჭიროა ე.წ. „დადებითი" ან „დიადი" პერსონაჟებისგანაც. თუმცა ეს სულ სხვა საუბრის თემაა.

II.

პირველ წერილში „ულირსებო კაცი" გავიხსენეთ.

წარმოვიდგინეთ, რა დიდებულ სამსახურს გაგვინევდა ეს წინდაუხედავად დავიწყებული პერსონაჟი, ამის სურვილი რომ გვქონოდა.

სურვილი რომ გვქონოდა.

რადგან, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ყველას ჰქონდეს ასეთი სურვილი.

მით უმეტეს ჩვენში, სადაც პოსტმოდერნისტულ მგრძნობიარობას არც ეპისტემოლოგიური ხასიათი ჰქონია და არც მოდერნისტული შესავალი. სადაც პოსტმოდერნი დროის ძალიან მცირე მონაკვეთში მეხივით დაგვატყდა თავს და ჩვენი ცნობიერების მნიშვნელოვანი მსხვრევა და დაბნეულობა გამოიწვია. სადაც, ამის გამო, დღემდე კვლავ ძალიან ძლიერია ჩვენი „მეტაისტორიების" ზეგავლენა, მათი მონატრება, მათი ერთადერთობის პრიზმაში აღქმული „მარტივი სამყაროს" ნოსტალგია.

მაგრამ პოსტმოდერნისტული დისკურსი ყოველგვარი „ერთადერთ-

ობის", ყოველგვარი განსაზღვრულობის, ჟილ დელიოზის ტერმინოლოგიით, ყოველგვარი „წერტილის" დაუძინებელი მტერია, რადგან ჭეშმარიტების პრეტენზიის მქონე ყოველი ჩაკეტილი სისტემა, მნიშვნელობა არა აქვს ადამიანის ცნობიერება მას უარყოფითად აღიქვამს თუ დადებითად, მაინც ხაფანგია, რომელშიაც ჩვენი ცნობიერება ებმება.

მაგრამ თუკი „უხაფანგობა" „უპატრონობად" აღიქმება?

თუკი ამგვარი „ხაფანგების" მსხვრევით უეცრად „გართულებული სამყარო" უმწეობის ტრაგიკულ განცდას ბადებს?

თუკი სულიერი (და არა მარტო სულიერი) კომფორტის უმნიშვნელოვანეს წყაროდ მაინცდამაინც ასეთი „ხაფანგები" შეიგრძნობა?

მაშინ აბსურდი და მავნე აბდაუბდა გამოდის არა მარტო თქვენი მონა-მორჩილის ეს პატარა ოპუსი (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს „დიდ ინტერპრეტატორებს" იგი ერთ ნერვსაც კი ვერ შეუტოკებს), არამედ მთელი პოსტმოდერნისტული მსოფლშეგრძნებაც. და რაც მთავარია, მაშინ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობის არსი, ფრომის სიტყვებით, ძალიან მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: ჩვენ „თავისუფლებიდან გასაქცევად" ვემზადებით.

თუმცა ასეთი კატასტროფისაგან, იმედია, ღმერთი დაგვიფარავს.

***

სხვამხრივ კი, რა თქმა უნდა, „პატრონის" მაძიებელ ადამიანს უფრო დადებითად აღქმული „სისტემა" სჭირდება, როგორც გზამკვლევი, როგორც გიდი, რომელიც ამ გაუგებარ და მტრულად განწყობილ სამყარორს მოწესრიგებული სტრუქტურის მქონე ინტერპრეტაციად, ანუ პატარ-პატარა ჭეშმარიტებების იერარქიულ სისტემად მიაწვდის.

ამ საქმეში კი კლასიკური მწერლობის როლის გადაჭარბებით შეფასება საერთოდ შეუძლებელია, რადგან ადამიანის „აღზრდა" ყველგან და ყოველთვის მშრალ აბსტრაქტულ მსჯელობებზე უკეთ, ემოციებისაკენ მიმართულ მხატვრულ სახეებს გამოსდიოდათ.

შესაბამისად, მწერლობის როგორც „ინჟინერიის" განსაკუთრებით ფაქიზი სახეობის ცნობილი მეტაფორა, სრულებითაც არ არის რიგითი კომუნისტური სისულელე. ამ მეტაფორის ავტორს კარგად ესმოდა და კარგადაც იყენებდა ზემოქმედების იმ უდიდეს ძალას, რომელიც კლასიკური (არამოდერნისტული) ტიპის მწერლობას და მის ე.წ. დადებით პერსონაჟებს აქვთ ადამიანზე.

***

მაგრამ პოსტმოდერნისტულ დისკურსსაც რომ თავი დავანებოთ, კლასიკური მწერლობის პერსონაჟების გაიდეალების პრაქტიკას თავადვე ახასიათებს ერთი მნიშვნელოვანი შინაგანი წინააღმდეგობა.

საქმე ის არის, რომ მკითხველისათვის დღემდე საყვარელი და გაიდეალებული არც ერთი პერსონაჟი არ არის და არც შეიძლება იყოს სრულყოფილი ადამიანი.

რეალური ცხოვრება სხვა საუბრის თემაა, მაგრამ მხატვრულ სამყაროში „სრულყოფილ" პერსონაჟზე მოსაწყენი და აუტანელი არაფერია. მეტიც, თავად ამგვარი პერსონაჟის შექმნის მცდელობაც კი მარცხისთვისაა განწირული, რადგან ამ საქმიდან მნიშვნელოვანი არასოდეს არავის არაფერი გამოსვლია.

რაც უფრო წინააღმდეგობრივი იქნება პერსონაჟი, რაც უფრო მეტ შეცდომებს დაუშვებს ცხოვრებაში, რაც უფრო მეტი შინაგანი დისჰარმონიით იქნება გატანჯული, რაც უფრო პრობლემატური იქნება მისი არსებობა, ერთი სიტყვით, რაც უფრო ტრაგიკული ბედისა იქნება იგი, მით მეტი სიღრმე ეძლევა მის პერსონას, მით საინტერესო პერსონაჟი დგება მისგან და ზემოქმედებასაც მეტს ახდენს ჩვენზე.

ტრაგედიას მართლაც დიდი მიმზიდველობის ძალა აქვს.

მაგრამ რატომ ვაიდეალებთ ტრაგიკულ პერსონაჟებს?

***

ვთქვათ, რა იქნებოდა ცნობილი ჰამლეტი, მამის საიდუმლოებით მოცული აღსასრული მასში ასეთ ძლიერ შინაგან წინააღმდეგობებს, ასეთ სულიერ აშლილობას რომ არ იწვევდეს და პირიქით, ეს ადამიანი მხოლოდ ე.წ. მოქმედების კაცი რომ იყოს?

ასეთი უინტერესო და ბანალური პერსონაჟი ვერასოდეს გასცდებოდა ლონდონის პატარა თეატრის კედლებს და დღეს უკვე დიდი ხნის დავიწყებული იქნებოდა.

რა თქმა უნდა, ჰამლეტის მიმზიდველობა მის მერყეობაშია.

გასაგებია ისიც, რომ ამ პერსონაჟის სახით ზოგადად ყველა ინტელექტუალისთვის დამახასიათებელი ღრმა შინაგანი დისჰარმონიის მეტად შთამბეჭდავი სურათი გვეძლევა. მაგრამ ვინ ისურვებდა რეალურ ცხოვრებაში ასეთი მსოფლშეგრძნების ქონას?

ანუ რაღაც უცნაური მექანიზმის წყალობით, არაფრისდიდებით არ ხდება იმის გაცნობიერება, რომ მხატვრულ სამყაროში ასე მიმზიდველი ჰამლეტი, სრულიად მიუღებელია რეალურ ცხოვრებაში. რასაც მოჰყ-

ვებოდა ასე შთამბეჭდავად დახატული ე.ნ. „ინტელექტუალის კომპლექსის“ იმისათვის გამოყენება, რომ რეალურად მისგან განთავისუფლება მაინც გვეცადა.

მაგრამ ეს ასე არ ხდება.

მეტიც.

რა იქნებოდა, ვთქვათ, მთელი კაცობრიობის მიერ გაიდეალებული განთქმული მწუხარე სახის იდალგო, რომ არა მისი მსუბუქი შერეკილობა და ბოროტებასთან ბრძოლის სრულიად არაადეკვატური საშუალებები, რის გამოც მის დანახვაზე მთელი ესპანეთი სიცილით იგუდება?

რა თქმა უნდა, დონ კიხოტი რომ ერთი ჩვეულებრივი კეთილგონიერი ობივატელი ყოფილიყო, მასზე ამოდენა და ასეთი დიდებული რომანი კი არა, პატარა მოთხრობაც ვერ დაიწერებოდა.

მაგრამ რატომ ვაიდეალებთ ამ პერსონაჟს?

ნუთუ იმიტომ, რომ მისი კომიკური უმწეობა მოგვწონს უკეთურობის წინააღმდეგ ბრძოლაში?

ცხადია, არა.

ან იქნებ იმ „საღად მოაზროვნე“ ჰერცოგებისა და მეფუნდუკეების მსგავსად ამ შერეკილის მსჯელობების მაღალფარდოვანი სტილითა და რეალობასთან შეუსაბამო საქციელით გართობა გვწყურია.

რა თქმა უნდა, არა.

არც იმის დაჯერება შემიძლია, რომ რომელიმე ჩვენგანი მართლა ისურვებდა რეალურ ცხოვრებაში დონ კიხოტის მდგომარეობაში აღმოჩენას.

ერთი სიტყვით, სამწუხაროდ, გაიდეალება არც ამ შემთხვევაში ნიშნავს იმას, რომ საერთოდ დონ კიხოტობისგან განთავისუფლებას შევეცადოთ და გზა გავაგრძელოთ.

***

გაიდეალების ასეთი პრაქტიკა დაკავშირებულია საკუთარი უმწეობისა და ტკივილების, საერთოდ საკუთარი თავის შეცოდებასა და ამგვარი „საცოდავი საკუთარი თავის“ მხატვრულ სამყაროში დაფიქსირებასთან.

არ ვიცი, ვინ როგორ აღიქვამს ამას, მაგრამ რაღაც ამგვარი ტიპის მოვლენა თვით ისეთი უარყოფითი აურის მქონე პერსონაჟებთან დამოკიდებულებაშიც კი შეიმჩნევა, როგორიც არიან „კაცია-ადამიანის?!“ დაუვიწყარი გმირები.

ვინ შეიძლება ლუარსაბისა და მისი კნეინას გაიდეალებაზე

ილაპარაკოს, მაგრამ ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული ამ უკვდავი წყვილის ცხოვრებაში რაღაც ისეთი მომთენთავი ატმოსფერო შეიგრძნობა, ისეთი ამაოება საერთოდ ადამიანური ყოფიერებისა, ისეთი უმწეო და საცოდავია „ამ გაუგებრობაში" აღმოჩენილი ცოლ-ქმარი, რომ, მე მგონი, სრულიად შეუძლებელია მათ სიძულვილზე გულწრფელი საუბარი.

თან სრულებითაც სავალდებულო არ არის ამის გაცნობიერება.

ამ შემთხვევაში საკმარისია ელემენტარული განცდა, რათა ყოველივე ამაში ინტუიციურად საკუთარი უმწეობა შევიგრძნოთ და გულში ხანჯალივით გაგვიაროს ტკივილმა, სიბრალულმა და ფრიად უცნაური ხასიათის სიყვარულმა.

რაღა უნდა ითქვას მწუხარე სახის რაინდსა და მისი მასშტაბის სხვა „დადებით" პერსონაჟებზე?

ყველაფერი ეს გასაგებია.

გასაგებია ჩვენი არასრულყოფილება, ჩვენი სისუსტე, ჩვენი უმწეობა, საერთოდ, ქრისტიანული მსოფლმხედველობის სპეციფიკური ხასიათი.

მაგრამ გამომდინარე სწორედ აქედან, ნიცშესი არ იყოს, ეს გარემოება მაინც „სუსტების" ემოციურ არგუმენტს ჰგავს „ძლიერების" სანინააღმდეგო შეთქმულებაში.

რადგან უმწეო და მირაჟების ტყვეობაში მყოფი დონ კიხოტის გაფეტიშება, ცნობიერად თუ არაცნობიერად საკუთარი უმწეობის გაფეტიშებას უნდა მოასწავებდეს.

მაგრამ პოსტმოდერნისტული საუკუნე თავისუფლებისა და, შესაბამისად, ძალის საუკუნეა, როცა დონ კიხოტისა და მისი უმწეობის სახით საკუთარი უძლურების გაფეტიშება კი არა, მისგან განთავისუფლებაა საჭირო. ამ საქმეში კი თავად ლამანჩელ რაინდზე უკეთეს სამსახურს ვერავინ გაგვიწევს, რადგან დიდი მწერალი იმიტომაა დიდი, რომ ყოველთვის ჩვენზე უკეთესად ხედავს ჩვენივე ბუნების ფარულ არსს.

და არა მარტო ხედავს, ფრიად შთამბეჭდავად ხატავს კიდეც.

მაშ, რას მიველტვით, როცა ჩვენს ოთარაანთ ქვრივსა და მის ერთადერთ ვაჟს, გიორგის, ვაიდეალებთ?

ერთი შეხედვით, უმწეოაო, ოთარაანთ ქვრივზე ვერაფრით იტყვი. იგი საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური მობილიზაციით ცხოვრობს და ნებსით თუ უნებლიეთ, გარშემო მყოფ ადამიანებსაც აქეთკენ უბიძგებს. მის ბრძოლისუნარიანობას, სიმტკიცეს, პირდაპირობასა და

სამართლიანობის სიყვარულს მართლაც არა აქვს საზღვარი. მაგრამ ეს ღირსეული ქალი საბოლოოდ მაინც უმწეო აღმოჩნდა, რაზედაც მისი უღვთო აღსასრული მეტყველებს.

ოთარაანთ ქვრივის ცხოვრებისეულ ფილოსოფიას მისი ერთადერთი შვილის მხრიდან ელოდა დარტყმა და მან ამ განსაცდელს ვერ გაუძლო. ბედის ტრაგიკული ირონია კი იმაში მდგომარეობს, რომ სრულებით გაუცნობიერებლად და უნებლიეთ ამ განსაცდელის მთავარი სულისჩამდგმელი თავად ოთარაანთ ქვრივია.

საქმე ის არის, რომ სხვამხრივ დედამისივით ღირსეული გიორგის მთავარი პრობლემა კესოსთან ურთიერთობაში სოციალური უთანასწორობა კი არ არის, არამედ მართლაც ასეთი ღირსეული დედის ყოლაა, ვისი სიყვარულითა და ავტორიტეტით შებოჭილს არ შეუძლია ისეთი გამორჩეული ქალი არ შეიყვაროს, როგორიც კესო იყო იმ მხარეში და არც ის შეუძლია, მასში დედა არ დაინახოს და შედეგად მის წინაშე სრულიად პარალიზებული არ აღმოჩნდეს.

ამ თვალსაზრისით ზუსტად იმავე კომპლექსის მატარებელია ჯემალ ქარჩხაძის ზებულონიც, რომელიც ნამდვილ მამაკაცად მხოლოდ ისეთ ქალებთან გრძნობს თავს, რომლებიც მის პატივისცემასა და სიყვარულს ვერ იმსახურებენ.

***

ოთარაანთ ქვრივისა არ იყოს, რაღაც ასეთი უნებლიე, მაგრამ ფუნდამენტური უმწეობა ახასიათებს ჩვენი კულტურის ერთგვარ პარადიგმულ სახე-სიმბოლოდ ქცეულ თავსაფრიან დედაკაცსაც.

ეს არის ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება საკუთარი იდეალისტური რწმენა-შეხედულებების თანახმად იცხოვრა და იცხოვრა ისე, რომ ერთხელაც არ გადაუხვევია მათგან.

მოგეხსენებათ, ეს ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელიც, მაგრამ თავსაფრიან დედაკაცს ერთხელაც არ დაუჩივლია, იმდენად წარმოუდგენელია მისთვის სხვაგვარი ცხოვრება.

მაგრამ, და რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ეს ადამიანი როგორღაც ავტომატურად თვლის, რომ სხვა ადამიანებიც, ყოველ შემთხვევაში, მისი შვილები მაინც, ზუსტად ისეთივე იდეალისტები არიან, როგორიც თვითონაა და მათთვისაც ასევე ბუნებრივია იდეალისტური წესების მიხედვით ცხოვრება.

ეს მძიმე შეცდომაა.

ამიტომ, როცა უკვე მოხუცებულმა, განერვიულებული შვილის მიერ

წამოყრანტალებული ერთი უნებლიე რეპლიკის წყალობით რეალობა დაინახა მთელი თავისი სიცრუით, პირობითობებითა და ფარისევლობით, ერთი წუთითაც აღარ მოინდომა სიცოცხლის გაგრძელება.

თავსაფრიანი დედაკაცი ბოლომდე თანამიმდევრული აღმოჩნდა, რაც მიუხედავად მისი გულუბრყვილობიდან შობილი უმწეობისა, მაინც დიდი პატივისცემით განგვაწყობს მის მიმართ.

მაშ, რატომ არ უნდა გავაიდეალოთ ასეთი ბუნების მქონე პერსონაჟი?

იმიტომ, რომ ეს ხელს უწყობს საზოგადოებრივი ფარისევლობის უპრეცედენტო გაფურჩქვნასა და აყვავებას.

ჩვენ მისი შვილებივით ჩვეულებრივი მოკვდავნი ვართ და არანაირად არ შეგვიძლია ასეთი იდეალისტური ხასიათის წესები რეალურად დავიცვათ ჩვენს ცხოვრებაში. მაგრამ თუ რაღაც მიზეზების გამო, მაინც დავიჩემებთ ამას, ისეთივე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორშიც თავსაფრიანი დედაკაცის შვილები აღმოჩნდნენ. იძულებულნი გავხდებით მხოლოდ გარეგნულად შევქმნათ ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს მართლა ამგვარი წესებით ვცხოვრობთ. ანუ იძულებულნი გავხდებით ვითამაშოთ, ვიფარისევლოთ, თითქოს ჩვენც ასეთი თანამიმდევრულები, ასეთი ამაღლებულნი ვართ, შინაგანად კი ძალიან შორს ვიქნებით ამისგან.

აკი ასეც ხდება.

და იწყება „საზოგადოებრივი თამაშები".

შვილებს (ისევე, როგორც საერთოდ ჩვენც) მოხუცებული დედის დაკარგვა კი არ აწუხებთ, ის აფიქრებთ, მეზობლები რას იტყვიან.

ერთ სიცრუესა და არაგულწრფელობას უკან მთელი კასკადი მოჰყვება.

შვილები ცდილობენ მალულად მოძებნონ სახლიდან გაქცეული დედა და უკან დააბრუნონ, რათა მშობელზე მზრუნველი შვილების იმიჯი არ დაკარგონ, მაგრამ ეს შეუძლებელი გამხდარა. მიუხედავად ამისა, უფრო რადიკალურ ზომებს მაინც ვერ იღებენ, რადგან ასეთ შემთხვევაშიაც აეხდება ფარდა მათ ნამდვილ ბუნებას, ანუ დაირღვევა თამაშის წესები.

ის, რაც თავსაფრიანი დედაკაცისათვის იმდენად ღრმა ტრაგედიაა, რომ სიცოცხლეზეც კი ამბობს უარს, შვილების ხელში ასეთ უმნიშვნელო და სასაცილო „პრობლემად" დეგრადირდება.

უმთავრესი თამაშის წესებით დაცვა ხდება.

ანუ როგორც ჩვენ ვიცით, რომ სხვები ფარისევლობენ და თამაშობ-

ენ, ასევე სხვებმაც იციან, რომ ჩვენც ვფარისევლობთ და ვთამაშობთ და ყველა კმაყოფილია. სხვაგვარად არსებობა წარმოუდგენელიც კი ხდება.

ესეც ჩვენი ცხოვრება.

ნამდვილი გრძნობების ნაცვლად სუროგატები, სიმართლის ნაცვლად სიყალბე, გულწრფელობის ნაცვლად პირმოთნეობა. და როგორც ყოველივე ამის შედეგი – ნამდვილი, მკაცრი და ამიტომ გაცილებით მაღალი ხარისხის ცხოვრების ნაცვლად ათასნაირად შერბილებული, „უხიფათო" და უძრავი არსებობა.

იქნებ ამიტომაც გვაშინებს ასე პანიკურად არაინტერპრეტირებული სინამდვილე?

იქნებ ამიტომაც გვანგრევს და გვაბნევს რეალობასთან შეხვედრა?

იქნებ ამიტომაც ვერ ველევით იდეალებს?

მაგრამ პოსტმოდერნისტული ეპოქა, რომელშიაც ასე მოულოდნელად და ასე შეუმზადებლად აღმოვჩნდით, ადამიანსა და რეალობას შორის არსებულ ყველა ბუფერს ამსხვრევს, გვინდა ჩვენ ეს თუ არა და „თამაშები" საზოგადოებრივი ასპარეზიდან ხელოვნებაში გადააქვს, ისიც იმიტომ, რომ ცნობიერების განმსაზღვრელი სისტემების ტყვეობისაგან გაგვათავისუფლოს.

პოსტმოდერნისტული დისკურსის ნაწილად შეიძლება გავიაზროთ კლასიკური მწერლობის პერსონაჟების მომნუსხველი ზეგავლენისგან გათავისუფლებაც.

თავისუფლებიდან გაქცევას, უკან დაბრუნებას და სხვა ამგვარი ხასიათის ფიქციებს ისევ გზის გაგრძელება სჯობს.

2002

ჩვეულებრივი წინააღმდეგობანი

(კიდევ ერთი ერთობ მჭმუნვარე ფიქრთამშლელი მცირე რამ ესეი)

მოგეხსენებათ, ადამიანურ ყოფიერებას მრავალი წინააღმდეგობა ახასიათებს, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მეტად ფუნდამენტური წინააღმდეგობა ასეთი სახისაა: არც ერთ ჩვეულებრივ ადამიანს არ შეუძლია საზოგადოების გარეშე არსებობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შინაგანად მაინც სისტემატურ კონფლიქტშია მასთან.

მართლაც უცნაურია. იმ სამყაროში, რომელშიაც ვცხოვრობთ, ადამიანის სრულფასოვანი არსებობისათვის აუცილებელი სივრცე მხოლოდ საზოგადოების სახით შეიძლება არსებობდეს, მაგრამ იგივე საზოგადოება თითქოს ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ხელი შეგვიშალოს საკუთარი თავის განხორციელებაში.

რაღა შეიძლება იყოს ადამიანური ბუნების არასრულყოფილების უკეთესი დასტური?!

ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ფაქტია: იქამდე, სანამ ადამიანი ისეთი იქნება, როგორიც დღემდეა, არ არსებობს არავითარი საშუალება ამ წინააღმდეგობის გასაუქმებლად.

თუკი დააკვირდებით, იოლად უნდა დამეთანხმოთ, რომ ასეთი წინააღმდეგობის მთავარი მიზეზია ადამიანის უკიდურესად არაიდეალური ბუნებიდან შობილი ეგოიზმი. შეიძლება ჩვენებური გულუბრყვილო ალტრუისტები არ დამეთანხმონ, მაგრამ ნებისმიერი ადამიანი, ვინც არ უნდა იყოს იგი, პირველ რიგში, საკუთარი თავითა და კეთილდღეობითაა დაინტერესებული, რადგან ჩვეულებრივი ადამიანია და სხვაგვარად არ შეუძლია. ამიტომ რეალურად, ყოველივე დანარჩენი მისთვის მხოლოდ იმდენადაა საინტერესო, თუ რამდენად ეხმარება ან ხელს უშლის მას საკუთარი მოთხოვნილებების განხორციელებაში. ნება მომეცით შეგახსენოთ, რომ ეს სამწუხარო ჭეშმარიტება ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა აღმოაჩინეს.

წინააღმდეგობა კი მაშინ იჩენს თავს, როცა ცხადი ხდება, რომ თავისი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ადამიანს აუცილებლად სჭირდება საზოგადოება. მაგრამ ეს უკანასკნელი ხომ ზუსტად

ასეთივე არასრულყოფილი ეგოისტებისგან შედგება, რომელთაც, როგორც ამბობენ, უკლებლივ ყველასა აქვს ბედნიერების უფლება? შესაბამისად, თითქოს გარდაუვალი ხდება ქაოსი, წინააღმდეგობების უკიდურესობამდე გამწვავება და ყოველივეს დაღუპვა. მაგრამ, როგორც მე ვიცი, ამ მიზეზით ჯერ არც ერთი საზოგადოება არ დაღუპულა. მიზეზი ამისა კი ის გახლავთ, რომ „სამოთხიდან გამოძევებული", „დაცემული" კაცობრიობა მაინც ახერხებს შეინარჩუნოს ამ ვითარებაში ის ერთადერთი საშუალება, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება თუნდაც მინიმალური წესრიგისა და ჰარმონიის დაფუძნება. ეს ერთადერთი საშუალება, რომელიც მიუხედავად თავისი უკიდურესად არასრულყოფილი ბუნებისა, დღემდე ერთადერთად რჩება, რასაკვირველია არის სახელმწიფო.

სრულყოფილებას ვინ დაეძებს, თვით ასეთი უვარგისი ინსტიტუტის შენარჩუნებაც შეუძლებელი გახდებოდა, რომ არა ზემოხსენებული უცნაური წინააღმდეგობის გარკვეული შერბილება. სწორედ ასეთი შემარბილებლის როლს ასრულებს ერთგვარი დაუწერელი „საზოგადოებრივი ხელშეკრულება", რაც რეალურად ვლინდება როგორც ამა თუ იმ ხალხის, ერის ან თვით უზარმაზარი გეოგრაფიული რეგიონისათვის დამახასიათებელი ცნობიერება (მაგალითად, ევროპული და აზიური). ყოველი ხალხი, გამომდინარე მისთვის დამახასიათებელი ცნობიერებიდან, როგორღაც განსაზღვრავს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების ნორმებს, რითაც ხდება არა წინააღმდეგობის გადალახვა, არამედ მისი შერბილება არჩევანის გაკეთების მეშვეობით. ერები „არკვევენ" რომელია მათთვის უფრო მნიშვნელოვანი ფასეულობა — პიროვნება თუ საზოგადოება, რათა შემდეგ მნიშვნელოვანს დაუმორჩილონ ნაკლებმნიშვნელოვანი.

თუმცა აუცილებლად სათქმელია ისიც, რომ თავდაპირველად (და ბევრისთვის დღესაც) არავითარი არჩევანი არ არსებობს. მართლაც ფაქტია, რომ ანტიკური სამყაროს შემდეგ რენესანსის შემდეგდროინდელი ევროპის გარდა ასეთი არჩევანის შესაძლებლობაც კი არავის გაუცნობიერებია.

რა უნდა აირჩიოს პრიმიტიულმა ადამიანმა?

იმ პირობებში, რომელშიაც ის ცხოვრობს, თავის გადასარჩენი ერთადერთი საშუალება ადამიანთა მაქსიმალური „შემჭიდროებაა" (ჯონ მორენო). ამიტომ რაც უფრო პრიმიტიულია საზოგადოება, რაც უფრო მეტად უჭირთ მის წევრებს ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, მით უფრო მეტადაა ის შემჭიდროებული, ანუ მით მეტად კოლექტიურია იგი. ასეთ

პირობებში პიროვნება თავისი საჭიროებებითა და უფლებებით, რასაკვირველია, დიდი ფუფუნებაა, ასეთი იდეაც კი არავის მოსდის თავში. შესაბამისად, ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ კოლექტივიზმი ზუსტად იმ ხნისაა, რა ხნისაცაა საერთოდ შიში.

მაგრამ მიუხედავად შიშის ფენომენის უდიდესი მნიშვნელობისა, კლასიკური კოლექტივიზმი საკმაოდ რთული მოვლენაა საიმისოდ, რათა მისი სტრუქტურება მხოლოდ და მხოლოდ შიშს მოეხერხებინა. ამ საქმეში ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რელიგიამაც, კერძოდ, ქრისტიანობამ, რაც ერთ-ერთ უდიდეს პარადოქსად უნდა ჩაითვალოს საერთოდ კაცობრიობის ისტორიაში.

საქმე ის გახლავთ, რომ იესო ქრისტეს მიზანი არავითარ შემთხვევაში არ ყოფილა არასრულყოფილი (ქრისტიანული ტერმინოლოგიით — ცოდვილი) კაცობრიობისათვის ამქვეყნიური ყოფა შეემსუბუქებინა. იესო ცდილობდა ყოველგვარი უბედურების, ტანჯვის, შიშისა და წინააღმდეგობების საფუძველთა საფუძვლისაგან გათავისუფლებაში დახმარებოდა ადამიანებს. და ვინ არ იცის, რომ ყოველივე ამის წყარო თავად ადამიანშია, მისი არასრულყოფილი ბუნების სახით, რაც ძირითადად ვლინდება ეგოიზმით. ამიტომაა, რომ ადამიანური ბუნების რადიკალური ტრანსფორმაციის გარეშე, ყველა ფუნდამენტური, ადამიანური წინააღმდეგობა წინააღმდეგობად რჩება. მე მგონი, ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს კანონზომიერება, რა თქმა უნდა, ეხება პიროვნებისა და საზოგადოების წინააღმდეგობრივ ურთიერთობასაც.

საერთოდ, გამომდინარე თავისი მიზნიდან, შეუძლებელია იესო მაქსიმალისტი არ ყოფილიყო. აკი ამიტომაც ვერ აიტანეს.

სავსებით გასაგებია, რომ სახელმწიფო ინსტიტუტი ის აუცილებელი ბოროტებაა, ურომლისოდაც ცოდვილი კაცობრიობა ვერ შეძლებს არსებობას. ამ აუცილებლობისაგან გათავისუფლება კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი გზით შეიძლება — საკუთარი ბუნების პრინციპული გარდაქმნით. ქრისტიანული ტერმინოლოგია შესაძლებელს ხდის ამ მოვლენის წარმოუდგენელი სიძნელე დავინახოთ — ადამიანი მეორედ უნდა დაიბადოს. იესოს ჭეშმარიტი ადეპტი მხოლოდ ამ გზით უნდა მიდიოდეს. მაშ, განა ცხადზე ცხადი არ არის, რომ სინამდვილეში იესო ქრისტეზე უფრო დიდი და სერიოზული მოწინააღმდეგე სახელმწიფოს არ ჰყოლია?!

მაგრამ რეალურად გასაოცარი რამ მოხდა. სახელმწიფომ შეძლო ქრისტიანობის თავის სამსახურში ჩაყენება. ანუ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარებით იწყება ეპოქა, როცა ქრისტეს მოძღვრ-

ება იმ ბოროტების გაძლიერებასა და განმტკიცებას უნდა ემსახუროს, რომლის დაძლევასაც გულისხმობდა. ქრისტიანობის სოციალიზაციის პროცესი, ამ მოვლენის შინაგანი ლოგიკის ძალით, მთავრდება იმით, რითაც უნდა დამთავრებულიყო: ქრისტიანობა ეკლესიის სახით ერთ-ერთ უმძლავრეს სოციალურ ინსტიტუტად ყალიბდება.

და ყველაზე მთავარი: ორი დაპირისპირებული მოვლენის, ქრისტეს მოძღვრებისა და სახელმწიფოს, ასეთი აბსურდული სიმბიოზი მთელ ეპოქას ქმნის ე.წ. ფეოდალიზმის სახით. შესაბამისად, ფეოდალიზმის მარქსისტული დახასიათება მხოლოდ როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემისა, უკიდურესად ცალმხრივია.

ფეოდალიზმი, პირველ რიგში, სახელმწიფოზე დაქორწინებული ქრისტიანობის პირმშოა. ეს არის კოლექტივიზმის ერთპიროვნული ბატონობის ათასწლოვანი ერა, რომლის უმთავრესი ნიშანთაგანი ხდება საზოგადოებრივად დაკანონებული ფარისევლობის არაჩვეულებრივი აყვავება. პრიმიტიული, სრულყოფილი კოლექტივიზმისაგან განსხვავებით, კლასიკურ კოლექტივიზმს მხოლოდ ასეთ ნიადაგზე შეუძლია არსებობა.

ნათქვამს დასაბუთება სჭირდება, ანუ გასარკვევია ის მექანიზმი, რომლის ძალითაც სოციალიზებული ქრისტიანობა საზოგადოების კოლექტივისტურად სტრუქტურებას განაპირობებს.

ყოველივე ის, რისკენაც იესო ქრისტეს მიჰყავდა ადამიანი და რისი მიღწევაც არაჩვეულებრივად ძნელი გზის ბოლოში იყო შესაძლებელი ცალკეული ინდივიდისათვის, ეკლესიამ იდეალად დაუსახა ეგოიზმის ჭაობში ჩაფლულ კაცობრიობას. ასეთი იდეალების მიხედვით ცოდვად ითვლება ყოველგვარი, ან თითქმის ყოველგვარი, ადამიანური სწრაფვა, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, სამწუხაროდ, არ შეიძლება, რომ ეგოისტური არ იყოს. მით უმეტეს მაშინ, როცა რაღაც კონკრეტული მიზნების მისაღწევად ადამიანი მთელი არსებითაა ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

იქმნება უკიდურესად აბსურდული ვითარება: მრავალ ჩვენგანს იქნებ სურვილიც გვაქვს, რომ იდეალების მიხედვით ვიქცეოდეთ, მაგრამ რეალურად სულ სხვა ცხოვრებით ვცხოვრობთ, რადგან ყოფიერების რკინის კანონებმა არაერთხელ დაგვარწმუნა, რომ სხვანაირად შეუძლებელია არსებობა. ჩვენი არასრულყოფილი ბუნება ხომ არ გვემორჩილება და არა, მაგრამ არც ჩვენ გვეტყობა დიდი მონდომება მის წინააღმდეგ ბრძოლაში. რეალურად აღარავინ იცის, როგორ შეიძლება გარდაიქმნას ადამიანის მიწიერი ბუნება. მწარე გამოცდილებით ვიცით,

რომ მხოლოდ მარხვა-ლოცვითა და რიტუალებში მონაწილეობით რეალურად არაფერი ხდება. კაცმა რომ თქვას, გულის სიღრმეში, ამ მხრივ განხორციელებული ცვლილება შეუძლებლადაც გვეჩვენება. მაშ, როგორღა არ დავემორჩილოთ ჩვენს დაუცხრომელ ეგოს, როგორ არ ვიბრძოლოთ ჩვენი პირადი ინტერესებისათვის?!

ასეთი მასშტაბის გაუგებრობა, ცხადია, უკვალოდ ვერ ჩაიფარცხებოდა — ადამიანის ქვეცნობიერში ღრმად ილექება არასრულფასოვნების, დამნაშავის კომპლექსი.

ოფიციალურად რეალური ადამიანი შეჩვენებულია, გამტყუნებულია. მაგრამ უბედურება ის არის, რომ სინამდვილეში არავის შეუძლია, ვერავინ ახერხებს თავის თავში უარი თქვას ამ ყბადაღებულ რეალურ ადამიანზე. მეორედ შობა შეუძლებელი გამხდარა. ყოველი ადამიანი თავისი დაუცხრომელი ეგოს ტყვეობაში რჩება. შედეგად კი ვიღებთ ფარისევლობის არნახულ აყვავებას. ადამიანები თითქოს თანხმდებიან — ყველგან და ყველა ვითარებაში დაცულ იქნეს ფორმა. მერე რა, რომ ჩვეულებრივი ქურდები, მკვლელები და მრუშები ვართ; მერე რა, რომ სისტემატურად გვშურს მოყვასისა; მერე რა, რომ დაუცხრომლად, ხშირად ყოველგვარი ხერხის გამოყენებით, ვიბრძვით პირველობისათვის; მერე რა, რომ სისტემატურად ვიტყუებით. სამაგიეროდ, თუკი ყოველივე ამას ფორმის დაცვით ჩავიდენთ, ყელში არავინ გვეცემა, რადგან ყველა იმავეს აკეთებს და ყველას ესმის, რომ სხვანაირად ვერ ხერხდება, ვერ გამოდის. სასტიკად მხოლოდ ის ისჯება, ვინც ფორმას არ დაიცავს, რადგან ამით საზოგადოებას უნებლიეთ მის გულისამრევ ფარისევლობაში ამხელს. გახსოვთ, რას ამბობს ცხონებული ლუარსაბი მეზობელ თავად ნიკოლოზზე, რომელსაც ცოლმა მოახლესთან წაასწრო? განა უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები? განა ისინი ხორციელები არ იყვნენო? მაგრამ, უწინ პირში წყალი ჰქონდათო და მაგისთანები სულ ჩუმად ხდებოდაო.

ასეთი ტოტალური სიცრუისა და ფარისევლობის ვითარებაში ინდივიდისთვის საზოგადოებრივ სივრცეში ადგილი აღარ რჩება. შეუძლებელი ხდება მასიდან გამორჩევა, რადგან ამით ნებსით თუ უნებლიეთ მისი მამხილებელი ხდები, რაც კოლექტივისთვის უკიდურესად გამაღიზიანებელი რამაა. იგი მთელი არსებით ცდილობს არ დაუშვას ეს, რითაც პირველ რიგში საკუთარ კეთილდღეობას იცავს.

ასე იქცევა ქრისტიანობა ფსევდორელიგიად, მისი დიდებული იდეალები — ფარისევლობის წყაროდ, შუა საუკუნეები და ფეოდალიზმი კი — კოლექტივიზმის ერთპიროვნული ბატონობის ერად. უცვლელი რჩე-

ბა ერთადერთი რამ — ადამიანის არასრულყოფილი ბუნება.

ფეოდალური სისტემა შინაგანად გაიხრწნა, ოღონდ უცნაურია, მაგრამ არა ყველგან. შექმნილი ვითარებიდან თავის დასაღწევად, პირველ რიგში, საჭირო გახდა უარის თქმა ფსევდორელიგიურ იდეალებზე, რაც მაშინდელ დასავლეთ ევროპაში აღიქმებოდა როგორც ამბოხი ღმერთის წინააღმდეგ (ჩვენში დღესაც ასე აღიქმება). სოციოლოგიის ენაზე, აუცილებელი გახდა არჩევანის გაკეთება პიროვნებასა და კოლექტივს შორის.

ფეოდალიზმის გახრწნით შექმნილი ღრმა კრიზისის დაძლევის აუცილებლობამ დასავლეთ ევროპა ხსენებული არჩევანის გაკეთების აუცილებლობამდე მიიყვანა. ეს იყო ურთულესი, ძალზე მტკივნეული პროცესი, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, საჭირო ნაბიჯი მაინც გადაიდგა. ადამიანის რეალური ბუნების კანონიერების აღიარებით უარი ითქვა ყალბ იდეალებზე (რენესანსი, ჰუმანიზმი). ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპა იძულებული გახდა თვალი აღარ დაეხუჭა რეალობაზე, რამაც სოციალიზებული ქრისტიანობის წინააღმდეგ მძლავრი აჯანყება გამოიწვია (რეფორმაცია, პროტესტანტიზმი). ჩრდილო-დასავლეთ ევროპის პროტესტანტულ წიაღში თანდათან ფეხს იკიდებს ინდივიდუალიზმი. ეს იყო პროცესი (ვიმეორებ, მასში მონაწილე ხალხებისათვის უმძიმესი და ძალზე მტკივნეული), რომელიც თანდათანობით სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით ე.წ. კაპიტალიზმად გაფორმდა (მაქს ვებერი).

ამდენად, თუკი შევეცდებით ინდივიდუალიზმი ჩვენთვის საინტერესო კუთხიდან დავახასიათოთ, აღმოვაჩენთ, რომ ფაქტობრივად ეს არის უარის თქმა ადამიანის არასრულყოფილი ბუნების გაკეთილშობილების უტოპიურ, ყალბ პრეტენზიაზე. ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელი ხდება ადამიანის მიწიერი ბუნების რეაბილიტაცია, ანუ ადამიანის ისეთად მიღება, როგორიც არის სინამდვილეში. ეს იყო ანტიკური იდეალების აღორძინებისა და დასავლურ ცნობიერებაში დამკვიდრების ღია პროცესი.

ასეთი მამაცი რეალიზმით აღბეჭდილი ცხოვრება ცდილობს გონიერების ფარგლებში ანგარიში გაუწიოს ადამიანის ეგოიზმს. ადამიანს უფლება ეძლევა აშკარად, ყოველგვარი ფარისევლობის გარეშე იბრძოლოს და იღვაწოს პირადი კეთილდღეობისათვის. პიროვნება იძულებული აღარ არის იფარისევლოს. ასეთი რეალიზმი შინაგანად ამსხვრევს კოლექტივის დიქტატურას. პიროვნება თავისუფლდება მისი რკინის კლანჭებისგან. პიროვნების გათავისუფლებას კი არ შეიძლე-

ბოდა კოლექტივის ბატონობაზე დამყარებულ-დაფუძნებული ფეოდალური სისტემა არ დაემსხვრია.

მაგრამ მეორეს მხრივ ასეთ პოზიციას აუცილებლად ერთგვარი სიმკაცრისა და სისასტიკის დაღი უნდა დაესვა ცხოვრებისათვის. ადამიანი ადამიანისათვის მგელია, ჰობსისა არ იყოს, ეს სიტყვები მართლაც საუკეთესოდ გამოხატავს ასეთი საზოგადოების არსს. ფარისევლური და პირმოთნე კოლექტივისგან განსხვავებით, რომელიც მართლა ცდილობს ცივი ნიავი არ მიაკაროს თავის წევრებს, თუკი ისინი მის წესებს იცავენ, ინდივიდუალიზმი ყოველთვის ამჯობინებს პირდაპირ, ყოველგვარი სიცრუისა და პირმოთნეობის გარეშე უყუროს მოვლენებს.

ევროპულ კაცობრიობას ბოლომდე უნდა ევლო ამ გზაზე.

მაგრამ რას ან ვის უნდა დაეცვა ზომიერება სასტიკ ცხოვრებისეულ ბრძოლაში, რომელშიაც ადამიანები მგლებს ემსგავსებიან?

თავისუფლად მიშვებული ადამიანური ეგოსგან შობილ უკიდურესობებს ნებისმიერი საზოგადოების დალუპვა შეუძლია! მაგრამ ევროპა არამცთუ არ დაილუპა, უკვე რამდენიმე საუკუნეა თავისი ძალმოსილებითა და სიმდიდრით უდიდეს ზეგავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე.

ინდივიდუალიზმის ისტორიაში ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ შინაგანი გარდაუვალობის ძალით ზომიერების დამცველის ფუნქცია ეკისრება არა რელიგიური წარმოშობის ზნეობრივ მცნებებს, რომელთაც არავინ დაიცავდა მათი ზედმეტად იდეალისტური ბუნების გამო; არა ქარიზმატულ პიროვნებებსა თუ სხვადასხვა ტიპის ბელადებს, არამედ სამოქალაქო კანონებს.

სახელმწიფოს განვითარების ისტორიაში იწყება რაციონალიზმის ეპოქა. მოქმედებას იწყებს შესანიშნავი პრინციპი: ნებადართულია ყველაფერი, რაც კანონით აკრძალული არ არის.

მაშასადამე, ინდივიდუალიზმის ევოლუციას ბუნებრივად მივყავართ დემოკრატიული სახელმწიფოს ფენომენამდე. ეს არის სახელმწიფო, რომელიც, გამომდინარე ისევ და ისევ საკუთარი ინტერესებიდან, ვალდებულებას კისრულობს დაიცვას ნებისმიერი თავისი წევრის ადამიანური უფლებები.

* * *

უცნაურია, მაგრამ ჩვენს საზოგადოებას არასოდეს გაუცნობიერებია ამგვარი არჩევანის გაკეთების აუცილებლობის მთელი სერიოზულობა. ყველაზე ტრაგიკული კი ის არის, რომ ეს დღესაც არ ხდება, რასაც ძალიან მძიმე შედეგების მოტანა შეუძლია. თავი დავანებოთ იმ გარემ-

ოებას, რომ ჩვენი ცნობიერება ყოველთვის ფსევდორელიგიური და ამიტომ შინაგანად წინააღმდეგობრივი იყო და არის. ჩვენთვის პიროვნებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი ფასეულობა ყოველთვის კოლექტივი იყო. მაგრამ ეს ჯანდაბას. მთელი აზია ასეა და ჩვენც ვიქნებოდით როგორმე, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენში ღვივის ერთი უგუნური სურვილი. სახელდობრ, კაპიტალისტური ეკონომიკისა და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება ფეოდალური ცნობიერებით გვინდა! იქნებ ასეთი უცნაური სურვილი იმიტომ გვაქვს, რომ საქართველო არც კლასიკური აღმოსავლური ქვეყანა ყოფილა როდისმე და არც დასავლური?

რა თქმა უნდა, ამ საკითხზეც ღირს ფიქრი, მაგრამ ახლა ის არის გასარკვევი, ფსევდორელიგიურ (იგივე ფეოდალურ, გნებავთ კოლექტიურ) ცნობიერებას, რომლითაც ძირფესვიანადაა გამსჭვალული ჩვენი ხალხი, დემოკრატიის არათუ აშენება, მისი რეალურად მიღება თუ მაინც შეუძლია? ქრონიკული წინააღმდეგობა ამ ორ მოვლენას შორის შეიძლება ძალზე სახიფათო აღმოჩნდეს.

ისე მოხდა, რომ უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე ჩვენი ქვეყანა მეორედ აღმოჩნდა ამგვარი წინააღმდეგობის ველში. პირველად ეს პროცესი დაიწყო XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როცა რუსეთის იმპერიის უმაღლესმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა კაპიტალისტური სისტემის თანდათანობითი კულტივირება მთელ იმპერიაში. ანუ ეს იყო არა შინაგანი გარდაუვალობიდან გამოწვეული ლოგიკური ნაბიჯი, არამედ გარედან თავსმოხვეული ექსპერიმენტი, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის, რომლის მისაღებადაც ხალხი არანაირად არ იყო მზად.

თუკი გვინდა იმ ეპოქის ქართველი საზოგადოების რეალური მდგომარეობა არა მარტო წარმოვიდგინოთ, ვიგრძნოთ კიდეც, მშრალ და ხშირად ტენდენციურ ისტორიულ ქრონიკებზე უკეთეს სამსახურს, ცხადია, მხატვრული შემოქმედება გაგვიწევს. ის, რასაც ენგელსი ამბობდა ბალზაკზე, ჩვენ შეიძლება გავიმეოროთ დავით კლდიაშვილზე. ამ ადამიანმა შეძლო არაჩვეულებრივი მხატვრული ძალით ეჩვენებინა იმდროინდელი საქართველოს ტრაგედია. დავით კლდიაშვილის მკითხველი თვალნათლივ ხედავს, როგორ უპირისპირდება მთავრობის მიერ დანერგილი ახალი წესრიგი ხალხის ტრადიციულ მსოფლგანცდას, მის ცნობიერებას და როგორ ამსხვრევს ამ უხილავი მოვლენების ხილულ გამოვლინებებს. მათ შორის არა მარტო მანამდე არსებულ ეკონომიკურ სისტემას, არამედ ასევე ადამიანთა შორის არსებულ ტრადიციულ

ურთიერთმიმართებათა მთელ გამას. ჩვენთვის დამახასიათებელმა უტოპიურმა ცნობიერებამ რეალობასთან ოდნავი შეხების გამოც კი ხალხის მასობრივი დაბნეულობა, გაღატაკება და გაუბედურება გამოიწვია. საქართველომ ვერ შეძლო კაპიტალიზმის მიღება. ქვეყანაში ვერ შეიქმნა იმ ადამიანთა უმრავლესობა, რომელთათვისაც გასაგები და მისაღები იქნებოდა ამ ურთულესი პროცესის მთელი სიღრმე და გარდაუვალი მტკივნეულობა. ან კი საიდან უნდა შექმნილიყო? რუსეთის იმპერატორის ბრძანებით ხომ არა? მით უმეტეს, რომ ძალზე საეჭვოა, თავად უმაღლეს ხელისუფალთ ჰქონოდათ გაცნობიერებული ნამოწყებული რეფორმების უკიდურესად სახიფათო ხასიათი, ისევე, როგორც ალბათ ბოლომდე არ ჰქონდა გააზრებული ეს ამბავი საბჭოთა კავშირის უკანასკნელ „იმპერატორსაც“.

ჩვენმა საზოგადოებამ ვერ გაუძლო ზემოდან მოწყალედ გამეტებული პიროვნული თავისუფლების უმნიშვნელო დოზებსაც კი და უკიდურესად შეჭირვებულები, ერიხ ფრომის ცნობილი სიტყვების პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, ბატონისა და პატრონის ძებნაში ტოტალურად გავიქეცით თავისუფლებიდან პირდაპირ სოციალიზმში. ეს უკანასკნელი კი, მიუხედავად თავისი აბეზარი და უკიდურესად პათეტიკური ფრაზეოლოგიისა, რეალურად სხვა არაფერი იყო, თუ არა ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი საზოგადოების კოლექტივიზმის პრინციპით სტრუქტურირების ახალი, ამჯერად რაციონალური ფორმა, ანუ „მეცნიერული ფეოდალიზმი“.

სოციალისტური საზოგადოება საოცარი სიზუსტით იმეორებს ფეოდალური საზოგადოების შინაგანი სტრუქტურის უმთავრეს მომენტებს. სხვათა შორის, ამის შესახებ ჩვენშიაც დაწერილა.

რელიგიურ დოქტრინას ენაცვლება „მეცნიერული თეორია“, რომელთან მიმართებაც რელიგიური რჩება — გამორიცხულია მასში დაეჭვება, რაიმე შესწორების შეტანა ან დაზუსტება. ერთიცა და მეორეც აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ღაღადებს, რომელიც ადეპტისაგან მხოლოდ მორჩილებას მოითხოვს. ფსევდოქრისტიანობისთვის ასე მნიშვნელოვანი წმინდანთა მთელი იერარქია იცვლება ბელადთა იერარქიით, რომელთა მიმართ მოკრძალებისა და თაყვანისცემის გამოვლენა მოეთხოვება ნებისმიერ მოქალაქეს. და ყველაზე მთავარი: კომუნისტური თეორია ასეთივე სიზუსტით ითვისებს და ნერგავს სოციალიზებული ქრისტიანობის მნიშვნელოვან თვისებას — მაქსიმალურად იდეალისტური ხასიათის მორალს, რომლის რეალურად განხორციელებაც ჩვეულებრივი ადამიანის ძალებს აღემატება.

ერთი სიტყვით, ისევე როგორც ნებისმიერი ფსევდორელიგიისათვის, კომუნიზმისთვისაც მიუღებელია რეალური ადამიანი თავისი ავ-კარგით. იგი მას აშინებს თავისი სუბიექტივიზმით, ეგოიზმით, ვნებათა სიმძაფრითა და ირაციონალურობით, ანუ თავისი არასრულყოფილი ბუნებით. მარქსიზმი ფაქტობრივად იმეორებს უძველეს რელიგიურ იდეას, როცა ამბობს, რომ ყოველგვარი უბედურებისა და ტანჯვის მიზეზი ადამიანის დაცემაა, მაგრამ მაშინვე ემიჯნება მას, როგორც კი დაცემის მიზეზებზე მიდგება საქმე. მარქსისთვის ყველაფერი „აქ" იწყება და „აქვე" მთავრდება. ამიტომ ნებისმიერი მოვლენის, მათ შორის ადამიანის დაცემის მიზეზსაც, იგი „აქ" ეძებს და პოულობს კიდეც გაბატონებული კლასების მიერ დანარჩენთათვის თავსმოხვეული იდეოლოგიის სახით. შესაბამისად, რაკი თვლის, რომ მიზეზი იპოვა, ძალზე სერიოზული პრეტენზიაც უჩნდება ადამიანის გამოსწორებისა.

მოკლედ, მარქსიზმ-ლენინიზმმა „ამ ქვეყანაშივე" მოინდომა იმის განხორციელება, რასაც ფსევდორელიგია „იმ ქვეყანაში" ჰპირდებოდა ადამიანებს. მაგრამ თვით ასეთი თავგამეტებული „მეცნიერული" მცდელობაც კი ვერანაირად ვერ გასცდა უტოპიის საზღვრებს, რადგან ვერც მან შეძლო ადამიანის არასრულყოფილი ბუნების გაკეთილშობილება, თუმცა კი ზღვა სისხლი დაღვარა ამისთვის.

თუმცა ერთი რამ ნამდვილად მოახერხა: იგი იძულებული გახდა ღირსეულად გაეგრძელებინა ფეოდალიზმის ტრადიცია ორმაგი მორალისა და ფარისევლობის აყვავების სფეროში, რითაც კანონგარეშედ გამოაცხადა პიროვნება და შექმნა თვით აზიისთვისაც კი უნიკალური მონსტრი — სახელმწიფო „შემჭიდროებულობის" უმაღლესი კოეფიციენტით, იგივე კოლექტივიზმის ციტადელი.

სამწუხაროდ და საუბედუროდ, არასწორად უნდა ჩაითვალოს ჩვენში გაბატონებული იდეა, რომლის მიხედვითაც მარქსიზმ-ლენინიზმი ჩვენს საზოგადოებას ძალით მოახვიეს თავს. დასავლეთის წიაღში დაბადებული თეორია რეალურად მიუღებელი ისევ თავად დასავლეთისთვის აღმოჩნდა, რადგან მან ერთხელ უკვე თქვა უარი ფსევდორელიგიაზე თავის იდეალისტურ მორალთან ერთად. და ეს არ ყოფილა გაუცნობიერებელი უარი. დასავლეთმა თავის დროზე კრიზისი იმით დაძლია, რომ ხმამაღლა აღიარა ადამიანის არასრულყოფილება, მიიღო ეს როგორც გარდაუვალი რეალობა და საკუთარი ცხოვრებაც ამის გათვალისწინებით წარმართა — ადამიანური ნებითა და პასუხისმგებლობით. „მეცნიერული ფეოდალიზმი", ანუ იმავე კოლექტივიზმის ახალი ფორმა, მიუხედავად მთელი მისი გარეგნული კეთილშობილებისა, დასავლეთისთვის

მიუღებელი იყო. სამაგიეროდ, ის ზედგამოჭრილი აღმოჩნდა ფეოდალიზმის თავდაპირველი ფორმის შინაგანი გახრწნის გამო უღრმეს კრიზისში მყოფი აღმოსავლეთისა და მათ შორის, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისთვისაც.

მე არ ვიცი (და თუ ვინმემ იცის, იქნებ გამაგებინოს), სხვანაირად როგორ შეიძლება აიხსნას XX საუკუნის დასაწყისში ჩვენში ჩატარებული თავისუფალი არჩევნების შედეგები. მანამდე კაპიტალიზმის ძირითად პრინციპებთან შეხებით გაუბედურებული ქვეყანა, თითქმის ერთხმად ხმას აძლევს ქართველ მარქსისტებს. და ასე მოხდა მიუხედავად იმისა, რომ არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა, ვინ მოკლა საქართველოს უგვირგვინო მეფე ილია ჭავჭავაძე! სოციალ-დემოკრატებმა ტრიუმფალური გამარჯვება იზეიმეს.

ამგვარმა არჩევანმა, მე მგონი, სრულიად თვალნათლივ დაადასტურა ის გარემოება, რომ ინდივიდუალიზმი მთელი თავისი შედეგებით ჩვენთვის მიუღებელია. მაშინ, პირველ რიგში, ჩვენთვის უცხო ცნობიერებას გავექეცით. ეს ცნობიერება რეალურად დღესაც მიუღებელია ჩვენი ხალხისთვის, რისი თვალნათლივი მაგალითებიც უხვადაა, მაგრამ ამის გაცნობიერება ვერაფრით ხერხდება.

საზოგადოებრივი ცხოვრება სავსეა მექანიკური, გაუცნობიერებელი ქმედებებით. არავინ იცის, რა რისთვის ხდება და რას რა მოჰყვება. კრიზისი კი თანდათანობით სულ უფრო ღრმავდება.

კრიზისის გაღრმავებასთან ერთად გამოიკვეთა ერთი ტენდენცია, რომელიც, როგორც ჩანს, თანდათან უფრო გაძლიერდება. საქმე ის გახლავთ, რომ იმ ადამიანების მცდელობა, რომელთაც გაცნობიერებულად სურთ ჩვენში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება, უმრავლესობის მიერ აღიქმება როგორც ჩვენს წინაალმდეგ სადღაც დაგეგმილი შეთქმულების ხელის შეწყობის მცდელობა. შეთქმულებისა, რომლის მიზანია, არც მეტი, არც ნაკლები, ქართველი ერის ამოწყვეტა! მაგრამ ყველაზე უცნაური მაინც ის არის, რომ მითოლოგიური ფორმით გამოთქმული ეს ველური იდეა მაინც შეიცავს ჭეშმარიტების მარცვალს. საქმე ისაა, რომ ინდივიდუალიზმზე აგებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა მართლაც ამსხვრევს ჩვენი ხალხის მსოფლგანცდას, რადგან იგი დიამეტრულად საწინააღმდეგო საფუძველზეა აშენებული; უპირისპირდება ჩვენს ტრადიციებს, თავდაყირა აყენებს ჩვენში გავრცელებულ ნათესაურ, მეგობრულ თუ მეზობლურ ურთიერთობათა ნორმებს. ფეხქვეშ ნიადაგი გვეცლება, რადგან ყოველივე ის, რაც ასე მნიშვნელოვანი გვეგონა და რითაც საუკუნეები ვიცხოვრეთ, უცებ არარაობა აღმოჩნდა.

დასავლეთთან გამართულ საუკუნოვან ომში აღმოსავლეთის ბოლო ციტადელიც დაეცა. ჩვენც დამარცხებულთა შორის ვართ და ძალიან მეეჭვება, ჩვენს ცივილიზაციას დასავლეთის წამლეკავი ზეგავლენის შეჩერება შეეძლოს. არც ის ადამიანები ჩანან, რომელთათვისაც გასაგები იქნებოდა, რომ ასეთი კრიზისიდან ღირსეულად გამოსვლა უმსხვერპლოდ შეუძლებელია. თუმცა მსხვერპლსაც გააჩნია. ჩვენს ტრადიციულ ცნობიერებაზე უარის თქმა ალბათ იმ ზედნაშენზე უარის თქმასაც მოასწავებს, რასაც აქამდე ქართული ცივილიზაცია ერქვა. ძველი უნდა მოკვდეს და ახალი იშვას. მაგრამ ვის შეუძლია, უფრო სწორად, ვინ გააკეთებს ამას საკუთარი ნებით? მით უმეტეს, რომ ამგვარი ნაბიჯი არც დასავლეთში გადაუდგამთ თავის დროზე თამაშ-თამაშით. ეს ისეთი მშობიარობის პროცესია, როცა ან დედა უნდა დაილუპოს, ანდა შვილი. ორივე ერთად ვერაფრით ვერ შეძლებს არსებობას. ძველი ცნობიერებით ახალი საზოგადოების აშენება შეუძლებელია.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მძიმე განსაცდელის წინაშე ქართული სახელმწიფო არასოდეს მდგარა. ვინ იცის, დღევანდელი ჭირისა და უბედურების აღწერას მომავალში იქნებ ერთი დავით კლდიაშვილის ნიჭის მქონე მწერალი აღარც კი ეყოს.

არავინ არ იცის, მომავალში რა მოხდება, მაგრამ ერთი რამ, მე მგონი, ახლავე ცხადია. ყველაფრიდან ჩანს, რომ ჯერჯერობით მართლა თავისუფალ საზოგადოებას კი არ ვაშენებთ, სინამდვილეში კვლავ და კვლავ კოლექტივიზმის რაიმე ახალი ფორმის გამოჩენას ველოდებით გაუცნობიერებლად, რათა თავის გადასარჩენად კვლავ თავქუდმოგლეჯილი გავექცეთ თავისუფლებას.

1997

„ორიენტაციების“ შესახებ

ძნელი სათქმელია, ვინ რას ფიქრობს ამის შესახებ, მაგრამ, მე მგონი, კახა კაციტაძის „ორიენტაციები“ („ომეგა“, 1999, N2) უაღრესად საგულისხმო მოვლენაა რამდენიმე თვალსაზრისით. პირველ რიგში, ეს არის წარმატებული მცდელობა ჩვენში მეტად დელიკატურად მიჩნეული საკითხები ემოციური ველიდან გადატანილ იქნეს მეცნიერული ლოგიკის სიბრტყეზე. ეს გარემოება საშუალებას იძლევა ბოლოს და ბოლოს ჩვენშიაც დაიწყოს ემოციებისგან თავისუფალი საუბარი იმ პრობლემებზე, რომელთა გაცნობიერება დღეს უმკაცრესი აუცილებლობაა.

კახა კაციტაძის წერილის ღირსებად უნდა ჩაითვალოს ასევე მისი მცდელობა, ტერმინოლოგიური სიცხადე შემოიტანოს ორიენტაციის მეტად რთულ და დღემდე მრავალი წინააღმდეგობის, გაუგებრობისა და ხშირად სრულიად აბსურდული მსჯელობების ულრან ტყეში.

ამგვარი სირთულეების დაძლევის შემდეგ მართლაც ჩნდება შესაძლებლობა პროდუქტიულად ვისაუბროთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც დღესაც მწვავეა და რაც დრო გავა, მით უფრო გამწვავდება.

ორიენტაციაზე მსჯელობისას, მით უმეტეს მაშინ, როცა ასეთი აშკარა თუ ფარული ბრძოლაა გაჩაღებული დასავლური ორიენტაციის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის (თუმცა ჯერჯერობით, ძირითადად, მაინც ემოციური), აუცილებელი ხდება ტერმინ „დასავლურის“ დაზუსტება, რასაც თავისთავად მოჰყვება „არადასავლურის“ განმარტებაც.

კახა კაციტაძის თქმით, დასავლური შეიძლება ეწოდოს ყველა იმ ქვეყანას, სადაც ინდივიდი კი არ არსებობს საზოგადოებისათვის, არამედ საზოგადოება ინდივიდისათვის, და რაც მთავარია, სადაც სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტთა ერთობლიობა, არსებობს მოქალაქისათვის და არა პირიქით. დასავლური სისტემის ეს უმთავრესი პარამეტრი რეალურად კონკრეტდება როგორც სამართლებრივი დემოკრატიული სახელმწიფო, რომელშიაც ინდივიდისა და მოქალაქის პრიმატს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უზრუნველყოფს მართვის

დემოკრატიული მექანიზმი, ხელისუფლების არჩევითობა, ადგილობრივი ინიციატივები, ადამიანის პოლიტიკური, სამოქალაქო და სოციალური უფლებების დაცვა და კიდევ მრავალი სხვა რამ. ყველა სხვა სისტემა,მიუხედავად იმისა, აღმოსავლეთით დევს ის, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, ერთნაირად შეიძლება დახასიათდეს როგორც არადასავლური.

ასევე უაღრესად ზუსტი და რაციონალურია ჩვენი ავტორის მიერ შემოთავაზებული ორიენტაციის სამი ასპექტი, რომელთა მიღება ძალზე აიოლებს მსჯელობას, და რაც მთავარია, ყველასთვის გასაგებს ხდის მას. ეს ასპექტებია: სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, კულტურული და ცივილიზაციური. ანუ, თუკი გვინდა ლოგიკური სიცხადით გავიცნობიეროთ ორიენტაციის პრობლემა, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ხორციელდება სამი მიმართულებით. ზემოთ მოყვანილი „დასავლურისა" და „არადასავლურის" დახასიათება სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა იყო. კულტურულს განმარტება არ სჭირდება. ხოლო ცივილიზაციურში ავტორი გულისხმობს ყველა იმ მენტალური და ქცევითი სტერეოტიპების ერთობლიობას, რომელიც ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის ქმედებას განსაზღვრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ ცივილიზაციური პარამეტრი ეროვნული ყოფიერების ყველაზე მყარი მახასიათებელია. იგი ასწლეულების მანძილზე ყალიბდება და შეუძლებელია მისი შეცვლა დროის მცირე მონაკვეთში. ცხადია, გასაგებია, რომ ცივილიზაციურ ასპექტში კახა კაციტაძე გულისხმობს იმ საფუძველს, რომელიც აყალიბებს ამა თუ იმ ერის ტრადიციებს, მიმართებას სამყაროსთან, პიროვნებასთან, კოლექტივთან, განსაზღვრავს მის ცნობიერებას და ა.შ.

მაგრამ უმთავრესი სიახლე, რომელსაც ჩვენი ავტორი გვთავაზობს, ასეთია: ორიენტაციული არჩევანი როგორც სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურში, ისე კულტურულსა და ცივილიზაციურ სფეროებში შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს. შესაბამისად, ჩვენში ფეხმოკიდებული, ვთქვათ, ასეთი მსჯელობა: იმის გამო, რომ ჩვენთვის მიუღებელია ამერიკული ხელოვნების მთელი რიგი ასპექტები, უარი უნდა ვთქვათ ამერიკისადმი პოლიტიკურ ორიენტაციაზეც, წერილში მიჩნეულია ორიენტაციის პოლიტიკური და კულტურული ასპექტების ერთმანეთში აღრევის სამწუხარო შედეგად, ანუ ელემენტარულ გაუგებრობად.

თავად კახა კაციტაძე ასეთ დასკვნას გვთავაზობს: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ცივილიზაციური კუთვნილება ჯერჯერობით ტერა ინკოგნიტაა, ინტუიციის დონეზე მაინც შეიძლება ითქვას, რომ

ჩვენი ქვეყანა უმრავლესი პარამეტრების მიხედვით ემსგავსება სამხრეთ-ხმელთაშუა ზღვისპირულ ბალკანურ-კავკასიურ ტიპს. შესაბამისად, ყველაზე უკეთესი იქნება, თუკი საქართველო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ არჩევანს დასავლური სისტემის სასარგებლოდ გააკეთებს, თავისი ცივილიზაციური კუთვნილებიდან გამომდინარე, გააქტიურებს თავის ბალკანურ-ხმელთაშუა ზღვისპირულ პოლიტიკას, ხოლო კულტურის სფეროში მაქსიმალურად განავითარებს ყველა ტენდენციას, რათა ამგვარ პროცესში თვითონ გამოჩნდეს, რომელი ტენდენციაა პოზიტიური და რომელი ნეგატიური.

ხოლო იმის დასტურად, რომ ამგვარი რამ სავსებით შესაძლებელია, ავტორი გვთავაზობს იაპონიისა და სამხრეთ კორეის მაგალითს. მისი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებს თითქმის არაფერი ჰქონიათ საერთო დასავლეთთან როგორც კულტურული, ისე ცივილიზაციური და რელიგიური თვალსაზრისით, საკმარისი გახდა პოლიტიკურად დასავლური მოდელის სასარგებლო არჩევანის გაკეთება, რომ დროის მოკლე მონაკვეთში ისინი დასავლური ბანაკის სრულუფლებიან წევრებად ქცეულიყვნენ.

* * *

გულახდილად რომ ვთქვა, დასავლური ორიენტაციის ჩვენებური მოწინააღმდეგეების პოზიციაში ყველაზე მეტად ის მაოცებს, დღევანდელ მსოფლიოში დასავლური რომ დაინუნო, სხვა რა უნდა აირჩიო?! მით უმეტეს, ისეთმა პაწია სახელმწიფომ, როგორიც ჩვენი ქვეყანაა.

რაღაა ასარჩევი დასავლური ორიენტაციის გარდა?!

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ რეალურად დასავლური სისტემის ალარავითარი ალტერნატივა ალარ არსებობს. იმედია, ასეთად არავინ აღიქვამს არც კადაფის ჯამაჰირიასა და არც სადამ ჰუსეინის დიქტატურას. ცნობილი ზბიგნევ ბჟეზინსკის აზრით, გამორიცხული არ არის, რომ მომავალში დასავლური სისტემის ალტერნატივა კვლავ შექმნას ჩინეთმა, მაგრამ ეს საკმაოდ გაურკვეველი და ბურუსით მოცული მომავლის საქმეა. ჯერჯერობით კი, მთელი XX საუკუნის მანძილზე ყოველივე არადასავლურის მრისხანე ციტადელი რუსეთიც კი იძულებულია სახელმწიფოებრივი მოწყობის თვალსაზრისით დასავლური ორიენტაცია აირჩიოს.

გარდა იმისა, რომ ჩათრევას ყოველთვის ჩაყოლა სჯობს, საინტერესოა, რატომ არ უნდა გვინდოდეს ადამიანური ცხოვრება?! და მიუხედავად იმისა, რომ სრულიად აშკარაა — ადამიანის რეალური ბედნიე-

რებისათვის კაცობრიობას დასავლურ საზოგადოებასა და ფასეულობებზე უკეთესი ჯერ არაფერი შეუქმნია, ვფიქრობ, მაინც არა ღირს იმ სირთულეების მიფუჩეჩება ან არად ჩაგდება, რომლებიც თავს იჩენენ იმ შემთხვევაში, როდესაც ტრადიციულად ყოველთვის არადასავლურად ორიენტირებული ქვეყნები ერთ მშვენიერ დღეს, ნებსით თუ უნებლიეთ, დასავლურ მოდელს ირჩევენ.

* * *

როდესაც არადასავლურთან შედარებით დასავლური სახელმწიფოებრივი მოდელის სრულიად აშკარა უპირატესობაზე და ამიტომ მისი არჩევის აუცილებლობაზე ინყება ლაპარაკი, რატომღაც ჯეროვანი ყურადღება არასოდეს ექცევა იმ გარემოებას, რომ ეს მოდელი დასავლეთმა არც ვინმესგან ისესხა და არც ზეციდან მიიღო საჩუქრად. სხვათა შორის, შუა საუკუნეების დასავლეთი ისეთივე „არადასავლური" იყო, როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო. დღევანდელი დასავლეთი წარმოადგენს შედეგს იმ ურთულესი, უმნვავესი და ხშირად სისხლიანი პროცესებისა, რომლებიც თავის დროზე ევროპაში ინყება ერთი მხრივ როგორც რენესანსი და მეორე მხრივ როგორც რეფორმაცია. ძალზე ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პროცესი, რომელიც ძირფესვიანად დაუპირისპირდა შუასაუკუნეობრივი კოლექტივიზმის ციტადელს — სახელმწიფოსა და ეკლესიის სიმბიოზს. ამიტომ ასევე ზოგადად ამ დაპირისპირებას, ამ ჭიდილს შეიძლება ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ბრძოლაც ვუწოდოთ. საუკუნეების მანძილზე მიმდინარე ამ დაუნდობელ ბრძოლაში ყალიბდება პირველ რიგში თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია და მერე კულტურა და სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური სისტემა, რომლის უპირატესობასაც დღეს ყველა აღიარებს.

ამის თქმა იმიტომ გახდა საჭირო, რომ დასაბუთდეს საკმაოდ მარტივი აზრი: განმსაზღვრელი ამა თუ იმ ხალხის ყოფიერებაში, პირველ რიგში, მისი ცივილიზაციური რაობაა, საიდანაც ამოიზრდება როგორც მისი ბუნებრივი ნაწილი, სახელმწიფოებრივი მოწყობა და კულტურა.

ამიტომ ყველა ის ხალხი, რომელიც თავისი ცივილიზაციით კი არ მივიდა დასავლური ტიპის სისტემამდე, არამედ ახლა ცდილობს მის მორგებას, სამწუხაროდ, შეიძლება მეტად რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდეს. ასე იმიტომ ხდება, რომ ეს მოდელი მისი ყოფიერების ღრმა შინაგანი თავისებურებებიდან კი არ იშვა ბუნებრივად, არამედ ახლა ინერგება ხელოვნურად.

ნიშანდობლივია, რომ ამგვარი ვითარების გაცნობიერება ძნელდება იმ შემთხვევაში, თუკი მოვლენებს მხოლოდ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოწყობის პრიზმიდან ვუყურებთ. დასავლური მოდელის ადეკვატური სახელმწიფო სტრუქტურებისა და კონსტიტუციის შექმნა რაღაც დონეზე ალბათ აფრიკის რომელიმე პრიმიტიული ტომისთვისაც შეიძლება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საქმეს ვერ შველის, რადგან დასავლური ფორმა ისევ არადასავლური შინაარსით ივსება. მხოლოდ ფორმა კი, ცხადია, ვერაფრით ვერ მოგვცემს ისეთ შედეგებს, რომელსაც შესაბამისი შინაარსის შემთხვევაში იგივე ფორმა იძლევა დასავლეთში. როგორც წესი, ამ წინააღმდეგობის რეალური მიზეზის გაცნობიერების ნაცვლად იქმნება ილუზია იმისა, რომ კარგი შედეგების მისაღებად საჭიროა მუშაობის გაგრძელება ფორმის დასახვეწად, მაგრამ ვერანაირი ფორმების ცვალებადობა ვერ უშველის ცივილიზაციურ შეუთავსებლობას.

იმავე წინააღმდეგობის გაცნობიერება შედარებით იოლად ხერხდება (თუმცა უფრო ინტუიციურად, ვიდრე რაციონალურად) კულტურის სფეროდან.

თუკი ჩვენი საერთოდ ინერტული მოქალაქე შედარებით მაინც ნაკლებად წუხს დასავლური მოდელის მიხედვით ჩვენში დანერგილი პოლიტიკური სისტემით შექმნილი დისკომფორტის გამო, რადგან ცდილობს და წარმატებითაც ახერხებს მასში საკუთარი არადასავლური შინაარსის შეტანას, კულტურის შემთხვევაში ასე არ ხდება. იმის გამო, რომ ჩვეულებრივ სწორედ კულტურის მეშვეობით ხდება საკუთარი ცივილიზაციური ორიგინალურობისა და თვითმყოფადობის ემოციური გაცნობიერება, საკმარისია დასავლურ კულტურასთან შედარებით ინტენსიური კონტაქტი, რომ მყისიერად მოხდეს მისი „არაჩვენებურობის" დაფიქსირება და მის მიმართ მტრული დამოკიდებულების ჩამოყალიბება. იბადება განგაშის განცდა, რომლის მიხედვითაც ეს უცხო კულტურა ჩვენი თვითმყოფადობისა და ვინაობის უპირველესი მტერია. ამგვარი განცდით ატანილი ადამიანი, თუმცა ნათლად ვერა, მაგრამ როგორღაც ნამდვილად გრძნობს, რომ არსებობს რაღაც ფარული კავშირი დასავლურ კულტურასა და დასავლურსავე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სისტემას შორის. ამიტომ ერთსაც უარყოფს და მეორესაც.

ამგვარი კულტურულ-პოლიტიკური ამალგამის ლოგიკური უმწეობა კარგად აჩვენა კახა კაციტაძემ. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ეს მართლაც ამალგამაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას ფორმალური

ლოგიკის თვალსაზრისით განვიხილავთ. ცხადია, ამ გაგებით კულტურას არანაირი პირდაპირი კავშირი არა აქვს სახელმწიფოებრივ მოწყობასთან. ამიტომ ერთის გამო მეორის უარყოფა მართლაც მეტად აბსურდული ჩანს. ოღონდ თუკი გავიცნობიერებთ, რომ ეს წმინდა ფორმალური შეცდომა სრულიადაც არ ცვლის საქმის არსს, არა მგონია ეს ინტუიციური დასკვნა ასე ცალსახად არასწორი იყოს.

რა თქმა უნდა, განგაშის გრძნობით შეპყრობილი და თვითმყოფადობის შენარჩუნების ლოზუნგით შეიარაღებული კულტურის მოღვაწე დასავლურ სახელმწიფოებრივ მოწყობის მოდელს კი არ უნდა უარყოფდეს, რომელიც ისეთივე შედეგია დასავლური ცივილიზაციისა, როგორიც მისი კულტურა, არამედ ლოგიკურად უფრო თანამიმდევრული იქნება, თუკი გაიცნობიერებს, რომ საქმე ცივილიზაციურ შეუთავსებლობაშია.

ამ ვითარებას შეიძლება სხვა კუთხიდანაც შევხედოთ.

ყველა ხალხი განსაკუთრებული გულმოდგინებით იმიტომ უფრთხილდება თავის ცივილიზაციას, რომ სწორედ ეს არის ის ქვაკუთხედი, რომლის მეშვეობითაც ხდება ერის, როგორც ასეთის, მიერ საკუთარი თავის გაცნობიერება. ამიტომ ცივილიზაციის რამდენადმე მაინც სერიოზული და უხეში ნგრევა მაშინვე იწვევს ამ ცივილიზაციის მატარებელ ხალხში გადაგვარების, თვითმყოფადობის დაკარგვის შიშს.

როდესაც ტრადიციულად არადასავლური ფასეულობების მქონე ხალხი თავისი სახელმწიფოებრივი მოწყობის მოდელად დასავლურ სისტემას ირჩევს, ამით, რასაკვირველია, ის დასტურდება, რომ ერთმა ცივილიზაციამ აღიარა მეორე, განსხვავებული ცივილიზაციის უპირატესობა (დღეს დასავლეთთან მიმართებაში ასეთ მდგომარეობაში იმყოფება მთელი მსოფლიო!). ანუ ეს იგივე „მარცხია", რასაც გარდაუვლად, არა ვიღაცის ბოროტი განზრახვით, არამედ თავისთავად უნდა მოჰყვეს გამარჯვებული ცივილიზაციის „ექსპანსია".

მაგრამ როგორ შეიძლება განხორციელდეს ეს ბუნებრივი პროცესი?

მხოლოდ პოლიტიკური სტრუქტურების გადანერგვით ცივილიზაციები ძალზე ზედაპირულად ეხებიან ერთმანეთს. სამაგიეროდ, ამ მხრივ მართლაც უმოკლესი გზაა კულტურა. კულტურების შეხებით, ფაქტობრივად, ცივილიზაციები ეხებიან ერთმანეთს. მაგრამ ეხებიან არა იმიტომ, რომ ერთმანეთი ჩაყლაპონ. საერთოდ, კულტურის ექსპანსიურობასა და კოსმოპოლიტურობაზე ლაპარაკი იმ მიუტევებელ აბსურდთა რიგიდანაა, რომელიც კახა კაციტაძემაც გამოააშკარავა თავის წერილში. უბრალოდ, საქმე ის გახლავთ, რომ სუსტი კუ-

ლტურა და ცივილიზაცია თავისთავად ემორჩილება უცხოს ძალმოსილებას. რასაკვირველია, დასავლური კულტურა და ცივილიზაცია რომ სუსტი და უმნიშვნელო ყოფილიყო, ვერც ჩვენს თვითმყოფადობას დააკლებდა რამეს.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული კულტურა თავისი არსით არც ექსპანსიურია და არც კოსმოპოლიტური, დასავლური ცივილიზაციის ყველაზე მოწინავე ელემენტებით დეტერმინირებულობის გამო იმდენად სწრაფად და მძლავრად ვითარდება და თან ისეთი სპეციფიკური მიმართულებებით, რომ თავისი უზარმაზარი მიზიდულობის ძალით შეუძლებელია ჩვენთვის ექსპანსიურად არ იქცეს. იგი ძალიან მოკლე დროში აღწევს იქ, სადაც საერთოდ ძალზე ძნელია შეღწევა (რუსეთმა ამის გაკეთება 200 წლის მანძილზეც ვერ შეძლო) — ხალხის თვითმყოფადობის საფუძველში, მის ცივილიზაციაში და იქ დიდი არეულობა შეაქვს.

თუ რა არასასიამოვნო შედეგების მოტანა შეუძლია წინასწარ გაუაზრებლად დასავლეთთან კონტაქტს, კარგად გამოჩნდა იმ პრიმიტიული ცივილიზაციების მქონე ხალხების მაგალითზე, რომელთაც თავის დროზე მათდა საბედისწეროდ ამ ფენომენთან მოუხდათ ურთიერთობა.

შედეგები მართლაც საბედისწერო აღმოჩნდა.

ერთი ავტორის თქმისა არ იყოს, კაცები გალოთდნენ, ქალები გაბოზდნენ. არა მგონია, ეს მეტაფორა იყოს. უბრალოდ, ვერც ამერიკელ ინდიელებსა და ვერც სამხრეთამერიკელ თუ პოლინეზიელ პრიმიტიულ ხალხებს ვერანაირად ვერ ეყოთ ძალა სწორად გაეაზრებინათ დასავლეთის ფენომენი, რის შედეგადაც მთლიანად განადგურდა მათი არსებობის საფუძველი — მათი ცივილიზაცია.

რა თქმა უნდა, ისეთი უძველესი არადასავლური ცივილიზაციისა და კულტურის ქვეყანა, როგორიც გახლავთ ინდოეთი, დასავლეთთან შეხებისას ასეთი სიღრმითა და მასშტაბით ვერ შეირყევა, მაგრამ სხვა მხრივ კი ფაქტია, რომ მიუხედავად სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურად დასავლური ორიენტაციისა, ეს ქვეყანა ვერაფრით ვერ ამოვიდა სილატაკის, ჩამორჩენილობისა და არასტაბილურობის ჭაობიდან.

დასავლეთთან არასწორი დამოკიდებულების კლასიკურ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ ირანი. როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში ისეთი მასშტაბითა და ინტენსიურობით ხორციელდებოდა დასავლური სოციალურ-პოლიტიკური სისტემისა და განსაკუთრებით კულტურის დანერგვა, რომ ამან ადგილობრივი ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნგრევა გამოიწვია. ასეთი წინდაუხედავი პოლიტიკის ავტორებმა კი შე-

დეგად სრულიად საპირისპირო — ყოველგვარი დასავლურის მძაფრი სიძულვილი და მიუღებლობა მიიღეს. ირანის ე.წ. ისლამურმა რევოლუციამ ქვეყანა ერთი ხელის დაკვრით მეორე პოლუსზე გადაისროლა, რაც ცივილიზაციური თვალსაზრისით სხვა არაფერი იყო, თუ არა საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნების მეტად რადიკალური მცდელობა.

* * *

მეტად არასასიამოვნოა, მაგრამ მაინც უნდა დავასკვნათ, რომ არადასავლური ტიპის ცივილიზაციების მქონე ქვეყნების მიერ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სფეროში დასავლური მოდელის არჩევა, სამწუხაროდ, სრულიადაც არა ქმნის ამ ქვეყნების ავტომატური აყვავების წინაპირობას. უმრავლეს შემთხვევაში, უფრო პირიქით, სწორედ ამით იწყება ასეთი ქვეყნებისათვის ხანგრძლივი გაჭირვებისა და არასტაბილურობის ხანა. ამას ადასტურებს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობა, რომელთა რიცხვსაც ცოტა ხნის წინ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიც დაემატა.

მაგრამ ერთი შეხედვით თითქოს მართლაც არანაირ ლოგიკას არ ემორჩილება იაპონიისა და სამხრეთი კორეის მაგალითი. მათთან არა მარტო დასავლური სახელმწიფოებრივი სტრუქტურები ამუშავდნენ მთელი ძალით, არამედ არც დასავლურმა კულტურამ მოახდინა მათზე გამხრწნელი ზეგავლენა და არც ცივილიზაციას დაუწყია ნგრევა.

როგორც ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ მიუხედავად იმ განსხვავებისა, რომელიც შორეული აღმოსავლეთის ამ ხალხებსა და დასავლეთს შორის ერთი თვალის შევლებითაც ჩანს, მათ ცივილიზაციებში მაინც იყო ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრი, რომლის გამოისობითაც დასავლური ფასეულობები არათუ არ დაუპირისპირდა მათ ცივილიზაციას, არამედ უფრო გაამდიდრა და მის წინსვლასაც შეუწყო ხელი.

სხვათა შორის, სწორედ ეს შემთხვევაა ხატოვანი დასტური იმისა, რაოდენ განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენს რელიგია ამა თუ იმ ხალხის ცივილიზაციაზე. ვფიქრობ, რელიგიის როლის დამაკნინებლად ვერ გამოდგება ის არგუმენტი, რომელსაც კახა კაციტაძე გვთავაზობს. ცხადია, არც ის უარყოფს ქრისტიანობის მნიშვნელოვან როლს დასავლური ცივილიზაციის ჩამოყალიბებაში, მაგრამ მისი აზრით, ეს მაინც არ არის პირველხარისხოვანი როლი იმ მოტივით, რომ დასავლური ტიპის ცივილიზაცია არ ჩამოყალიბებულა ყველა ქრისტიანულ ქვეყანაში. მაგრამ საქმე ის არის, რომ ქრისტიანობა სრულიადაც არ

არის ერთგვაროვანი მოვლენა. მის მიმდინარეობებს შორის, გარდა უმნიშვნელო დოგმატური განსხვავებისა, არსებობს უფრო ფუნდამენტური ხასიათის სხვადასხვაობანიც. არა მგონია, მხოლოდ უმნიშვნელო დოგმატური განსხვავებით აიხსნებოდეს ის ურთიერთდაპირისპირება და ერთმანეთის მიუღებლობა, რომელიც არსებობს ქრისტიანული რელიგიის პროტესტანტულ, კათოლიკურსა და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის.

ალბათ უფრო ახლოს ვიქნებით ჭეშმარიტებასთან, თუკი ვიტყვით, რომ ასეთ რადიკალურ ურთიერთმიუღებლობას განაპირობებს არა რელიგიური (რელიგია ხომ ერთია სამივე შემთხვევაში!) მიზეზები, არამედ ისევ და ისევ ცივილიზაციური ტიპის განსხვავებანი, ვთქვათ, რომელი მათგანი უწყობს ხელს პიროვნების ინდივიდუალიზაციის მისწრაფებას და პირიქით, რომელი — კოლექტივში გათქვეფისაკენ მიდრეკილებას, რაც უდიდეს ზეგავლენას ახდენს მათი აღმსარებელი ხალხების ცხოვრებაზე.

ამ თვალსაზრისით (!) არა მგონია რაიმე პრინციპული განსხვავება იყოს მართლმადიდებლობასა და მუსლიმანობას შორის, რადგან ორივე რელიგია პიროვნების ნიველირების, მისი კოლექტივში გათქვეფისკენაა მიმართული.

როგორც კახა კაციტაძეც ამბობს სრულიად სამართლიანად — დასავლეთსა და არადასავლეთს შორის სადემარკაციო ხაზი ინდივიდისა და მოქალაქის ადგილის გაგებაზე გადის. ამიტომ, ვფიქრობ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ დღემდე დასავლურ ბანაკში არ შედის არც ერთი მუსლიმანური, არც ერთი მართლმადიდებლური ქვეყანა. მეტიც, დაბეჯითებით ამის თქმა ჭირს თვით კლასიკური კათოლიციზმის ქვეყნებზედაც კი. აშკარაა, რომ ის, რასაც დღეს დასავლურ ცივილიზაციაში, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სისტემასა და კულტურაში ვგულისხმობთ, რელიგიურად პროტესტანტული ქრისტიანობის ქვეყნების წიაღში შეიქმნა. როგორც ჩანს, სხვა ათას ნიუანსთან ერთად, თავისი განმსაზღვრელი როლი შეასრულა საერთოდ პროტესტანტიზმისათვის დამახასიათებელმა პიროვნების ინდივიდუალიზაციის მაღალმა კოეფიციენტმაც.

უნდა ვიფიქროთ, რომ შორეული აღმოსავლური ცივილიზაციებისათვის სხვა ასპექტებთან ერთად განმსაზღვრელი ფაქტორის როლი უნდა შეესრულებინა ისეთ რელიგიურ-მისტიკურ მოძღვრებას, როგორიც გახლავთ ძენ-ბუდიზმი. ალბათ აუცილებელი არ არის თავად იყო მისტიკოსი, რათა მიხვდე, რაოდენ არაკოლექტიურია ყოველი მისტიკური მოძღვრება.

სხვათა შორის, ბუდიზმი, რომელიც ინდოეთში ჩამოყალიბდა, მაგრამ სულ მალე უკვალოდ გაქრა იქიდან, ლაო-ძის მოძღვრებასთან სინთეზირების შედეგად, ჩინეთში ყალიბდება როგორც უაღრესად თავისებური ჩან-ბუდიზმი, იგივე ძენ-ბუდიზმი. მაგრამ მას კონფუციანური კოლექტიური ეთიკის ჩინეთზე რაიმე სერიოზული ზეგავლენა არ მოუხდენია. სამაგიეროდ, იგი უდიდეს ზეგავლენას ახდენს იაპონიაზე, რომლისთვისაც ძენ-ბუდიზმის მიღება ერთდროულად ცივილიზაციური არჩევანიც აღმოჩნდა.

თავისთავად მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ ძენ-ბუდიზმი მოკლე დროში საოცარი სისწრაფით გავრცელდა და დიდი პოპულარობა მოიპოვა დასავლურ საზოგადოებაში. იგივე შეიძლება ითქვას XX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში პროტესტანტული ქრისტიანობის არაჩვეულებრივ წარმატებაზე სამხრეთ კორეაში.

არა მგონია, ამგვარი მოვლენები შემთხვევით ხდებოდეს. მიუხედავად მთელი რიგი განსხვავებისა ძენ-ბუდისტურსა და პროტესტანტულ ცივილიზაციებს შორის, სიღრმისეულად, მათ შორის მაინც დიდი მსგავსება აღმოჩნდა. შესაბამისად, ამ ორი ცივილიზაციის ურთიერთშეხებამ ერთ-ერთის მსხვრევა კი არ გამოიწვია, რაც სხვა შემთხვევებში სისტემატურად ხდება, არამედ უმტკივნეულო ურთიერთმიღება და ურთიერთგამდიდრება.

* * *

საკმაოდ არასასიამოვნო დასკვნების მიღების მიუხედავად, რა თქმა უნდა, არც ისტორიას დააბრუნებს ვინმე უკან და არც ჩვენ შეგვიძლია, ვთქვათ, ირანივით „უკან დაბრუნება". გარდა იმისა, რომ ჩვენ ქვეყანას მართლაც არ შეუძლია დინების საწინააღმდეგო მიმართულებით ცურვა, კაცმა რომ თქვას, არც უკან დასაბრუნებელი გვაქვს. თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენთვის მართლმადიდებლობა არასოდეს ყოფილა იმ ძალისა და მასშტაბის ფენომენი, როგორიც, დღესაც კი, ისლამია ირანისათვის. იქნებ ეს უკეთესიც იყოს, რადგან ყოველგვარი „უკან დაბრუნებანი" ბოლოს მაინც ფიქცია აღმოჩნდება ხოლმე. ვის შეუძლია დროის შეჩერება?!

ერთი რამ კი ალბათ ახლავე ცხადია. მიუხედავად იმისა, რომ რაციონალური სიცხადით მართლაც ჯერჯერობით არავინ იცის, მაინც რას წარმოადგენს ქართული ცივილიზაცია და კულტურა, რადგან იგი არავის შეუსწავლია, ზოგადად მაინც აშკარაა მისი არადასავლური ხასიათი.

ამიტომ დასავლურ ცივილიზაციასთან ისეთი შეხება, როგორსაც დღევანდელი რეალობა გულისხმობს, შეუძლებელია ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი არ იყოს, რომლის დროსაც არც „უკან დაბრუნების" ქაოსური მცდელობანია გამორიცხული და არც სხვა მოულოდნელობანი. პროცესის ასეთი დაძაბული ხასიათის გაუქმება ალბათ მამაზეციერსაც არ შეუძლია, მაგრამ ბევრი რამის შერბილება, და ალბათ აჩქარებაც, შესაძლებელი გახდება, თუკი ბოლოს და ბოლოს ჩვენშიაც მოხერხდება თანამედროვე დასავლური მეთოდების დახმარებით ქართული ცივილიზაციისა და კულტურის რაობის დეტალური დაკონკრეტება. მანამდე კი ყველაფერი მაინც შუაღამისას, ოღროჩოღრო გზაზე უშუქო და გაუმართავი მანქანით სიარულს ჰგავს, როცა ნამდვილად ძნელი გასაგები ხდება, მძღოლის ფენომენური მოქნილობა გვიფარავს უფსკრულში გადაჩეხისაგან თუ ელემენტარული იღბალი, რომელიც არავინ იცის, როდის გვიღალატებს.

2000

აზმანი შარავანდედთანი

უკვე ექვსი თვეა, რაც ჩემი წიგნი გამოვიდა და ბიწიერებასა და ბოროტმოქმედებას სულაც არ მოღებია ბოლო; არც კი მსმენია, რომ თუნდაც ვინმეზე მოეხდინოს ის ზეგავლენა, რაც გამეზრახაო: გაოცებულია გულივერი, სვიფტის უკვდავი პერსონაჟი.

რა გულივერი, თვითონ ჯონათან სვიფტიო, აზუსტებს როსტომ ჩხეიძე.

რა თქმა უნდა.

რასაკვირველია, თვითონ სვიფტია გაოცებული.

გულივერის პირით თვითონ სვიფტი გადმოგვცემს თავის განცდას, ცივი გონებით თუ განსჯი, ცხადია, ნაივურს, მაგრამ მაინც კანონზომიერს. თან არა მარტო სვიფტისთვის, არამედ საერთოდ ყველა ავტორისთვის, დიდი იქნება იგი თუ მცირე. მეტიც, მე მგონი, ამ განცდის გარეშე, საერთოდ შეუძლებელია რაიმეს შექმნა.

მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, ზუსტად მაინც ვერ ვიტყვი, რა განცდით წერდა ზურა მესხი თავის „სპაზმებს", მაგრამ, სამაგიეროდ, კარგად ვიცი, მე რა განცდა დამეუფლა, პირველად რომ წავიკითხე ეს პატარა მოთხრობა.

თითქოს ავტორი მე ვიყავი, თითქოს მე ვწერდი ამ საშინელ ამბავს, რომელსაც მეორე დღესვე აუცილებლად რაღაც უნდა შეეცვალა.

ადამიანებს უნდა შერცხვენოდათ ასე პირთამდე ნაგავში ცხოვრება.

რადიკალური სულიერი გარდატეხა თუ არა, ნანილობრივი ზნეობრივი ფერისცვალება მაინც უნდა მომხდარიყო.

ერთი სიტყვით, სვიფტს თუ ეპატიება ასეთი ნაივური იდეალიზმი, მე – მით უმეტეს.

მაგრამ ეს მხოლოდ მედლის ერთი მხარეა.

მეორე მხარე უფრო რეალისტური იყო.

დარწმუნებული ვიყავი, ჩვენი საღათას ძილის, ჩვენი ილუზიების ფხიზელი გუშაგები, ადრე რომ ორაზროვნად „ერის მამებს" უწოდებდნენ, ახლა კი ცინიკურად „პროფესიონალ პატრიოტებად" მონათლეს,

აუცილებლად შეაჩვენებდნენ „სპაზმების“ ავტორს. ადგილობრივი მნიშვნელობის ჯვარცმას მოუწყობდნენ, ეს როგორ გვაკადრაო, ცილს გვწამებსო, ერის მტერიაო და ა.შ. და ა.შ. ვის არ ახსოვს ცენზურის ეს განსაკუთრებული სახეობა, ყველა ჩვენგანში რომ ჰქონდა და აქვს თავისი საფუძველი?

ეტყობა, მოთხრობის წინდახედულ ავტორსაც უფრო შეჩვენების იმედი ჰქონდა. ალბათ ამიტომაც ამოეფარა ფსევდონიმს, ზურა მესხის უცნობ სახელსა და გვარს.

მაგრამ ჩვენ შეცდომა დავუშვით. თქვენმა მონა-მორჩილმაც და ბატონმა ზურა მესხმაც.

ექვსი თვე კი არა, აგერ უკვე მეოთხე წელი იწურება მოთხრობის გამოქვეყნებიდან და საზოგადოების სულიერი გარდატეხა რა სათქმელია, ერის სულიერი მამობის სავარძელში მორჭმით აღსაყდრებულ ერთ ბრწყინვალე გვამსაც კი არ გამოუხატავს ჩვეული მრისხანება.

ამის ნაცვლად – სრული დუმილი.

თუ არ ჩავთვლით გაზეთ „ალტერნატივაში“ მოთხრობის დაბეჭდისთანავე „კავკასიურ სახლში“ საკმაოდ ოპერატიულად მოწყობილ განხილვასა თუ გარჩევას, რომელიც როგორც საერთოდ „განხილვების“ დასანან სუმბრულობას სჩვეია, მხოლოდ ფსევდონიმის გაშიფვრის ერთმანეთზე უფრო „გონებამახვილური“ თეორიების წამოყენებით შემოიფარგლა.

სხვა მხრივ – სრული დუმილი.

გასაოცარია ეს დუმილი, ღრმა და მრავლისმეტყველი.

არა მგონია, ეს მხოლოდ და მხოლოდ „დუმილით მკვლელობის“ ძველისძველი და კარგად აპრობირებული მეთოდის გამოვლინება იყოს, რომელშიაც ჩვენს ლიტერატურულ სივრცეს საერთოდ ბადალი არა ჰყავს მსოფლიოში.

ეს უფრო რაღაც მნიშვნელოვანი მოვლენის, რაღაც სერიოზული მეტამორფოზის სიმპტომს ჰგავს.

სხვაგვარად რა გააჩერებდათ ჩვენი თვითკმაყოფილებისა და სიამაყის, ჩვენი უნიკალური სიდიადის ადგილობრივ მგოსნებს? გული ვერ მოუთმენდათ, „დუმილით მკვლელობის“ პრინციპსაც დაივიწყებდნენ და მამაპაპურადაც ჩაქოლავდენ „სპაზმების“ გაბედულ ავტორს.

არ ჩაუქოლავთ.

კენჭიც კი არ უსვრიათ მისკენ.

არც ის მჯერა, რომ გული ძველებურად მხურვალედ აღარ უძგერთ, როგორც უძგერდათ და თვითრეფლექსიის გარდაუვალი აუცილებლობა გაიცნობიერეს.

არა.

რა თქმა უნდა, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

თვითრეფლექსიის მწარე აბები დღესაც ჭირის დღესავით ეჯავრებათ. არა მარტო ეჯავრებათ, მავნებლადაც მიაჩნიათ, როგორც ადრე მიაჩნდათ და, მიუხედავად ამისა, მაინც დუმან.

რაც გინდა წერე და იკითხე, არავითარი ეფექტი, არც დადებითი, არც უარყოფითი.

ანუ ჩვენმა ერთადერთმა მონაპოვარმა, სიტყვის თავისუფლებამაც კი დაკარგა თავისი აზრი და მნიშვნელობა და ჩვენს ხელში რაღაც გაუგებარ მოვლენად დეგრადირდა.

აი პრობლემა, რომელსაც გააზრება სჭირდება.

***

დღეს უკვე ყველაზე მძიმე გონების ადამიანისთვისაც კი ცხადი გახდა, რომ ძველებური თვითკმაყოფილი ცხოვრება, როცა „ჩვენი სიამაყითაც კი ვამაყობდით", სრულიად შეუძლებელია. ახალმა დროებამ ყოფიერების დონეზე, ანუ განსაკუთრებით სასტიკი წესით მოახდინა ძველი ფასეულობების გაუფასურება. ძველი ცხოვრების წესი, რომლითაც ამდენი ხანი ვცხოვრობდით, უვარგისი აღმოჩნდა. ის, რაც ასე ამაყად გვწამდა, ფიქციად იქცა.

ამიტომაა, რომ „სპაზმების" მთავარი გმირის დედა, ყოფილი ქართულის მასწავლებელი, ანუ ჩვენს კულტურაში ეროვნული ფასეულობების უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მებაირახტრე და ნორჩი სულების ჭეშმარიტი ინჟინერი „ახლა პორნო ჟურნალ-გაზეთებს ყიდის დეზერტირის ბაზრობაზე, რის გამოც რცხვენია და იტანჯება, რადგან „იდეას" და „სინდისს" ღალატობს. თავიდან წიგნებს აყიდვინებდნენ მაღაზიაში, იმ წიგნებს, რომლებსაც თვითონ უჭედავდა თავში ბავშვებს მთელი თხუთმეტი წელი, მაგრამ არც ერთი მისი საყვარელი მწერალი და ქართველი ერის სიამაყე არ იყიდებოდა. მისცეს პორნოგრაფიული პროდუქცია და დასვეს ბაზრობაზე, ახლა ავრცელებს „ორგაზმს", „სექსს და სისხლს", „მე-შენ-ჩვენს" (ანუ ჯგუფურ სექსს), „დიად აქტს", „პენისსა და ვაგინას".

და რაც ყველაზე ნიშანდობლივია ჩვენი კრიზისისათვის, „შვილებს" არ შეუძლიათ „მამების" ასეთ სულიერ გაკოტრებას, ასეთ კატასტროფას ისეთი პათეტიკური ცინიზმით არ უპასუხონ, როგორც ამას მოთხრობის გმირი აკეთებს.

„დავდექი ტაბურეტზე, ხელები გავიწოდე მისკენ და შევღაღადე:

ქართველო ქალო! დედავ ქართლისავ! ნუ იტანჯები!.. თამამად მიაწოდე შენს მშობელ ხალხს ის, რაც მას სწყურია! და იყავი ამაყი! ამის საფუძველი ახლა უფრო გაქვს, ვიდრე ადრე გქონდა, იმ შენს სკოლაში, რადგან ახლა არ იტყუები და არც სისულელეებს აფრქვევ და მართლა იტანჯები და ემსახურები მშობელი ხალხის გამოყვანას სექსუალური პალეოლითიდან. ო, დედავ ჩემო, ო! ო! ო!"

ხოლო მეზობელ უნივერსიტეტის დოცენტს, რომელიც ახლა პრეზერვატივების ვაჭრობით ირჩენს თავს და ამის გამო „შელახული ღირსების" გრძნობა აწუხებს, სკამზე შემდგარი ასე შეჰღაღადებს:

„ქართველო კაცო! მამავ ქართლისა! ნუ იგვემები. აღივსე თავმდაბლობით და ახალი ღირსებით: ადრე შენ ნორჩ სულებს თავში უტენიდი რაღაც იდეებს, „კლასთა ბრძოლას", „ნეპს" და „გოელროს" და იყავი ამაყი სრულიად უსაფუძვლოდ, ახლა კი არის უკვე გაერო, დემოკრატია, კაპიტალი და ქრისტიანობა და შენ ემსახურები ცივილიზაციას, ჰიგიენას და ადამიანობას, და გიხაროდეს, ო! ო! ო!"

ამ პათეტიკურ ცინიზმში ვინც მხოლოდ ბოროტ სიხარულს დაინახავს, ის საერთოდ ვერაფერს ხედავს.

კი ბატონო, მასში არის „მამების" „ბრიყვული ანუ ქართული მედიდურობის" სრული ფიასკოთი გამოწვეული ნიშნის მოგება, ახალი დროების სასტიკი დარტყმებით ერთიანად დამსკდარ-დახეთქილი ძველი ფასეულობების ნარჩენების ბოლომდე განადგურების ჟინი. მაგრამ არ არის და არც შეიძლება იყოს სიხარული, არც ბოროტი და არც სხვაგვარი.

ეს უდიდესი ტრაგედიაა, ჩვენებური კრიზისის სპეციფიკაა, ანუ ისეთი ვითარება, როცა ბოლოს და ბოლოს რაღაც ხდება, როცა ყინული დაიძრა, საუკუნოვანი თვითდამშვიდების, ცრუწარმოდგენების, ფუყე სიამაყისა და სრული სტაგნაციის ყინული.

ამგვარი რამ ჩვენში ძალიან ძნელად ხდება.

და როცა ხდება, ცხადია, სრული ქაოსისა და დრამატიზმის გარეშე ვერ ჩაივლის.

მაგრამ „შვილების" ასეთ პოსტმოდერნისტულ განცდაში „ძველი ნაგვის" გადაყრის გარდა ახალი ფასეულობების დაფუძნების სურვილიც იგულისხმება.

ჯერჯერობით მხოლოდ იგულისხმება, რადგან გამოკვეთილად არა ჩანს და მანამდე არც გამოჩნდება, სანამ ნგრევის ჟინი არ მოიჭამს თავისას, სანამ მთლიანად არ გაიწმინდება ჩვენი შიგა სივრცე ნაგვისაგან.

***

ასეთ ვითარებაში რაღა დარჩენიათ მრისხანე შეძახილებს მიჩვეულ „მამებს“ დუმილის გარდა?

დუმან, ოღონდ არა სინდისის ქენჯნის გამო.

მათ მიერ ასე ნაქებ-ნადიდებმა ხუხულამ რომ გამოცდას ვერ გაუძლო და თავზე დაგვემხო, ამის გამო რეალურად შეწუხებული კაცი ჯერ თვალით არ მინახავს. პასუხისმგებლობას ვილა აიღებს თავის თავზე?

ამის ნაცვლად ისევ ძველი, შეჩვეული სიმღერა ვამჯობინეთ, ოღონდ ერთი განსხვავებით: ადრე თუ მთელი ქვეყანა ერთ გუნდად ვმღეროდით, რადგან პარტიაც ერთი იყო, ხელისუფლებაც და სამშობლოც, ახლა ეს ერთი გუნდი იმდენად დაიშალა, რამდენი პარტიაც (კლანიც) შეიქმნა.

ცხადია, ყველაზე მომგებიანი მმართველ პარტიაში ყოფნაა, მაგრამ ის დრო წავიდა, როცა ერთი ყველას და ყველაფერს იტევდა. ახლა სხვა პარტიებიც (კლანებიც) უნდა არსებობდნენ და მათაც შეუძლიათ თავიანთი წევრების უზრუნველყოფა.

ანუ ახლა იმდენი სამშობლო არსებობს, რამდენი პარტიაცაა.

და ეს არის ქართული დემოკრატიის არსი.

ფაქტობრივად, ბევრი არაფერი შეცვლილა, მხოლოდ ეგ არის ერთის ნაცვლად ახლა ბევრი პარტიაა (კლანია). და სამშობლოც ახლა ერთის კი არა, ბევრი პარტიის (კლანის) ინტერესების პრიზმაში არეკლილი მოვლენაა.

ადრე ერთი პარტიის სამსახური, იმავე სამშობლოს სამსახურად განიცდებოდა. ხოლო სამშობლო იგივე თვითგანხორციელების შესაძლებლობა, ადამიანური ცხოვრების შანსი, ელემენტარული კეთილდღეობის, სტაბილურობის, სიმშვიდის, ღირსების დაცვის გარანტიაა.

დღეს ადამიანთა უმრავლესობა სამშობლოს დედად კი არ განიცდის, არამედ დედინაცვლად, რომელსაც უნდა გაექცე, თავი გაარიდო.

თითქოს პირიქით უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ჩვენ სხვაგვარად არ შეგვიძლია.

სამშობლო ერთი მაშინ იყო, როცა პარტიაც (კლანიც) ერთი იყო და ავად თუ კარგად ყველაზე ზრუნავდა, პატრონის განცდას ქმნიდა.

ახლა ყველა პარტია (კლანი) მხოლოდ თავის წილ სამშობლოზე, იმავე მხოლოდ თავის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

ერთიანი სამშობლო კომუნისტურ პარტიასავით გაქრა. გაქრა პატრონის განცდაც. პარტიების (კლანების) რეალური ინტერესების მილმა აღმოჩენილი ქართველი ერი ახლა თავს უპატრონო ცხვრის ფარად აღიქვამს, რომელსაც მხოლოდ არჩევნებზე პარსავენ.

არც ის არის გასაკვირი, რომ ერთიანი სამშობლოს განცდა თვით ხელისუფლებასაც კი არა აქვს, რადგან თვითონაც ერთ-ერთი პარტიაა (კლანია) და თავისი ინტერესების (იმავე კეთილდღეობის) დასაცავად გამართულ გააფთრებულ ბრძოლებში ჩაბმულს, ამისთვის აღარც უნარი ჰყოფნის და აღარც სურვილი.

***

მაშ, ვიღა უნდა ააღელვოს „სპაზმებმა"?

ეს მოთხრობა იმ ქვეყნის დაცემისა და განადგურების საშინელ სურათს ხატავს, რომელიც აღარავის სამშობლო აღარ არის, რადგან მთლიანად მასზე აღარავინ აგებს პასუხს.

დღეს ცნება „საქართველო", თუკი რომელიმე პარტიის (კლანის) კონტექსტში არ არის ნახსენები, წმინდა წყლის აბსტრაქციაა. აბსტრაქციებზე კი არავინ ნერვიულობს.

მოკლედ, „სპაზმების" ავტორს შეეძლო საკუთარი ვარიც თამამად მოეწერა თავისი ქმნილებისათვის, რადგან მას ასეთი დიდი ტკივილით არავისი სამშობლო არ დაუხატავს.

საუბედუროდ, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი კანონზომიერი პროცესია.

მაგრამ ასევე კანონზომიერი ჩანს ისიც, რომ დღევანდელ ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებას არაფრით არ შეუძლია ასეთ პათოლოგიურ ვითარებას, მოთხრობის გმირის თქმით – ასეთ აჯაფსანდალს, ისეთი ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი არ მიუძღვნას, როგორიც „სპაზმებია".

2002

იყო ერთი ლეო... და ნატატიკი

ალბათ გსმენიათ, ბალზაკს მუშაობისას ყოველთვის ცხვირწინ სდებია ნაპოლეონის ბიუსტი, რომელზეც კალმით ასეთი არათავმდაბლური აზრი ჰქონდა მიწერილი: ის, რაც შენ მოიმოქმედე მახვილით, მე გავაკეთებ კალმით. ძნელი სათქმელია, უდევს თუ არა დიანა ვაჩნაძეს მაგიდაზე დავით აღმაშენებლის ან თამარ მეფის (ანდა ორივესი ერთად) ბიუსტები, მაგრამ მისი მხატვრული ტექსტი „ნატა ანუ ახალი ფიული" მაფიქრებინებს, რომ მას სერიოზულად განუზრახავს, რადაც უნდა დაუჯდეს, იგივე გააკეთოს კალმით, რაც ჩვენმა სახელიანმა მეფეებმა მახვილით მოიმოქმედეს.

თავქარიანი ადამიანის გარდა, ვინ შეიძლება პატივმოყვარეობის წინააღმდეგი იყოს? არც მე გახლავართ, რადგან ძალიან კარგად მესმის, რომ თუ არა ეს უცნაური განცდა, ამოდენა ტექსტს კი არა, ერთ გვერდსაც არავინ დაწერდა. მეტიც, ძვირფასნო: საერთოდ დასაწერიც აღარაფერი იქნებოდა. შესაბამისად, აღარც ათასხუთასწლიანი მთლიანობა გვექნებოდა და აღარც თვალებში შესაყრელი ნაცარი. რაღა უნდა ითქვას ამდენ ფუსფუსზე, გაუგებრობებსა და სისასტიკეზე? ერთი სიტყვით, რომ არა პატივმოყვარეობა, ცხოვრება ძალზე მოსაწყენი რამ იქნებოდა.

დიახ, ყველანი სახელის მოსახვეჭად ვფუსფუსებთ, რაშიაც შემოქმედებითი ნიჭებით ატანილ ადამიანებს, ცხადია, ვერავინ შეგვედრება. თუმცა ეს ამბავი სამყაროსავით ძველია და ამიტომ საკმაოდ მოსაწყენიც. მაგრამ, მადლობა ღმერთს, ალაგ-ალაგ ისეთი ტალანტებიც გაიელვებენ ხოლმე, რომელთა განწირული სულისკვეთება ვერ ეგუება ჩვეულებრივი ლიტერატურული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ წვრილმან ვნებათა მოსაბეზრებელ დუღილს და გაბედულად შეაგდებენ ხოლმე სასწორზე ყველაფერს, რაც გააჩნიათ. ან ყველაფერი, ან არაფერი — აი, მათი დევიზი. ეს ის ხალხია, რომელთაც ყოველთვის რაღაც გასაშტერებლად ახალი მოაქვთ თან და, როგორც წესი, მოაქვთ არა, ვთქვათ, სპარსეთიდან ან არაბეთიდან, არამედ მაინცდამაინც დასავლეთიდან.

სწორედ დასავლეთიდან დაძრული ასეთი სიო პირველად ამ საუკუნის დასაწყისში შემოეპარა ჩვენს ათასხუთასწლოვან მთლიანობას. შემოეპარა და ვინ იცის, როგორ იქნებოდა საქმე, მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა — კვლავ განვითარების მაგისტრალურ ლიანდაგს დავუბრუნდით, ანუ მერე სწორედ ამ „ავანგარდისტებმა" შექმნეს ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური ლიტერატურა, რომლითაც დღეს სამართლიანად ვამაყობთ. მაგრამ ამ სოფელს განა გაუხარებია ხანგრძლივ ვინმე? ამჯერადაც აკი ასე მოხდა. აგერ ჩვენ თვალწინ, დღისით-მზისით კვლავ დაიძრა სიო დასავლეთიდან, რომელიც, როგორც ყველა სიო ამ ქვეყანაზე, გრიგალად გადაქცევაზე ოცნებობს. მაგრამ ასეთი რამ რომც მოხდეს და ყველაფერიც რომ დაცალეწოს, როგორც ამგვარი მოვლენების ჩვენებური ექსპერტებისგან მსმენია, მას მაინც არ ექნება ადგილი ათასხუთასწლოვან მთლიანობაში. თუმცა ეს მათი პროგნოზია და სულაც არ არის აუცილებელი სიტყვასიტყვით ასრულდეს.

ასეა თუ ისე, ზემოთ უკვე ნახსენები მხატვრული ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ დიანა ვაჩნაძე ამ სიოს შემოქმედთა შორის ერთ-ერთი უპირველესი გახდა. მას აქვს ყველაფერი, რაც სასურველია, რომ ასეთ გამორჩეულ ადგილზე მდგარ ადამიანს ჰქონდეს — ახალგაზრდობა, განწირული სულისკვეთება, კეთილხმოვანი სახელი და გვარი, აქედან გამომდინარე, ალბათ, მშვენიერი გარეგნობაც და, რაც მთავარია — გამბედაობა. იგი საუკეთესოდ ფლობს ეპატაჟის ხელოვნებას, რაც ამისათვის საჭირო თემატიკის შერჩევითაც გამოიხატა. სექსი — აი, ქვაკუთხედი, რომელზედაც დღეს ჩვენში ბევრი რამ და ბევრი ვინმე ილეწება. მაგრამ სექსიც არის და სექსიც. ესთეტიზებულ სექსს, რომლის არაერთ ოსტატს ვიცნობთ, შეუძლია თვით ჩვენებური საზოგადოებრივი მორალის სადარაჯოზე მდგარ უმკაცრეს მატრონებსაც კი აუჩქროლოს გული. მაგრამ დიანა ვაჩნაძის სექსი, უნდა ვიფიქროთ, გამომდინარე ეპატაჟის ინტერესებიდან, ასეთი არ გახლავთ. მისთვის დამახასიათებელია ცოტაოდენი გენიტალიური გადახრა, რაც ძირითადად გამოიხატება სასქესო ორგანოების სახელწოდებების სისტემატური ვერბალიზაციით. ამ პრინციპითაა შერჩეული პერსონაჟთა გვარებიც კი. მაგალითად, ნატა-ნატატიკის გვარია ტ(რ)აკიძე, ხოლო ლეოსი — (ყ)ლიფონავა.

სკანდალის მოხდენა ყველას სად შეუძლია, მით უმეტეს, დღეს, როცა მკითხველთა არმია თვალსა და ხელს შუა გამოგვეცალა ხელიდან. ახლა საჭიროა, რაიმე მართლაც რომ მძაფრად პილპილნარევი, თანაც ტექსტის დასაწყისშივე, რითაც თავიდანვე სწვდებით მკითხველს (თუ,

რა თქმა უნდა, ამისთანა გამოჩნდა ვინმე) ყურში და აღარც გაუშვებთ. ეს პრინციპი შესანიშნავად აქვს გაცნობიერებული დიანა ვაჩნაძეს. მისი ნაწარმოები ასე იწყება: თანამედროვე სოდომ-გომორისაკენ გაფრენილი ნატატიკი ძალზე მწვავედ განიცდის თავის ლეოსთან განშორებას. „წარმოიდგინე, სწერს იგი თავის მეგობარს, სულ რაღაც რამდენიმე საათის უნინ შენი ასო ჩემს სარცხვინელში იდო. ისინი ისე მჭიდროდ მიჰბჯენოდნენ ერთურთს, როგორც არც ერთი სხვა 2 საგანი დედამიწაზე. ისინი ერთმანეთისთვის და ერთმანეთში ფეთქავდნენ, ჟონავდნენ, მყოფობდნენ და თითქოს ეს იყო ურყევი კანონზომიერება: შენი ასო ჩემს სარცხვინელში, ჩემი სარცხვინელი შენს ასოზე! ახლა შენი ასო მიწაზეა, ჩემი სარცხვინელი კი სადღაც ჰაერში. ნახევარ საათში იგი დაეშვება მიწაზე, მაგრამ შენი ასოსაგან ათასობით ვერსის დაშორებით! და რა მოხდება მერე, წარმოდგენა არა მაქვს".

მართლაც ყოველთვის ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდება მერე. სამაგიეროდ, ყოველთვის ცნობილია, რა ხდებოდა მანამდე. ამჯერადაც ასეა. საქმე ის არის, რომ სექსზე დადებული ქართული ტაბუ ასეთი გენიტალური უშუალობით დიანას თანამოსაგრეებსაც დაურღვევიათ და არაერთხელაც, მაგრამ მკითხველის ცნობიერებაში ადგილის შოვნისთვის გამართულ ასეთ თავდადებულ სრბოლაში დიანა ვაჩნაძეს აქვს ერთი დიდი უპირატესობა, რაზედაც, როგორც ჩანს, მის მეგობრებს აქამდე არ უფიქრიათ. იგი ქალია.

ეს რაღა შუაშია, იფიქრებს რომელიმე გულუბრყვილო მკითხველი, თუღა დარჩა ვინმე ამისთანა, დარწმუნებული, რომ კარგი საბუთი ნახა ჩემს წინააღმდეგ. განა ეს რა ისეთი საკვირველი ამბავიაო...

ჩემო ძვირფასო, გულუბრყვილო მკითხველო, საკვირველი ისაა, როგორ ზუსტადაა ყველაფერი გათვლილი. წარმოიდგინე ფეოდალური ცნობიერების ქვეყანა მთელი თავისი ატრიბუტიკით. თავისი კოლექტივიზმით, კლანებით, ილუზიებით, მითებით, ნარცისიზმით, ქარიზმატული ბელადის მწვავე მოლოდინით, ქალის კულტით და ასეთი რეალიებით პირთამდე სავსე სივრცეში უცებ ეს დაუდგრომელი ნატატიკი, რომელსაც თავში ასეთი გენიტალიური აზრები მოსდის: „გახსოვს, ფურცელზე რომ დაგიწერე და წაგაკითხე: ლეო, იცი კაცის ის (!) ქალის ფუჩუნების სოსკაა-მეთქი! გახსოვს?"

ლეოს შინაგანი თავისუფლება და უკომპლექსობა რომ ვიცი (თუმცა არ ვიცი, საიდან ჩნდებიან ჩვენში ასეთი კოსმიური თავისუფლების ადამიანები!), ასეთი წვრილმანები სად დაამახსოვრდება! სამაგიეროდ, აღარასოდეს დაავიწყდება მკითხველს და, სხვათა შორის, არა მარტო

ნატატიკის ცელქობანი, არამედ, და, რაც მთავარია, მათი შემთხზველი მანდილოსნის სახელი და გვარი. ჭეშმარიტად, ეს ის შემთხვევაა, როცა კალმით დაწერილს ნაჯახითაც ვეღარ ამოჩეხ.

აკი მიზანიც ეს იყო — ან ყველაფერი, ან არაფერი. სხვა რამ მოტივი, რითაც აიხსნებოდა, რითაც დასაბუთდებოდა ასეთი „გენიტალიზმების" შეთხზვის აუცილებლობა, ნაწარმოებში არ არსებობს. მიზანია მკითხველის ცნობიერებაში დამკვიდრება. საამისოდ კი სკანდალი უმოკლესი გზაა.

მაგრამ მთელ ამ ბაკქანალიაში ყველაზე ნიშანდობლივი მაინც ის არის, რომ, როგორც ჩანს, ჩვენ განწირული ვართ სამუდამოდ იმ მდგომარეობაში ვიყოთ დასავლურ ცივილიზაციასთან დამოკიდებულებაში, როგორშიაც იმყოფება დედაქალაქში ჩასული რომელიმე პროვინციელი. მას არ შეუძლია არ შეამჩნიოს საკუთარი შეზღუდულობა, საკუთარი მანერების სიტლანქე და შესაბამისად, არ იზრუნოს თავისი თავის გარდაქმნაზე. მაგრამ, როგორც წესი, ამგვარი მეტამორფოზის მცდელობა ხდება არა საკუთარი ბუნების სიღრმისეული განვითარებით, არამედ ზედაპირულად, ყველაზე მოდური ფრაზების დამახსოვრებითა და ასევე მოდური მანერების გარედან მიტყეპებით. ღმერთებსა ვფიცავ, ამ გზით ჯერ არც ერთი პროვინციელი არ გარდაქმნილა ქალაქელ დარდიმანდად.

დასავლურმა ცივილიზაციამ ტაბუახსნილი სექსი არც ვინმესგან ისესხა და არც ზეციდან მიიღო საჩუქრად. უნდოდა მას ეს თუ არა, ამას თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა და არა აქვს. არც ერთ ცივილიზაციას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს მიიღოს თუ უარყოს ასეთი სიღრმისა და მასშტაბის ფენომენები. გათავისუფლებული სექსი ის გარდაუვალი ეტაპი აღმოჩნდა, სადამდეც დასავლეთი მისი განვითარების ღრმა შინაგანმა კანონზომიერებებმა მიიყვანა. აპლოდისმენტებითა და წივილ-კივილით არც იქ მიუღიათ არაფერი, მით უმეტეს, რომ სიახლის მიღება ყველგან და ყოველთვის ჭირს, განსაკუთრებით ასეთი ხასიათისა. მაგრამ თუკი ეს სიახლე განვითარების შინაგანი კანონზომიერების რკინისებური კანონებიდან იბადება, წინააღმდეგობა უსარგებლო საქმეა.

აკი ერთი სოდომ-გომორელის თქმისა არ იყოს, ხიდიც მაშინ უნდა გადალახო, როცა მიადგები.

რეალურ თავისუფლებაზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ იწყება, როცა გადაილახება არქაული ცნობიერების უკანასკნელი და ყველაზე სიცოცხლისუნარიანი ფორმა — ფეოდალური ცნობიერება (თუმცა მართლა

ასე კარგია ეს თუ არა, ეშმაკზე უკეთესად ვინ შეიძლება იცოდეს?). ეს კი, ძალიან უცნაური ჩანს, მაგრამ, პირველ რიგში, მაინც გულისხმობს ღმერთის ტრადიციული იდეის უარყოფას, ანუ უპირველეს ფასეულობად ადამიანის, როგორც ასეთის, აღიარებას. ასეთ შემთხვევაში, სადღა რჩება იდეალიზმის ადგილი? თუკი ადამიანს იღებ, ისეთი უნდა მიიღო, როგორიც სინამდვილეშია, ყველა თავისი ღირსებითა და ნაკლით. ყოველგვარი სხვანაირი მიღება არასაკმარისია, ილუზიაა, სიცრუეა. ყველაზე ძნელიც ეს არის, თორემ თუკი ეს სიძნელე დაიძლია, სოციალური თავისუფლების მოპოვება მხოლოდ დროის საქმეღა ხდება. მაგრამ სულიერ და სოციალურ გათავისულებას ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად მოჰყვება ე. წ. ფიზიო-ბიოლოგიური თავისუფლება. ადამიანის სხეული მისთვის დამახასიათებელი ყველა ფიზიოლოგიური თუ ბიოლოგიური თავისებურებებით ყოველგვარი ტაბუებისგან თავისუფლდება. ანუ ის, რაც ადრე მხოლოდ იგულისხმებოდა, მასზე ყურადღების გამახვილება კი მიუტევებელ უზრდელობად ითვლებოდა, ხოლო მისი კულტურის რეფლექსიის ობიექტად გახდომა ხომ გამორიცხული იყო, ახლა სრულიად ფარდაახდილია.

ყველაზე ნიშანდობლივი და ბუნებრივიც კი ის არის, რომ აღმოსავლური (არქაული) ცნობიერების ადამიანი დასავლური კულტურის ამ ძალზე მნიშვნელოვან ფენომენს უაღრესად მტკივნეულად აღიქვამს. მისთვის ეს არის აღვირახსნილობა, გარყვნილება, უხამსობა, ღვთის გმობა, აპოკალიფსის მოახლოების უტყუარი ნიშანი და ა. შ. მაგრამ არავითარ შემთხვევაში ერთი კონკრეტული ცივილიზაციის განვითარების აბსოლუტურად ბუნებრივი შედეგი.

ჩვენ ყველანი მეტ-ნაკლებად აღმოსავლელი ადამიანები ვართ, თვით ყველაზე უგზო-უკვლოდ განვითარებულ-განათლებულებიც კი. ნატატიკის „გენიტალიზმები" მხოლოდ მათი ავტორის გამძაფრებულ პატივმოყვარეობასა და გაბედულებას ადასტურებენ. ეს არის და ეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ასეთ ცელქობებს სკანდალის მოხდენის გარდა აუცილებლად უნდა ჰქონოდა რაიმე საფუძველი, რაიმე გამართლება — გნებავთ, მხატვრული, ესთეტიკური ან თუნდაც სამედიცინო.

მაგრამ ჩვენ ჩვენი ბედკრული სამშობლოს უბედური შვილები ვართ მხოლოდ და დღემდე გვჯერა, რომ სულ მალე ქალაქელი დარდიმანდები გავხდებით.

მაგრამ რა ვქნათ?

ისინი ხვალ თუ ზეგ ჰომოსექსუალისტთა უფლებებს აღიარებენ, ჩვენში კი ეს პათოლოგიურ ზიზღს იწვევს;

მათ სასურველად და შეიძლება აუცილებლადაც მიაჩნიათ ცოლის მშობიარობას ქმარიც ესწრებოდეს, ჩვენ კი ამის გაფიქრებაც კი გვაძრწუნებს, ხოლო ზოგიერთ პროვინციაში დღემდე არსებული ჩვეულება, საკუთარ ცოლ-შვილზე საუბრის დაწყებამდე ბოდიშის მოხდისა (!) სიამაყით გვავსებს;

მათ რომელიმე ნამდვილად ღრმა ფილმში ერთ მშვენიერ დღეს ვინმე მზეთუნახავმა ქალბატონმა შეიძლება კუჭში გასვლაც კი დააპიროს, რაზედაც ჩვენ, მიღებული ესთეტიკური შოკისაგან ალბათ ტელეეკრანის წინვე მოგვიწევს ინფარქტთან გამკლავება. და იცით რატომ მოხდება ასე? ცხადია, იმიტომ არა, რომ ჩვენ ასეთი მორალური ხალხი ვართ, ისინი კი უსირცხვილო გარყვნილები. არა, რა თქმა უნდა, და საერთოდ, აქ მორალი არაფერ შუაშია. ასე თუნდაც იმიტომ მოხდება, რომ ჩვენში დღემდე ასე აღმერთებენ საყვარელ ქალბატონებს:

რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები!
მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი,
ხელუხლებელი — როგორც მზის სხივი,
მიუნვდომელი — როგორც ედემი.

მე შემიძლია დავეთანხმო ყველა ჩვენებურ „გენიტალისტს", მათ შორის ლეოსა და თვით ნატატიკსაც კი, რომ ხორციელ ქალთან ასეთი დამოკიდებულება ცოტა არ იყოს სასაცილო და მავნებელიც კია, რომ ასე მაშინ უმღეროდნენ მანდილოსნებს, როცა გადაადგილების ერთადერთი საშუალება ცხენი იყო, და, რომ მაშინაც კი არსებობდა დაუდგრომელ ქალბატონთა დასაოკებელი ე. წ. „უმანკოების ქამრები", რომელიც ბოქლომით იკეტებოდა და ჰოი, გულუბრყვილობავ, ვთქვათ, მეზობელ ქალაქში საქმეებზე გამგზავრებული ქმარი გასაღებს მღვდელს აბარებდა, რომელსაც ცელიბატის აღთქმა ჰქონდა დადებული. ეს ყველაფერი ვიცით, ვიცით. ღმერთო ჩემო, ისიც კი ვიცით, რომ ხორციელ ქალს, რაც უნდა ნაზი და ჰაეროვანი იყოს იგი, მაინც აუცილებლად უნდა ჰქონდეს ვაგინა და ანუსი (ეს ლეოს ტერმინოლოგიაა, ნატატიკი უფრო ძველი ქართულისკენ იხრება) შესაბამისი ფუნქციებით, მაგრამ არა გვშველის ეს ცოდნა. არა გვშველის, რადგან ასეთი იდეალისტები ვართ; რადგან სისტემატურად ვთამაშობთ იქ, სადაც თამაში პოზიორობასა და სიყალბეს აფუძნებს, და მამლაყინწებივით სერიოზულები ვართ იქ, სადაც უნდა გვეთამაშა; რადგან დედები, დები, ცოლები და ქალიშვილები გვყავს და თავს უფლებას არ ვაძლევთ თანამიმდევრულნი ვიყ-

ოთ; რადგან ჩვენში ყველაზე დიდ შეურაცხყოფად დედის გინება ითვლება; რადგან ჩვენში დღემდე სიძეს, თითქოს ნახევრად ხუმრობით, ყველაზე მურტალ ნათესავს უწოდებენ; რადგან დღემდე ათას ერთ ილუზიაში ვცხოვრობთ და ა. შ. და ა. შ.

ეგრეა!

აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძს.

და მაინც, მიუხედავად ყველაფრისა, გამორიცხული არც ის არის, რომ დიანა ვაჩნაძის ასეთმა თავგამეტებულმა მცდელობამაც კი უშედეგოდ ჩაიაროს, რადგან დღეს ჩვენში მართლა აღარავინ აღარაფერს კითხულობს. სიტყვის თავისუფლებამ, მისთვის დამახასიათებელი პოზიციებისა და შეხედულებების ჩვენთვის სრულიად წარმოუდგენელი და მიუღებელი სიჭრელით, უკიდურესად გააღიზიანა და დააბნია ჩვენი აქამდე ყოველთვის მშვენივრად მართვადი მკითხველი. შედეგი — უჩვეულო გატაცება ჭორიკანა გაზეთებით. ალბათ ესეც არის მიზეზი იმისა, რომ აქამდე არავის შეუძახია ჩვენი ავტორისათვის პატრიოტული მგზნებარებით: ვაშინერს, დიანა, ვაშინერს!

არც მე შევუძახებ.

ეტყობა, ყველაფერი მაინც ისე მოხდება, როგორც უნდა მომხდარიყო.

1999

მკითხველი ბჭობდა, მნერალი იცინოდა, ანუ ანტირომანი

რა ვქნა, ზაზა ბურჭულაძის „მინერალური ჯაზის“ წაკითხვისთანავე ერთი ეჭვი ამეკვიატა: არა მგონია, უმანკო მკითხველს საკმარისი ყურადღება მიექცია იმ უწვრილესი შრიფტით აწყობილი სიტყვისთვის, რომელიც ტექსტს ტიტულზევე უზის და გვაუწყებს, რომ ხელთ გვიპყრია არა რომანი, არამედ ანტირომანი. თუმცა, გამოგიტყდებით და, იქვე იმედიც მიჩნდება, რომ ჩვენს ძვირფას მკითხველს გოგი გვახარიას პატარა, ოღონდ მშვენიერი შესავალი ესეი მაინც გაამახვილებინებს ყურადღებას ამ პაწია, მაგრამ მნიშვნელოვან დეტალზე. ხოლო ვინიცობაა, კიდევ დარჩა ისეთი ჯიუტი მკითხველი, რომელმაც ყურადღების ღირსად მაინც არ ჩათვალა ეს ნიუანსი, თქვენს ფეხთა მტვერს სადღა წაუვა, ვინაიდან, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყოდა ხოლმე ერთი დიდად სახელგანთქმული მაშრიყელი ბრძენი, ვინც „მინერალური ჯაზი“ წაიკითხა და მსუბუქად შოკირებულმა ზედ გოგი გვახარიას ესეიც რამდენჯერმე დააყოლა, იმას გული თქვენი მონამორჩილის უხეირო წერილისკენაც გამოუწევს.

რატომ?

რატომ და ხსენებულ დიდად საქებარ ქმნილებებში წარმოდგენილ საგანთა ბუნების გამო. მოკლედ, არ იფიქროთ სათაურს ქვეშ მინერილი ეს ძლივს შესამჩნევი სიტყვა რაიმე უმნიშვნელო დეტალი ან ისეთივე თავშესაქცევი ტრიუკი იყოს, როგორნიც ფრიად და ფრიად უხვად გვხვდება თავად ტექსტში. ცდების და ცდების ის უმანკო მკითხველი, ვინც ასე ფიქრობს, რამეთუ ტექსტი სხვაა, ძვირფასნო, და ქვესათაური კიდევ — სულ სხვა.

„მინერალური ჯაზი“ ანტირომანია, ანუ ჩვენთვის სრულიად უჩვეულო რამ, რომელიც არა მარტო სხვაგვარად იწერება, არამედ სხვაგვარად იკითხება კიდეც. მაშ, თუკი დღევანელი გარემოებების წყალობით ჩვენი ათასხუთასწლოვანი მთლიანობის რომანტიკულმა სულმა თავი მოგაბეზრათ და ახლა გინდათ, ცოტა რამ პილპილმოყრილსა და უჩვეულოს გაუსინჯოთ გემო, „მინერალური ჯაზი“ უნდა

გადაშალოთ. ოღონდ, რაღაი მოქმედება ჩვენს სახელოვან ცირკში იწყება, არ გეგონოთ „პილპილმოყრილსა და უჩვეულოში“ საცირკო ტრიუკებს ვგულისხმობდე. ისე, ალბათ, არც ეს იქნებოდა ცუდი, მაგრამ ჩვენმა მწერალმა, როგორც ეს შეუბრალებელსა და თვითრჯულ კაცს შეეფერება, ბებერ მეფოკუსე გრაფ პიერ ორლოვს, ზედ ჩვენ თვალწინ, თავისი ანტირომანის პირველივე გვერდზე ამოართვა სული. თანაც მაშინ, საგრიმიოროში, სარკის წინ, არენაზე გამოსასვლელად რომ ემზადებოდა. ასე ავცდით საცირკო ტრიუკებს, მაგრამ, სამაგიეროდ, სწორედ აქედანვე იწყება სალიტერატურო ფოკუსები. ზოგს იქნებ პირველი ერჩია, მით უმეტეს, ათასგვარ მამაძაღლობაში ჭიპმოჭრილი სახელგანთქმული გრაფის მიერ ჩატარებული, მაგრამ გამოგიტყდებით და, თქვენს მონა-მორჩილს, მეორე უფრო მეხალისება, ის ბევრს არაფერს ნიშნავს, რომ ჩვენი მეკალმე საკმაოდ ახალგაზრდა ბრძანდება და თავდაუზოგავად იღვწის სახელ-დიდების მოსახვეჭად. გნებავთ, სანაძლეოსაც ჩამოვალ და გნებავთ, პირმშვენიერ ბანოვანთა უნაზეს გრძნობებზედაც დავიფიცებ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს კაცი მართლაც მოიხვეჭს უკეთესს ყოველსა მოსახვეჭელზე. ამაში თქვენც დარწმუნდებით, თუკი ნახავთ, როგორ ვირტუოზულად ქმნის იგი იმას, რასაც მერმე ანტირომანს დაარქმევს და, ღმერთმანი, არცთუ ტყუილად.

მთელი ტექსტი ერთი დიდი ტრიუკია, ოღონდ არა იაფფასიანი, არამედ ნაღდი სალიტერატურო ტრიუკი, რომელიც, თავის მხრივ, უფრო მომცრო ტრიუკების მთელი კასკადისაგან შედგება, ზოგს რომ შოკში ჩააგდებს, ზოგს გაამხიარულებს და ზოგსაც მშვენიერ საბაბს მისცემს ფიქრთგასართველად. ყველაზე თავშესაქცევი მაინც იმ მკითხველის მდგომარეობა მგონია, ვინც თავს უფლება მისცა, არად ჩაეგდო სათაურს ქვეშ დასმული ძლივს შესამჩნევი მინიშნება და ანტირომანის კითხვა რომანის ეშხით დაიწყო, ახალი თავდავიწყებისა და ახალი თავგადასავლების საძებნელად. და მიუხედავად იმისა, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ იპოვა და კარგა ძლიერი შოკიც მიიღო, რაღაც ძალამ მაინც ბოლომდე ჩააკითხა ტექსტი.

გასაოცარი ამბავია.

თავგადასავლების ნაცვლად დასაწყისშივე გაწყვეტილი ამბები, ანუ „სასპენსი“ — მოქმედების გაწყვეტა კულმინაციურ სცენაში და მკითხველის მოლოდინზე თამაში, — გვეშველება გოგი გვახარია. ხელშესახებად მონოლითური პერსონაჟების ნაცვლად, ამორფული, თითქმის პლასტელინის ფიგურები, რომელთაც მეკალმე ზედ ჩვენ თვალწინ ხელდახელ უცვლის ასაკს, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ხასიათის თვი-

სებებს, სახელებს და თვით სქესსაც კი. ხანგრძლივი განსჯის საგნად იქცევა ტექსტის სათაურიც — „მინერალური ჯაზი“ თუ „შემოქმედებითი კლიმაქსი“?

არა, აქ ნამდვილად არა ქრის ჩვენი იგავმიუწვდომელი დიდოსტატის პათეტიურად რომანტიული სული, ვის ქმნილებებშიაც ამოდ დაჰგოგავენ მხოლოდშობილნი ასულნი, ხოლო მათზე და მამულზე გამიჯნურებული თოროსანნი ვაჟკაცნი კი პირქუშად დააქროლებენ თავიანთ ჰუნეებს და მრავალთა საგმიროთა საქმეთა აღასრულებენ.

არა, ბატონისშვილნო, „მინერალური ჯაზი“ უფრო სალიტერატურო მულტიპლიკაციაა, თუმცა არც უმცროსკლასელთათვის გამიზნული და არც მხოლოდ სალაღობო და ამხანაგთა სათრეველი. ეს არის სრულიად ახალი დარგი და, მე თუ დამეკითხებით, ფრიად და ფრიად მარგიც არსებულ ვითარებაში. ეს ის დარგია, რომელიც ვერ ეგუება ვერც მხოლოდშობილთა იგავმიუწვდომელ კეკლუცობას და ვერც მიჯნურობისაგან ტყვედქმნილ თოროსანთა პირქუშობას, რამეთუ ამ გაუცინარ ქალბატონთა და ვაუბატონთა გადამკიდე დია მართლა გაგიჩნდება კარგა მამალი ეჭვი, რომელიც ასე გაიუღერ-გაიუღარუნებს: ნეტა ამ იდეალურ არსებათ სხვა უფრო მიწიერ — ბუნებრივ-კანონიერი სუბსტანციების არსებობა საერთოდ ხომ არ დაავიწყდათო.

რაც მართალია მართალია და ჩვენს მეკალმეს კი ამგვარი რამ სუბსტანციები წამითაც არ ავიწყდება. თვით ონომასტიკონიც კი ისეთი აქვს მომარჯვებული თავისი პლასტელინის ფიგურებისთვის, აშკარად ეტყობა, ოდნავადაც არ ანაღვლიანებს ახლა უკვე საპნის ოპერებით გაალმასებული უნაზესი გრძნობები ჩვენი რომანტიული მკითხველი საზოგადოებრიობისა, რომელთა მტკიცედ დარაზმულ რიგებს, დროჟამი ჰგიეს და ისე ელეწებიან ქართული სულის მოღალატეთა მიერ დათესილი სხვადასხვა მასონური ხრიკები, ვითარცა ჰარუნ ალ-ჰაქიმის გოდოლებს ელეწებოდნენ ბიზანტიონის ერთ დროს უძლეველი სპანი.

რაც შეეხება ონომასტიკონს, დიდ შეცდომას უშვებს ის მეკალმე, ვინც გულისყურით არ ეკიდება ამ საქმეს, რამეთუ ქმნილების სათაური თუ პირველი მოქნევაა ხმლისა, პერსონაჟის სახელი უთუოდ მეორე გახლავს. ათასი ბოდიში, მაგრამ შეცდომაა რომანტიული გმირის, ვთქვათ, პანტედ მონათვლა. უმჯობესია, მას ერქვას ცოტნე ანდა ნიანია, რათა მკითხველის გულის რომანტიული გზნებით ანთების ალქიმიური პროცესი არ დაბრკოლდეს. თუმცა ეს ონომასტიკური განსჯანი ზაზა ბურჭულაძეს არ ეხება, რადგან მისი ალქიმია საპირისპიროს ისახავს მიზნად. მისი პანტელეიმონ ოჩიგავა, ნათელა მალანია, თამარა მამიდა,

ჟენია ოჩიგავა, პეტრო, რომელიც მოკლე ხანში პეპოდ მოგვეელინება, ანუ სქესს შეიცვლის, გამომძიებელი შამუგია და მკითხავი ფოკო ის ონომასტიკური ერთეულებია, რომელთაც შეგნებულად უნდა დასცენ და იავარქმნან მრავალი თაობის მეკალმეთა მიერ დიდის რუდუნებით შექმნილი რომანტიული აღმადმჩქეფარება.

როგორო, ნულარ იკითხავთ, რამეთუ ეს უადგილო კითხვა იქნება, კეკლუც ბანოვანთა და არა ინტელექტუალთათვის დამახასიათებელი. და თუ მაინც დაიჩემებთ თქვენსას, მოკლედ გიპასუხებთ: პანტელეიმონი და თორი და ტაიჭი?!

უფალო, შეგვიწყალენ! რომელი წინდახედული მეკალმე დაარქმევს სამშობლოსათვის წამებულ რაინდს, თუკი ასეთი პერსონაჟის შექმნა აქვს განზრახული, პანტელეიმონს? ამისთვის ზედგამოჭრილი იქნებოდა დავითი, გიორგი, კონსტანტინე, ლაშა ან, ბოლოს და ბოლოს, არჩილი მაინც. პანტელეიმონი კი ის კაცია, ვინც უნდა იყოს — მუდამ მუხლებთან გამობერილ და საჯდომთან მომჩვარულ სპორტულ სინთეტიკურ პიჟამაში გამოწყობილი ბედშავი პენსიონერი, უსაქმოდ გაჩერება რომ არ შეუძლია და საჩხირკედელაო იარაღითა და საიზოლაციო ლენტის ნაკუწით აღჭურვილი ხან უთოს მიადგება, ხან ონკანს, ხან კიდევ რადიომიმღებს, თან ქორივით ცალი თვალი ელექტროსადენებისკენ გაურბის, ემანდ სადმე იზოლაცია ხომ არ დაირღვაო, რათა მაშინვე ჩვენთვის მიუნვდომელი სიამოვნებით გადაახვიოს ლენტის ნაკუწი.

არა, ბატონებო, პანტელეიმონი ის კაცი არ არის, ვისგანაც ჯერ არს რომანტიული ხეირის მოლოდინი, რამეთუ ვითარცა აწინდელ ჯეელობას სჩვევია, ჩვენს მწერალსაც უნდა, ოდინდელთა ჩუენთა დიდებულთა კირითხუროთა, ოსტატთა და დიდოსტატთა გზნებაი საკვირველი ჩაფერფლოს და ჩაანელოს. მაგრამ და რატომაო? — იკითხავთ სამართლიანად გაოცებული, — მაინც რომელი ეშმაურ-მასონური ორგანიზაციის დავალებითაო?

და მიუხედავად იმისა, რომ ვაღიარებ ხსენებული კითხვის სამართლიანობას, იქვე ვითვალისწინებ მის არაკორექტულსა და რიტორიკულ ხასიათს და სასწრაფოდ გადავდივარ შემდეგ ფიგურაზე, რომელსაც დია მეყსეულად შეუძლია ყოველგვარი წყევლა-კრულვიანი რიტორიკისაგან თქვენი გათავისუფლება.

დიაღ, ვფიქრობ, ყველა უსიამოვნება სიზმარივით განქარდება, როცა გაიგებთ, რომ პანტელეიმონ ოჩიგავას ღირსეული მეუღლე ნათელა მალანია მხოლოდშობილია.

ვინ იფიქრებდა?

და საერთოდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ფიგურა ერთადერთია, ვინც მკრთალად, მაგრამ მაინც ახსენებს ჩვენს შოკირებულ მკითხველს ან უკვე გარდასულ უკეთეს ჟამთა. აი, ამ ბანოვანის გარეგნული ხატება: შეევრცხლილი თმები, რელიგიურ ნიადაგზე ოდნავ შეშლილი ქალის სახე — ჩაცვენილი ლოყებით, ანთებული თვალებითა და მცირეოდნავ ფერგადასული პირ-ბაგეთი, მოკლედ, მოშიში ღმრთისაი, ვითარცა იგი ვთქუთ სიყრმითგან თვისით. მცხეთის დედათა მონასტერში მუხლმოუყრელს სვეტს არ ტოვებს, მუხლის მყესები გაუთავებელი ცისკრის ლოცვებისგან გაჰკვრივებია და დროდადრო ხილვებიც აქვს, ვითარცა დედათა წესია. ხორცშესხმული სათნოებაა და რაოდენ დასანანია, რომ მაინც ნაკლიანია. წარმოშობით სამეგრელოს ისეთი ყრუ სოფლიდანაა, სადაც დღემდე ერთმანეთთან უმტკივნეულოდ მეზობლობენ ჩეჩმა და სარეცხის თოკზე ჩამწკრივებული ბიკინების მომხიბვლელობა (ო, ამ დიდებულ ფანტომს აუცილებლად დავუბრუნდებით). გარდა ამისა, უზმოზე ზოგჯერ ყავასა და სიგარეტზე წაუცდება ხოლმე ხელი, მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს ჩვენი მწერალი — დაგვარ წვრილმან ცოდვებზე ზეციური მართლმსაჯულება (და ჩვენი მკითხველი საზოგადოებრიობაც — ნ.მ.) თვალს ხუჭავს, რამეთუ, მოგეხსენებათ, ღვთისმშობლის წილკერძ ჩვენს გურჯისტანში ბოლო ხანს იშვიათად მოიძებნება ისეთი ბანოვანი, ვისაც ისევე არ ეყვარება უზმოზე ყავა და სიგარეტი, ვით სახედარს — თალგამის ფოჩი და კომბოსტოს ფურცელი.

თქვენი არ ვიცი, ძვირფასნო, და თქვენმა მონა-მორჩილმა საინვალიდო ეტლში ჩაბრძანებულ დიდებულ ქალბატონ ჟენია ოჩიგავაზე თავიდანვე ხელი ჩავიქნიე. მართალი გითხრათ, არც ჩვენი დაუდგრომელი მწერლის ეშმაურ მაქინაციებს ავყოლილვარ, ერთი ხანობა ეტლიდან წამოყენებას რომ უპირებდა ქალბატონ ჟენიას. არა, ბატონებო, ჩემი აყოლიება ეგრე იოლი არ არის და თქვენც დაბეჯითებით გირჩევთ, მსგავსი სიმედგრე გამოიჩინოთ ახალგაზრდა მწერლებთან ურთიერთობისას, რამეთუ დღესავით არის ნათელი არა ის, თუ რას იტყვის ამაზე შთამომავლობა, არამედ ის, რომ თვინიერ სინორჩისა და სიქორფისა, რაიცა დრო-ჟამის მსახვრალმა ქროლვამ შეუბრალებლად წარსტაცა ქალბატონ ჟენიას, რომანტიული გზნება არ არსებობს. ახლა თუნდ ააყენეთ და მირანდუხტი იადხმობილი უწოდეთ და თუნდაც კვლავ ეტლში ჩატოვეთ ეგ თქვენი ქალბატონი ჟენია, ძვირფასო მეკალმევ, რამეთუ თვინიერ გადაღრძუებული ბებრუცუნასი, მაინც ვერაფერს მიიღებთ.

არ დავმალავ, ეჭვი მაქვს, რომ თამარა მამიდა თავიდან გულში იმედის ნაპერწკალს გაუჩენდა ჩვენს მგზნებარე მკითხველს. მოგეხსენებათ, „თამარა“ ისეთი სახელი გახლავთ, რომელმაც საუკუნეთა სრბოლასაც გაუძლო და თანამედროვე სურნელიც შეინარჩუნა. ამაში დასარწმუნებლად საჭირო არ არის მაშრიყ-მაღრიბელ ბრძენთა შეწუხება, საკმარისია ენა მოვიჩლიქოთ და ისეთ ქორფა და ცუგრუმელა სახელებს მივიღებთ, როგორებიცაა „თაკო“, „თათა“, „თიკაკო“ და მისთანანი. რატომ არ შეიძლება, ყმაწვილქალობაში „თიკო“ ან „თიკა“ დაეძახათ მისთვის? ჰაი-ჰაი, რომ შეიძლება და რაღაი შეიძლება და ხანდაზმულობაშიაც მხოლოდ ტრიკიან ბიჭებს აძლევს კანფეტებს, მოდი და ნუ იფიქრებ, იქნებ ამ ჩვენმა შეუბრალებელმა მწერალმა მისი შუშპარობის ჟამინდელი მიჯნურობის რაიმე სევდიანი ისტორია გამოიმეტოსო გზნების ასანევად.

მანამდე არაფერი გეტკინოთ, ბატონებო. განაღა ნიშნის მოგებაში ჩამომართმევთ, თუკი გეტყვით, რომ კოვზი ამ შემთხვევაშიაც ჩაგივარდათ ნაცარში?

მაშ, გნებავთ, დამცინეთ და გნებავთ, სამარცხვინო ბოძზედაც გამაკარით, მაგრამ, ჩემი აზრით, ერთადერთ იმედად ეს ტრიკიანი პეტოლა დაგრჩებოდათ. მართალია, სახელი არც მას უწყობს ხელს, მაგრამ აქამდე დიალაც უნდა გაგეგოთ, რომ დიდი ხანია ნაბდით დაჭედილი ბედაურებივით ჩაიქროლა იმ დრომ, როცა გამიჯნურებულ ვაჟკაცს მაინცდამაინც გიორგი ან კონსტანტინე (შინაობაში — უტა) უნდა რქმეოდა, რათა გულჩვილ ბანოვანთ უხვად დაეღვარათ ცრემლი მის ტრაღიკულ ისტორიაზედ.

მოგეხსენებათ, ჩვენი საზოგადოდ პატრიოტი აწინდელი ჯეელობის ერთმა მცირე ნაწილმა წიხლი გვიკრა მამაპაპურ ტრადიციებს და, მათ შორის, ონომასტიკონსაც. შემოგვესივნენ „ზუმბები“ და „ზუკები“, „ბუკები“ და „იკები“, „ნიკები“ და „კიკები“. მაგრამ ქაოსი პატრიოტულ ონომასტიკონში ამით არ დამთავრებულა. ღმერთმა შეაჩვენოს და ეშმაკმა დალახვროს მასკულტურის ძალმოსილება, ვინ არს, რომე არ ჰმონებდეს? ამიტომ ნულარ გაგიკვირდებათ, ძვირფასნო, თუკი ჩვენში მალე „იზაურები“ და „ხოზეებიც“ გამოჩნდებიან. მაშ, ასეთ ქაოსში ვითომ „პეტომ“ რაღა დააშავა? არც არაფერი. მეტიც, კარგად თუ დავაკვირდებით, ძირიც ჩვენებური აქვს, ძველებური, და ძარღვიც. — ფიქრობს ჩვენი თავგზაარეული მკითხველი და ვერა ხვდება, რომ კომპრომისზე მიდის, რასაც ბევრი ღირსეული ვაჟკაცი და სათნო მანდილოსანი მოუცურებია მოლიპულზედ. ჩემდათავად აკი გითხარით, აწინდელ მეკალმეთ მედ-

გრად უნდა დახვდეთ-მეთქი, რადგან ისინი ზრუნავენ არა მშობლიური მკითხველის კანონიერი წყურვილის მოკვლასა და მომავალი თაობის პატრიოტულ აღზრდაზე, არამედ ეშმაური ხაფანგების გაწყობა-გაჩალხვაზე და მათში უმანკო სულთა შეტყუებაზე. ამჯერადაც ასე მოხდა. ის იყო „პეტოს“ ძლივს შეეჩვიეთ და ანაზდად „პეპო“ არ შეგრჩათ ხელში! ბოლოს და ბოლოს, სახელები ჯანდაბას. „გერვასი“ დაერქმია ან „მიტროფანე“, ვინ ოხერი დაუშლიდა? ვერავინ. მოგეხსენებათ, კრემლში ჭკუა ისწავლეს და აშკარად აღარ ერევიან ჩვენს საქმეებში, ხოლო თანამდებობრივი ოქროს ბორკილები საერთოდ არ აბრკოლებენ ჩვენს მეკალმეს, რადგან იგი თავისუფალი მწერალია. რაც შეეხება ჭკუას* , ეტყობა ძაღლის თავი სწორედ აქ არის დამარხული, რადგან ჩვენი მწერალი სწორედ ჭკუაზედ დაიმედებული კაცი ჩანს. მაგრამ, როგორც ჩვენს ღირს მამათაგან ყველაზე ღირსნი ფიქრობენ, ჭკუის ასე გაღმერთებამ მაღრიბს რა სიკეთე მოუტანა, რომ ჩვენ გვახეიროს? ყოველგვარი უღმერთოება, ეშმაკის მანქანება და უსირცხვილობა ხომ იქიდან შემოედინება ჩვენში? მხოლოდ ჭკუის იმედად მყოფი ჩვენი მწერალიც, ეტყობა, ამიტომ განუდგა მამაპაპურ გზას, ადგა და დღისით-მზისით, ზედ ჩვენ თვალწინ, ეს ტრიკიანი პეტო პირმშვენიერ პეპოდ არ გადააკეთა!

დიდება შენდა ღმერთო. სხვა ციურ საკვირველ მოვლენებთან ერთად, განა ესეც მეორედ მოსვლის მოახლოების აშკარა ნიშანი არ არის, რაზედაც ასევე ბევრს უბნობენ ჩვენი ღირსნი მამანი? და თუ ჩვენს დიდებულ ათასხუთასწლოვან მთლიანობაში ან სამიათასწლოვან ისტორიაში ერთს მაინც იპოვით ასეთ ღვთის გმობასა და ეშმაურ მანქანებას, მაშინ ჩემი სიტყვებიც უკან წამილია, პირშიც წყალი ჩამიგუბებია და თავზეც ნაცარი დამიყრია. მაგრამ ვაი, რომ ტყუილად მოგიწევთ ისტორიის მტვრიანი ანალების ქექვა, რადგან აქამდე ჩვენში ძეხორციელს არ მოსვლია აზრად ანტირომანის შეთხზვა.

მკითხველი ბჭობდა და მწერალი იცინოდაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი, რადგან ის, რაც მოყოლებული ადამ და ევას დროიდან ყველა პატიოსანი მეკალმისა და ასეთივე მკითხველისათვის ხელშეუხებელი იყო, ანტირომანში თავდაყირა დგება.

სადღაა ღმერთი, ხატი, რჯული, ეროვნული სიამაყენი და სიდიადენი, ყავარზე კუდის გადებანი და თვალების ნაცრით დავსებანი?

სად გაქრნენ რაინდნი — მესიის მახვილნი და ბანოვანნი — უცხოდ მარებნი და გულწამტანნი?

---

* ლათინურად „რაციო“, საიდანაც წარმოდგა ჩვენთვის მიუღებელი ცნება „რაციონალიზმი“, რადგან იგი ნიშნავს ჭკუის უპირატესობას უჭკუობაზე.

რომელმა მიწამ ჩაყლაპა სამშობლოს სიყვარულითა და ერთურთის მიჯნურობით ანთებულ ვაჟკაცთა და ბანოვანთა გულთა კრთომანი, ცრემლნი და ოხვრანი?

რა იქნა მკითხველის რომანტიული ფრენა ლაჟვარდში, უნაზეს გრძნობით აღვსება და კათარზისი?

სად წავიდა პატრიოტული ლირიკა, აღმზრდელობითი ლიტერატურა და თავდავიწყების უებარი საშუალება — თავგადასავალი?

არსადაც არ წასულა, ძვირფასნო. ეს ყველაფერი ახალმა დროებამ დასცა და დაცალეწა, ხოლო ანტირომანმა ნამსხვრევებით ბურთაობა გამართა. მანახვეთ თუნდაც ერთი თავმოყვარე რომანტიული მკითხველი, რომელიც თავგადასავლად ჩათვლის გამომძიებელ შამუგიას, მართალია, თავგანნირულ ქროლვას, მაგრამ არა ჰუნეთი, არამედ განავლის ფერი „მერსედეს-ბანძითა" და აბღავლებული ჯეიმს ბრაუნით მკითხავ ფოკოსკენ. ვერ მანახვებთ, რაღა თქმა უნდა, რამეთუ შამუგიას არათუ ძველ რაინდთა დარი და ფარდი ფათერაკები არ შეხვედრია, ჩვეულებრივ ნერვების მომთხრელ საცობშიც კი არ გაჭედილა არსად, ვინაიდან შუალამისას ჩვენი მშვენიერი ქალაქის მშვენიერი ქუჩები უპატრონო ძაღლების, ასეთივე კატების, ტაქსისტების, აზარტის მოყვარულთა, შეზარხოშებულთა და კალთამადლიან დიაცთა, იმავე ბოზების ხელში გადადის.

გადადის და გადმოდის.

სადღაა თავგადასავალი? ანტირომანში მას სანთლითაც ვერ იპოვით, რადგან ჩვენი მეკალმე თავგადასავლის უარყოფით თავდავიწყებას ებრძვის.

რა დაუშავაო? — ისევ სამართლიანად გაოცდებით.

მას კი არა, გურჯისტანს დაუშავა, ბატონისშვილნო. მთავარი ეს არის და ძაღლის თავიც სადღაც აქვეა დამარხული. ჩვენი მეკალმე ასე ფიქრობს და რაკი ასე ფიქრობს, აკი ღონისძიებებსაც შესაბამისს იღებს — აღარაფერს გვარჩენს თავდასავიწყებლად, აღარც მახათს, გასაყრელ-გამოსაყრელად, აღარც ნაცარს, თვალებში შესაყრელად და აღარც კუდებს, ყავარზე გასადებად. ხომ გაგაფრთხილეთ, დაუნდობელი კაცია, გულჩვილობისა არაფერი სცხია-მეთქი. მაგრამ დაუნდობლობასაც გააჩნია. ეს ისე ოსტატურად დაუნდობელია, ისე კარგად განუჭვრეტია მაღრიბით მონაბერი მასონურ-ეშმაური პოსტმოდერნიზმის (დასწყევლა გამჩენმა!) გურჯისტანული ლარი და ხაზი, რომ გულით მეცოდება ჩვენი უმანკო მკითხველი საზოგადოებრიობა, რომელიც ისე გაიჩხიბება მის ჯადოქრულ ბადეში, ვითარცა ლაზნი სჩხიბავდნენ ქორმიმინოთ იმ კურთხეულ დროში.

მაგრამ რატომ ჰლაღობს ასე იქედნურად ჩვენი მწერალი და რად არ გვანებებს ოდინდელთა ჩვენთა სიწმინდეთ — მახათს, ნაცარს, კუდს, ყავარსა და ლაჟვარდოვანში ამო ლივლივს? უამათოდ გურჯი რაღა გურჯი იქნება? მაგრამ კიდევ უფრო საკვირველი ის არის, რადა სდუმან ჩვენნი მამანი ასეთ ღვთისგმობაზედ, რატომ არ დაარისხებენ დედოზარსა ქუდზე კაცის გამოსასვლელად და რატომ არ დასჭყივლებენ — ჰკა მაგასო! — ვითარცა არაერთხელ დაუჭყივლიათ? ეტყობა, რომ მართლა აღარაფერს კითხულობენ, აღარც რომანებს და აღარც ანტირომანებს.

მაგრამ ამაზედ მეტი წყევლაკრულვიანი საკითხავი მე მაინც ისა მგონია, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ისეთ ფიზიოლოგიურ-საგალანტერიო-სატრიკოტაჟო გამომეტყველების ფანტომს, როგორიც გახლავთ ყრუ სოფლებში ჩეჩმისა და ბიკინების გულისამაჩუყებელი მეზობლობა.

ნება მომეცით, ამ საკითხზე ცოტა უფრო დაწვრილებით ვიმასლაათო. ყრუ სოფელი რა შუაშია, როცა მთელი ჩვენი ყოფა-ცხოვრება ამ ფანტომურ სიმბოლოში განფენილა, ირიბულად, რაღა თქმა უნდა. მეცნიერული ენით ეს ნიშნავს მაშრიყის მაღრიბთან შეხვედრას გურჯისტანის კურთხეულ მიწაზე. თუკი უფრო დავაკონკრეტებთ, ეს იმას ნიშნავს, ბოლომდე არც რომ მაშრიყი ვყოფილვართ და არც რომ მაღრიბი. გავიხსენოთ ისიც, რომ ვიეთთა ჩვენთა დიდებულთა მოღვაწეთა ეს ამბავი დიდად საქებარ მოვლენად შეურაცხიათ და მის განსადიდებლად მრავალი ხუტბაი და ქებაი და დიდებაიც აღუვლენიათ, რაიცა ჩვენდათავად კუდის ყავარზე გასადებადაც კარგად გამოგვიყენებია და ლაჟვარდოვანში სალივლივოდაც. ახლა ეს ჩვენი მწერალი მისდგომია და ვითარცა მაღრიბელ მეპოსტმოდერნისტე მეკალმეთ სჩვევიათ, ეს ხუტბაშესხმული მოვლენა ჩეჩმისა და ბიკინების მეზობლობად მოუთარგმნია.

მაგრამ განა ეს საწყენია, ძვირფასნო? მოგეხსენებათ, ფიზიოლოგიური საჭიროებანი ისეთი რამ გახლავთ, თვით დიდებულნი მეფენიც კი თავის ფეხით მიიჩქარიან მათ დასაკმაყოფილებლად. ეს რომ საწყენი იყოს, განა თვით ღვთივკურთხეული მოსე, ვინც პირისპირ ემუსაიფებოდა საბაოთ უფალს, თავს უფლებას მისცემდა ამ საკითხზეც მიეცა რჩევა-დარიგება მეგვიპტიდან ოტებულ თანამოძმეთათვის?

არა, ღმერთმანი, საწყენი ამაში არაფერია.

რაღაი სინას უდაბნოში კანალიზაცია მაშინ კი არა, დღესაც ფუფუნება გახლავთ, ხოლო ჩეჩმის გასამართი ხის მასალა უდაბნოში ყოვე-

ლთვის დეფიციტური საქონელი იყო, ეს პრობლემა სასწრაფოდ სხვანაირად უნდა გადაწყვეტილიყო. თუნდაც მასალა ეშოვათ და კარგა მკვიდრი ჩეჩმებიც შეეკრათ, რა, ორმოცი წელი თან ხომ არ ათრევდნენ იმ წყეულ უდაბნოში ხეტიალისას? მერე და რამდენი ჩეჩმა დასჭირდებოდა სამ მილიონ კაცს? უფალო, შეგვიწყალენ! არა და არა, ეს მწვავე პრობლემა უფრო უბრალოდ, უფრო პრაქტიკულად უნდა გადაჭრილიყო. გადაიჭრა კიდეც, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ყველაფერი გენიალური მართლაც ძალზე უბრალოა და არა პირიქით, მაგრამ თუკი კვლავ პირველივე სიტყვაზე ამოვალთ, უნდა ვთქვათ, რომ ამჯერად არც ეს არის მთავარი. აბა, მაშ რაღააო, გაგიკვირდებათ. რა და მთავარი მაინც ის ირიბული სიმბოლოა ჩვენი ყოფა-ცხოვრებისა, რაიცა ჩვენმა მწერალმა ჩეჩმა-ბიკინის ოპოზიციით გამოაგვირისტა. მაშ, გადავხედოთ ჩვენს მრავალჭირნახულ ისტორიას, ღირსნო მამანო, და როგორც უნდა გაგვიჭირდეს მაინც ვაღიაროთ, რომ აქამდე სნორედ ეს გასაოცრად ფანტომური ოპოზიცია ქმნიდა ჩვენში ჰარმონიას, ანუ არც რომ ბოლომდე აღმოსავლელნი ვყოფილვართ და არც რომ დასავლელნი. მაგრამ, მოგეხსენებათ, კუდის ყავარზე გასადებად აღმოსავლური ჩეჩმა ვერაფერი შვილი რამ საგანი გახლავთ. მაშ, ვინ გაგვამტყუნებს, რომ როგორც კი საშუალება მოგვეცემა, მაშინვე ევროპელებად წარმოვიდგენთ ხოლმე თავს, ანუ ბიკინებს, მაღრიბული ცივილიზაციის ამ კუდრაჭა მერცხლებს, ვაფრიალებთ თავმომწონედ სარეცხის თოკზე? უკეთესის სურვილი დანაშაული ხომ არ არის? ცხადია, არ არის, მაგრამ ამას რომ ამბები მოჰყვება ხოლმე, მტრისას — ეგრეევე ჩეჩმების მუსვრას მივყოფთ ხელს, აქაოდა სად ჩვენ და სად ეს სამარცხვინო ანაქრონიზმიო. ხოლო საკანალიზაციო ქსელის გამართვისთვის საჭირო სახსარი რომ არ გაგვაჩნია და შრომა რომ გვეზარება, ეს მაშინღა გვაგონდება, როცა აღარც მამაპაპური ჩეჩმა გვაქვს, ვერც კანალიზაციის გამართვისთვის დაგვიდგამს თავი და მოსეს რჩევა-დარიგებებს ხომ თავად ჰურიანიც აღარ ითვალისწინებენ. მოკლედ, წონასწორობა ირღვევა და ჰარმონია შარშანდელი თოვლივით ქრება. მაშ, უკულმა რაღატომ უნდა ჰყაროთ ქოშნი, ძვირფასნო, თუკი გეტყვით, რომ ასეთ ვითარებაში ჩვენში გარდაუვლად იკიდებს ფეხს განწყობილება, რომელიც, უკაცრაული პასუხია და, ლოზუნგების ენაზე ასეთ ფორმას მიიღებს — უკან, ჩეჩმებისაკენ! რაღაც საბედისწერო კანონზომიერების ძალით, ადრე თუ გვიან, ის კაციც გამოჩნდება ხოლმე, რომელიც, ვითარცა მოყვარული მამა, ისე აგვისრულებს ხოლმე ამ გულიდან ამოხეთქილ სურვილს.

ერთხელ ეს უკვე მოხდა.

მაშინ იმ კაცს ხშირი ულვაში ესხა, უბრალო ფარაჯა ემოსა და თუმცა გორიციხის ჩრდილში იყო გაზრდილი, აქედან შორს, ჩრდილოეთში იდგა ბინად. დღეს ეს კაცი შეიძლება ხვავრიელი თმა-წვერ-ულვაშის პატრონი და ანაფორით შემოსილი, ანდა სულაც მაღრიბულ ტალავარში გამოწკეპილი კოხტაპრუწა იყოს, სულ რომ წკიპურტით იბერტყება.

რა მნიშვნელობა აქვს?

მთავარი ის არის, რომ ეს კაცი, თუკი სხვა საშველი არ იქნა, ისევ უკან, ჩვეული ჰარმონიისკენ გაგვრეკავს და მართალიც იქნება, დალახვროს ეშმაკმა!

აი, რა არის უმთავრესი წყევლა-კრულვიანი საკითხავი, ბატონისშვილნო.

და ასე თუ მოხდა, რისგანაც იქნებ მაინც დაგვიფაროს გამჩენმა, მაშინ ვინ სადღა იყოს? მაშინ ვიეთნი ჩვენნი მეკალმენი, ჯეელნი და მხცოვანნი, დღეს რომ ბიკინების დანახვაზე ჰკუნტრუშობენ, უცებ ისევ ჩეჩმებს ალუვლენენ ხოტბას.

ერთხელ უკვე ესეც მოხდა.

თუმცა ჩვენი ანტირომანის ავტორი საამისოდ მეტისმეტად სკეპტიკოსი ჩანს, რაც, გამოგიტყდებით და, ყველაზე მეტად მხიბლავს. ვისაც ეს მაინც არ სჯერა, რალა ვქნა, როგორლა დავეხმარო? ადგეს და თავად წაიკითხოს დღევანდელ ქართულ მწერლობაში უდავოდ ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ექსპერიმენტი — ანტირომანი „მინერალური ჯაზი".

2003

შინაარსი

ჩვენ და ისინი 3

თვითგანახლების ფენომენი 9

მსხვერპლნი 17

ორი მგზავრობა რუსეთიდან საქართველოში 56

ნიჰილიზმის ენა 69

პოსტმოდერნისტული ბიოგრაფიები 84

ინტერპრეტაციის უფლება 95

„ულირსებო კაცის“ (და არა მარტო მისი)
პოსტმოდერნისტული გახსენება 111

ჩვეულებრივი წინააღმდეგობანი 124

„ორიენტაციების“ შესახებ 136

აზმანი შარავანდედთანი 147

იყო ერთი ლეო... და ნატატიკი 153

მკითხველი ბჭობდა, მწერალი იცინოდა, ანუ ანტირომანი 160